644/
1975/4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

4

1975



В. Ульянов (Ленин)

29 января 1918 г.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

215

გამოცემის მეცხრამეტე წელი

43092

4

აპრილი

1975

თბილისი

სსრ კა ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

ჩვენი დღეების რიტმი

3- ზაურ ფიფია. კოლხეთი...

96- გივი ჯახუა. ნათია

ძმობის სიმღერა

10- რევაზ ასათიანი, ილიდორე კოზაევი. ლეონიდ ხარეფათი, ალექსანდრე ფუხაევი. ლექსები. თარგმნეს გივი გეგეკორმა, გივი ძნელაძემ, ჯანსულ ჩარკვიანმა, ტარიელ ჭინტურიამ

პროზა, პოეზია

14- კარლო კალაძე. ათი საათი პარიზის დროით. ლექსები.

19- ზალვა ფორჩხიძე. ლექსები

23- ილია რურუა. მინიატურები

31- მერაბ აბაშიძე. აქეთ მაუხალეგი, ავაზიმოდო. მოთხრობა

ბაშინიკი

65- ზურაბ ბუბაბრია. მოთხრობები

75- ჯემალ თოფურიძე. ნუციკო ემხვარი. მოთხრობა

78- კონსტანტინე ნაკაშიძე. კური. მოთხრობა

81- რევაზ ნიბეგები. დაკალეგი. მოთხრობა

პოეზიის მერიდიანები

84- ეუფა რაბი. ლექსები. თარგმნეს ჯანსულ ჩარკვიანმა, გივი ძნელაძემ, ტარიელ ჭინტურიამ, გივი გეგეკორმა

გამარჯვების 30 წელი

90- ვლადიმერ კიკალიშვილი. კოლიტმეშაკეგის უკვდავი გმირობა

100 — ზალვა დადიანი — 100

104- ზალვა დადიანი

105- დავით შუღლიაშვილი. ზალვა დადიანის უცნობი ჩანაწერები

წერილები

61- გურამ ასათიანი. გზის დასალოცად

110- ფურმან თაგდიშვილი. ჰკიდია მზე თავის ადგილზე

114- ლევან რჩეულიშვილი. ვახტანგ გერიძე

118- ალექსანდრე სიხუა. კუგლიციანი და საზოგადო მოცდაზე

123- ზაქარ მეგრელიშვილი. რატომ გაიხსენეს დოროთი კარკერი?

126- მაია ბიბილეიშვილი. გეროლტი ქიკოძე ფრანგულ კრიტიკის შესახებ

132- მზია ზაქარიაძე. ბუფათა კლასის მეგზაგრობის ისტორიიდან

139- მიხეილ შენგელია. გონიერებით და სიყვითით შემკობილი

ხელოვნება

146- ოლესია თაბაძე. ლევან ბაიახჩეგის შემოქმედება

ათეისტის კუთხე

149- თეიმურაზ ფანჯიკიძე. გაბმოსყიდვის (ძონანიეგის) პროგლემა

159- ქოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი
ჯანსულ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
ბაბუა აბირაეშვილი,
ვალერიან ბაკრაძე,
ბურამ გვერდწითელი,
გივი გეგეშკორი,
რისმაგ გორდეზიანი,
გიორგი გუგლია,
ნოდარ დუმბაძე,
მერაბ ელიოზიშვილი,
ედუარდ მენაგდი,
ო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაურ ფიფია

კოლხეთი...

ადა ჭარდა

იყო ასეთი მეურმე ჩემს სოფელში. დარიაის ველფუესა და გვერდზე შეკრული ხალათს ჩაიცვამდა, მხრებზე ბაშლაყს შემოიგდებდა, წელზე მოხდენილად მოიკედართვდა ვერცხლით გაწყობილ ქამარს და... ხელში სახრე ეჭირა მუდამ. უჩვეულოდ მიმზიდველი სიმღერა იცოდა ადა ქარდამ. გამთენიისას შეაბამდა ყვავრს და მზის ჰიმნად ამოუშვებდა თავის დალოცვილ ხმას. „ჩელა სო ურქუ? — დარჩელშა! ავავა დო შავავა“, — მღეროდა ადა ქარდა და თითქოს სიმღერა კი არა, ისტორია მოაბიჯებდა კოლხეთის გზებზე.

ბალღობაში მე ადა ქარდამ მასწავლა „ჩელა“ და ახლაც ყოველ ნაბიჯზე ჩამესმის ეს სიმღერა. მღერის მეურმე და ვხედავ, როგორ კიდია შეღამების ღრუბლიან ცაზე სევდა და ვვარამი. ჩელა და ბუსკა ნაღვლიანად მიზიზინებენ და სადაურობასაც არ ეკითხებიან ჯარად შემოსეულ ფიქრებს. ანდა რად უნდა ჰკითხონ, — ჯავრი ჯავრია და ეს გზაც ჯავრად გაწოლილი ნაღველი. ირწევა ჭაობი და გასუსულ გარეს მკვდრის მზე დაჰფენია ცერად. საუბარიც საოცარი იცოდა ადამ. ღაღანით წარმოსთქვამდა სიტყვებს და გრძნობდი, ამ კაცს მუდამ მიწაზე ედგა უეხი, მუდამ მიწის სუნთქვით სუნთქავდა და არსებობდა. ამიტომ მაოცებდა მე იგი, ამიტომაც დამყვებოდა იგი ყოველ ნაბიჯზე დ. ახლა, როცა მატარებელმა ფოთისკენ შეუხვია, გასაკვირი როდია, რომ თან მომყვებოდეს ადასეული „ჩელა“ და ადა ქარდა. თვით ადა ქარდაა ჩემთვის კოლხეთი, — კოლხეთია თვით ადა ქარდა.

მატარებლის კუპეში მარტო ვზივარ. რიგრიგობით ჩაივლიან ალეისა და ეკაილატების ტანწერწეტა მწვრივები და მათ გადაღმა ოქროს საწმისად გადაშლილა კოლხეთი. ჭენჭესა და ჭაობს უსიერი ტყეებისთვის შეუფარებია თავი და მზის ჩხორია არხში ჩამდგარ მდინარის ტალღებში შეპარულა. ველზე დილაუთენია გამოსული ადამიანები ფუსფუსებენ. მატარებლის გრიალში არ მესმის მათი ხმები, მაგრამ ისინი ახლა „ოდოიის“ მღერიან. სარკმლიდან მთელი კოლხეთი ჩანს და ფიქრები საუკუნეთა მიღმა დაიარებიან:

... მთვრიალნ ღამეს ფერმკრთალ სახეზე ელაციცება ტალღა და დედაშობილა ბანაობს რეა. ფაზისს მოადგა „არგო“. გადიხსნეს მკერდი ლეგენდებმა და ზღაპარში ანთქმული გაოცება იღვრება მიწაზე. მოედანზე — მზისკენ ხელაპყრობილი დგას მედეა.

* * *

ფოთის ალიონს ზღვის სუნი ასდის. ცას ნისლისფერი კალთა ჩამოფუწეია დაბლა და ქუჩაში რომ მიდიხარ, ვემპანზე მდგარი მეზღვაურივით ტორტმანებ. ეს შთაბეჭდილებებით როდია გამოწეული, ან კიდევ ქვეშეცნეული წაბაძვით ამ მეზღვაურისადმი, — ამ მიწის ყოველ მტკიველ ისტორიის თითო ფურცელი მაინც ჩაუბეჭდია ჩემერდნი და გეშინია, ანაზდად ფეხი არ დაადგა მას.

ნაცსადგურიდან გამმეოლად ბუბუნებს თბომავალი — ჩვენი თუ სხვისი. გაყურსილა ფოთი.

— გზის დასაწყისთან დგას პაუსტოვსკი: — „ადამიანებს სუნთქვა უჭირდათ, ჭარი ისე გაშშიგგებით ჰქონდა, რომ ჰაერის მთელი მარაგი მიჭქონდა თან და ცაზე ცხოლდდ სიცარიელე რჩებოდა“.

დღეს კი თოლიებით გავსებულა ცა. ნაშუთთვარხე ხაშია ამოფურია ტალღებს.

„კოლხეთიშვილის“ სამმართველოს კოლხეთის ზონის მშენებლიე ობიექტების დირექტორი ბოლოათ ლაკერბაია ჩემი თანამოსაუბრე. ზის ბოლო ალაბ კაცი გრძალი მაგიდის თავთან და ციფრებში და დიაგრამებში ვეცნობი „კოლხეთმშენს“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდან დაიწყო ახალი კოლხეთის მშენებლობა. პირველმა ხუთწლედებმა ჩაუყარა მას საძირკველი ოცდაათიანი წლების დასაწყისს კი „კოლხეთმშენი“ დაარსდა. და დღეს კოლხეთის მიწაზე დგას „კოლხეთი“ და „განთიადი“, დგას მუხლმაგარი ხიბი და ხორცა, ქვაღონი და თორსა-დღეგბა. კოლხეთის 220 ათას ჰექტარ ჭაობს გამოაკლდა 80 ათასი ჰექტარი, მაგრამ ბევრია ეს 80 ათასი ჰექტარი?

— არც ბევრი და არც ისე ცოტა! — მეუბნება გოლათ ლაკერბაია, — კოლხეთის ყოველ მტკიველ მიწას თავისებური ხასიათი აქვს და ჭაობის ამოშრობის ის მეთოდი, რომელიც სხვაგან გამოიყენება, აქ შეიძლება არც გამოდგეს. ხოლო იმის მიხედვით, თუ რამდენი ხანია კოლხეთს ვითვისებთ და ამ ხნის მანძილზე რამდენი ჰექტარი ფართობი ავითვისეთ, კოლხეთში ჩატარებულ სამუშაობებზე მსჯელობა არ შეიძლება. კოლხეთში ყოველ ნაკვეთს ერთი გასაღებით ვერ მიეუდგებით. მთავარია, რასაც ავითვისებთ, ის მეცნიერული სიზუსტით, ხარისხიანად იყოს ათვისებული. კოლხეთში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა შესასწავლი და გადასაჭრელი!

ამიტომაა, რომ საცდელი საღგურებითა და ნაკვეთებითაა დასახული კოლხეთი დღეს. მეცნიერები კოლხეთს იკვლევენ და მეე მათს სანახავად ჩამოვედი კოლხეთს. გვერდით ადა ქარდა მომყვება, ჩემი ადა ქარდა, რომელიც შუდამ ჩამჩურჩულებს ყურში: — მიწა თუ არის, ყველაფერია, ყველაფერს მიწაზე უდგას ფეხი!

მოვდაწეს საათმა დარეკა.

შუადღისკამს გოლათ ლაკერბაიამ მანქანამდე მიმაცილა და ახლა მანქანა საღდაც ჭალადიდსა და ფოთს შორის მიჭქონს ასფალტზე. მანქანაში „კოლხეთმშენის“ მთავარი ინჟინერი არჩილ ასათიანი ზის. გზის აქეთ-იქით ევკალიპტებია და მახსენდება ტყეში, ძველ ნაციხართან პაუსტოვსკის გზაანბეული გმირი, ვანო ახმეტელი და ეს ბაზაცი: — „ფუქნის კედელზე ბეჩო ზეთის საღეპაკებით უჩვეულო სურათს ხატავდა, რომლის სიუჟეტი მას ცაბუნიამ უკარნახა. ბეჩოს მომავალი კოლხეთიც მოჰკაკავდა, სადაც ვრცელი და მაკაე ჭაობის ნაცვლად ფორთოხლის ბაღები ყვაოდნენ. შავ ფოთლებში ელნათერებივით კრთოდა ოქროსფერი ნაყოფი. ზორს ნახანძრალიეთი ბოლავდნენ მთები. გიფუშეფუშებულ ლოტოსებში და კოპწია ქალებით სავსე ნავებს ზორის თეთრი გემები მიეტოროვდნენ. ციტრუსებში კი ნაბდის ქუდებიანნი, გალიფეში გამოწყობილი მეგრელები ქეიფობდნენ, და ყოველივე ამ ბავშეური პეიზაჟისენ ხელი გაეწვდინა თეთრწვეთა, ჩერქეზულ ოიხაში გამოჯვიმულ მოხეცს, რომელსაც სახე ლეონარდო და ვინჩის მიეცალა“.

ვნანობ, რომ აქ არ არის ბეჩო.

არსს გაღა, ეერმის კოფოზე ზის მეურმე. ნელა მიზიზინებენ ჩილა და ბუსქა და მხოლოდ ეს მაგონებს ახლა მე ძველ კოლხეთს.

ხორგა

ცამ მოიშავებედა. მერე ლილისფერი გახდა ჰორიზონტი. ირგელივ უკვე ალარაფერი ჩანდა. არც ზღვა, არც მთა, მხოლოდ წყალს გაეყოლინთა ცა და მიწა. ცერასსიმსხო წვეთები ხრიალით იხრჩობდნენ თავს ჭაობში. ჭაობი დუდდა და ფორეკენებანი სხეული ნაყვეველარს მიფეგავდა. წამში წელამდე ჩადგა ტალახი. წვიმამ კოლხეთში ჩაეფინი ცრემელი და სისხლი მომაგონა, — სანამ მიწას დაეცემოდეს წმინდაა ციური წვეთი, მერე იძეკრევა და წითლდება.

ჩვენ ხორგაში მივდივართ.

ხორგის მიწა ყველაზე მძიმეა და ტაპიური კოლხეთისათვის.

გაღმა-გამოღმა საცდელი ნაკვეთებია. მეცნიერები ჭაობის ამოშრობის სხვადასხვა მეთოდებს ცდიან ხორგაში. აქეთ დახურული სადრენაჟო სისტემაა — მიწაში თიხის მილები აწყვია, მიღები მაგისტრალურ არხებს უერთდება და ნიადაგს გრუნტის წყალს აცლის, ამას ჰქვია დახურული სადრენაჟო სისტემა; მარჯვნივ კვალია, — ორ არხს შორის დაშრობილი მიწა ცოტა იქეთ კი, როგორც თენგიზ აფრასიძე ამბობს, მათი შეთანაწყობა, — ორივე ერთად.

თენგიზი პიდროტექნიკოსია და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლხეთის საცდელ-სამელიორაციო დასაყრდენი პუნქტის მეცნიერ-თანამშრომელია.

ღრუბლები ზოგან გაიხსნიან წარბებს და ზორს კაკასიონი გამოჩნდება წამიერად, მას აქეთ სვანეთისა და ეგრისის ქედებია. მერე კვლავ ჩაშავდება და ჩაეამება ცა. მთები კვლავ ეხვევიან ბურუსში. ენგური და ცხენისწყალი, ზობი და რიონი სადღაც იმ მთებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგენენ სათავეს და ბარში ჭაობად რომ გუნდება, სინანლეს ჰგავს.

მაწვნისა დღეგაში მატოპავს. მხოლოდ დრენაჟის ნაკვეთია შედარებით მშრალი.

მეცნიერები ორშიც წელზე მეტია სწავლობენ კოლხეთის დაჭაობებული მიწების ათვისების პრობლემებს. კოლხეთში დიდი კითხვის ნიშანი დადის მაინც: — დახურული დრენაჟი, კვალი თუ მათი შეთანაწყობა?

დღეს სამივეს ჭყავს თავისი თეორეტიკოსები და დამცველები.

ესაუბრობ მათთან:

პროფესორი ალექსანდრე ეფოროვიჩი: — კოლხეთის დაჭაობებული მიწების ამოსაშრობად ყველაზე გამართლებულ მეთოდად კვალური ამოშრობა? შემაჩნია. კოლხეთის დაბლობს ძირითადად ზედაპირიული ჩამონადენი აჭაობებს. მეძიე თინანია კოლხეთის მიწა და გრუნტი არ ატარებს წყალს. ამიტომ დრენაჟი გამოუსადეგარია!

პროფესორი გრიგოლ კოსტავა: — 18 წლის განმავლობაში ჩატარებულმა ცდებმა დაეკვარწმუნა, რომ კოლხეთის დაჭაობებული მიწების ამოსაშრობად ყველაზე ეფექტური საშუალებაა დახურული სადრენაჟო სისტემა. ეგი ერთად-ერთი მეთოდი, რომელსაც ჩარატებთან შეუძლია გადაჭრას კოლხეთის უძლესი დაჭაობების ამოშრობის პრობლემები.

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი შუბაკაძე: — უპირატესობა დახურულ სადრენაჟო სისტემას უნდა მივაკუთვნოთ. კვალს არ შეუძლია გრუნტის წყალი გაიყვანოს ფარითობიდან. უკანასკნელ ჭაობი ვერ დაშრება. სწორედ გრუნტის წყალია დაჭაობების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. გარდა ამისა, კვალის ქვეშ ათვისებული მიწები თითქმის მიედგომელია მექანიზაციისათვის. ამიტომ ყველა სამუშაო ხელით უნდა შესრულდეს. ასეთ პირობებში კი მეურნეობები ვერასოდეს ვერ იარსებებენ სამეურნეო ანგარიშზე. დრენაჟის ფარითობებზე კი მექანიზაციას მთელი დატვირთვით შეუძლია იმუშაოს. ეს კი უზრუნველყოფს ამ პრობლემის გადაჭრას, რომელიც მუშა-ხელის დეფიციტთანაა დაკავშირებული.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ილია ბიორკაძე: — კოლხეთის პირობებში ცალ-ცალკე ვერც კვალურმა ამოშრობამ და ვერც დახურულმა სადრენაჟო სისტემამ ვერ გაამართლა. ამდენად საჭირო შეიქნა მათ შეთანაწყობაზე ფიქრი. სწორედ, ეს რამდენიმე წელიწადია ნიადაგმცოდნეობისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის, რუბენ ბაბაოსოვის ხელმძღვანელობით, ეიკვლევთ ამ საკითხს და დღეს თამამად შეგვიძლია ეთქვათ, რომ კოლხეთის დაჭაობებული მიწების ამოსაშრობად, არა თუ სასურველია, არამედ, აუცილებელია დახურული სადრენაჟო სისტემისა და კვალის შეთანაწყობა.

... და მაინც კვალი თუ დრენაჟი, თუ მათი შეთანაწყობა? თუ კიდევ სხვა რამ? — მეცნიერები დიდიხანია ფიქრობენ ამაზე. მაგრამ ბრთა სხვადასხვაობამ საბოლოოდ ერთ კალთაში ვერა და ვერ მოიყარა თავი.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დამტკიცებულია კოლხეთის ათვისების ნორმა, როგორც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბასული წლის მაისის პლენუმზე აღინიშნა, „მეცნიერულ რეკომენდაციათა დონე კოლხეთისათვის ჯერ ისეკ არადამაკმაყოფილებელია!“

სანამ კოლხეთს წავიდოდი, აკადემიკოს ვასილ გულისაშვილს შევხვდი და მთელი საათი გაგვიგრძელდა საუბარი. აკადემიკოსი ეტაკაკებით საუბრობდა ბუნების ყოველ მტკაველ სოფლსაზე, მიწაზე, ბუჩქებზე, ბალახზე, ვაზზე და მუხაზე, და თვით მუხასაკით ჯანმაგარი მცენარე ბუნებისა, კითხვების დასმასაც არ საჭიროებდა. დავიწყეთ თბილისიდან, ავედით ხეკსურეთს, ფშაველ, ხევს, ხევსეთს, ეთმოგზაურეთ ძოგმში და ხეობებში და პოლოს კოლხეთს ვეწვეთეთ.

— დაკვირვებისართ ალბათ, მიწას წყალს დასსხამ და წყალი მიწაში ჩადის, ეს ამიტომ ხდება, რომ მიწას თავისი კაპილარული სისტემა აქვს. ამ კაპილარულ სისტემას, როგორც წყლის შთანთქვა, ასევე, წყლის ამოჭაჭვაც შეუძლია მიწის სიღრმედან. უფრო მტკიც, მას შეუძლია 2-3 მეტრის სიმაღლემდე ასწიოს წყლის დონე ნიადაგში, ე. ი. თუ 2-3 მეტრის ქვეშ მიწაში წყალია, მიწის ზედაპირსაც არ აყენა ტენი. კოლხეთის დაბლობზე კი ზოგგან 40-50 სანტიმეტრის ქვეშეთ წყალია, რომელსაც ვანუწყვეტლივ კვებავს მთავარი კოეკალინისა და ჭანა-იმერეთის ქედებიდან მონადენი წყალი. ამიტომ კოლხეთის ჭაობის დაშრობა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით — შეუძლებელია. ამჟამად კოლხეთში დაწყებულია მძლავრი საქმე სადგურების მშენებლობა და ენახოთ რას მოგვცემს ის, მაგრამ მე რომ მკითხოთ კოლხეთის ტყეები ყველგან ასე ბარწყმინდად არ უნდა გიჩვენოს. დღეს კოლხეთის დაბლობი დაკავებული აქვს ჭაობის მცენარეებს, ძირითადად, თხმელასა და ჭილს, რომლებიც შეგვეტყნენ არიან ადგილობრივ პირობებს. კერძოდ, თხმელა ივითარებს ზედაპირულ ფესვებს, რომელზედაც მას აქვს დამატებითი ბაგეები. სწორედ ამ ბაგეებით სუნთქავს იგი. ჩაი და ციტრუსები სულ ვერ იტა-

ზაურ ფიფია
კოლხეთი...

ნენ ცუდი ავრაციის მქონე ნიადაგებს. ამ პირობებში მთ ფესვებს არ შეუძლიათ სუნთქვა, ვერ ითვისებენ საკვებ ნივთიერებებს, ვერ იზრდებიან. უაქტიურად კოლხეთის პრობლემა არის ნიადაგის ავრაციის პრობლემა. ამიტომაც ვამბობ, ყველგან არ უნდა გაეჩეხოთ კოლხეთის ტყე. ტყეც ხომ ქვეყნის სიმდიდრეა. ციტრუსებისათვის ისეთაც საკმაო ადგილი რჩება კოლხეთში და ისინი წინასწარ, მეცნიერულად ზუსტად შესწავლილი ფართობებზე უნდა გაშენდეს მხოლოდ, თორემ ისე მოგეკვეთა, რომ ტყეს გაეჩეხავთ და ციტრუსებსაც ვერ გავახარებთ.

... მეორე დღეს აკადემიკოსმა იგივე აზრი განაცხადა თავის გამოსვლაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მაღალი ტრიბუნიდან. აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი, წიგნში „მკერდში დაჭრილი ბუნება", წერს: — „კოლხეთის ჯუობის დაშრობაზე 40 წელზე მეტია დიდი ენერგია და სახსრები იხარჯება.

... ბოლო ხანებში განსაკუთრებით ინტენსიურად იჩეხება აქაური ჭალის ტყეები და ნიადაგიდან წყლის ამოჭაჭვა შემეცრდა, მთის ფერდობებზე ბეერგან გაიჩეხა ტყეები და მდინარეები ზშირად აღიდდებიან და გადმოდის ნაპირებიდან, წყალი რჩება ვაკეზე, ნიადაგი კვლავ ჭაობდება.

... მდინარის წყალი, რომ ნაპირებიდან გადმოდის, ეს იმიტომ ხდება, რომ მთაში უთავბოლოდ იჩეხება ტყე.

... მთის ტყის ნორმალურ ექსპლოატაციაზეა დამოკიდებული ბალ-ვენსახების სიკეთე, და კერძოდ კოლხეთის ჭაობის დაშრობის საკითხიც".

... ჟორა კუპრაძე მანქანა დაჯოქა. იქვე შადრევნად ამოდიოდა ჭეიზერი, რომლის ბუღეში ისეთაც ნოტიო ჰაერი მეტად იხუთებოდა და თქფუნა წვიმის მიუხედავად ცხელოდა.

ხორგა კოლხეთს გავდა, კოლხეთი — ხორგას.

ხორგიდან მოვდიოდით მანქანით.

ციცა ტყეში

„ტყაშა მეურჭუ, ვეკმოკყეუ, ტყა
ეყალელი ორე,
სქანი ახალი ყოროფელი ჩქიმ..ჯეური
სორე,
ჭენქეყის ოკო ვინოფრთე დო გომიძიეცე
ცირა,
სქანი სქვამი თოლ დო წარი ნოტე
მემახორასს!"[1]

[1] ტყეს მივდივარ, ნუ დამწყეველი, ტყე ბნელია.
შენი ახალი შეუყვარებული ჩემისთანა როდინა, ჭაობზე უნდა გადადვიარო და გამიცინე ცირავ, შენი ლამაზი თვალ-წარბი ნეტავ მომპარვინა.

აეცხუნებდა კოლხური მზე და ნელ-ნელობით ... სიო დასთამაშებდა თხმელნარს. მზის ... საც ვერ შეედწია დაბურული ბარაფნი. ღამის ცვარნამნაპკურებ ბალახებში ნელა მიფაჩუნებდა ნაკადული. იხრდებოდა, ერთდებოდა წყალი და, თითქოს ყვინთავენო, ეწერმარად მიიღალებოდნენ მდორე მდინარეები ზღვისკენ. ათასში ერთხელ ბუჩქებში გაიშლეგანებდა წყვი თუ კვერნა. ჭალადიდის ტყეები სულგაკმენდილი ეგდებოდნენ ჯუარს: ადამიანთა ფეხის ხმას. საღიაც კოლხის ცირა მეეროდა:—„ტყაშა მეურჭე ვეკმოკყეუ, ტყა ეყმელა ორე". ამ სიმღერით დასტიროდნენ პირველ ეიოლნო სიყვარულს კოლხის ცირები ოდითგან. ამ სიმღერაში ცოცხლობდა ჭაობში ჩაკარგული სიყვარულის სევდა და მე, რომელსაც ადა ქარდამ მასწავლა „ჩელა", ამამდე არც მსმენია ნამდვილი სევდიანი სიმღერა თურმე, ჯერ არ მსმენია, როგორ მეეროდა ცირა ტყეში, როგორ ტიროდა ტყე.

წალენჯიხელმა ტყემრეწველებმა მომასმენინეს ჭალადიდში ეს სიმღერა ერთხელ. და მას მერე ყელში ჩამრჩა იგი, ვით სევდა ახლოპელი და შორეული: — „ტყეს მივდივარ, ნუ დამწყეველი, ტყე ბნელია". ჩამრჩა იმიტომ, რომ ამ სიტყვებში კოლხის ბედი და უბედობა მეგულება: — ტყე ბნელია და იდუმალი, და როგორადაც არ უნდა გძულედე, ჩემო ძველო სიყვარულო, ნუ დამწყეველი მაინც, ტყეში მიმავალ კაცს არ წყეველინან, ისეთაც ათასი ნიფათი ელის მას, — ჭენქეყი და ჭაობი, ქარი და მეხი, მგელი და ეშმა, და სანამ წავიდოდე, გამიღიმე ცირავ, იქნებ ვერც ვერასოდეს ვეღირსო მას და სატირლად დაგრჩეს მერე! — იხვეწება სიმღერა.

ტყეთა კენწეროსთან ერთდებოდა ზეცეცრი და მიწერი. ცირა მღეროდა და მის მეტ ვერც ვერავინ იმღერებდა ამ სიმღერას ასე. ადამიანი კი არა, ტყე მღეროდა, ტყე სიუკუნოვანი.

კოლხის ცირას გავდნენ ტანკენარი თხმელები კოლხეთში.

ტყემრეწველები თხმელის მერქანს ამზადებენ ჭალადიდის უსიერ ტევრში. ქართველმა მეცნიერებმა თხმელაც ქაღალდად აქციეს დღეს და სვანეთში ამოისუნთქა ნაძმა და ფიქმა.

პირაღუბი იჭრება ტყე ჭალადიდში. ერთ ზოლს გაჭრიან, მეორეს გამოტოვებენ, ერთ ზოლს გაჭრიან, მეორეს გამოტოვებენ, — ამას ჰქვია პირაღუბითი ჭრა. სანამ ბოლომდე გავიდოდნენ, პირველ ზოლზე კვლავ გასაჭრელია თხმელა.

ასე რა გამოლევს კოლხეთში თხმელას? კოლხეთი ულევი მარაგია საქაღალდე მერქნისა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხმელა ზევრია კოლხეთში...

მაგრამ...

... ახლა მდინარე უჩაღილის ნაპირებთან მიტოპავ ტალახში და ცასა და მიწას აყრეებს ბულდოზერების გნიასი.

„ოკოობა-ბმშენი“, „ოოლხეთმშენი“ — ყველგან „ოოლხეთმშენია“.

ზღვანდარია თხმელები იქცევიან თავდაყირა.

ჩემს გვერდით მიტოპავს ტალახში არჩილ ასათიანიც.

ბოგირზე გადადივართ და გვხვდებიან ფოთის მესამე საამშენებლო სამმართველოს უფროსი ილია ღლონტი, სამუშაოთა მწარმოებლები: მიშა შონია, ჯეკე ჯოიავა... — და კიდევ სხვები.

გეკმა: — მილიონ ნახევარი მანეთი წელიწადში.

სამუშაოები: — ახალი მიწების დაშრობა, ხიდებისა და გზების მშენებლობა, ზღვისა და მდინარეების ნაპირების გამაგრება, სატუმბი სადგურების მშენებლობა, ბინათმშენებლობა და... ტყეების კაფეა-ამოძირკვა (!).

„წყალი“ და „ტყე“ აქ საუბრის ყოველი მესამე სიტყვა.

— „ვაიჩეხება ტყე!“.

— „დაშრება წყალი!“.

— სად მიგაქვთ გაჩეხილი ტყე?

— ზოგი შეშაა, ზოგს კიდევ აქვე ვწვავთ!

— წყალი ბევრია?

— 30 სანტიმეტრის ქვევით სულ წყალი არ არის!?

— მერე, რა გაშენდება აქ?

— ჩაი, ციტრუსი...

— წყალი?

— ზღვის დონიდან დაბლაა ეს ადგილები...

— სოფელ ყოლეეთან მძლავრ წყალსადენს ვაშენებთ...

— როდის გაშენდება ჩაი და ციტრუსი?

— წელსვე, ან მომავალ წელს... გვგმა უკვე დაშვებულია ჩაის ფართობებზე... (!).

„... მოსავალი მარცვალთა ფრიად ნაყოფიანი მრავლად, რამე თუ ბრინჯი ნაყოფიერებს ურწყავად. ნარინჯ, თურინჯი, ზეთისხილი, ბროწეული ადგილ ადგილს და სხუანი ხილნი მრავალნი. ვენახი მაღლარნი, ღვინო მსუბუქი და ყარგი“. — წერს ბატონშვილი ვახუშტი.

ტყე ხშირი, საქონელი სხვადასხვა ჯილაგის, ნადირ-ფრინველი მრავლად, თევზნი ძვირფასნი...

... მაგრამ ეა იქუფრება ახლა. ჩვენს ირგვლივ ჭაობი ირყეევა. ლაფში ამოსვრილი ყრია თხმელის ტანწერწეტა მორგები.

— ტყე ყველან არ უნდა გავჩეხოთ! — ამბობს აკადემიკოსი.

— კოლხეთის მიწა ბარაჩიანიაო, — ამბობს ვახუშტი.

— მიწა თუ არის, ყველაფერია! ყველაფერს მიწაზე უდგას ფეხი, მხოლოდ კაცი უნდა მას, ჭკვიანი და დალოცვილი! — მარწმუნებს ჩემი ადა ქარდა.

მდინარის გალმა მწუემსები დგანან, ირგვლივ უკვე ალარ არის ტყეები. „კობრობა ჯაკელები“ და „ბოჩოლები“ ცას შეზმეიან. „დრუებებისა“ და ტრაქტორების გნიასში ადამიანებს არ გვესმის მათი ხმა.

ვიდაცამ წამოიწყო ისევ: — „ტყაშა მეურქეო, ვეემოჭყეეა, ტყა ეკმელა ორე“.

ფიჩორი

მიელინების ბოლო დღეს, როგორც იქნა მზიანი დარი ჩადგა კოლხეთში. ეა თავისსავე სილურჯეში ჩაიძირა და ეკვალო ჰორიზონტთან შეეტრთდა ზაე ზღვას. ფოთელები ასეთ დროს ამოხსაპავენ თავიანთ ვარცელ ნავებს, გაიდებენ მხარზე სათუთად გაწყობილ კაკანსკენს და პალიასტოს მიაშურებენ ხოლმე. ვისაც მოტორიანი ნავების თადარიგიც აქვთ დაჭერილი, უფრო შორს მიდიან, მოედებიან ტბის გალმა-გამოღმა ნაპირებს და საღამოს ეეფლითია და კობრით სავსე ჭეირთები მოაქვთ ოკახში.

ზოგს არც კაკ-ანენი მიაქვს თან, არც ბადე და არც თოფ-იარაღი, ისე, უბრალოდ, ჩაჯდები თავის ნავში და პალიასტოის ტალღებში ნავარდით ტკბები რომანტიკოსები არიან ფოთელები. უკიდეგანო შავი ზღვა და ლეგენდებით სავსე პალიასტომია ამისი მიზეზი, და კიდევ დინჯი რიონი ყველაზე მეტად კი ფიჩორი მგონია ფოთელთა რომანტიკის დედა-საწყისი. სადღაც კოლხეთის ტყეებში შობილი ნოყოვნი ერთურას ჩავლებენ ხელ-მკლავს და ერთდებიან, მფიან ნელა, დროთა დინენის მაკავსდა, და მერე ყველას ერთად ფიჩორი ჰქვია. ეს მდინარეა ძარღვი პალიასტომისა, ძარღვი, რომლითაც სუნთქავს ხან გადარეკამდე ალზეკეტული, ხან მშვიდი და მოლიელეკ ტბა. ლეგენდები ათასნაირად ამკობენ პალიასტომის მიზეკრაფიას, მაგრამ თვალით ნანახია ყველაზე სწორი, — მხრეგაშლილი, გაკაკეტული და სიფრეკად დაღერილი ფიჩორია პალიასტომი. ამიტომ, ფიჩორი თუ არ გინახავს, პალიასტომიც არ გინახავს. ისე უჩუმრად ეერთდებიან ფიჩორი და პალიასტომი ერთმანეთს, რომ, თუ არა ახლოს მოსული ნაპირი, ვერც გიგეკეს სად არის ზღვარი ტბასა და მდინარეს შორის. ესეც გაფიქრებინებს კაცს მათს ერთსხეულობას. მხოლოდ ავდრობისას არ გაეს ტბა მდინარეს. გაუგონარი ძალა ამოძრავებს მას მაშინ და ნაპირზე მდგარს ასე გგონია ყველა ლეგენდა ერთად ამოზეავდაო ქვეყანულიდან. დღეს

ზაურ ფიფია

ტოლეხეთი...

წყალი და დორბლმორეული სივრცე წალეკვით ემუქრება ქვეყანას. ფიჩორი მაშინაც დინჯად და ჩუმად მოედინება და დარბაისელი მშობელიეთი მოამბენებით ელის, თუ როდის გამოუშვებს თავისი გოლითი ძე მოშარბებულ სისხლს ძარღვებიდან. და როს მოიოხებს გულს, პალიასტომი კვლავ გაგვს სივრცედ დაღრეილ ფიჩორს, რომლის ნაპირებთან თავდახრილები დგანან თხმელის გაუვალი ტყეები და ასე მგონია შორეული ტრიპაკეული მდინარის ტალღებს მიაპობს ახლა ჩვენი ნავი.

ხობის, რიონის, პალიასტომისა და ფიჩორის ნაპირები იყო ოდითვან კოლხეთის საზაბთრო საძოვრები. განთქმული მწყემსები გურიისა და სამეგრელოს მთებიდან აქ მოერეკებოდნენ თავიანთ ნახირს. პალიასტომისა და ფიჩორის ნაპირებთან დღესაც ბალახობს მახარაძის, ლანჩხუთის, ცხაკაის, ხობის, ზუგდიდის, წალენჯიხისა და სხვა რაიონების საქონელი. ფიჩორი ჯერ ისევ ბარაქიანად მასპინძლობს მათ, მაგრამ... სადღაც ტყის სიღრმიდან თანდათანობით ახლოვდება ელექტრო და ბენზო-ხერხების კრიახი. თანდათანობით იკუმება ტყე და საძოვრები უფრო და უფრო იხევენ უკან.

— არ ვიცი, რა ეშველებათ! — მითხრა უჩალალის ნაპირებთან მიწა შინიამ, სადაც წალენჯიხელ მწყემსებს გიემართოთ კარავი, — ირგვლივ ტყე უკვე გაეჩეხეთ, მალე კი ადგილებსაც დაეკავებენ, საქონელს საძოვრები არ ყოფნით!

აქაც, ფიჩორის ნაპირებთანაც, ცას შეზმეიან „კოროტები“ და „ბოჩორები“. გალმაგამოქმა მყუდროებისთვის შეუფარებით თავი შეგრულ ფაცხებს. კარებთან ქოფაკები თვლიან ან ჰათი შიშით ტარა ვერ დაიარება ტყეში. მოტორის ზრიალით მიიწევს ფიჩორის სათავეებისკენ „ვიეჩორ“. ზედმეტადაა დატვირთული ნავი, მაგრამ ყველას ერთად გვსურს ყოფნა და მეორე ნავში არავინ გადდის. სადღაც მწყემსი უხმობს მერძეულს. აქ მხოლოდ ფიჩორი, ტყე და ჰორიზონტი ბატონობს. პალიასტომი უკან დარჩა, მას იქეთ შავი ზღვაა. სადღაც ამ უფრთდება ფიჩორს მდინარე ნედარეთვი. „ვიეჩორ“ ნაპრის უახლოვდება და ნედარეთვის სამონადირეო ნაკრძალის მიწაზე ვადგამთ ფეხს. თხმელნარში ძარღვებივით გაბლანდულან საცალფეხო ბილიკები და ფიჩორისა და ნედარეთვის ნაპირებს ჯერ ისევ არ აკლია ველზე გავარდნილი შვლისა და ტახის ჩრჩმი

— მხოლოდ 530 ჰექტარი უჭირავს ნედარეთვის სამონადირეო ნაკრძალს! — ბეუბნება ნაკრძალის უფროსი ეგური ოვლიანე კვარაცხელია და სიტყვას „მხოლოდ“ სინანულით წარმოსთქვამს. გადარეულები იყენენ ქალაქ ბერძენი მოგზაურები, — ამდენი წვალი, ირემ და გარეული ღორის კოლტი არ უნახავთ არასად. წავი, დათვი, ეეფხვი და ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი ჯიშის მხეცებთა და ფრინველებთა არის სავსე კოლხეთი, — წერდნენ კეთილიკერი რომის მისიონერები დონ ჯუზეპე ჯედრიე მილანელი და დონ ანტანელი ლამბერტი ნეაპოლიტანელი. კოლხური ფლორისა და ფაუნის ძველი დიდება დღეს მხოლოდ აქ, ფიჩორის, ნედარეთვეისა და პალიასტომის ნაპირებს შემორჩენია, მაგრამ როდემდის? თანდათანობით იშვიათად გამოდიან ეეფხვები ლოტოები და შვლები დასაროწყულებლად. ირემი მხოლოდ საირმესა და ბორჯომს თუ შემორჩა აქა-იქ კოლხეთი სამდღამოდ დატოვა ქორბუდამ. ნადირიეთი შემოპარული თოფიანები თავდაუზოგავად დასდევენ ბუნების მადლს. ნადირზე უფრო უზომარია თოფიანი კაცი. ხან აქ, ხან იქ გავარდება სასიკვდილოდ დატენილი ცეცხლი და შეელს გულმკერდზე ეღვრება სისხლი და ცრემლი.

ასე თუ გაგრძელდა, ეყოფა კოლხეთს გამოყოფილი ჰექტარები ნაკრძალად? ჯაობს მიჰყვება კოლხეთის შშვენება. ისევ ჯუდიე მილანელის რეალია მაგონდება: — კოლხეთი „ძალიან გაწერთნილი არიან ისრის ტყორცნასა და შუბის ხმარებაში. ნადირობისას ამ იარაღს იყენებენ, თოფს არ ხმარობენ“ (!). იქნებ ჩვენს წინაპრებს შთამომავლობის წინაშე გადასახდელი ვალი აკეთებინებდა ამას. დღესაც არ იქნება ურიგო, თუ დღეგანდელ მონადირეებსაც შევთავაზებდით ამგვარ სპორტს, ნადირობაც ხომ სპორტია დღეს და არა ხორცისთვის ულოდნაში გასული კაცის ეარაკი.

... ნავი კვლავ აღმა მიუყვება ფიჩორს. მორეკვებში თვლემენ კამეჩები. ნაპირებთან დაშმელ ფოთლებს ჩასცქერიან თავდადებული მეკვეზეები. ზევით და ზევით უფრო ერთდება თხმელნარი და ფიჩორიც ვიწროდება. ეკეანის წყალთან მარჯვნივ ეეფხვეეთ და ბეკის ღელესთან ძიმითელი მწყემსები გვხვდებიან.

გიგი მელუა.
ხუტა სვანიძე.
გვანჯი სვანიძე.
ვალოდია ესებუა.
ვალოდია თავდებშვილი.

ცოტა ქვევით ძიკი კვარაცხელიას უდგას საქონელი, ცნობილი მეკოგის, ძიკი კვარაცხელიას დღევანდელ შთამომავალს.

„მდიდარი საძოვრები მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფს საკვებით მსხვილფეხა საქონლის ჯოგს“, — წერს ისევ მისიონერი ფილიპეს ჯოგს“, — წერს ისევ მისიონერი და სწორედ, ამ საძოვრებზე გამოჰყავდათ ჩვენს წინაპრებს პირუტყვის ის ძვირფასი ჯიშები, რითაც განთქმული იყო კოლხეთი. თუ მთის საზაფხულო საძოვრებთან არც ისე მდიდარია კოლხეთი, დაბლობი მუდამ ანაზღაურებდა მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქროს ვერძისა და ცეცხლოვანი ხარების ქვეყანაში ზამთარ-ზაფხულ ულევ ჯოგად ძოვდა ნახირი.

... ვსაუბრობთ ძველსა და ახალზე. კაჩაზე კიდია ელარჯი და ოყვალეზე გასაშრობად აწყვია სულგუნი.

„კოლხეთი — ეს არის მძლავრი საკვებ-ბაზის მქონე განვითარებული მეცხოველეობა!“ — თამამად შემოდის მწყემსის კარავში ეს იმედიანი სიტყვა და გავი მელუა ამბობს:

— არა, რა ოქმა უნდა, შეწყდება, ალბათ სიძოვრების ასე უთავბოლოდ მოსპობა:

მზე თანდათანობით იძირება დასავლეთში ცაზე მისი ოქროსფერი ანარეკლი ციოგებს და თფუს ხარახენთან კენტრეშობენ შებლიტელ ბოჩოლები.

* * *

თბილისთან ახლოს ძილ-ბურანში კვლავ წამომეწია ადა ქარდა. ბზრებზე ბაშლაყი შემოვგდო, გალიფ და გვერდზე შეკრული ხალათი ჩაეცვა, წელზე მოხდენილად მოეკვართა ვერცხლით გაწყობილი ქამარი და ხელში სახე ეჭირა. „ოჰო ჩელა, ოჰო ბუსკა!“ — მღეროდა ადა ქარდა და მატარებლის თვლების კრიალში სულ სხვა ხმაზე ყიერდა ახლა ეს სიტყვები. „მიწა თუ არის, ყველაფერია! ყველაფერს მიწაზე უდგას ფეხი!“ — ჩურჩულებდა ლამის მყუდროება.

მერე, როგორც მოვიდა, ისევე გაქრა ადა.

გამთენიის სივრცეს მიაპობდა მატარებელი. სარკმლიდან მიწა ჩანდა, მიწა რუხი და შავი, მიწა წითელი და წაბლისფერი, რომელზედაც ყველაფერი ხარობდა...

ოსი პოეტები

რევაზ ასაევი

სიმღერა ირისტონზე

პაწაწინა ირისტონო,
მე ბარტყი ვარ შენი ბუდის,
როდის იყო, სიყვარულად
სულში როდის გაფაჩუნდი?..
მე მსურს ვიყო მხოლოდ ჩემი
მშობლიური ხალხის ღირსი,
იგი არის ერთიანი
ზეიმში და გასაჭირში.

მითხარ, ჩემო სიყვარულო,
ირისტონო, მითხარ ერთი,
დედის აკვანს რომ მირწევდი,
რომ მაჭმევდი და მასმევდი,
ცხოვრებას რომ მასწავლიდი
და მამულის მვილად მზრდიდი,
რითი უნდა გადვიხადო,
რითი-მეთქი, მითხარ, რითი?..

მოვკვდები და თან წამყვება,
აქა ვარ და მე ჩემს ოსეთს
საგალობელს ვეტყვი, სანამ
მაცოცხლებს და გამოცებს.
მისი არის ყველა ფიქრი,
მისი არის ყველა ლექსი,
მაგრამ მინდა სამსხვერპლოზე
მივიტანო უკეთესი!..

კარგ ქვეყანას რა გამოლევს,
არც კი არის ცუდი, მგონი,
მაგრამ ჩემთვის სულ სხვა არის
მშობლიური ირისტონი.
სხვა სჯობია იქნებ, ღმერთმა
დააბერტყა კალთა უხვად,
მაგრამ მე ის მირჩევნია,
ყველას ღვიძლი დედა უყვარს!..

თარგმნა გივი გეგეჭკორმა.

სტუმრად რუსთავში

არა სიზმარში ანდა ოცნებით —
ცხადში ვესტუმრეთ რუსთავს ოსები!
როგორ დავწერო ლექსი, დამტევი
ამ სიხარულის და გაოცების!

გული საამო თროოლვისგან მიმდის:
გულს ეფერება მშობელი „სიმდი“.
ფოლადის ღვარშიც იოლად ვარჩევ
ოსი ლომების ოფლსა და სინდისს.

და ფოლადივით მოღელავს მტკვარიც,
ღიაა მისთვის რუსთავის კარი!
მე მის ტალღაში ლიახვსაც ვხედავ —
დაშვენებია ცისფერი წყალი.

მეალერსება სიტყვა ოსური,
ქართული შუქით გარემოცული.
ოსი ქალ-ვაჟის შრომას ადიდებს
ჩემი აზრი და სიტყვა მგოსნური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომობს ცხინვალთან — ჩვენი რუსტაუ!*
შრომობს თბილისთან — თქვენი რუსთავი
და მე სტუმარი კი არ ვარ თითქო —
ვარ გაგზავნილი ძმასთან უსტარი!

---

* რუსტაუ — სოფელია ქალაქ ცხინვალთან.

თქვენი ღიმილით ვარ ბედნიერი
და, ღმერთი, რჯული — არ გეფერებით:
ყოველგვარ ტაშზე არის ძლიერი
ტაში, დაკრული დამსკდარ ხელებით!..

თარგმნა ტარიელ ჭანტურიამ.

ისიდორე კოზაევი

წინაპართა სასაფლაოზე

ვით კაცი კაცთან ან სახლი სახლთან
დგომით ხარობს და იმედი ავსებს —
ასე საფლავი მეორე საფლავს
ნუგეშს აძლევს და სიმხნევეს ჰმატებს!

აქ ახლა სუფევს სიჩუმის სევდა —
ჰაერსაც სძინავს საფლავთა ზედან...
მწვანე ალვებზე,
მწვანე ალვებზე,
მწვანე ალვებზე,
ყვავები სხედან!..

ჯერი დაუდგა ამ საღამოსაც, —
ცა იკარგება ცახცახით, კრთომით ..
მზე ჩადის, როგორც სულის ამოსვლა
და ღღე თავდება ნებიერ კვდომით!..

უცებ აძრახდა მდუმარე ლოდი, —
თითქო მწუხარე დაირხა ჰანგი:
„—ხშირ-ხშირად მოღი, ხშირ-ხშირად
მოღი,
სანამ ნაბიჯის გადადგმა ძალვიძს!“..

რომ მოვიხადო ეს წმინდა ვალი
და გადავურჩე კიცხვას და ქილიკს, —
ხშირად მივყვები მთვარიან ღამით
სასაფლაოსკენ მიმ ვალ ბილიკს!..

ძმობის ლალალისი

ბალახი მინდვრად ბალახია,
მაგრამ ყანაში —
პურის ყანაში
არც ბალახი არ ჰქვია ბალახს!..
მშიერ ბავშვობას მინათებდა
მთვარე ნავახშმი, —
ალერსის სიტყვა არ მესმოდა
გულგასახარად...

ოდეს ბრძოლების
ქარიშხალი ამოგრიალდა —
სახალხო ბედი
ჩემს საკუთარ ბედად ვიწამე...
მზე ამოვიდა,
ამომაღლდა,
ამობრიალდა
და გაიშალა
გაღვიძებულ დედამიწაზე!..

სული გათბა და გამზეურდა —
ალანთა მოდგმის,
მამულისათვის დაცემულთა
ღვაწლი დაფასდა, —
განათდა ქოხი —
სიხარულით განათდა ქოხი
და ზეიმივით ბრწყინავს ახლა
ჩემი დარბაზი...

ქართველო ძმებო! —
უძველესი ერთობის ფიცი
თაობებიდან თაობებში
გარდაიცემის!..
ერთი გვაქვს ფუძე —
ქვეტკირივით მყარი და მტკიცე,
ამიტომ გვქვია
განუყრელი ძმადნაფიცები!..

ჩემი სიმღერაც ეფერება
სამშობლო მიწას,
ჯერ თუმცა სიტყვა საკადრისი
ვერა და ვერ ვთქვი...
მაღალ ტაძარში
ჩემი სულის სანთელიც იწვის —
ძმობის ღაღადისს
ჩემი ხმაც ერთვის!..

თარგმნა გივი ძნელაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეონიდ ხარებათი

სათიბში

პოეტო, მაგარი ბიჭი ხარ რითმაში,
გაასვევ ფარჩაში, გაასვევ დიბაში,
მოდი გამეჯიბრე თიბვაში.

ჩვენ, ქალამნიან გლეხი-კაცებს
სულ სხვანაირი მზე გვიტაცებს,
მარტო ლექსის წერას ვინ გაცლის,
ასე მეუბნება მთის კაცი.

გმადლობთ, მიმიღია შენი გამოწვევა,
ჩემი თიბვა იყოს, შენი არ მოწყენა.

ცელი ვაპრიალე, ლექსი ვაგრიალე,
გლეხი დგას, მოსწონს და თვალებს აბრიალებს.

მამა

მიუძღოლა გუთანს
ისე მოკვდა მამა,
მოუხნავი დარჩა
ნახევარი ყანა.
მოუხნავმა მიწამ
ველარ გაიხარა,
ველარ გაიხარა,
მამის ორმა ხარმა.
გაციებულ პატრონს
მოუხარეს ქედი,
ქედზე აწვათ მამის
უკუღმართი ბედი.

ცალი ხარი იქეთ,
აქეთ კიდე ცალი,
საცოდავი მამა
კლდე ეგონათ სალი...
ხარის დიდი თვალით
უყურებენ სევდილს,
ხოლო ნახნავებში
ნელა წვება ბინდი.
საყვარელმა მამამ
მოიხადა ვალი,
სევდით უმზერს მიწას
ოთხი დიდი თვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე დ ა

ვკვდები, დღენი გამითავდა
მწარეცა და ტკბილიც.
აქ მომართვით წერილები
შინმოუსვლელ შვილის.

წამიკითხეთ და შვილის ხმა
ყველა ტკივილს წაშლის
„დედავ, მალე გეახლები“,
ხმა გაისმის ვაჟის.
„გკოცნი, გკოცნი უამრავს და
მომიკითხე ყველა“,
— დედის თვალში უსაშველო
სიხარული ელავს.
თითქოს შვილმაც
დიდის ტანჯვით
მოაღწია ოდას,
თითქოს ეს დღეც
შვილს და დედას
დანიშნული ჰქონდათ.
— ჩემო შვილო, შენს ლოდინში
თმები გამითეთრდა.
რადგანაც შენ არ მოდიხარ,
მე მოვდივარ შენთან.

თარგმნა ჯანსუღ ჩარკვიანმა.

ალექსანდრე ფუხაევი

●

ირისტონის წყაროებო,
რა ცივი ხართ ყინულივით,
სიო გკოცნით და გეზვევათ,
სურნელება აგდით თივის.

რძის ხმასა ჰგავს ეგ თქვენი ხმა,
როცა უნდა გადმოვიდეს,
იდვრებით და თქვენსკენ უხმობთ
გზას და ბილიკს, მგზავრს და ჩიტებს.

მზე თუ თავზე დაგდგომიათ
ცისარტყელას ანარეკლად,
ეს მთვარეც ხომ ბევრჯერ ცდილა,
თქვენთვის თვალი რომ ჩაეკრა!..

თქვენს სიხარულს და სიმღერას
სახელი აქვს უტკბილესი,
როგორ მინდა, რომ თქვენსავით
ჩუნჩუხებდეს ჩემი ლექსი...

თარგმნა გივი გეგეჭკორმა.

●

დიდხანს გიმზერდი!
დიდხანს გისმენდი!
ცეკვა — ზღაპრული!
ჰანგი — ციური!
სწორედ ისეთი,
სწორედ ისეთი —
ნაზი და
არა ამქვეყნიური!

რად ვერ იგრძენი,
რად ვერ შემატყვე
რა მორჩილებაც
იცის შენმა ტყვემ!..
ცხოვრებას ვიოლი —
მხოლოდ შენიდან!
მანძილიც ვიცი —
მხოლოდ შენამდე!..

შენ ნუ იფიქრებ
საწყალ მონისთვის:
ის — არსად წავა...
იგი — მოიცდის...

თარგმნა ტარიელ ჭანტურიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათი საათი პარიზის დროით

პარიზი ვან - გოგის გამოფენა

ბნელს დილის შუქი სჭრის ორლესულად
და ბედნიერი მეცა ვარ ამით! —
მზე შემოსულა, მზე შემოსულა
საგამოფენოდ აქ ერთი წამით...

მხატვარმა ყველა სიტყვა წამაროვა
და კედელ-კედელ დაკიდა აქვე, —
ვით არ ვიწამო მზე ვით წარმართმა,
ხელს ცადაპყრობილს მინდა ცად ავყვე!

მაგრამ რას სჩადის ვან-გოგი, დახე,
ამ ნახატს სისხლის დაღი აწნია:
შუქით და ჩრდილით თავისი სახე
მოსისხარივით დაუხანჯლია!

დახე, ამ ფესვებდაკვარჩხულ ხეებს
რა ვაჟკაცური ძალა არგუნა —
ისაკუთრებენ უიღბლო დღეებს
და მიწას, სადაც ერთხელ დარგულან.

ნუთუ სასწაულს მოელის ხალხი,
ნუთუ იმედი ბნელ გულს უნათებს! —
მზე, როგორც დანის საღეს ჩარხი,
ნაპერწკლის ფრქვევით შერჩა სურათებს!

აჰა: მზისა და ქარის ბარბაცი,
ფიქრი ფიქრს მისდევს, ღრუბელი —
ღრუბელს! —
და კედელ-კედელ ხედავს დარბაზი
ზეცის ამდვრევას სულის შემგუბველს!

სჩანს, ყველაფერი ფერწერით ითქვა
რაც ქვეყნად ჩვენი განსაცდელია:
ათასი ლექსი, ათასი სიტყვა...
და მიზანს ერთიც არ ასცდენია!

არათუ ჰქუხდა, არათუ წვიმდა —
მზეცაა ერთი წამის ნუგეში,
მძაფრი თითებით აწყვეტილ სიმთა
კვნესაც გაისმის ამ სიჩუმეში:

სიჩუმე ცივი, ცივი ხმით ჰკივის,
თუმცა ასი წლის წინად გათავდა,
შეძრწუნებული მოხუცის ტკივილს
მხატვრის გამწყარალი სული ხატავდა! —

დღე განზე ხელით განგგებ გახწია,
დღე — წარმოუდგენელ რომ ვედარ ვიცნოთ
გულშეკუმშული ბერიკაცია
გამომწყვდეული ჩარჩოში ვიწროდ.

რაა ბეჩავის ხორცი და ძვალი,
რა სანახავი გახდა პარიზის!
არ უჩანს სახე, არ უჩანს თვალი,
არის თუ არა ქვეყნად, არ იცის!

ხელთ ჩაუბღუჯავს თავისი დარდი,
სასოწარკვეთით დამუნჯებული,
დაუკარგია შუქი და ლანდი
და სდუმს სიცივით გალურჯებული.

უღიმღამოა იგი, უმზეო
და მაინც, მაინც რას იტყვის ელი,
მხილებად იქცა გმინვა უმზეო,
როცა შეეხო ღმერთ-კაცის ხელი!

თუ ეს განცდაა, თუ ეს ჟინია —
დაე, აღგზნებით სულიც აღივსოს! —
ნუ გვეშინია, ნუ გვეშინია —
ან მოგვკლას ერთხელ ან გაგვაგიჟოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონმარტრზე

აჰა, ყვავილთა სურათი, სურა,
და აჰა, ჩუმი სიცოცხლე ფერთა, —
მხატვარმა რაც-კი თქვა — აასრულა
და შუქი ახლა სიამს ჰფენდა.

წუთიც გასწყვიტა საუბარსავით
შესძღო-რა ჩვენი გულის მოგება,
წითური წვერით, გაუპარსავით,
დაგვხვდა მონმარტრის ძველი ბოჰემა!

ფრანგი რომაა, უთუოდ ცხადჰყო
და შენც უთუოდ დრო შეურჩია —
განსაკუთრებით ჟღერს, როგორც ვატყობ.
მისი „მერ ამი" და „ჟეორჟიენ".

არც ისე ბრმაა, არც ისე მძაფრი
დილა საყელო- გაღეღილ მხატვრის,
რომ ნაკვერცლებზე შეყრილი წაბლი
არ იყოს თვალი ნამცეცა ნატვრის!

მართლაც ეძებდა ფუნჯით ფერი ფერს,
მზის ძაფით ძაფში ჩასაქსოვარი —
ღიმილ-ღიმილით ვარდს რომელიმეს
რომ გადმოეცა ვით სახსოვარი...

სულიც ყელ-მაღალ სურის ყელშია
და მინდა სურათს სილაღით ავყვე:
აკი მონმარტრის ნაშალ-ქვებშიაც
სდუმს ნაღვერდალი აქვე, სულ აქვე!

წკრიალებს ჩემგან ნასროლი ვერცხლი
გამცოცხლებელი უცებ ტაბლისა.
გვიღიმის ცეცხლი, გვიღიმის ცეცხლი
და ცეცხლით გულიც სკდება წაბლისა!

ს ე ნ ა

მე ვატყობ ტალღებს, ვატყობ სენას, ვატყობ ბინადრებს, —
მაშ, დავხვდეთ მზის აქ აღმოჩენას, დავხვდეთ კვირა-დღეს!

აჰა, კვლავ ახალ გაზაფხულით ანათრთოლები
ცაცხვებიც, ჩემი ალალ გულის თანატოლები!

ბილიკი ბილიკს მისდევს თავქვე, ფარდულს — ფარდული,
ბუჩქებს ქარივით უნდა ჩაჰყვე ფრთა-შემართული!

აჭრელებული არის სენა, როგორც გზა-შარა:
წიგნების ძველი გამოფენა ცისქვეშ გაშალა.

და აქ არც აპრილს დაჰკლებია ზრუნვა ასეთი —
ყვავილებივით საკრეფია ჟურნალ-გაზეთი...

ჩვენი კვირა-დღეც ხომ ეს არის, ჩვენი პარიზი,
ჩვენი ვერლენის და სეზანის შესაფარისი!

კ ა ლ ა მ ბ უ რ ე ბ ი

ჩასძინებია მზეს ცაცხვის მკლავზე,
ჩუმად სუნთქავენ ცაცხვის ფოთლები,
და თვალ-წამწამით შენც მიემსგავსე
გულო, იმ ფოთლებს შეუშფოთებლივ.

ბაღში პროვანსელ მხატვრის კალამბურს
შენ ულიმოდი აგრე, განა მე, —
აგრე მოგიგო ნიშნი განაბულს,
როცა კალმის წინ სული განაბე!..

დაგხატა კიდეც... და ახლა გიმზერს,
სხვა რაღა გითხრას, რა კალამბური...
თვალიც, ფოთლებში რომ სძინავს იმ მზეს
წამწამით აგრე აქვს გალამბული!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარიზი. ლედ-მამის ძველი სურათი ერთ ქართულ ოჯახში

სხვა არავინ ქვეყნად, გარდა ჩემი ნების,
გარდა სოფელ-სოფელ ჩემი კეთილების,
სხვა არავინ ქვეყნად არ მაძალებს ახლა
კედელ-ყურეც ენახო გარდახვეწილების!

რა კი თავს დაადექ პარიზს ეიფელო,
ჩვენი სიახლოვეც უნდა შეიფერო, —
სადღაც, აქვე ახლო, სადღაც, უცხო ჭერქვეშ
გესმის? — „კაკაბი და შაშვი შეიბნენო...“

ჩემმა მასპინძლებმა განა არ იციან,
რომ აქ სტუმრადა ვართ, რომ აქ პარიზია,
მაგრამ ოთხკედელში მომწყვდეული სულის
ამღერებაც ალბათ გასახარისია!

აგვიმაღლდა სიტყვა, თითქოს მართლა გვილხინს,
ვინ პურ-ღვინოს იღებს ხურჯინიდან, ვინ — ხილს!
ვით ძველ ფოტო-სურათს, ძველ ჩარჩოში ჩასმულს,
ეს პატარა სუფრა ჩვენც სიცოცხლედ გვიღირს!

და სურათიც, ვიცით, ვინ დაჰკიდა ასე
გაჩალებულ ჭაღქვეშ, თაროების თავზე,
ამ სარკეთა მიღმა, ამ თამბაქოს ბოლში
სინანულით, სევდით და სიკეთით სავსე.

გვიმზერს მამა, გვიმზერს ხანჯალ-ჩაგებული,
ჩანს, არა აქვს ძველი ჯავრიც გაგებული,
თელაველი ქალი ჩიხტიკოპით ისევ
მხარს უმშვენებს კოხტად აქანდაკებული!

იყო ალბათ ჩვენი მოიმედეც, მაგრამ
გვიანღაა სიტყვით შევასმინოთ აქ რამ, —
დაუკარგა შვილმა მიწა-წყალი, ბედკრულს, —
გამორიყა დროთა გათიშვამ და გაყრამ!

და მით უფრო მტანჯავს სიალალე მამის,
მილურსმულიც, ახლა მე გარდმოვხსნა, ლამის! —
მე ვინ შემიბრალებს — რომ არ შევიბრალო
უნებური დამსწრე ამ შორეულ ღამის!

შინ მშვიდობით მისვლას როგორც გავიფიქრებ,
იცოდეს, რომ გზა-კვალს თელავისკენ ვიგნებ!..
თუმცა: გულის ძაფზე დაკიდული კაცი
აქ რომ შერჩა კედელს — იქ არცაა იქნებ!..

სხვა რა უნდა ენახო, სხვა რა დამაღონებს,
რას მივუტან ამბად მაღალ-მაღალ გორებს?!
ამ უიღბლო სურათს საით გავექცევი —
ბნელ კედლიდან ბნელში თვალს რომ გამაყოლებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტოობა

... სენა, ჩუმად მიმდინარი სენა! —
უცებ ცაცხვის კუნძმა გამახსენა.

ცეცხლი ბუხარს შევუნთე და შევდექ,
— აბა, სად მე, ღმერთო, და სად სენა!?
სენა ახლა ამდენი ხნის შემდეგ
გაბოლილმა კუნძმა გამახსენა.

ვზივარ, ცეცხლის თვალთმაქცობას ვუმზერ
და გადაღლილ თვალს ოცნებით ვხუჭავ,
სადღაც, ბნელში, ნაკვერჩხლების შუქზე
აგერ სენის ნაპირ-ნაპირ ქუჩა!

აგერ, აგერ მარტოობა ჩემი
და პარიზის ღამე ხალხით სავსე...
უთვისტომოდ ყოფნას შეუჩვევი
წყალწაღებულ ფოთოლს მივემსგავსე.

რა ვქნა, ვის რა გავგონო! — (ვფიქრობ)
და ხმას მართმევს განაჩენი მკაცრი —
ჯავრსაც ჩუმი ამოოხვრით ვიქრობ
მარტოობით გულგამწყრალი კაცი.

საიდუმლო მე რა უნდა მქონდეს,
რომ დავდივარ ამ ქალაქში უბრად,
ვის ვემდური, ნეტავ მომაგონდეს —
ამოვითქვა სული თავისუფლად!

ყმაწვილივით შევხაროდი მაისს,
ჯავრით, ღმერთო, ნურც შენ მომახუცებ,
ჩვენებური ერთი სიტყვა მაინც,
ერთი სიტყვა გამაგონე უცებ!

მთელი თვეა მტანჯავს მე ეს დარდი
და უჩუმრად ჩემივ ხელით ვბღუჯავ,
უცხო მზის ქვეშ დადის ჩემი ლანდი,
გზაში ვინ არ შემახვედრა ქუჩამ,

მაგრამ არა, არ იქნა და არა,
ხმას არავინ ხმა არ მიაშველა, —
დგანან თეთრი შენობები, დგანან,
შევრჩი ქუჩას, როგორც ჭიანჭველა!

ჩვენებური ერთი სიტყვა მაინც,
ერთი სიტყვა გავიგონო, ენატრობ...
და ხეტიალს ნატვრის ნატამალიც
შევალიე, როგორც უბინადრომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ რა მითხრას, ჩავლით ვინ რა მკითხოს,
ჩუმად, ხიდსქვეშ გზას მიიკვლევს ჭავლი.
ნაპირ-ნაპირ წყალს მიჰყვება თითქოს
ჩემი სიტყვებწართმეული ჯაგრი!

და ხეივნის უცნობ ხეთა შორის
აგერ — ცაცხვი! აგერ ჩვენი თელა!
შემომესმა ხმა ფოთოლთა ჟრჟოლის,
ჩვენებური ძილა გამითენა...

შემომესმა... და არავინ მითხრას,
რომ არ მესმის მე იმათი ენა...
ჩვენს ყრუ ჩურჩულს ხიდხანს, ხიდხანს, ხიდხანს
ჯურს უგდებდა განაბული სენა...

ცაცხვის გულ-მკერდს რომ შევავლე ხელი,
უნებურად რომ გავანდე სიტყვა —
მარტოობაც გაქრა მოსაწყენი
და ეს ჩემი სამძიმარიც ითქვა.

სენა, ჩუმად მიმდინარი სენა,
მარტოობამ ისევ გამახსენა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის თამადა

ეს ლექსი იმათ:
ვინც ხნავს, ვინც თესავს!
ვხედავ:
ჭალებში მართავენ გუთანს.
უნდა სტრიქონიც ჩაეხვიოს
ხნულს ვაზის ფესვად,
რომ ჩემი სიტყვაც გავდეს მეხის გავარდნას მუდამ!

აქ მზე ანათებს ისე თამამად,
აქ ისე ლურჯად ყვავილობს ვაზი,
მე უნდა დავდგე შრომის თამადად,
გვერდით დავისვა ჩემი მისხის მესხი და ლაზი...

აქ მზეს ჩამოაქვს სითბო იმდენი,
აქ მზემ იმდენი თოვა ბარაქა,
მე მხოლოდ მათი მადლით ვიგრძენი,
მინდვრის ფერები რომ შემოაქვს აპრილს ქალაქად...

ხან ვიძირვები ფსკერზე ფაზისის,
ხან კენტავრივით გავცქერი პონტოს...
ხან მეხიზმრება დილა მაიხის,
ოდეს ეს მიწა მზემ ვენახის რტოებით მორთო!

ხან მაბარბაცებს ქარბუქი მკაცრი,
ხან წარმართული კოცონები სულში ბოლავენ,
ხან მითრიდატის ვარ ჯარისკაცი,
პირქუშ რომაელთ პონტოს კართან ვურბევ ხომალდებს...

ხან მხარს მასხედან ლურჯი ჩიტები,
ხან მესხურ მთების ფერს ვაკვირდები
და უცრემლებოდ თვალებს ვერ ვახელ.
ტკაცუნობს სიტყვა,
ვით აპრილში თოთო კვირტები,
და საქართველოს უკვდავების ვარ მევენახე!..

ეს ლექსი იმათ:
ვინც ხნავს, ვინც თესავს!
ვხედავ:
ჭალებში მართავენ გუთანს.
სტრიქონიც უნდა ჩაეხვიოს
ხნულს ვაზის ფესვად,
რომ ჩემი სიტყვაც გავდეს მეხის გავარდნას მუდამ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მითხარით, ხომ არ მემდურით,
სიტყვა რომ დამიგვიანდა?
რა მექნა,
შლეგი ენგური
სტრიქონში შემომივარდა. —

ვიდექ ბურანში პოეტი
და ვიდრე გონზე მოვედი,
წამიწყვა ძველი რითმები,
წალეკა ძველი ფერები.
ცივ ტალღებს მცემდა,
ვითმენდი,
მომაწყდნენ ლურჯი ჩქერები.

შიგ ჩავდგი ლექსის ფაცერი,
სიტყვა ვეღარსად გასხლტება.
ფაცერში ფიქრი გავცერი,
მთებს ტანზე შუქად ასკდება,
სიმღერით,
თქვენი საფერით,
მინდა სამშობლოს ავსება!

რკინას გაგკვნეტავ კბილითა,
მეც ერთხელ გადავირევი,
ენგურს დავყვები ტივითა,
მომეცით ორთაყვირები!
მეც მხოლოდ იმას გიმღერით,
რაც თქვენ თვითონვე ინატრეთ,

მესიზმრებოდა შვიდფერი
შვიდი ცის ლურჯი სინათლე.

სიზმრის ახდენაც ეგ არის,
საქმე გიქნიათ საზღაპრო,
ყველა მთა,
ყველა ზეკარი
ენგურმა უნდა დალამპროს!

შემოაშუქოს ქალაქად,
სულში ნათელი გვათოვოს,
სოფელს შემატოს ბარაქა,
მთები ოქროსფრად გაფოთლოს!
ღარში იდინოს ილეკროდ,
გულს მეტი ცეცხლი შესძინოს,
მეც თქვენთან, შრომის გმირებო,
ქვეყანა მაშენებინოს!

ხშირად მკაში ვარ პოეტი,
სტრიქონს ვგრეხ ულოვბადა,
ლექსის ამარა მოვედი,
მეტი არარა მებადა!

ნუ მიწყენთ,
ნურცა მემდურით,
თუ სიტყვა დამიგვიანდა,
რა მექნა,
შლეგი ენგური
სტრიქონში შემომივარდა!

●

ვხედავ:
მზის სხივს როგორ ხარბად კენკავს ჩიტი.
მერცხალს ფრთაზე შეუტრია ცისარტყელა.
ვხედავ:
მწვანე მოსასხამში სუნთქავს ჩირგვი
და მიწიდან ზე ამოდის ჭიანჭველა...

ვხედავ:
როგორ დაწრიალებს წეროს ჩრდილი.
ვხედავ:
ქარში ნისლი როგორ დაფარფატებს,
თითქოს ტბაზე დაცვარული სისხამ ღილით
თეთრი ფრთები გაუშლიათ ცაზე ბატებს.

ვხედავ:
ხნულში მხიარული გუთნისდედის
ღვივის თესლი და მიწამიც აღარ ბნელა.
ვხედავ:
კვალში ბელტი წვება კუპრისფერი
და ნახნავში დაფუსფუსებს ჭიანჭველა.

ვხედავ:
სერზე გადიარა მთვარემ ჩრდილით,
იწვის ალმი და ქარი ყრის ხევში ნაცარს.
ვხედავ:
განძი ვით ამოაქვს სისხამ ღილით
მსუყე მიწის წიაღიდან მწიფე მარცვალს.

ეს განძია,
ველზე მზე რომ დაბრძანდება,
ჩემო ხალხო,

შენს ამაგს კინ დამიძრახავს!
ყველაფერი ჩემთვის მაშინ გათავდება,
შენს დიდებას ოდეს ვეღარ დავინახავ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრი დუმილი

იქ, ლურჯ ფოთლებში, მუდამ თეთრი სხივთა ბადეა,
იქ, დაფნებს შორის, მდინარენი ჩუმად მიდიან...
იქ ყველაფერი ნათელია და დიადია...
იქ დუმილია ძველთაძველი, ვითა ბიბლია...

იქ, დაფნებს შორის, ლურჯი ფერით მევსება სული,
და მდუმარენენ ბილიკებზე ბზათა რტოები.
შორს უდაბურ ტყეს ეუფლება სიჩუმე სრული
და სდუმს კლდის ქიმზე ძველი ციხე განმარტოებით...

იქ ბალავანი დაუფარავს ასწლოვან მუხებს
და გველებივით ქვებზე წვანან ხმელი ფესვები.
იქ სიმღერებით ცივ ლოდებსაც თვალებს ავუხელ,
ოლონდაც, ცაო შენ სინათლეს დაგესესხები...

იქ, ლურჯ ფოთლებში, მუდამ თეთრი სხივთა ბადეა,
იქ, დაფნებს შორის, მდინარენი ჩუმად მიდიან...
იქ ყველაფერი ნათელია და დიადია...
იქ დუმილია ძველთაძველი, ვითა ბიბლია...

გახსენება

მოვყვები ნარით დაკაწრულ აღმაროს,
შორს გადახნული მომცრო კორდია,
ლურჯი ივბიც ჭალიდან ახლა
სასაფლაოზე შენთან მორბიან.

არ შორდებიან ყვავები ნახნავს,
მარცვლებს ეძებენ, ბელტებს კორტნიან...

ბავშვობის დღეებს რა ვუთხრა ახლა,
შენთან რომ ჩემზე ადრე მორბიან.

შორს სოფლის გოგო ველ ატმის ფიფქებს,
გაზაფხულს ტაცებს და თმებში იწნავს,
ნუთუ არ გიკვირს, მე როგორ ვითმენ
მაგ ამობურცულ საფლავის მიწას...

სადაც გაგვეგამ ილუმალი ხმები დაფანტა...

აშლილა ხავსი სველ კლდეებზე მწვანე ხაოი
და ჭალაკები დაბინდულან მწიფე მტევნებით.
ვით არ ხარობდეს შენს წიაღში სული ნაოხი,
ჰგავს, ლურჯო ცაო ერთნაირი ძალით ვთენდებით...

ბრწყინდება ველი, მწვანე ველი დაუსაბამო,
და გარსკვლავები ეცემიან მდინარის პირას;
სადღაც ლურჯ ტბაზე ქარის ნაზი ტოტი ქანაობს
და ვაზის ლერწებს თეთრი წვეთი ემცვრევა ხშირად...

შემომანათებს ბროწეული წითელ ბაგეთი —
და მდინარეზე გადიხრება ჩრდილი დაფნათა.
ვით არ მიყვარდეს მწვანე მიწა, ჭალა აგეთი,
სადაც განგებამ იდუმალი ხმები დაფანტა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივბაძე ღამის მეხრესა

მე ჩემს მიმინოს ვუსტვენდი,
შენ თავშალს ქსოვდი ბანზედა,
შემოგხედავდი, თვალები
რად გაგირბოდნენ განზედა!

მინდოდა შენთან მეფრინა,
მეძახდნენ ხოდაბუნები,
იქ მსურდა შენთვის მემღერა
სიმღერა ჩემი გუნების.

არ დამიჯერე, გავხელდი,
მივბაძე ღამის მეხრესა,
სულ ჭალა-ჭალა ვიარე,
ქერი ფერდობზე მეთესა.

ყანას ვმკიდი და ვხარობდი,
ხანდახან ღმერთსაც ვცოდავდი...
მწიფე თავთუზზე უფრორე
შენს გრძელ წამწამებს ელოცავდი!

ჩემს სიცოცხლესა ვხარჯავდი,
შენს სიცოცხლეზე ვზრუნავდი,
წუთისოფლისა შარაზე
დოლბაბივითა ვბრუნავდი.

ქონებას ქარსა ვატანდი,
შენთვის სიმღერებს ვკონავდი,
ლექსებს ვწერდი და ნეშოზე
ხარრემიეით ვგორავდი.

სულ შენს წამწამებს ვნატრობდი,
შენს ღიმილნარევ მზერასა,
სადა ხარ, ჩემო მიმინო,
მკერდს ხომ არ უფენ ძერასა.

უშენოდ ვთიბე სათიბი,
ქერსა ვმკი მაღალ მთაზედა,
ჭალებში ვერსად შემოგხვდი,
ერთხელ გამოდი ბანზედა!

სიცოცხლე

სასაფლაოზე ასკილის რტო
ქანაობს კენტი,
და გაზაფხული ფეხაკრეფით
მოჰყვება ჭალას.
ვიღაცა სოფელს ეშურება
და თითქო კეტით
მოარბევს ტყეებს
და სიხარულს ვეღარა მალავს...
მამა, ეს შენ ხარ, —
შენს თვალებში ჩამწვარა ღამე.
სად გეჩქარება?
ვეღარ გიცნობს ახლა სოფელი.
ხედავ,
ჭალებში სხვა ბიჭები
ყანასა ნნავენ,
შენ არარა გაქვს
სამზეოსთან გასაყოფელი.
რად მიცქერ უბრად,
დედას სევდა რად დაეუფლა?
აღარას შესთხოვს
შვილებისთვის ძილის წინ უფალს,
დაუკრეფია დამაშვრალი
ხელები გულზე...
და მოწყენილი გაზაფხულზე
თქვენ საფლავს ვუმზერ...
ნეტა ვინ გიხმობს,
ირგვლივ მზეა და მწვანე ჭალა,
მოარბევ ტყეებს
და სიხარულს ვეღარა მალავ.
ასკილის ტოტზე
თითქო შენთვის იდუმალ ენით
გალობს ფრინველი
და სოფელში ჩუმად ღამდება.
მაგრამ იცოდე:
ქვეყანაზე სიცოცხლე შენი
ვიდრე მე ვცოცხლობ,
არ გათავდება!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია რურუა

მ ი ნ ი ა ტ უ რ ე ბ ი

ერთი ყაიდის ხალხი

აკადემიური გამოცემების მაღაზიიდან კმაყოფილი გამოვიდა — კარვი წიგნი იყიდა.

კომუნარების ბაღთან დიდი ხნის უნახავ მასწავლებელსაც გადაეყარა და ამან უფრო გაახარა. მოხუცმა ადვილად იცნო უკვე გაუალარავებული მოსწავლეყოფილი.

მასლაათით აჰყვნენ — ჩამოჰყვნენ რუსთაველის პროსპექტს.

— ხომ **არ** დაიღალეთ? — ჰკითხა მოხუცს მორიდებით.

— სულაც არა!.. თუმცა, ვერ დაგიმალავთ და გეტყვით, დაღლა აწი მელის, თუ მელის. ტროლეიბუსში უკანასკნელი მანეთიანი გამებნა... გამოდის, ვაკის ბოლომდე ფეხით უნდა ვიჩანჩალო.

ყოფილ მოსწავლეს გაეცინა, მაგრამ რატომღაც მაშინვე შეცბუნდა. შემდეგ მოხუცი ტაქსების გაჩერებამდე მიაცილა და მანქანაში ჩასვა.

— ვაკეში გაიყვანეთ! — უთხრა შოფერს და თვალდასანახავად მანეთიანიც გადააწოდა...

მარტოდ დარჩენილმა, რამდენიმე კამვლელი შეათვალიერა, შემდეგ ხელი ჩაიქნია და გზას გაუყვა. გზა კი საკმაოდ გრძელი ედო — საბურთალოს ბოლო მსიჯამდე.

მიდიოდა და ფიქრობდა: „ეს იყო კაცი, რომელიც გვასწავლიდა და გვინერგავდა პატიოსნებას... ალბათ მისი დამსახურებაცაა, რომ ფული ჯიბიდან არასოდეს გადმომდიოდა... მაგრამ მაინც როგორ უნდა მომხდარიყო, რომ მთელი ოცდაათი წლის შემდეგ ერთმანეთს შევხვდით, ჯიბეში თითო მანეთით?! უცნაურია, უცნაური!.. რას მივაწეროთ ახლა ეს ამბავი, შემთხვევითობას თუ აუცილებელ კანონზომიერებას?!“

რამდენადაც კითხვა საკმაოდ ტრივიალურია, ნუ დავიწყებთ ამაზე თავის მტკივნეულს.

ეს პატარა ამბავი მთავრდება უბრალოდ:

მთელი გზა საბურთალომდე ფეხით გაიარა. ხშირად ისვენებდა. როგორც კი ჩრდილს დაინახავდა, შესდგებოდა და წიგნს გადაშლიდა, რომელიმე ადგილს ჩაიკითხავდა.

წიგნის სათაური რამდენადმე იდუმალი და არქაული იყო — „ეპისტოლეთა წიგნი“.

ბ ი ჯ ი

ისეთ ასაკშია, როცა „ბავშვს“ ეძახიან და „ბიჭის“ სახელს ჯერ კიდევ მოპოვება უნდა.

ზლუქუნ-ზლუქუნით გული წაიღო.

კინოში არ გაუშვეს, რადგან კინო სოფელში იმ დროს იწყებოდა, როცა ყველა წესიერი ოჯახის ბავშვს უნდა ეძინოს.

— ჯანდაბას შენი თავი, წადი! — გაიმეტა დედამ.

ცხვირპირის შხლიპინ-სრუტუნით იკრავს ბათინკის ზონარს.

მიკვრს კია მისი სითამამე. კლუბი

შორს არის. თითქმის სამი კილომეტრი უნდა გაიაროს ბნელ გზაზე.

ისიც მეკვირს, ფულს რომ არავისა სთხოვს.

— მურმან, ბილეთის ფული გაქვს? — ვეკითხები უკვე ზღურბლთან მდგარს.

გაკვირვებით შემომანათა თვალები:

— იალა, რას ამბობს ეს კაცი!.. ჩვენს კლუბს ერთი ფანჯარა ჩამტვრეული აქვს!..

მურმანი ღამის სიბნელეს შეერია.

მურმანი უკვე ბიჭია!

უგრალო სიტყვა

კაცის ღვაწლი ჩვენს დროში ათასნაირად აღინიშნება. გაიხედავ და, საპენსიო ასაკისათვის ორდენები თუ არა, რაიმე მედალი, მრავალი სიგელი და დიპლომი აღმოგაჩნდება ხოლმე.

ჩემს მეგობარ ლევანს არც ერთი ეს არ აკლია. მაგრამ კმაყოფილი სახით მიწვდის საკლასო რვეულის ფურცელს, რომელიც ნაწვალები კონვერტიდან ამოიღო:

— წაიკითხე. მშობლიური სოფლიდან მომივიდა საახალწლოდ ერთი მეზობელი გლეხკაცისაგან. მოხუცს ტყუპი ვაჟკაცი დაეღუპა ომში. ჩემი თანატოლები იყვნენ. სოფლის სკოლაში ერთად ვისწავლეთ ანბანი... შარშან ამ შინმოუსვლელი ბიჭების შვილებმა მომმართეს პატარა საქმეზე. დავეხმარე. და აბ, მათი ბაბუა ახლა მადლობას მითვლის.. შენც კარგად იცი, ზოგიერთის ხელის გულზე ერბო-კვერცხიც რომ შეუწვა. სიტყვას არ გაიმეტებს. ელემენტარული მადლიერების უნარი წართმეული სიტუტუცით და ზედმეტი თვითდაჯერებულობით... ამიტომ თუ ამაღელვა ასე ამ სადა სიტყვებმა.

ფურცელი გავშალე და თვალით წავიკითხე:

„ძვირფასო შვილო, ლევან!

მოგილოცავთ ახალ წელს თქვენი ძვირფასი დედით, ცოლ-შვილით და და-ძმებით. მოგიკითხავთ ერთგული ტკბილი სიყვარულით. მასთან გამბრწყინავთხოვ თქვენი დიდი ხნის სიცოცხლეს. მოგიკითხთ ნება ბიცოლამ და ეთერიმ.

შვილო ლევან. ჩვენ მადლობას გითვლით ჩვენი შვილების პატივისცემისათვის. თქვენი ირაკლი“.

„მართლაც რა სადა, წრფელი სიტყვებია!“ — გავიფიქრე მე.

უკვდავი საზრუნავი

მოხუცი მებაღე კვდებოდა.

სასთუმალთან ახლობლები შეკრებილიყვნენ. სულ ბოლოს ერთი ბერიკაცი შემოხახლალა. მდუმარედ უყურა, უყურა მომაკვდავს და ბოლოს ყურში ჩასძახა:

— რა კი ენგრეა, არაფერს დამაბარებდი, სტეფანე, ჰა?

სტეფანემ ძლივ-ძლივობით გაახილა დაშრეტილი თვალები, ძმაკაცს ხელს უმწეო შენძრევით რაღაც ანიშნა. ისიც მიუხვდა — წელში ხვნეშით მოიკაკვა და ყური ტუჩებთან მიუტანა:

— მარნი წინა რო ატამი დავამყნე... მგონი სახვევი მაგრა მომივიდა... მოუფონე, მიხავ, მოუფონე!

ამ სიტყვებს მებაღემ სულიც ამოაყოლა.

რიდი

ძველი ეკვდერის სიღრმეში, საფლავის ორ ლოდს შორის შავად ასვეტილი დროული ქალი სასაფლაოს მწუხრში მოსთქვამს:

— შენთან ამას არ უნდა ვამხელდე, შვილო, მაგრამ ქმრის დაკარგვაც მწარე ყოფილა.

ძველი მონადირე

პაპა გასცქერის ტყის ქობაშემორღვეულ სივრცეს და ამბობს:

— დიდი ხანია, სოფელს მგელი არ დასცემია!

ნაღვლიანად ამბობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინდი

ხეთა კორომებში ქიცილ-ხივილით შემოცვენილმა ჩიტებმა კრიალა ფოთლებიდან ჩამოყარეს ჩასვენებული მზის შუქის ათინათები.

ფოთოლი ჯერ სეროსავით გამუქდა, შემდეგ გაშავდა.

ღია აივანში თავშემორგული ვაზის ლერწზე მიფეცხუნებს ჭინჭეველა. მას ღამის წიალისაკენ მოაქვს სადღაც ნაპოვნი სინათლის უკანასკნელი ნამცეცი.

შენი გავშვიგის სახელი

სპორტის სასახლის გუმბათი ზანზარებს.

ხალხის გაუთავებელ ყიჟინ-გუგუნში ქვევით, არენაზე, ერთმანეთს ერკინება ორი ფალავანი. ტრიბუნების სიმპათია ახალგაზრდა, ფოცხვერივით მარდი და მოუქანცავი ფალავნის მხარეზეა. ჯაბნის კი მეორე — მრავალნაკადი, გამოწრთობილი, ეშმაკი და ანგარიშიანი. უპირატესობის სასწორი მის მხარეს გადახრილა, თუმცა გადამწყონ პინაზე სულ ერთი უღიმღამო ქუთა დევს. გამარჯვებისათვის ესეც კმარა. ამიტომ ვეტერანი არ ჩქარობს, ვერაგული კონტრილეთებით აჭრობს მეტოქის ბობოქარ ენერგიას.

ელექტროტაბლოზე შუქიან წამწამს ახამხამებს უკანასკნელი წუთი.

დარბაზი უცებ გაირინდა რაღაცის მოლოდინში. და ასეთგვარად დაძაბულ სიჩუმეში სულ ზემო იარუსიდან ვიღაცამ დასჭექა:

— ე, ბიჭო, გვანძღი!

თვალშეუსწრები სიმარდით ჭაბუკი ფალავანი წელში შეუტვარდა გამარჯვების გარდუვალობით ნებამოდუნებულ ვეტერანს; აიტაცა, მკერდზე გადმოისროლტა და მოგვერდით ხალიჩაზე გადაქნეულს, ზემოდან დაეცხრა.

სასახლის გუმბათი ლამის ჩამოიქცეს...

გამარჯვებულის კვარცხლბეკზე მდგარი ჭაბუკი ხელის აწევით მიესალმება ხალხს, თან ანთებული თვალებით იარუსებზე დაეძებს იმას, ვინც ამოდენა ქაღალაქში გაიხსენა მისი ბავშვობის სახელი, მშობლიური ჭალებიდან გამოყოლილი სახელი!

ცვარი

მამის კაბინეტში საწერ მაგიდას ეზის ციცქნა გოგო. წინ გადაშლილი წიგნი და რვეული უდევს. წერს საშინაო დავალებას — ეძებს წინადადებებში მრავალწერტილით გამოტოვებულ სიტყვებს.

აი, მან გულმოდგინედ გამოიყვანა კიდევ ერთი წინადადების სიტყვები:

„ბალახზე ბრწყინავს...“

რა?!

გოგონა დიდხანს აწვალებს ლოყაზე ჩამოცოცებულ კულულს. ბოლოს, რომ ვეღარაფერი მოიფიქრა, დედას მიანათა დიდი შავი თვალები.

დედა გაცხარდა:

— ჩუჩჩუტი, სულელი!..

დედას, უბრალოდ, არ ახსენდება, რომ მის გოგონას აქამდე არ უნახავს ბალახის ყურში ჩამძვრალი, ზამბახის მკერდზე გადმოკიდებული ცვარი, ამოშავალი მზის სხივებით აცივებული.

ზღურგლზე

ძველებური, კეთილნაშენი სახლის სადარბაზოს მაყრიონი მოადგა.

სიმღერით, ხმაურით აჰყვენენ მარმარილოს თეთრ კიბეებს.

ღია კარებთან ახალდაქორწინებულთ შეეგებნენ ნეფის მშობლები, ახლობლები.

ბინის ნისლოვანი სიღრმიდან, თვალებს ზემოთ, ლიგლივით მოცურავს ოქროცურვილი თეფში. წუთი და ზღურბლთან მას ნამსხვრევებად აქცევს სიძე-ბატონი...

უცებ თეფშს ვაჟის ტანფარფაშა დედა წაეპოტინა:

ილია რუხაია

ვინიატურები

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიდუ, მოუპავთ?! სერვიზისაა: სხვა გამოიტანეთ, უბრალო, სახმარი!

შევყოვნდით.

შევხედე დედოფალს. მის ნორჩ, მწყაზარ სახეს კვლავინდებურად ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდა.

დარდის ფასი

— ძია ვანო, როგორა ბრძანდებით?

— ეჰ, შვილო, მორჩენილია ჩემი საქმე!

— რათა, ძია ვანო?

— დარდი შემომელია, შვილოსა .. დარდი და საზრუნავი!

ფოთლები

თქმა არ უნდა, სევდის მომგვრელია შემოდგომის ფოთოლცვენა.

არანაკლებ — მაისის საგსე, ხასხასა ფოთოლი. კვირტი აღარ დარჩა გასაშლელი. ყველა ფოთოლი გაძღა, გასრულდა, გაფუვდა.

იწყება თვალისათვის უხილავი ჭკნობა.

არა ემსგავსოს გასრულების რულით მიძინებულ ფოთოლს სული ჩვენი!

საიდან?!

ქალაქს დამსგავსებულო, სოფელო ჩემო...

ტყეშეთხელებულო, სოფელო ჩემო...

მდელოებგადახნულო, სოფელო ჩემო...

ნაკადულდამშრალო, სოფელო ჩემო...

კიდევ საიდან გზავნი ბავშვობის მოგონებებს ჩემთან?!

სიოთამამის ასაკი

მეშვიდეკლასელებმა ლიტერატურის გაკვეთილზე მიიღეს დავალება — შეედგინათ ხელწერილის ნებისმიერი ნიმუში.

საქმე წაკითხვა-განხილვაზე მიდგა.

— აბა, ქეთინო!

ფანჯრასთან მიდგმული მერხიდან თამამად დგება მოხდენილი გარეგნობის ქალიშვილი. ეშმაკურად აყეჟეულებულ თვალებს რვეულზე ხრის და საგანგებოდ გამოკვეთილი მკაფიო ხმით კითხულობს:

— „მე, თბილისის № 101 საშუალო სკოლის მეშვიდე „ბ“ კლასის მოსწავლე ქეთევან ალექსანდრეს ასული მაღლაკელიძე ვალდებული ვარ სკოლის დამთავრებამდე ვიჯდე ნანა გიორგის ასულ იაშვილის გვერდით, არავითარ შემთხვევაში არ გადავჯდე მისგან და რაც შეიძლება მეტი ვეჭორაო“.

მთელი კლასი ხარხარებდა.

იცინოდა მკაცრი, პირქუში შინაბერა თამარ-მასწავლებელიც.

ვინ იყო, საიდან?!

ნეპის ხანაში ჩვენში კიდევ იყვნენ მათხოვრები.

იგი პატარა ბიჭმა შემოიყვანა ეზოში. ბერიკაცი ბრმა იყო. ბიჭს სულ ვერ მინდობოდა. შინდის ჯოხს ფრთხილად მოაკაკუნებდა. გლეხური ჩოხა და ქალამნები ეცვა. დადგა შუა ეზოში და მადლიანად დაილოცა:

— თვალში სინათლე მოგცეთ, მუხლში ძალა, შინ მშვიდობა, გარეთ გამარჯვება!

ესა თქვა და თავიდან მოშვლეპილი ნაბდის ქუდი ცას შეუშვირა...

ვინ იყო, საიდან?!. ვინ აკადრა და რისთვის ხელში მათხოვრის ჯოხის მაცემა?!

არა და რამდენი რამის ფასი სცოდნია!

უდაგნო

ჩრდილი ოთხი არსებისა ერთმანეთს შეზრდია:

ბუთურა ლეკვს ნებიერად ძინავს კრავის ჩრდილში.

თეთრი კრავი შეფარებია ჩოკინას ჩრდილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდთვალება ჩოკინა — აქლემისას.

თავად უდაბნოს მეუფე დარჩენილა მცხუნვარე ეზის ქვაშე. ყელზე შებმული ექვნის სევდიანი ყიღარუნით ამაოდ უხმობს თავის წილ ჩრდილს.

გალიიდან გამოსული ლომი

ვოლერიდან გამოსულმა ლომმა ფაფარი შეარხია, მრისხანედ დაიგრუხუნა და პირდაპირ ალმართულ ქვის კიბეს აჰყვა. ზოოპარკის დირექტორის კაბინეტის კარი ერთი მიჯაჯგურებით შეაღო და რაკი თავისი მეფური ყურადღების ღირსი იქ ვერაფერი იპოვნა, უკანვე გამობრუნდა.

პარადის მისაღებად გამოსული მხედართმთავრის მედიდურობით ჩაჰყვა ვოლერებს. დამფრთხალმა ირმებმა და ჯიხვებმა ხელოვნური კლდის მღვიმეს მიაშურეს, ტურა-მელებმა სოროებს დაუწყეს ძებნა, ახალვლაფენი მაიმუნები მალაყს მალაყზე გადადიოდნენ და შეშინებულნი ერთმანეთს ეკვროდნენ. ფრინველთა გნიასმა არე-მარე გააყრუა.

უბედურების მოახლოება პირველმა ისევ მომკვლელმა ქალმა იგრძნო. მაშინვე მილიციელს ჯიხურისაკენ გავარდა. იქიდან კიდევ სასწრაფოდ მაშველი გამოითხოვეს.

ახლადგამოღვიძებული ქალაქი სირენების ხმამ შესძრა.

ავტომატებით, რევოლვერებით, ბრანდსპოიტებითა და ცოცხებით შეიარაღებული ლაშქარი ფრთხილად შეუდგა ზოოპარკის გაცხრილვას. ყოველი ბუჩქის უკან ფაფარაყრილი, გაავებული ხვადი ლომი ელანდებოდათ...

ამ ამბავს მე თავად არ შევსწრებივარ. მიამბეს და როგორც ყოველ ნამბობს, დროით ვამოშებდი. რამდენი ვინმეა ქვეყანაზე, წარმოუდგენელ ტყუილს რომ დაახეიქებს ხოლმე.

ბოლოს და ბოლოს ამ ამბის გამომზეჯერებას მაინც ვბედავ. უფრო სწორად, გაზეთებში გამოქვეყნებულმა ერთმა ცნობამ გადამაწყვეტინა. აი ისიც.

„ნატურალისტი ჯორჯ ადამსონი, რომელსაც მილიონობით კინომოყვარული კარგად იცნობს ფილმით „თავისუფლებისათვის შობილი“, ამჟამად ატარებს საინტერესო ექსპერიმენტს ლომებზე. მან აფრიკის ჯუნგლებში დაპრუნა ზოოპარკში დაბადებული ლომები, რომლებიც ხორცს მხოლოდ ადამიანის ხელიდან იღებდნენ... მაგრამ ლომები მოუმზადებელი აღმოჩნდნენ „თავისუფალი“ ცხოვრებისათვის. ტრაგედია ტრაგედიას მისდევდა. მიუხედავად ამისა, ადამიანი ჯიუტად განაგრძობდა დანარჩენი ლომების სწავლებას — დამოუკიდებლად ენადირნათ და ეცხოვრათ. და აი, ბოლოს, წარმატება მიღწეულ იქნა. სამი ლომი უკვე ერთ წელზე მეტია დამოუკიდებლად ცხოვრობს და ყოველთვის იმარჯვებს მრისხანე აფრიკულ კამეჩთან და გიგანტურ ანტილოპებთან შერკინებაში“...

ჩვენი ნაცნობი ლომის ამბავი კი ასე მთავრდება:

მას გალიაში წაიყვანენ. თავად შებრუნებულიყო შიგ. რკინის რაზის ნაცნობ გაჩხაკუნებაზე ზანტად მოაბრუნა ბომბორა თავი. გაუკვირდა, ნაცნობ თეთრხალათიან ქალს ამდენი უცხო, უცნაურად შეიარაღებული ხალხი რომ ახლდა. ერთხანს გულგრილად ათვალიერებდა მათ. შემდეგ მზერა ისევ მეზობელზე — უსურიის ძუ ვეფხვზე გადაიტანა. ვეფხვი ზურგშექცევით იწვა და საღღაც შორეულ სივრცეს მისჩერებოდა.

ლომი გაკვირვებული იყო. მის მეფურ გონებას ვერაფრით აეხსნა — რატომ შემოწყრა მას დღეს პირმშვენიერი დედოფალი ტაიგისა, რომ ერთი შემოხედვის ღირსი არ გახადა!

გადაკარგული კაცის ნუგეში

ნაცნობ ოჯახში მაჩვენეს სამშობლოდან გადაკარგული კაცის ბარათი. დამამახსოვრდა ერთი ადგილი:

ილია რურუა
ვინიატურები

„თქვენგან წერილს დიდხანს დაველ-ოდ. ღარ ვიცოდი რა მეფიქრა. იდ-ბლად ხელში ჩამივარდა თბილისური გა-ზეთი. პაპა - ლადის გარდაცვალებას იუწყებოდით. ასჯერ მაინც წავიკითხე, გახარებულმა. მადლობა ღმერთს, ყველანი კარგად ყოფილხართ!“

სადღეგრძელო

მოხუცი სულ უფრო ემსგავსება რობოტს. დამძიმებულ ფეხებს ძლივს ადგამს. სკლეროზით დაბინდულ მის გონებას რამდენიმე ფრაზა შემორჩენია ადამიანებთან ურთიერთობისათვის. ემოციებიდან დაცლილს, ხანდისხან სრული აპათია იპყრობს. ათასში ერთხელ თუ გაიხსენებს რაიმე ამბავს, ისიც ძველს.

იმ დღეს, სუფრაზე, ორი ჭიქა ღვინო დალია. ღვინით შეფუცხუნებულმა, სადღეგრძელო შემოგვთავაზა.:

— მატვეი მიტრიჩს გაუმარჯოს!

ყველამ მოხუცისაკენ მიაბრუნა ნასვა.

— ჩემი დენშიკი იყო, კაზაკი. — უცებ ამოოდგა ენა არზრუმის გმირმა. — რა უბედური ბათქა-ბუთქიც არ უნდა ყოფილიყო, საჭმელს არ დამიგვიანებდა. აეკვრებოდა სანგრის კედელს და ალერსიანი თვალებით მიყურებდა, როგორ ვეპამდი ოფიცრის ქვაბიდან ... თვალებზე ცრემლიც შემინიშნავს. რაშია საქმე, მიტრიჩ-მეთქი?.. შენ რომ გიცქერი, ჩემი დანიელ მატვეიჩი მაგონდებაო. ისიც შენი კბილაა, პრუსაკებს ებრძვისო. ვიცოდე მაინც, ცოცხალია თუ არაო ... უცებ გაახსენდა, მისი უფროსი რომ ვიყავი, თუმც მამად მეკუთვნოდა ... ხელი ქუდთან მიიტანა და გამომეჭიმა — მაპატიეთ, ბატონო პორუჩიკო, სისუსტისათვისო...

და ჩვენც დავლიეთ მოსაგონარი მატვეი მიტრიჩისა, რომლის ძვლებიც, ალბათ, სამუდამოდ განისვენებს რომელიღაც კაზაკური სტანიცის მდუმარე სასაფლაოზე.

₹00 ცალი აგურის ფასი

ყვარელი კოტე მარჯანიშვილის იუბილეს იხდიდა ...

ძველი ციხის კედლებში ჩატარებული ზეიმის შემდეგ სტუმრები ოჯახებში ჩამოგვარიგეს.

ხუთნი ერთი ინჟინერ-მექანიზატორის სახლში მოვხვედით.

ვრცელ, კეთილნაშენ სახლში, მეორე სართულის დარბაზში ისეთი სუფრა იყო გაშლილი, რატო ორმოც კაცს არ გაწვდებოდა.

დამხვდურთ რომ გადავხედე, ჩემი თანამგზავრები შემეცოდნენ. მადლობა ღმერთს, რომ ისინიც კარგი ღვინოხვრეპიები აღმოჩდნენ. წავიდა სადღეგრძელები, სმა, სიმღერა, მხიარულება.

თამადობდა მასპინძელი — შუა ხანს მიღწეული, ტანბრგე, პირღიმილიანი და ენაწყლიანი ვაჟკაცი.

დაგვეთვრა ხალხი. დაგვეთვრა-მეთქი ამიტომ მოგახსენებთ, რომ თავად ახალნაავადმყოფარი გახლდით და ღვინოს არ გეახლებოდით ეგრე რაგად. ერა და ძნელი გასაძლები ყოფილა — სხვები ითვრებოდნენ და შენ შეჰყურებდე ...

იმდენი ვქენი, ბოლო-ბოლოს თბილისელები ფეხზე წამოვყარე და თავიც გავწირე — ყანწი მოვითხოვე და სუფრას მასპინძლის სადღეგრძელო ვაძგერე.

— ვენაცვალე კოტესა! — აბუბუნდა ვიღაც ძალმსხვილი თმაჭაღარა კაცი. — ისეთი მამის შვილია, რომა უფლება არა აქვს ...

თუ რისი უფლება, აღარ უთქვამს, მაგრამ სულ მიუხვედრებლები არც ჩვენ გახლდით.

— მამაჩემის მეგობრები არიან! — გადმომილაპარაკა კოტემ და ანიშნა თმაჭაღარასა და მის მეზობლად მსხდომ რამდენიმე დროულ კაცზე.

— აკვანში დატოვა მამამისმა, — განაგრძო მეორემ. — მაგრამ ივარგა ... თითივით შიშველმა აი, ნახეთ ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ნახეთო, ეს კი არ უთქვამს. ისედაც ცხადი იყო.

— ერეკლე მეფესავითა, იმისი სახელის ჭირიმე, ბევრი შვილი ახვევია. — თქვა ბოლოს ყველაზე უფროსმა, თითქმის მოხუცმა. — ეგ კია რომა, იმასავით ციდა ოთახში არ ამოხდება სული ...

— აბა, კაცო, იმოტელა მეფე იყო და იმავე ოთახში კი მომკვდარა, რომელშიც დაბადებულა, ეგ სახელიანი! — გაიოცა ვიღაცამ ...

ყანწშა ყველა ერთბაშად მოიოცა.

საერთო ხრიალ-ხორხორში ერთადერთ მსმენელ-გამგონედ მე შევრჩი კოტეს.

— სამადლობელი აბა რა სათქმელია. — ასწია კოტემ ყანწი. — მოდი, იმ სამასი ცალი აგურის მომტანი ვიდეგრძელოთ!

„ეჰიმა, — გავიფიქრე ჩემთვის. — დინჯ კახელებსაც დაუწყიათ ენის ჭარტალი სუფრაზე ... საწყენია, საწყენი!“

— იცით, ბატონო, ეგ სამასი ცალი აგური რა არის ჩემთვის? — კოტეს თითქოს ხმა აუჩქროლდა. უცებ მეორე ყანწს დაწვდა, გაავსო და ძალით ხელში მომაჩერა, — თუ შეიძლება, ერთი წუთით გამომყეთ!

მალე პირველ სართულზე აღმოვჩნდით, იქიდან კიდევ ქუჩაში.

— შეხედეთ! — კოტემ სადარბაზო კარზე მიმითითა.

კარის ირგვლივ ფაქიზად ამოგებული აგურის ჩარჩო შიშვლად იყო დატოვებული.

— ეგ აგური მამაჩემის ზურგით არის მოტანილი ... მეორე დღეს კი ომში წავიდა... ჩემი ოჯახის ფუძე ამ სამასი ცალი აგურითა მაგრობს!

და გული დამწყდა, ეს სადღეგრძელო ამდენ ხალხში, მაშინ, მარტო ჩვენ ორმა რომ დავლიეთ.

შეზარხოშეგული კაცი

ჩემს წინ ქუჩის ორი კაცი მიჰყვება. უფრო სწორად, ერთი მიჰყვება, მეორე მილასლასებს. მთვრალი დროდადრო შესდგება და თანამგზავრს ხელების ქნევით რაღაცას ელაპარაკება. ფხიზელიც მოთმინებით უსმენს და დასტურის ნიშნად თავს აკანტურებს.

— არა! — მთვრალმა მარჯვენა ხელი ცაში აისროლა. — ტყუილად გეცინება. მე მართალი მაინტერესებს ვიცოდე, რამდენი კილოგრამი იქნება დედამიწა!

ფხიზელი კაცი სიტყვას კვლავ ბანზე აგდებს და თვინიერად იღიმება.

მეც მეღიმება.

„მაინც რა შეუძლია ღვინოს!.. უკვე დედამიწაც ემჩატება“ ...

უნებურად გონების სიღრმიდან ამოტივტივდა სადღაც წაკითხული ამბავი: პულტთან წაწყდომიან ნარკოტიკით გაბრუებულ ოფიცერს. ლაპარაკია პულტზე, საიდანაც დაპროგრამებული იმპულსები მიემართება ატომისა და წყალბადის ბომბებით დანაღმული დედამიწის გულისაკენ ...

— კიდევ კარგი! — ამბობს რაღაცაზე ფხიზელი კაცი და მთვრალს დასაშოშმინებლად ზურგზე უთათუნებს ხელს.

„კიდევ კარგი! — ვიმეორებ მეც ჩემთვის, აკვიატებულად. — „კიდევ კარგი, კიდევ კარგი!“

რა სიმაღლისაა უშბა?!

ყოველ გეოგრაფიულ წიგნსა და ცნობარში ასეა აღნიშნული მისი სიმაღლე — 4.703 მეტრი ზღვის დონიდან.

მე მეგულება კაცი, რომლისათვისაც უშბა გაცილებით მაღალია.

ეს კაცია სვანეთის მამაცი შვილი, წყალქვეშეთის კაპიტანი. მისი მოუხელთებელი ნავი ომის მრისხანე წლებში დაუღალავად სერავდა ზღვებსა და ოკეანეებს. მის თავზე იწვა წყლის

ილია ჟურავა
ციტატურები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპაღმული ველები, სკდებოდა ბომბები და ტორპედები, მაგრამ თავად მტრის რისხვა, ყოველთვის რჩებოდა უვნებელი.

ასე მგონია, ყოველი განსაცდელის ჟამს, ზღვის ფსკერზე გატრუნულს თუ საიერიშოდ შემზადებულს, თვალწინ ედგა მშობლიური უშბა; აქედან, ზღვის უძირო სიღრმეებიდან კიდევ უფრო მაღალი და ზვიადი.

და უშბაც თეთრი მკერდის ჯადოანდამატით ზევითკენ, მზისკენ უხმობდა თავის შვილს ...

ცდებიან ვეოგრაფიული წიგნები.

მაღალია, გაცილებით მაღალი უშბა!

მცხეთური პური

მცხეთაში ყოველთვის დგას პურის სურნელი: ყველაზე კარგი სურნელი მიწისა.

აღმა მომავალი, ქვემოთ ჩამავალი ჩერდება აქ, რათა შინ წაიმძღვანიოს მცხეთის დიდი, მაღალი პური.

ვინ აქაურ წყალს მიაწვრს პურის ღირსებას;

ვინ ხაბაზების ხელმადლიანობას.

ვინ კიდევ რას...

ვერაფერი ახსნაა!..

პირველნალეწი თავთუხისაა ეს პური, პირველმა მცხეთელმა რომ მოზილა; მისი საფუარიდან ამოსული.

საქართველოს დედო პურია პური მცხეთური ...

და შენ, გამვლელო, ყოველთვის გახსოვდეს ეს და აუცილებლად შეჩერდი აქ, როცა გზად ჩაივლი ...

აპურებს მცხეთა მაცხოვარივით საქართველოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბ აბაშიძე

აქეთ მაშხალები, კვაზიმოდო

1.

გამარჯობათ, ბატონო ჩემო! რომ იცოდეთ, რამდენი ვიფიქრე, როგორ წარვმდგარიყავი თქვენს წინაშე. მინდოდა რამე ახალი, ორიგინალური ხერხით დამეწყო ეს რომანი, როგორც დღეს მრავალი აკეთებს; მაგალითად: ან ჩამეხველებინა — მ ჰ ჰ, მ ჰ ჰ-მეთქი, ან კიდევ, პირდაპირ კლასიკოსების ლანძღვაზე გადავსულიყავი; ჰაი, ასეთები და ისეთები. ბავშვობა და რაღაც კი არა, ახლა როგორი ვარ ისეთი მნახეთ-თქო!

ბოლოს ისევ წესიერად, პატიოსნად სალმის მოცემა გადავწყვიტე და ქუდსაც დიდი სიამოვნებით მოგიხდიდით, მაგრამ თქვენ ალბათ ვერავითარ ესთეტიკურ სიამოვნებას ვერ მოგანიჭებთ ჩემს კეფაზე ამობურცული ქვასავით მაგარი, მეორე (შედარებით პატარა), თავის დანახვა, ასე რომ ნუ ჩამომართმევთ ამ ქუდმოუხდელობას უზრდელობაში.

ისე, ბავშვობის ამბების მოყოლით არც მე შეგაწყენთ თავს და ხანდახან ჩაგახველებ კიდეც თქვენის ნებართვით. თუ მოსაწყენი გეჩვენოთ, შეგიძლიათ ეს წიგნი დახუროთ და „ჰეკლბერი ფინის“ ან „სამი მუშკეტერის“ კითხვით შეიქციოთ თავი, რითაც ძალიან დამავალებთ; ისედაც მიჭირს ჩემი ისტორიის მოყოლა, ასე რომ არასოდეს არ გავშლი ხელებს და არ დავებღაუჭები ჩემს გასასრესად გამზადებულ წიგნის ყდებს... არც ავყვირდები: არ ქნათ. ეგ უსინდისობა, არ გამჭყლეტოთ-თქვა!! ჰ... ჰ! ჰმ!, მჰ!

ასე და ამგვარად, უკვე გაიგეთ, რომ მე თავზე კიდევ ერთი პატარა ბუშტი მაქვს წამოდგმული... ჰე, ჰე... მაგრამ ის აირით სავსე როდია, ბატონო ჩემო! ის არასოდეს არ დაფრინავს ცაში, რადგან შეიგნო, რომ ეს მთელი ჩემი ორგანიზმისთვის სიკვდილს უდრის...

მე-20 საუკუნეში, რა თქმა უნდა, უკვე სხვა პრობლემები აინტერესებს ხალხს... რა ხელი გაქვთ ასეთ სიმახინჯეებთან, არა?! ალბათ არც დაგაინტერესებთ კიდევ ერთი მახინჯის დანახვა! მაგრამ! რომ იცოდეთ, რა ორიგინალური და საყვარელი არსება ვარ: მარტო თავის ზომით კი არ გამოვირჩევი აქამდე არსებულ დიდთავეებში და კუზიანებში!... ტანიც ყველა მათზე უფრო პატარა მაქვს...

სულ ცოტა ხნის წინ, ერთი თურქი მწერლის წიგნში (მისი გვარი — თანერია, ვგონებ), ამოვიკითხე, რომ ამ წიგნის ავტორს თავში საათი ჰქონია, რის გამოც ის წიკ-წი-კებს (ჰი! ჰი! ჰი!) და დროის მსვლელობას ზუსტად აღნუსხავს.

საუბედურად, ამ მოთხრობის წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხვა ბოლომდე არ დამცალდა... ჩემი და შემოვიდა, წიგნი გამომგლიჯა; რა დროს კითხვაა... ადი, სახურავი შეაკეთე, ჩემს საწოლთან წყლის გუბე დგასო..

როცა სახურავი შეკეთე და ძირს ჩამოვედი, დიდხანს ვეძებე წიგნი, მაგრაადა... ჰოიმ (ჰ... ჰ... ჰმ, მჰ) საოცრებავ, მიწამ ჩაყლაპა თუ ცამ... არ ვიცი და... ვეღარსად ვეღარ ვნახე.. ალბათ სატანამ თუ წაათრია.

ლოგინში ჩავწექი და მთელი ღამე იმ წიგნზე ვფიქრობდი;

შესავალში ეწერა, რომ ამ მწერალს, ნობელის პრემია მიანიჭეს ამ მოთხრობის (თუ რომელიღაც სხვა მოთხრობის) გამო, და ამიტომ მაინტერესებდა, როგორ მთავრდებოდა ეს მშვენიერი ფილოსოფიური ტრაქტატი.

იმაში, რომ ის წიგნიკებს, — ნობელის პრემიას არავინ მიანიჭებდა; ალბათ ის საათი წკრიალებდა კიდეც და ისე გალოზდა, რომ პრემიის მიმნიჭებლები მოხიბლა...

ახლა უყურეთ, რა ფიქრები დამებადა; როგორც წავიკითხე, ის მწერალი ნორმალური განვითარების ყოფილა, ე. ი. ქონია ჩვეულებრივი თავი. იმ თავში, რა თქმა უნდა, მხოლოდ პატარა ზომის მაღვიძარა თუ ჩაეტეოდა... და მაინც... ისე დაუწკრიალებია, რომ რაღაც მოუხერხებია...

ახლა (ჰ... ჰ... ჰმ... მჰ), თქვენ წარმოიდგინეთ, რა ბედნიერი ვიქნებოდი, მეც რომ შემეძლოს თავის ქალის ახდა. მაშინ მე შიგ პატარას კი არა, უშველებელი ზომის ძველებური საათს ჩავიდგამდი, რომელიც კი არ დაიწკრიალებდა... არამედ დაიგუგუნებდა, დასჭექდა... დაჰყეფდაჰჰჰ!

მაშინ მე ორმაგ პრემიას მომანიჭებდნენ და იმ ფულით შევძლებდი ახალი შარვალ-პიჯაკის ყიდვას, რადგან ძველი, ცოტა არ იყოს, დაიხა..

მაგრამ, მეორეს მხრივ, ეს ცოტა სახიფათოდაც მეჩვენება; ვაითუ ამ საათმა ისე დაიგრიალოს, (ხელოვნებისა... არა, არაფერს არ ვიტყვი, მაინც ტრაბახში ჩამომართმეეთ) რომ პრემიის მიმნიჭებელი კომისიის წევრებს ყურის ბარაბნები დაუხეთქოს. რაღა ვქნა მაშინ: მოვა ვინმე პრემიის მოსაცემად... ძეტყვის — ჰა, ძმაო, შეგვერგოსო!

ვეტყვი მადლობთ, ბატონო ჩემო!

ის ყურთან მიიტანს ხელს და მკითხავს — ჰაჰ! რაო, რაო?!

გავუმეორებ — მადლობთ-მეთქი.

ის კიდე — ჰაჰ?!

დავუბღავლეს — მადლობთ! მადლობთ-მეთქი!

ის კიდე — ჰაჰ...

და მე ერთხელ უკვე მოგახსენეთ, რომ არა ვარ უზრდელი, რათა მას — „ზახრუმაჰჰ"-მეთქი, მივახალო!

მა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მი ჩამოვუარო, იმაზეც იტყვით, რომ ვთამაშობ...

ჰი! ჰი! პატარა კაცუნებო! დ ი დ ა რ ს სიმახინჯე იგი — უფლით ნაბოძები! ის მე ზზას მიხსნის იმ სამყაროსკენ, რომლის ხილვასაც თქვენ ვერაფერად ეფიერისებით!

არა! (აქ თავი მოვქექე), „თქვენ, რა თქმა უნდა უკვე იცით, რაც უნდა გითხრათ“, (ჩვენს ხალხს მივმართავ, ერთი ნაცნობის სიტყვებით), მიხვედ-ბით, რომ მეჰ — დაჩაგრულმა და განწყენენებულმა — გადაწყვიტე ბუნების სიმშვენიერით დაეტკბე. რა თქმა უნდა, ბუნება არასოდეს არ კარგავს თავის მომხიბვლელობას.

მააააგრამ! მააააგრამ! მააააგრამ!

არ გეგონოთ, ისე ვტკბებოდე როგორც მე-19 საუკუნის ესთეტნი...

ისინი ბუნებასთან მიდიოდნენ როგორც ქალთან, მე კი მასთან მივდივარ როგორც მამაკაცს მოწყურებული ქალი კაცთან.

ისინი პაემანს უნიშნავდნენ ვარდების ბაღს და მტკვრის ნაპირს, მე კი... (არ შაიცხადო პელო-ჯან!) კლდესთან! რაიო?! ხომ არ გგონიათ, რომ ორიგინალური მინდა გამოვჩნდე?! არა, ბატონო ჩემო, მე არასოდეს არ ჩამოვაფხატავ ჩემს ენებებს სიყალბისა და ორიგინალობის ნიღაბს!

ჰოი, კლდეო, ჩემი სახლის წინ მდგარო... მათ გონიათ, რომ ჩემი შენდამი სიყვარული ორიგინალობაა! ალბათ, რამდენი თქვენგანი ათასგვარი ეიმორისტული ეპითეტებით შეამკობს ჩემს ლტოლვას!

ეჰ! იმათმა რაც უნდა თქვან და, მე კი მიყვარს დამცინავი, ყურებამდე აბეული გამქერდავი ღიმილით მიბრეცილ-მობრეცილი სიფათუნების ზღვაში მყოფს შენს წინ დგომა, კლდეო... რაც მეტია ამ მყრალი ზღვის ტალღების რწევა, მეც მით უფრო ვნეტარებ და უფრო მძაფრდება ჩემი შენდამი სიყვარული... ამ დროს მსურს შეგემსხვრე, შეგელეკო ძვლებად, ხორცის ნაფლეთებად, სისხლის შხეფებად...

არ არის ეს ლტოლვა უხეში, ნუ მოგ-მიშორებ ცივად, ზიზღით...

მართლა! ერთი არგენტინელი მწერლის წიგნში წავიკითხე, (რა გვარია ის მწერალი, დამავიწყდა, კორტასარია ვგონებ!), ჰოდა, იქ ერთი ქალია გამოყვანილი, რომელიც მოწყალების დად მუშობდა ერთ-ერთ ჰოსპიტალში. დაჭრილი უნახავს ერთი, ჯერ მოურჩენია, მერე კი, როცა დაუნახავს რომ ამ კაცს სხვა რამეც უნდა, არც იმაზე უთქვამს უარი. არ უყვარდა, არც მოწონდა, მააააგრამ! — ჰუმანურობა ბატონო! ადამიანურობა!

ჰე! ჰე! არ გეგონოს კლდეო, იმ ჰოსპიტალში მოხვედრას ვოცნებობდე!

არა! მე სხვა რამ მინდა გითხრა! მე არა ვარ ისეთი „ჰუმანური მოღალატე“, შენც ნუ იქნები ცივი ჩემდამი და გამათბე. ო, როგორ მიხიცინებენ შენი ალესილი ქიმები... რა ხარ! რა ხარ! ნუთუ ფიქრობ, რომ ყვავილებზე ან მტკვარზე შემიძლია გაგცვალო?!

3.

ხშირად დავფიქრებულვარ; რატომ მაქვს ასეთი ლტოლვა?! რამ წარმოშვა იგი?! იმან რომ საუკუნეების განმავლობაში გრძნობები ინ ზომამდე გაფაქიზდნენ, რომ უნდათ ბუნებას შეემსხვრნენ და მასში შეირწყან, თუ უბრალოდ, მხოლოდ სილამაზით ტკბობის უნარით დავუჯილდოვებივარ განგებას, ამ სილამაზით მტვირთავს და მასვებს, ხოლო გარეთ კი ვეღარ გამოდის?! (მე ხომ ხელოვანი არა ვარ!).

ჰე! ჰე! არადა... ხელოვანი რომ ვიყო, კლდეო! მაშინ მეც შევძლებდი ყვითელ თმად დამეშალე და მუსიკად დამეწანი, როგორც ეს ბეთჰოვენმა გააკეთა.

მაგრამ... ერთი რამ მაინტერესებს!; მაშინაც ავიტანდი თუ არა იმ სი-

მერაბ აბაშიძე
აკეთ მაუხალეანი, კვაზიმოდო

ცილ ს? მაშინაც შეეძლებდი მენტატარა შენთან? არა მგონია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე კი, ანდრო და მისი ამფსონები რომ არ მოგეძღვნა ჩემთვის განგებავ, ამ ბუშტთან ერთად, კაი იქნებოდა! ან არადა... უჩინ-მაჩინის ქუდი მაინც გებოძებინა! რათა იძულებული არ ვიყო დილის 7 სთ. და 0. 0. წთ-ზე არ წამოვხტე ლოგინიდან და სამსახურის კართან საათნახევრის განმავლობაში არ ვიდგე ღვთის ბლახასავით ვუცადო, როდის მოვა ჩვენი სკოლის დამლაგებელი და გააღებს...

ჰო! მართლა... ვინ არის ანდრო?! ანდრო ჩვენ მეზობლად მდებარე ეკლესიის მღვდლის შვილია... 8 სთ-დან (ზუსტად 8სთ-დან) გამოეთრევა სახლიდან თავის ძმაკაცებთან ერთად..

ჯერ სახაშეში შევლენ...

დაურტყამენ პატარ-პატარას...

მერე გარეთ გამოვლენ და...

თქვენც კარგად მოგეხსენებათ...

არის ერთი გამვლელი გოგოების მასხრად აგდება და სხვა უბნელების ყბების ლაწა-ლუწი...

ჩემს დას პატივისცემით ეპყრობიან და მასთან როცა გავიელი, ხმას არავინ იღებს... მაგრამ ამ ბოლო დროს, როცა ქუჩაში გავდივართ, ჩემს დას რამდენიმეჯერ ცრემლები შევნიშნე... ეტყობა საშინლად განიცდის რომ გვერდზე ასეთი არაესთეტიური გარეგნობის პიროვნება მიყვება და მეც გადავწყვიტე მარტომ ვიარო...

ამ მარტო სიარულმა ხომ მომსპო და გამათავა...

ბიჭების დაკინვას კი ვიტან, მაგრამ როცა ამ გამჭირდავ ხითხითს კაიკაი პანღურები მოყვება ხოლმე, ეს ვერ გახლავთ მაინცდამაინც სახარბიელო რამ! (ბოლო-ბოლო გზა ყოველთვის ატალახებულია... ხომ შეიძლება დავეცე... ისინი გამირეცხავენ მერე თუ რა?!).

მაგრამ იოცხლე, ერთხელ მეც მივადე მაგარ-მაგარი! თანაც ვის?! ანდროს... პირადადკ!ბ!

საღამო იყო და შინ ვბრუნდებოდი.

ის ვიღაც ქალბატონთან ერთად მოდიოდა...

დამინახა...

მოვიდა...

მტაცა უცებ ქამარში ხელი და არ ამწია? თან თავის გათახსირებულ მეგობარს ეკითხება: როგორ მოგწონსო? ის კიდევ კეთილი ალმონინდა (ჰიჰ! კეთილი!), მოკიდა ხელი მხრებში და უკავლა — ახლავე ძირს ჩამოუშვიო!

ანდრო კი ვუკავავარ და ხარხარებს...

მეც ავხარხარდი...

როგორც კი ვთხოვე, დამსვი-მეთქი, იმ წამსვე ფრთხილად ჩამომიშვა, მერე ჯიბე მოიჩხრიკა, კამფეტი ამოიღო (ახალი წლის მეორე დღე იყო) და მომაწოდა.

კამფეტი, რა თქმა უნდა, გეახელითა, ამ მშვენიერ წყვილთან მასლაათით განვაგრძე ბრა, და... როცა სახლს მივუახლოვდით... ავიდე ეზოს წინ დაგდებული აგური, შევაფამაშე... და... ჩემს შეურაცხყოფელს — „დუმპ!“ შიგ აქოთებულ ყვრიმალში!

(ერთი კი არ გამომივიდა კარგად; ვხეთქე თუ არა, იმ წუთშივე მოვუსვი).

გამომეკიდა... მაგრამ როგორ გამომეკიდა...

სირბილის დროს თავი ვერ შევიკავე, დავეცი და ყირამალა ორჯერ თუ სამჯერ გადავეცი... ის რეგვენიც არ გადმომმხო?! ელვის სისწრაფით გამოვუსხლტი და ოთხ ფეხზე დამდგარს კიდევ ერთი მაგარი წიხლი ვუთავაზე კბილებში... საღდგომო კვერცხივით შევუღიბე სახე...

დავდექი ასე... მუშტებმომარჯვებული... თან საწარლად დავემანჭე.

წამოდგა...

ცოტა არ იყოს გაოგნებული იყო ასეთი მოულოდნელი შეტევით.

კიდევ გავიწე, მაგრამ უცებ ფეხზე წამოვარდა და ისე ამომცხო ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილას რომ... კიდევ ერთხელ ავ-ბზრიალდი ჰაერში და ფრთადამსხვრეული ანგელოსივით ჩავენარცხე მტვერში.

რაც მე იმან დღე მაყარა...

სიცოცხლეში მაშინ პირველად მომადგა ცრემლები (მაგრამ... არ ღირს ეხლა ამაზე ლაპარაკი და)... ჰო... მართლა... მე, რა თქმა უნდა, შემეძლო გაქცეულიყავი, მაგრამ (რამდენჯერ ვიმეორებ ამ სიტყვას, არა?) უეცრად ვიგრძენი, რომ მ ა ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ დ ა, სადამდე შეეძლო წიხლების ქნევა ამ ნალდაკრულ ჩლიქებს, შეეწყვიტე „ცრემლთფრქვევა“ და ყოველი მორიგი დარტყმის შემდეგ ამაყად აღვიმართებოდი ხოლმე მის წინ — მტვერსა და ჭუჭყში ამოვანგლული!

ეს ჩემი „ჰისტერიული“ მოქმედება მკითხველს შეიძლება ბანალური მოეჩვენოს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მე მ ა ი ნ ც მეჩვენებოდა, რომ ჩემს წინ ადამიანი კი არა, კლდე დგას, რომელსაც თ ვ ი თ ო ნ უ ნ-დ ა რომ შემომესხვრეს! (რა უცნაური გრძნობაა, არა, ბატონებო და ქალბატონებო?!) ჩემს წინ იდგა გაბოროტებული ბუნება, რომელსაც ადამიანის სახე მიეღო და დაუზოგავად მცემდა! ო, რა ნეტარებაა... ღმერთო ჩემო! კიდევ! კიდევ მე ყველაფერს ავიტან! უფრო მაგრად! ასე! მაწამეთ! მე თქვენ ხელებს დაგიკოცნით! ჩამაზილეთ წიხლები! — ისინი მე სხვა სამყაროსკენ მიხსნიან გზას! მუხლებში ჩაგვარდებით... შეეშრობა ლოყაზე ჩამოდენილ ცრემლებს! ამ თვალებში არ ვიზგიზებს შურისმაძიებლური ცეცხლი მტანჯველისადმი! მე თქვენ მიყვარხართ! ო, როგორ მიყვარხართ! დამილეწეთ სუსტი სახსრები! გამიყარეთ შანთები! დამასხით ადუღებული კუპრი! მე მაინც ხარხარით აღვიმართები თქვენს წინაშე... გავშლი ხელებს... და ვიდგები ასე... ახალი დარტყმის მოლოდინში!

●

ჰე! ჰე! ბატონო ევროპელო! ალბათ ფიქრობთ, რომ გული მინდა აგიჩვილოთ?! როგორ გეკადრებათ... ძალის გაგდებული ვიყო თუ ასეთი რამ თავში გავიელო... ნუთუ გგონიათ, რომ მე იმდენად დავიმცირებ თავს, რომ ფინია ლეკვივით კუდის ქიცინით გაგიგორდებით ფეხქვეშ და გეტყვით — ნახეთ, ეს ჩემი ტანჯვები ახალი რაღეაბია და იწამეთ მათი სიახლე გრძნობათა სფეროში-მეთქი?!

თქვენ ალბათ იმასაც იტყვით, რომ გეტყობა პროვინციელობა, ბოდიშს რომ გვიხდი და გინდა თავი იმართლო ვიღაცის თუ რაღაცის წინაშეო?! ადამიანი ყველგან ადამიანია, მისი სიხარული და მწუხარება ერთმანეთს გავს ყველგანო.

ესპანელ პოეტს, ლორკას (არ არის ეს ცუდი კაცი), აქვს ნახსენები ერთ თავის სტატიაში სიტყვა — „დ უ ე ნ დ ე“. მიწის ხმა, თუ ძალა! ერთი სიტყვით, ეს კაცი ამბობს — თუ „დ უ ე ნ დ ე“ არ ივრძნობა ხელოვანის შემოქმედებაში, დაღუპულია მაინცო!

აბა, რა გითხრათ, ბატონო, ესპანელებო! თუ თქვენი „დ უ ე ნ დ ე“ იმაში გამოიხატება, რომ პაპის ნუნცია ლეწეთ, ან ერთ ჭიქა არაყს დაურტყამთ და ჩახლეჩილი ხმით იმდერებთ არისტოკრატიული კახპებისა და დვთისმსახურების წინ, ჩვენი „დუენდე“ გვაიძულებს ვეფხვებს ვებრძოლოთ ან კლდეს შევემსხვრეთ...

ამ ნეტარებას ნუ ჩათვლით მაზოხიზმად, ბატონო ჩემო!

ჩემის აზრით, იგი იმდენად ახალი

მერაბ აბაშიძე
აკაკი მაჭახელები, კვაჭიმოდელ

გრძნობაა, რომ კაცობრიობას მისთვის ჯერ არ გამოუნახავს სახელი.

რა თქმა უნდა, იგი ამ შემთხვევაში ჩემია — მახინჯისა...

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მაინც სხვანაირია...

ეს არ გახლავთ ჰემინგუეის „წითურა ხრინწიანის“ მაზობიზმი...

მოდი, ნუ აიღებთ მას ხელში და ნუ დახედავთ დაცინვით..

ამ დაცინვას უკვე ნაღდად ვერ ავიტან!

4.

მკითხველმა, ასე თუ ისე, დაინახა, რას წარმოვადგენ! ახლა ძალიან მინდა გაგაცნოთ ჩემი და.

ჩამოართვი ბიძიას ხელი, ნინკა!

ხედავთ... რცხვენია! ყოველთვის ასეთი მორცხვი იყო... მორცხვი და ჭორფლიანი! მაგრამ ისე... ეს ჭორფლი სულაც არ აუშნოვებს! პირიქით, ალამაზებს კიდეც...

ნახეთ, რა ჩამოსხმული ტან-ფეხი აქვს... მაღალი მკერდი, სათნო იერი... ამასთან ერთად, რამდენიც შეუძლია, სითბოსაც იჩენს ჩემდამი, თუმცა... არ დავმალავ და მგონი მოხარული იქნება, თუ ერთ მშვენიერ დღეს თავგაჭეჭყილს მომიტანენ სახლში.

არა! თქვენ ერთი წამითაც არ იფიქროთ, რომ ამით ის იქნება ბედნიერი! არა! ის ფიქრობს, რომ ამით მე განვთავისუფლდები ტანჯვა-წამებისაგან! რა სასაცილოა, არა?!

ისე კი, ნინკაც პო�e (აპკუხ!) იეტური ნატურის მქონე არსებაა; როგორც შეიძლება იყოს ქალი, რომელიც კაპასი ხმით აცხადებს — რატომ გააყოლა ლევ ტოლსტოიმ ნატაშა პიერს ცოლად... თითქოს ამ წვერებიან ბაბუას ნებაზე იყო დამოკიდებული რაღ.

„ომი და მშვიდობა“ როგორც იქნა ჩაათავა და ახლა „ანა კარენინას“ შეუჩნდა... აიღებს ამ წიგნს ხელში, ჩაწვება ლოგინში, გადაფურცლავს, გადაფურცლავს და ერთი წუთის შემდეგ ისევის საწოლი ოთახიდან: აჰ! ოჰ! ეჰ!

არ ვიცი, ჩემი გაღიზიანება უნდა თუ იმდენად შტერია, რომ მარილა ხედავს იქ რამეს გულისამაჩუყებელს.

არა! მკითხველს არ ეგონოს, რომ ამ მწერალს პატივს არა ვცემ, მაგრამ ეს კაცი თვითონ დასცინოდა თავის გმირს და ღმერთო მომკალი, მე ვითონ რა ისეთი სკოლის გოგონა მნახეთ, რომ ამ ანაა თუ ვიღაცაა, გული ამიჩუყოს და ხბოსავით ცრემლები მადინოს!

ჰიჰ! არა... ნინკას არ გაემტყუნება, მაგრამ მე მაინც კონფუსიური კრუნჩხვები მომდის მეორე ოთახში, როცა ეს საცოდავი ქნავილი მესმის... და საერთოდ, ხელოვნების მიერ შექმნილი ვერც ერთი გმირის გრძნობებს ვერ ვიზიარებ, რადგან ვგრძნობ რომ ხელოვნება რამეშია.

ისე კი... ერთ რამეს ვნატრულობ; სომერსეტ მოემი მანახა სადმე მოფარებულში! რო გადავუხტებოდი და დავეჯღანებოდი! ჰო, ჰო, ჰო, რას მოცოცხავდა პირჯვრისწერით! ვერ ვიტანან ჭკუის დამრიგებელ ხალხს. ეს მოემი კი ნერვებზე მშლის პირდაპირ; ისე იტყვის, დაღვრემილი ღიმილითა და თავის ქიცინით: ჰე, შვილო, ახალგაზრდა ხარ ჯერ, დაღვინდები და მერე ენახოთ როგორ იჭიკჭიკებო.

ვიჭიკჭიკებ არა ბიჭო, ის არ გინდათ!

არა, დარტყმით არ დავარტყამდი. კიდევ რაღაც ისეთ ფილოსოფიურს მომატყუებდა — (აიჰჰ... იხილეთ აღტაინება მახინჯისაო, ან რამე ამდაგვარ გრამატიკულ-ისტორიულს), რომ სულ გადამრევდა და... მერე... ოოო! სხვანაირად დატრიალდებოდა საქმე!

ამ ბოლო დროს, როცა მისი „შეჯამება“ წავიკითხე, სულ წამიხდა გუნება... რას აჯამებს ეს კაცი, რომ ვერ გავიგე?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი რომანი აქვს კიდევ ვიდაც „გენოს“ მხატვარზე...

მართალი გითხრათ, სიტყვა „გენოსი“ იმდენად მორდლად ჩამესმის, რომ როცა მძინავს, სიზმარში მეჩვენება თითქოს ამ სიტყვაზე ხოჭოები დაცოცავენ.

ვერ წარმოიდგენთ, რა საშინლად მაქვს გაფაქიზებული გრძნობები

ჰი! ჰი! გვონია, რომ კიდევ ეროგენნილობ, არა?!

ეს საშინელი კოშმარია, უჰ!ჰ!...

კიდევ ერთხელ მომივიდა ასეთი რამ ერთი ჩემი თანამედროვე პოეტესა ქალის ლექსის კითხვის დროს... (არ გეტყვით ახლა ამ ლექსს რა ქვია) ჰოდა... მძინავს და... არ ვხედავ უცებ რომ ამ ლექსის სტრიქონებში ეს საზიზღარი ხოჭოები არ დაღოღავენ?!

შემზარავი ღრიალით გამოვიღვიძე...

ნინკა შემოვარდა პერანგისამარა: — რა მოგვიდაო!

— არაფერი, მომეჩვენა თითქოს ანა კარენინა უნდა შეეარდნილიყო მატარებლის ბორბლებქვეშ-მეთქი, — ვუპასუხე ოფლში მცურავმა.

5.

ერთადერთი კაცი, რომელთანაც საამსახურში საერთო ენა გამოვნახე, გივია. ვერ გეტყვით, რომ ის მეტად ჭკვიანი და მგრძნობიარეა, მაგრამ... ჰ... ჰ... ჰმ... მჰ! კეთილშობილებას ნამდვილად ვერ დაუკარგავ. ის კი არა და... რამდენჯერაც გვესტუმრა, იმდენჯერ ნინკას ყვავილები მოართვა. გივი ისტორიას ასწავლის სკოლაში, მე კი ქართულ ენასა და ლიტერატურას. ერთი წლის წინ დავამთავრე პედაგოგიური ინსტიტუტი. ხომ წარმოგიდგენიათ, რა თავზარი დაეცემოდა დირექტორს, როცა მის კაბინეტში გამოვცხადდი — დიპლომით ხელში.

გაშტერებული მიყურებდა... როგორც იქნა ამოღერღა — დაბრძანდითო. მეც ავიღე და სკამზე შევხტი, ფეხებიც ავაქანავე. მოღრეცილი სიფათი თანდათან გაუსწორდა და ცივი ხმით მკითხა — რა გნებავთო. (ისე კი — განთლების სამინისტროდან დარეკილი იყო, რომ პენსიაში გასული ვიღაც თვედორაძის ნაცვლად მალე მიიღებდა შემცვლელს).

დიპლომი არც გამოურთმევია; — ხვალ შემოიარეთ, ახლა საქმე მაქვსო, — მითხრა. მეც ავდექი და გამოვედი. მოსწავლეები გაოცებულნი მიშზერდნენ.

„ჯერ სადა ხართ — გავიფიქრე გუნებაში, — მაშინ ნახეთ, კლასში რომ გამოგეცხადებით“.

მეორე დღეს დირექტორი დამტკბარი დამიხვდა. ალბათ შეატყობინეს, რომ მიუხედავად „სიმმმ... აკეხ!... ახინჯისა“ დიდად ერუდირებული და განთლებული კაცი ვარ.

გამიბა საუბარი დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაზე, გამომკითხა (ო — არა, ა) ოჯახის განეალოგია, ესაო, ისაო, ერთი სიტყვით — ეტყობა გუშინდელი უტაქტო საქციელის გამოსწორებას აპირებდა. მეც... რა უნდა მექნა?! ყველაფერზე თავს ვუქციენებდი!

როცა კლასში გამოვცხადდი, ბავშვებს პირდაპირ განვუცხადე; — ძალიან გთხოვთ, ნუ მიაქცევთ ყურადღებას ჩემს მშვენიერ ვარეგნობას, ის თქვენ გონებას გაგიფანტავთ და ხელს შეგიშლით გაკვეთილის ათვისებაშიმეთქი.

(არადა, მე-9 კლასელებთან არ გინდა ასეთი გოგრით გაკვეთილის ჩატარება?!).

... მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ... არ მირევდნენ... ეჰ, ბავშვები, ბავშვები... მაშინ ისევ დამეუფლა რიღაც უცნაური გრძნობა, როცა დავინახე რა უცნაურად მიმზერდნენ... ასეთ რამეებს შეჩვეული არ გახლავართ და... უცებ ასეთი ლირიკა!

ვერა აბაშიძე
აქვთ მაზალეები, აკაზიმოდენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვგრძნობდი, რომ მიცოდებდნენ, მაგრამ არა ისე... როგორც სხვები! აქ უფრო დიდი რამ იყო! შ ე მ ზ ა რ ა ვ ი დ ა დ ი ა დ ი!

6.

როცა გივი გავიცანი, პირველად მოსულელო ტიპად მეჩვენა... აი ისეთად, თანამედროვე ქართველი მწერლებივით რომ იძახის: არ გვინდა ეს ფილოსოფოსობა, ბატონო, არა-ვოპ! დაწერე მტრედებზე-ვოპ, სიყვარულზე-ვოპ! ამ მშვენიერ ცაზე-ვოპ! ან არა და სხარტი იუმორით გაათბე მკითხველი, გაამხიარულე, გახეთქე სიცილით, აიკუნდრუკე მაიმუნივით, ტაში არტყმევინე და აგორავე მუცელზე ხელებშემოჭერილიო...

რა საჭიროა ეს ფილოსოფოსობა... აკცხიპ!

სწორია ჩემო შევარდნებო! თქვენ ნამდვილად არ უნდა იფილოსოფოსოთ. ჰოდა... რას ვამბობდი! გივიც ასეთ ტიპად მომეჩვენა-მეთქი... (—ყეყეჩად, მოკლედ რომ მოვჭრათ და მოვათავოთ). და რატომ?! ერთხელ კკითხე; რას იტყოდი, რელიგიურმა სამყარომ მგონია ახალი კერპი უნდა შექმნას იესოს მაგივრად, რომელსაც ტანი ქრისტესი ექნება, სახე კი ეშმაკისა-მეთქი?!

მიყურა... მიყურა და... არ გაიცინა?! ჯერ მეგონა, იმიტომ იცინის, რომ ბანალური რაღაცა წამოვრიშე, მერე თურმე ნუ იტყვით... მოეჩვენა თურმე, რომ მ ე ვ ფ ი ლ ო ს ო ფ ო ს ობ!

მაგიდასთან ვიჯექით, სამასწავლებლობა... წინ გრაფინი იდგა. ვიფიქრე, ავიღებ ახლა ამ გრაფინს და ჩავირტყამ თავში! ვინ მაიძულებს, რომ ასეთი რამეები ვიტიტიკო ამ იდიოტების წინაშე?!

მაგრამ, მიუხედავად ამისა, რაღაც საერთო მაინც ვნახეთ... არადა... დიდი სასაცილოები კი ვიყავით ალბათ, როცა ქუჩაში გავდიოდით; ის აყლაყუდა, გამხდარი, გაცქინტული ცხვირ-პირით, მე კი ჩემი ვეებერთელა თავით და მოკლე ტან-ფეხით...

ჯერ ვეჭვიანობდი, ნინკასთან რომ ყვავილები მოჰქონდა, მერე შევეჩვიე ამას და... თანაც, ესეც არ იყოს... ნინკას სულ ფეხებზეც არ ეკიდა ინ... (კი არა და ხანდახან ვხედავდი — როგორ აღიზიანებდა ამ კაცის სენტიმენტალური მოპყრობა).

ისე, მართლა დიდი უშნო ვინმე იყო, მე და ჩემმა მზემ. არა, მე რა თქმა უნდა, სხვაზე ხმის ამოღების უფლება არა მაქვს, მაგრამ, მაინც...

მუსიკა უყვარდა ჩვენს ძმას... — ბახიო! — ამბობდა — უჰო! ეს არის რაც არისო!.. ბეთჰოვენზე ხომ — მწუო!, აბა და ეგაო...

მართალი მოგახსენოთ და... მუსიკასთან ვერა ვარ კარგ დამოკიდებულებაში... არ ვიცი, რისი ბრალია ეს.

ახლა მოგიყვებით იმ „რთულ ინტელექტუალურ ჰი! ჰი! ჰი! დამოკიდებულებაზე“, რომელიც ჩვენს შორის დამყარდა. (ასეთ დამოკიდებულებას ორ უბედურ კაცს შორის დიდი ხნის ისტორია აქვს).

ე. ი. — ო რ ი ს უ ლ ი ე რ ი ს ა მ ყ ა რ ო;

ერთი — ტკბება მუსიკით,

მეორე — ბუნებით!

ორივე ერთი ხვითოა!

ს ა უ ბ რ ო ბ ე ნ ე რ თ მ ა ნ ე თ შ ი...

რაზე საუბრობენ?! — გონებამ არ იცის!

სული — გრძნოობ... სპ!

ჰოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ელ-პიდე ხარ თუ კიმოთე, შენ ვერც გრძნობ, გონია რას ვლაპარაკობ და არც გესმის და... დაკეტე აი წიგნი და ეიღე „მარგარიტა გოტიე“ ჯობია...

თქვენ კი, ბატონო ჩემო, — მიგდეთ ყური;

როგორ ფიქრობთ, რა დავარქვათ ამ საუბარს?! აბსტრაქტული?! ვერაპ! ვერ დავარქმევთ! რატომ?! იმიტომ რომ (ჩემის აზრით, ჩემის აზრით... თავზე არავის არ მოგახვევთ **საკუთარ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაზრებებს) აბსტრაქტული აზროვნება — გონებიდან და სულიდან წამოსული სინთეზის სხივების გადაკვეთის შედეგად მიღებული შუქის ჭავლია... აქ კი... ოპ! აქ გონებამ მოგვაპა ჭირი! არ გგრძნობ?! არა, კი, საუბრის დასაწყისში ჩვენ შეიძლება აბსტრაქტულად ვაზროვნებდით... მერე კი ავედით... ავედით... ავედით... (არ ჩამოვვარდებით, ძამია, ნუ გეშინია), და — გაქრა გონების სხივი (ჩემო ბეყეირათო იუმმმორორინტუელავ).

დარჩა სულიდან გადმოვარდნილი სინთეზის ზოლი...

ზოლი თანდათან გამკვრივდა და შიშველ, მგრძნობიარე ნერვად იქცა.

ორი შიშველი ნერვი დარჩა...

გაქრა ადამიანები, დრო, ყველაფერი...

გველივით იკლაკნებიან ეს ნერვები და ერთმანეთს ებრძვიან...

რომელი გაიმარჯვებს? ის, ვინც მუსიკის მელოდიებში ტკბება თუ ის, ვინც ბუნების სიდიადით თვრება და ნეტარებს?!

ბ უ ნ ე ბ ა ი მ ა რ ჯ ვ ე ბ ს! — რამეთუ მუსიკა შვილია მისი!

ბ უ ნ ე ბ ა — ყველაფრის მამა! ბრძენი მოხუცი!

ამ დროს ხდება ერთგვარი ჰინტელექტუალური ძერა... ბიძგი, და შენ გრძნობ რომ შენთან მოსაუბრე უკვე დამორჩილდა შენს „დ ი ა დ ს უ ლ ს“.

როცა ამას იგრძნობ, უნდა გაჩუმდე, ადგე და გაეხიდე...

მე კი ასე არ მოვიქეცი: როცა დაბნეულ გვის შევხედე, გადავიხარხარე და აღგზნებულმა შუბლზე წკაპურტი გავკარი — შე ქველო-მეთქი!

7.

ახლა აღარ გავაჭიანურებ ამ ამბავს და თხრობას იმ ადგილიდან განვაგრძობ, როცა ანდრომ როგორც იქნა ვაჩერა წიხლების კვრა და ბურტყუნით წავიდა თავისი მზეთუნახავისკენ. სისხლი ფურფურით ჩამომდიოდა, ტუჩები დახეთქილი მქონდა, დასიებულ ენას ძლივს ვაბრუნებდი პირში... მაინც ვხარხარებდი და წასულს ვაგინებდი... ის კი მიდიოდა, ხანდახან წარბშეკრული მომხედავდა ხოლმე.

— ჰეი! ეგ გომბიო ვინ არის შენი! — დავუყვირე მხიარულად.

შედგა.

— რას დადექი! — დავუღრიალე ისევ — კითხვაზე უპასუხე უფროსებს, შე ღორის დინგო შენს!

ერთი ნაბიჯი წინ წამოდგა... კბილები დაახრჭიალა და... ისევ მიტრიალდა.

ვოგო აკანკალებული ეცა... სახეზე ხელი ჩამოუსვა; „ეს რა უქნია იმ ნადირსო“, — ჩემი მისამართით ბრძანა და გზა განაგრძეს.

— დაგერტყა ერთიც! — დავსჭექე და გაკიდება დადავწყვიტე, მაგრამ ისე ვიყავი ძალაგამოცლილი, რომ მოთიბულ ძნასავით ჩავიკეცე იქვე...

როგორც იქნა, წამოვდექი და სახლისკენ წავბარბაცდი.

კართან მივაღწიე და... ისევ დავეცი. ვეგდე ასე, ერთსართულიანი სახლის ქვის კიბეებზე... ცისკენ მიშვერილი, დაჭყეტილი თვალებით. ეტყობა ნინკა შინ არ იყო, თორემ ასეთ ბრახუნს ნამდვილად გაიგონებდა...

„არა, ცა ხანდახან კლდეზე ნაკლებ როდი ატკბობს ადამიანის სულს“ — გავიფიქრე მთლად სისხლში მოთხვრილმა და აცახცახებული ხელი ჩამოვისვი დახეთქილ შუბლზე. უცებ ისევ წამომიარა რადაც უჩვეულო გრძნობამ... სკოლაში, ბავშვების წინ რომ დამემართა... თითქოს ყელში რაღაც ჩამწყდა... მაგრამ... შევიმაგრე თავი და... გავიცინე!

დიდხანს ვიყავი ასე. როგორც იქნა, ნინკაც გამოჩნდა, თავის მეგობარ ქალბატონთან ერთად. დამინახეს თუ

ბეჟანა ალაშიძე
აკაკი მაშანლეანი, კაკაჩიმოლი

არა, შეჰკივლეს და ჩემსკენ გამოიქცნენ.

— რაო?! — მივმართე აღრენილმა — რა წიოკობა ატეხეთ?!

ჯერ ხელის მოკიდება ვერ გამიბედეს... სისხლში ვცურავდი... მათ კი ახალი-ახალი კაბები ეცვათ. მერე, ეტყობა, ნინკამ თავის გამოჩენა გადაწყვიტა თავისი ჰუმანურობით და თავგაწირული, ამაყი სახით მომვარდა (ჰო, რას არ გაიღებთ ხანდახან მსხვერპლად რომ კეთილშობილნი გამოჩნდეთ).

სულ ერთიანად მოეთხუპნა ახალი, შავწინწკლებიანი თეთრი კაბა.

ხელში აყვანილი მიმათრიეს ლოგინამდე და დამდეს. გზაში ორჯერ კიბიდან გავფეთრდი... (ვითომ დიდი მძიმე მე ვარ, რომ კიდევ ხელიდან ვუსხლტები).

შარვალი თვითონ წამოვიხადე. სულ არ მოვრიდებივარ მის ამხანაგს. ის კაცად არ მთვლის და მე რატომ უნდა დავუწყო ბევრი ცერემონიები?!

— აბა, ეხლა მო... დამტოვეთ (მოუსვით-მეთქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ ვიგრძენი, რომ უმადურობა იქნებოდა).

ნინკა იოდის და შესახვევის მოსატანად გავარდა.

— თავისით გახმება, — ვუთხარი მე (რა სასიამოვნოა უყურო, საყვარელი და რა ძოწოლით გიხვევს ჭრილობებს, — აქაოდა ამის მუნიან თავს არ შევეხოო).

როგორც იქნა, შემიხვია...

ამ პროცესის ჟამს, სანამ ის თვალებში ზიზღჩამდგარი, ჩემს თავზე დახრილი, ცოდიღლობდა, სიშმაგე მეუფლებოდა, და როცა ყველაფერს მორჩა, ჩემმა გაფთრებამაც ზენიტს მიაღწია...

— ნინკა! — დავუყვირე აღგზნებულმა — რა კარგი და სათნო გოგო ხარ, ნინკა!

ხელის ერთი მოქნევით ჩამოვიგლიჯე გასისხლიანებული სახვევი, ლოგინზე აღვიმართე და ავაფრიალე. ნემი და გაოცებული მიყურებდა.

— რა კეთილი გოგო ხარ, ნინკა! — ვღრიალებდი და გიჟივით ვხტოდი.

ოთახში მისი დაქალიც შემოპაკუნდა.

დადგნენ და მიყურებენ შტერებივით.

— ნინკა! — ვბღაოდი მთელი ხმით — სახვევი, რომელიც შენ ალყასავით შემოავლე ჩემს ციხე-სიმაგრეს, მეტად ვიწროა... მე უნდა გავაფრიალო იგი! ვიცი, ამის გამო შეიძლება სისხლისაგან დავიცალო, მაგრამ იძულებული ვარ ასე მოვიქცე. მე თავისუფლება მიყვარს ქალბატონებო! მე არ მჭირდება თქვენი იოდები და ბანდები ჯერ მცემთ, მერე მმკურნალობთ, არა? წყეულიმც იყავით! ასე თქვენ ვინმე უწლოვანს შეგიძლიათ მოექცეთ! მე კი... ცემაზეც მადლობელი ვარ. მცემეთ... ოღონდ მერე ჭრილობებს ნუღარ შემიხვევთ! და თუ შემიხვევთ, ნუღარ შემომხედავთ... (ზიზღით-მეთქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ ჩემმა უკუდო ამპარტავნობამ პირზე ხელი ამაფარა).

ძალაგამოცლილი ჩავეწარცხე ლოგინში, ერთხანს ასე გავირინდე, მაგრამ იმ წუთშივე მივხვდი, რომ ეს არ იყო იმ კაცის გარინდება, რომელიც მოპოვებული გამარჯვებით ტკბება. ერთი კიდევ დავაპირე წამოსტომა, მაგრამ უკვე აღარაფრის თავი აღარ მქონდა; ბალიშში ჩავეფხვე და მკვდრივით ჩამეძინა.

8.

მეორე დილასაც ასეთივე ხასიათზე გავიღვიძე. კაი 9 საათი იყო უკვე... ერთი კი გავიფიქრე, ასე სკოლაში წასვლა არ ღირს-მეთქი, და... უცებ ვიგრძენი, რომ საშინლად მინდოდა ბავშვების ნახვა.

კლასში შესვლისთანავე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა...

მოსწავლეები გაოცებულნი მიმზერდნენ (ალბათ ვადაკრულშიც ვეგონე ცოტა).

— ბავშვებო! — მივმართე ერთიან-

ნად აცახცახებულმა, — ჩემო კარგო ბავშვებო! (ვგრძნობდი, რომ სისულელე იყო იმაზე ლაპარაკი, რაზეც მათთან მსურდა მესაუბრა, მაგრამ... მე მსმენელი მჭირდებოდა ბატონებო! ვგიჟდებოდი, ისე მინდოდა ვიღაცას ყური დაეგდო ჩემთვის!).

— ბავშვებო, — ხმა ჩამეხრინწა აღელვებისაგან, — მე არასოდეს არ მილაპარაკია იმაზე, რაც ახლა უნდა გითხრათ, ვიცი... არ ვიქცევი სწორად, ვიცი... ზოგიერთს არც დაგაინტერესებთ... მაგრამ მე მგონი ეს ნიკო ლოგოურზე საინტერესო უნდა იყოს! დღეს კი პროგრამით ამ მწერლის შემოქმედება უნდა განგვეხილა)... ბავშვებო! შეხედეთ ამ მინის საყვავილეს! (ხელში აეტაცე მოგრძო ზომის ვაზა და ზევით შევექნე) არადა... იმ წამსვე მიეხვდი, რომ სულაც არ მსურდა ამ საგანზე საუბარი. რაღაც სხვა უნდა მეთქვა... სარცხვინლით გავწითლდი კიდეც. რა შუაში იყო ეს საწყალი საყვავილე?.. მაგრამ თავი იმით დავიმშვიდე, რომ საყვავილედან დავიწყებული საუბარს და მერე უფრო ღრმადაც შევეჩეკბოდი... მე მინდოდა ამეტოკებინა ეს პატარა, ჩვილი სულები, შევხებოდი ამ სულებში გადაჭიმულ სიმებს და ამეკლერებინა ისინი... მათ მე არასოდეს არ მოვექცეოდი ისე, როგორც გვის გავუკეთე — შუბლზე რომ წკიპურტი დავარტყი.

მაგრამ არ ვიცი... რა იყო ის უბილავი ძალა, რომელმაც იმ დღეს მაიძულა ენა პირში ჩამეგდო და ასე... საყვავილით ხელში, გაკეთილის დამთავრებამდე, ქანდაკებასავით ვმდგარიყავი ამ უცოდველი კრავების წინ!

9.

მკედარივით წვალასლასდი სახლისკენ. გზაზე ისევ შემომეყარნენ ანდროს ამფსონები (თვითონ არ გახლდათ), მაგრამ ხმა არავის გაუცია... ერთი კი უცნაურად გადმომხედეს: ალბათ ისეთი დატანჯული სახე მქონდა, რომ იფიქრეს — არ ღირს დღეს არევაო. უმჯობესი გავიარე წარბშეკრულ სიფათებს შორის და ეკლესიის ბაღში შევედი.

სკამზე დავჯექი.

ეზოში საყდრის გლახები იჯდნენ.

მომკალი და ვერ ვიტან ამ ხალხს...

მღვდლისა და მორწმუნის ყურება კიდევ შემძძლია, კიდევ, მაგრამ ამ ჩემსკენ გამოშვერილ ხელებს რომ ვუყურებ... ჰიჰ.

— ეს პეშვები ზოგიერთ რეგვენს ყულაბა ჰგონია და ყრის შიგ. შაურიანებს და ორშაურიანებს. ზოგი „წკაპანდანი“ მანეთიანსაც გაიმეტებს ხანდახან.

ჰიჰ! კეთილშობილო კაცობრიობავ, გგონია მაგით გამოისყიდი შენს ცოდვებს?

მიდით, მიდით ბატონო კეთილშობილნო, ყარეთ საფურთხებელში ოქროს თუმნიანები... მე კი... მე... მცემეთ, კბილები ამომიმტვრიეთ, პუჭყსა და მტვერში მაგორავეთ და დაცინვით მირტყეთ პანღურები!

მირტყეთ, ბატონებო! მე მაინც ყველაფერს ავიტან!

●

ვერ ვამჩნევდი და თურმე, როცა ამას ვფიქრობდი, თან ხელებსაც ვიქნევდი და მუშტებსაც ვუღერებდი ვიღაცას...

მხარზე ვიღაცა შემეხო...

გველნაკბენივით მოვბრუნდი.

ჩემს წინ მოღიმარე მღვდელი იდგა.

— ოჰ! თქვენ ბრძანდებით! — დიდის ამბით „თაყვანი ვეცი“ (თან თვითონ გამიკვირდა, როგორ გავუბედე

მერაბ აბაშიძე
აქეთ მაშახლები, კვაჭიკოდო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ კაცს ასეთი მასხრული ტონით მიმართავ).

იმნაც ისე შემომხედა, როგორც მისი შვილი მიყურებს ხოლმე. გადაწყვეტე. არ შეეშფოთებულიყავი. ისე ვიყავი ატაცებული, რომ სულ ფეხებზე მეკიდა, გადასცემდა თუ არა ამ ამბავს თავის ვაჟბატონს. (თქვენ, ალბათ, გაგაკვირვებთ გრძნობათა ასეთი შეუსაბამობა; თუ მაზოხისტი ხარ, და ცემა გსიამოვნებს, მაშ რიღასი გეშინია შე ძაღლის გაგდებულოო — მეტყვით. თქვენ წარმოიდგინეთ მე კბენის ისე არ მეშინია, როგორც ყეფის. ჰამ... ჰამ და გავრბივარ ხოლმე. აკი იმ დღესაც ასე იყო... ჯერ გავიქეცი, მერე კი, როცა უკვე მომხვდა მაგარმაგარი, — გავმაგრდი და ყოველ დარტყმაზე სულ უფრო ვკაჟდებოდი და ვფოლადდებოდი).

— რაო, წმიდაო, — ვკითხე ჩემი მოულოდნელი დამცინავი კილოთი გაოგნებულ მღვდელს — არ მოგწონს ჩემი სისხლიანი სიფათი, არა?!

მიყურა, მიყურა... მერე თავი რაღაც ზიზღნარევად გადაიქნია, გულზე ჩამოკიდებული ჯვარი შეისწორა და გამცილდა.

ერთხანს გაშეშებული ვიდექი. რატომღაც საშინლად იმოქმედა ამ შემოხედვამ.

გავეკიდე... გაფთრებული ვეცი ანაფორის კალთაში და შემოვაბრუნე.

— რაო! — დაეუღრიალე და გაოცებისაგან თვალებდაჭყეტილს სახესთან სულ ახლოს მივუტანე სახე — რაო! არ მოგწონვარ, მამაო?! მე კი მეგონა რომ შენ მაინც არ იუკადრისებდი ჩემთვის თავზე ხელის გადასმას!

წმინდანის იერით შემომყურებდა და ეს უფრო მაცოფებდა. მის თვალში მე ალბათ ეშმაკი გახლდიო. თუმცა, მგონი თვითონ არც იესო წამდა და არც სატანა.

— წადი შინ!

ჰოჰ, ბიჭო! რა უბრალო და მოწყალე ტონით გადმომიგდო. ესეც დიდი ჰუმანურობა და ფილოსოფიაა. თქვენს მხრივ.

— არა მამაო! — მოვიკატუნე უცებ თავი — სახლში ჩემი და არ არის, მე კი მშია... თუ ნებას დამრთავ, შენთან წამოვალ.

შემცბარმა შემომხედა. თვალები მოჭუტა და...

— წამოდიო, — არ ამოსცრა უცებ...

(წამოდიო! — ვაპაპაპაპაპა... წამოდიო — ვოპოპოპოპო...

სიშმაგემ შემიპყრო... მაგრამ თავი შევიკავე, თან მეტად სასიამოვნო იყო ამ კაცთან საუბარი.

— არ გეწყინოს ძია თოდა... — ვუთხარი უცებ დარცხვენილი სახით — ამ ბოლო დროს რაღაც მემართება.. პირდაპარ არ ვიცი რა მომდის...

ნაძალადევად გამიღიმა... ხელი წამოიღო... მგონი თავზე მოცაცუნებას მიპირებდა, მაგრამ ეტყობა ეეღარ გარისკა და ბეჭებზე მომიფათურა, თან ეტყობა გასაქცევად იყო მზად. (ფიქრობდა ალბათ — გაგიქდაო).

— ხელი იქით! — ვუყვირე ისევ და ელდანაკრავიკით გადავხტი უკან.

პირჯვარი არ გადაწერა?!

პირჯვარი გადაიწერაო?! ეეღარ მოვითმინე, კისერში ვეცი, ჯვარი ჩამოვგლეჯე და ფეხებთან დავუგდე.

— აიღე! — მითხრა აკანკალებული ხმით.

საზარლად გადავიხარხარე..

— აიღე!

იგივე პასუხი...

— აიღე, თორემ დაგწყევლი!

ახლა კი მართლა დავიხარე, ავიღე, ის იყო... როგორც ჩაფიქრებული მქონდა, შორს უნდა მომესროლა, რომ... უცებ რაღაც ღმუილი შემომესმა...

ჩემსკენ გავეშებული ანდრო მორბოდა... (ეტყობა ფანჯრიდან აკვირდებოდა ამ ამბავს) ახლა კი ვეკადრე და მოვცოცხე... ჯვრით ხელში!

ხარხარით მივრბოდი ქუჩაში.

ოქროთი მოსირმული ვერცხლის

ჯვარი თვალისმომჭრელად ელავდა მზეზე. გამელვლები გაოცებულნი ჩერდებოდნენ.

— კურთხეულ იყავით! კურთხეულ! კურთხეულ! — ვბღაოდი მთელი ხმით და გავრბოდი. ანდრო ფეხდაფეხ მომდევდა. გზაზე ბავშვიანი ქალი შემომხვდა... შევეჯახე და ორივე გავშხლართეთ... ჰოო! რა დაიღნაკლა პატარამ! მაინც არ გავჩერებულვარ! მე მომდევენ, ბატონებო! მე მომდევენ! აი, ვიღაც ბერიკაცი ავაყრიალეე... ბა... ბა... ბა... რა წყეული მომადევნა!

— არ მომიგა! ღმერთი დამიფარავს! — დავუყვირე მხიარულად და ჯვარი ჰაერში შევათამაშე.

წამით შევდექი სულის მოსაბრუნებლად და... ეს ნაბიჭვარიც აქვე არ არის!

ერთი ცრუ მოძრაობა, მეორე... და... ჰოლლა! ისევ თავისუფალი ვარ! თავისუფლება, ბატონებო! გაუმარჯოს თავისუფლებას!! კურთხეულ იყავ ჩემო თავისუფლებავ! ამინ!

აი... მგონი ისევ მიახლოვდებიან! არ მიმტყუნოთ ჩემო მოგრეხილო, პაწია ფეხებო! თქვენ შეჩვეული ხართ სირბილს! ახლაც იკარგეთ! გამაქროლეთ და დამიფარეთ! ჰე! ჰე! ჩლიქებითა და ჯვრითა მივდივარ თქვენსკენ ბატონებო და ქალბატონებო! ილოცეთ ჩემზე! მოგვევლინეთ ახალი კერპი! მაგრამ ჯერ დამმალეთ... ნუ ჩამაგდებთ იმ ბილწი იუდეველის ხელში... ჩქარა... ჩქარა... აი... ისევ მტაცა ქეჩოში ხელი... მაგრამ... არა... არაფერი შეგეშალოს! ეგ მხოლოდ ჩემი პერანგია! მე კი აქა ვარ... შეწეწე წინ! ვაჰაჰაჰაჰ!.. ვოჰოჰოჰოჰო!.. ყეყეჩო! მღვდლის შვილო! ძაღლის გაგდებულო! — მე ბუნების შვილი გახლავარ, ძნელია ჩემი დაჭერა! ოპ! ოპ! ცოტა ფრთხილად! საფურთხებლისთვის ფეხის მირტყმა არ გიშველიან! თანაც შეიძლება ჯარიმაც მოგატყეპონ! რაო, ქალიშვილო?! რას გამომადევნე გაკვირვებული თვალები?! გგონია მხდალი ვარ და იმიტომ გავრბივარ?! როგორ გეკადრებათ! ჩვენ მორბენლები გახლავართ! ის კაცი ჩემი მეგობარია! ნიძლავი გვაქვა დადებული... ვინც „ფინიშთან“ პირველი მივა და ამ ჯვარს იქ მიიტანს, ოდი გასაძრჯელო ხვდება წილად! არ ეიცი, რა იქნება საჩუქრად, მაგრამ ის კაცი თუ დამეწია, მაშინ რომ სხვა გასამოჯელოს მივიღებ, ეგ ნაღდია! ოპ! ოპ! „დონნერვეტერ! გებენ ზი მ რ აინ ანელფ... ბიტტერ! ოპ... მაინე კლაინენ... კლაინენ ვერ?! ნიხტ ფერზეტეკენ?! მაინე ფუსხენ... ია! ია! შნელლერ! შნელლერ კამერადენ! ო, მაინ გოტ! ერ გეჰოლტ მაინ რუფ უნდ შტეკტ ვი აინ ეზელ! ენდე! ოპ!“

ოფლში გაღვრილმა მოგზედე შუა გზაზე დამდგარ, აქოშინებულ, ვირივით ყურებჩამოყრილ ანდროს... მუშტი მოვუღერე და კიდეკ ერთხელ გადავიხარხარე!

9.

შუაღამემდე ვიცდიდი ერთი ჩაბნელებული ჩიხის კუთხეში. როგორც კი ჩამოწვვარამდა, ფრთხილად გამოვედი და... სად უნდა წავსულიყავი?.. ასე, ნახევრად შიშველი! ბოლოსდაბოლოს — ციოდა. სახლში მისკლამდე — გავიყინებოდი. გადავწყვიტე გივის ესტუმრებოდი. (იქვე ცხოვრობდა). მივდიოდი და ვფიქრობდი, როგორ შთაბეჭდილებას მოვახდენდი მასზე — ასე, გახდილი და ჯვრით ხელში. მეცინებოდა, როცა მის გამოთაყვანებულ სახეს წარმოვიდგენდი.

ასეც მოხდა. გამიღო კარი და... არ მომიხურა, ბიჭო, უცებ გველნაკბენივით. აკანრიალდი. (მაგრამ რა მექირ-ქილებოდა — ვიყინებოდი კაცი) დავურახუნე... (ცოტა არ იყოს მეწყინა კიდეც).

კაი ნახევარი საათი მაყურყუტა... მერე ცხვირის წვერი ფრთხილად გამოყო ღრეჭოდან, დამაკვირდა (ალ-

მერაბ აბაშიძე
აპეთ მაზხალები, კვაზიმოდო!

ბათ ფიქრობდა: გაგიჟდა თუ რა დაემართაო).

ამ უხმო შეკითხვას სიტყვიერი პასუხი გავეცი (თანაც ერთი სამსართულიანი).

მაშინ კი იკადრა და გამიღო.

შევვარდი და პირდაპირ მის ლოგინში ჩავხტი...

— ყავას გაგიკეთებ — არ შეიმჩნია უსიამოვნო გრძნობა, რომელიც თბილ სარეცელთან უეცარმა გამოთხოვებამ გამოიწვია.

— ვინ დაგიშალა... — ეუთხარი და ხელი მის სასთუმალთან დადებულ მოთხრობების წიგნს დავალე... სარტრიან! ოჰოჰ! არც ეს არის ცუდი კაცი, მაგრამ მთელი ჩემი სიცოცხლე მაინტერესებდა, ამასაც უყვარდა თუ არა ნაპოლეონი. იმასაც რომ მოვკარი ყური... (ისე... სადღაც, გაკვრით), რომ ქან-ქაკ რუსოს მკვლელი ცოცხალი და საღსალამათი გაუშვეს, ხომ სულ გავგიჟდი და ცოფები ვყარე...

ისე, ყოველთვის ვოცნებობდი, რუსოს მკვლელი ძანახა სადმე ხელებშეკრული-თქვა... ვაი! მე წამების ხერხებს მოვიგონებდი?! ჯერ არნახულს, ბატონებო! ორი კაცის წამებაზე ვოცნებობდი მუდამ — თვით ჰიტლერის და შემდეგ რუსოს მკვლელისა. ხომ არ გგონიათ, ისე ვცემდი, თქვენ რომ მირახუნებთ ხოლმე?! ჰუჰ!

მაგრამ.. ჰიტლერს მიეზღო მგონი საკადრისი. ერთი კი საწყენია, რომ უკვე მკვდარს წაუკიდეს ცეცხლი და არა ცოცხალს.

ო, როგორი სიამოვნებით გავუძღვებოდი მოედანზე დაყრილი ფიჩხისკენ ხელებშეკრულ ჯალათებს! (ჰო! ჯერ ვაწამებდი, ეს არ დაგვავიწყდეს)... მერე... ეს ვინ არის? ნერონი, კალიგულა, მაკედონელი, ესეც ჩემი ერის შეურაცხმყოფელი შაჰ-აბასი, ეს კიდე ნაპოლეონი! აბა, ბატონებო, რას გვეტყვით სიკვდილის წინ?! თუმცა... ვერაფერს... ენები უკვე დილეგში ამოგაგლეჯეთ მარწუხებით. მუწჯურად მანიშნეთ, ინანებთ თუ არა დანაშაულს. ნაპოლეონი პირქუშად დუმს. ასევე მაკედონელიც. ჰიტლერი ანთებული თვალებით მიმზერს... ჰე, ჰე... დაგთხრიდი მაგ ნაკვერჩხლებს, მაგრამ მინდა უყურო ამ აუტოდაფეს...

აბა, ახლა კი მომაწოდეთ მაშხალები!

მე! დიდთავა მახინჯი — ბრალს გდებთ სიმშვენიერისა და ადამიანური წმინდა გრძნობების შეურაცხყოფისათვის!

აქეთ მაშხალები.. კვაზიმოდო!

აი, ისიც მორბის... ჩემი ძველი ამფსონი და ამქარი! რა მოხდებოდა მისი ჯანი მოეცა ღმერთს ჩემთვის.

არა, კვაზო... არ დაგანებებ! მე უნდა წავუკიდო ამათ ცეცხლი! მე!

თქვენი სახელით, ბატონებო! — კონცლაგერში დაბუგული ბავშვებისა და სახრჩობელაზე ჩამოკიდებული მოხუცების სახელით!

ცირკში მოსასპარეზე, მკერდშემსხვრეული გლადიატორების სახელით!

ნამუსსდილი დებისა და ცოლების სახელით!

ქან-ქაკ რუსოს სახელით!

სიყვარულის სახელით!

თავისუფლების სახელით!

ჰაჰა! აგარდა საშინელი სამსჯავროს კოცონს პირველი ალი!

ო, როგორ დაიტაკაცუნა და გაშალა ფრთები მცხუნვარე ქარიშხალმა!

მიდი, წითელო, უძლეველო არწივო, დაუღადრე ბასრი კლანჭებით სხეულები მტარვალებს!

ჰაჰა! ცოცხლად იწვიან ჯალათები!

იზეიმე, კაცობრიობავ!

ო, რა ამაყი და კეთილშობილი ჩანხარ — ამ ვარდისფერ შუქში გახვეული!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა ისეთი იერი გაქვს, რომ ლამისაა დამავწყდეს შენი წყლპურტუნები და ყველაფერი გაპატიო!

●

— ეგ სად იშოვნე, — შემოვიდა ოთახში ყავის ორი ჭიქით ხელში გივი.

— ჰა... ო, ეს იმ სარწმუნოებრივ ბრძოლაში! — ჩავიცინე, ჯვარი საწოლზე დავაგდე, ჭიქა გამოვართვი და ცხელი ყავა ელვის სისწრაფით გადავუშვი ყრონტში.

— რეპეტე! — გავუწოდე ცარიელი ფინჯანი.

გაოცებულმა შემომხედა... ადგა, სამზარეულოში გავიდა... ერთხანს იქ იფათურა... მერე მსხვრევის ხმა შემომესმა, შემდეგ გაურკვეველი ბურტყუნი და ბოლოს ისევ დაიმსხვრა რაღაც.

რა ფეხი მაქვს, დაგენაცვლეთ! სადაც არ უნდა მივიდე, ყველგან რეგოლუციური განწყობილება შემაქვს... თეფშებმაც კი იგრძენეს, რომ მეორე ოთახში თვით ამბოხება ზის — სარტრის მოთხრობების კრებულით ხელში...

როგორც იქნა, შემოვიდა... მაგრამ ისევ ლოგინთან კი არ მოსულა, ოთახის შუაგულში მდგარ მაგიდაზე დადო ჭიქა — თუ გნებავს, მოდი და მიირთვიო...

რა ძალა იყო! ავდექი... მივედი... ავიღე... ბა... ბა... ბა... რა შემცივდა უცებ! გავქანდი და სკუმ! ... ისევ საწოლში! ვაი... ვაი... ვაი!.. ტფუ! ამ ხტომა-ხტომაში ცხელი ყავა ზედ თაგზე არ გადავისხი?! თან მთელი ზეწარი მოვთხვარე!

გაშტერებულმა შემომხედა...

— არ გამიჯავრდე, რა! — დავეჯღანე და ორი თითი ყელზე მივიდე.

ერთხანს ასე მიყურა... მერე თავი გადაქნია...

(ერთი რამე მაქვს შემჩნეული... ჩემს მოქმედებაზე ყველა თავს აქნევს... ნუთუ მართლა სულელი ვგონივარ ამ ხალხს... ჰა? მეკითხველო? ერთიც გავიხედოთ და ამ ქიცინ-ქიცინში ის თავი კომბოსტოსავით მოძვრათ?)

— ახლა რომ მოსწავლეებმა გნახონ! — დაირთხრობა უცებ.

(ბრძენია, რა! რა არ მოუვა აზრად!).

— ამაზე უარეს დღეში ვუნახივარ! — ვუპასუხე ძმვიდად (ვეჰ. ეს არ არის? ამისი ყავა აქ არ დგას, კაცო?!).

— შენ გაგიმარჯოს, ჩემო „პლუტარქ“! — ავწიე „სასმისი“ და ისიც — ყლუმპ!

— ძილს არ აპირებ?! — მკითხა... — ხვალ პირველი გაკვეთილი გაქვს ბგონი...

უცებ გამახსენდა რომ... არადა... გაცდენაც არ შეიძლება.... დირექტორმა ბრძანა — კომისია მოდის განათლების სამინისტროდან.

— რომელი საათია? — ვკითხე შეფიქრიანებულმა...

— სამია დაწყებული...

თავი მოვიქექე...

— მართლა! — ვეუბნები შემპარავად — ბავშვობის ტანსაცმელი ხომ არა გაქვს რამე შემორჩენილი?!

— რად გინდაო? — გაოცებული...

— აბა, ასე, შიშველი, ჯვრით ხელში გამოვცხადდე გაკვეთილზე?

მიყურა... მიყურა... და... არ გაიცინა?!

— არაო! — ბატონიშვილო — ბავშვობის ტანსაცმელი აღარ დამრჩაო...

— სულ მუზეუმმა წაიღო? — „შევშფოთდი“ მე...

ბრიყვულად მიყურებს და იღრიჯება (სადაა ახლა ერთი ლაყე კვერცხი!).

— არ წავალ და ის იქნება, — ვოქვი უცებ, — გაგდებით ვერ გამაგდებენ და...

ბერაბ აბაშიძე
აკეთ მაშხალეიი, კვაზიმოდო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატომ გგონია ვითომ? ერთი სული აქვთ, რამე შარი მოგდონ, რათა კიბწისკვრით მიგაბრძანონო... მაგრამ ალარ დაამთავრა).

გული უცნაურად შემიფართქალდა და მომეწურა. მაინც არ შევიმჩნევ; გაცინება ვცადე... არ გამომივიდა.

— დავიძინოთ? — გაბზარული ხმით ვკითხე (რაღაც ხომ უნდა მეთქვა).

— დილით რას ჩაიცვამ მაინც?

— სახლში გავალ და იქ...

— მეზობელს გამოვართმევდი... მაგრამ უხერხულია...

— მაღვიძარა თუ გაქვს?

— ჰა... არა... მაღვიძარა არა მაქვს...

ჩავფიქრდი.

— შენ რომ გახვიდე და მომიტანო?

— ჰა?.. კი, ბატონო... — თქვა ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ, — მაგრამ...

— რა მაგრამ?

ხელის თითებით მაჩვენა — ფული იოხ-ო.

(არადა... სწორია... ჩემი სახლი აქედან ათ კილომეტრზეა, ტროლეიბუსით ხომ არ წავა).

— ტფუ, — „გავბრაზდი“, — სამი მანეთი არა გაქვს, ბიჭო?

— „არაო“ — მუნჯურად, დარცხვენით...

— ეგ მაინც ესესხე მეზობელს...

— მოვიფიქრებთ რამეს... — თქვა და ტახტზე წამოკოტრიალდა.

არადა... რა დამაძინებდა...

ჩემს ისედაც აღგზნებულ ხასიათს ორი ჭიქა ყავაც მიემატა და... კარგად მეყოლეთ აწი!

ეჰ... ბატონებო... თუ-ცა არა... არაფერს არ ვიტყვი...

ჰი! ჰი! ჰი!.. ერთხელ უკვე მოგახსენეთ, რომ არა ვარ ისეთი პრიმიტიული და მეშჩანი არსება, რომ წუწუნი დავიწყო ჩემს ტკივილებზე.

განვაცხადებ — რ ი ს გ ა ნ ა ა ტ კ ი ვ ი ლ ი გ ა მ ო წ ვ ე უ ლ ი, მაგრამ მ ტ კ ი ვ ა-მეთქი... ოოო, ამას არასოდეს არ ვიტყვი.

ჰეი, ჩემო სიმახინჯევ! უფლით ნაბოძებო!

გაგიკვირდება, ისეთი რამ უნდა ვინატრო ახლა: მინდა რომ არსებობდნენ შავი ყვავილები...

მოვწყვეტდი ორ ცალს.. დავიდებდი სასთუმალთან...

როცა ღამე მობრძანდებოდა, — ავიღებდი მათ ხელში და სახესთან მივიტანდი...

იცით, რა არის ეს ორი შავი ყვავილი?

ისინი ღამის თვალებია!

ო, რა ცისფერი ალი მოვლებიათ გარშემო...

ღია სამარეში ვწევარ

ბნელა.

რაღაც მოწითალო, ჭრელი პეპლები დფრინავენ ირგვლივ...

ეს რა არის? პატარა, ლაჟვარდოვანი ბაყაყი მოვიდა და გულზე ამაღოდა..

ო, რა ნაღვლიანი თვალებით მიმზერს...

მინდა მოვეფერო...

ხელს ვკიდებ... მუჭში ვიმწყვდევ... ის კი სპონტანეურად მისხლტება და სახეზე მეტყლაპნება უშნოდ გაჩაჩხული ხელ-ფეხით...

მსიამოვნებს შუბლზე მისი გრილი, წყნარად მფეთქავი სხეული...

ცოდან ბრჭყვიალა ფოთლები ცვივა...

მინდა ვუყურო ამ არაჩვეულებრივ ფოთოლცვენას..

ბაყაყი ზედვას მიშლის...

ფრთხილად ვიშორებ სახიდან...

მოვიშორე... მაგრამ იმ ფოთლებს უკვე პირთამდე აუვსიათ საფლავი...

ხელებს ვიქნევ..

მინდა ცას შევეხედო, მაგრამ ბრჭყვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალა ფოთლები გულის შემაწუხებლად ხრაჭუნებენ...

იმსხვრევიან...

მტვრად იქცევიან...

და ჰაერის ნაცვლად ამ მტვერს ვისუნთქავ...

სუნთქვა მეკვრის...

ვიბრაცია...

ვხროტინებ...

განწირული ხმით მოვითხოვ შველას...

ვიღაც ხელს მიწვდის...

ვეძალუქები...

●

— რა მოგვიდა? — შეშფოთებული ხმით მეკითხება გივი.

იმ წუთშივე ვერკვევი გარემოში.

(ტფუ! მაინც ჩამძინებია!).

— რომელი საათია?

— კაი ცხრის ნახევარია უკვე...

— ერიჭა! — წამოვხტი ლოგინიდან და... ავდუღდ.., — რას შვები, მერე?

— რა უნდა ვქნა, — აიჩეჩა მხრები — მეც ამ წუთში გამეღვიძა... ისე იყვირე რო...

(არადა... მართლა რაში ვადანაშაულებ ამ კაცს, ჰა, მკითხველო?!).

„ისე, შენ ხომ არა გაქვს შემთხვევით ერთი ხელი პერანგი და პიჯაკი? შემოაგდე, თუ ძმა ხარ, აქეთ... ჰა! რას გაჩუმდი? გენანება? რა იყო, შე კაცო... დაგიბრუნებ ერთ საათში.. რა გაცინებს? მაშ... არა, ხო?. კარგი, ბატონო, ჩემზე იყოს შენი პატივისცემა“...

— რა ვქნა ახა ეხლა?

— . . .

— რა ყველაფერზე მხრებს იჩეჩავ! — ამეშალა ისევ ნერვები.

— . . .

— მანახე შენი რომელიმე პერანგი, — ვეუბნები.

უხმოდ მივიდა კარადასთან, გააღო, აქექა, ამოარჩია, ფრთხილად მომაწოდა.

გამოვტაცე და მოვიზომე. გაეცინა.

— რას იღრიჯები! — დავიღრინე მე.

— რა ვქნა, აბა? — დაიროხროხა..

— ვა... ჰა... ჰავო!

დრო აღარ მქონდა იმის ღრეჭის საყურებლად... ელვის სისწრაფით გადავიცვი.

ტფუ! რაღა ჩჩ... აპტხიჭ!... ჩვენი მღვდლის ანაფორა და რაღა ეს!

— პიჯაკს არ იცვამ? — ხითხითებს „პლუტარქი“.

— მოიტა, აბა, მოიტა! — მოვიმხიარულე მეც თავი, ვეცი სკამზე გადაკიდებულ პიჯაკს, ავიტაცე, შევიქნიე, მხრებზე მოვისხი... არა, ჯობია ჩავიცვამ!

— მე? — (ახლაღა მოვიდა გონს), — მე რაღა ჩავიცვა? (ერთი პიჯაკი ჭქონდა).

— ერთი შენი... — დავუყვირე მხიარულად, კარებს ვეტაკე, გავაღე და ოავქვე დავეშვი.

„ვერ ვიქცევი კარგად“ — გავიფიქრე გზაში, მაგრამ, ეჰ... ჯანდაბას! იმას პირველი გაკვეთილი არა აქვს, მგონი, და მანამდე რამეს მოახერხებს.

სწრაფი ნაბიჯით წავედი ტროლეიბუსის გაჩერებისკენ.

ქალბატონო! თქვენ რომ იმ დღეს გზაზე შეხვედროდით, ნამდვილად მოიხიბლებოდით ჩემი ძველ-მეომრული ჰიერით! ერთადერთი, რაც ჩემს აღფურვილობას აკლდა, ეს იყო — რკინის ჩაჩქანი. ალბათ, ამიტომ მიყურებდნენ გამგლელები გაოცებით; ნეტავ მუზარადი რა უყოო!

ეს ამბავი ცოტა არ იყოს მართობდა.

ტროლეიბუსში ჭყლეტა იყო, მაგრამ... ხალხმა უმალვე იგრძნო, ვინ იდგა მათ წინ! და ეკვროდნენ იგინი

მერაბ აბაშიძე

აქეთ მაშალები, კვაზიმოდო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურთიერთს, რათა არ შეხებოდნენ ჩემს წმიდა გვამსა... ჰჰჰ! ოო! ხანდახან მეც ვგრძნობ თავს ბედნიერად, მეგობრებო! ვიდექი ამაყად! ასე იდგა, ალბათ, ნერონი თავის დიდებულთა შორის.

როგორც იქნა, მიჩაქჩაქდა სკოლამდე რკინის „როსინანტი“.

აუღელვებლად შევედი სკოლაში (ზარი უკვე დარეკილი იყო), რევერანსით მივესალმე სკოლის დამლაგებელს, ხელი მოვუცაცუნე ბეჭებზე დარაჯს, ყურში გარეშბილი სიგარეტი გამოვაძრე შრომის მასწავლებელს, მოვუკიდე, გავაბოლე. შეველ სამასწავლებლოში, გამოველ (ჟურნალითაჰ), ჩავაქრე სიგარეტი, დაჰ... ასკინკილით კლასის-კენ!

კომისიის წევრები უკვე კლასში იყვნენ. პატ. დირექტორიც იქ ბრძანდებოდა (საკლასო ოთახის ფანჯრიდან მოვკარი თვალი). ერთი კი გავივლე გუნებაში — მივტრიალდები და წავალ, ჯანდაბას სკოლაც და სამსახურიც-მეთქი, მაგრამ... გვიან იყო, გვიიან, მაკრინე ჩემო!.. უკვე!

ბ ა ტ ო ნ ე ბ ო! წარმოიდგინეთ კუშტად შეკრული ოთხკუთხედი სიფათები, რომელიც ჩემმა უეცარმა გამოცხადებამ უცებ რეზინის ნესვებივით ჩამოწელა.

მერხმა, რომელზეც დირექტორი იჯდა, საშინელი ჭრაჭუნი ატეხა და ალბათ ტაშსაც დამიკრავდა, მის ხელისგულზე იმხელა ღიპი რომ არ ყოფილიყო შემოდებული.

იხტიბარი არ გავიტეხე, მაგიდასთან დავჯექი, სახელობი ჰავიკაპიწე, სია ჰამოვიკითხე, დაჰ!..

— რაზე გავჩერდით წინა კაკეთილზე? — ვკითხე პირველ მერხზე მჯდომ გოგონას.

წამოდგა (სიცილს ძლივს იკავებდა)... რადაც ამოიკნავლა.

— გამოდი! — ვუთხარი, რაც შემეძლო მკაცრად.

გამოპაკუნდა.

უცებ! (ჰოჰო!) კომისიის ერთ-ერთი წევრი ზანტად წამაიზლაზნა... დაჰ! დემონსტრაციულად, მხედრული სვლით დატოვა კლასი...

თითქოს ამას ელოდნენო... უცებ... ფიუ... ფიტ... ყველა წევრი წამოხტა და იმ ერთს გაეკიდა... თითქოს შვილები მისდევენ ახლად გარდაცვლილი მამის ოთახიდან გამოსულ ნოტარიუსსო.

დავრჩით მე და პატ. დირექტორი პირისპირ.

იმას კი ეტყობა სულ არ აინტერესებდა აწი როგორ ჩავატარებდი გაკვეთილს...

მიყურა, მიყურა... გადმოქაჩა თვალები, ჩაისუნთქა ჰაერი, ძლივძლივობით წამოიმართ-წამოიყაყვა, დაიღო პირი და...

— ჰამო! — ერთი ისეთი დაიყეფა, რომ ორ საკენზე ავხტი კაცი...

ახტა-ვო! და... გადმოხედეს დაგროვილმა სიცილმა ბავშვების პირიდან.

ყინულის პატარა თხილებივით ეხლებოდა კისკისი კლასის ჭერზე ჩამოკიდებულ ბროლის ჭაღს. ჭაღიც წკრიალებდა და ხითხითებდა. კვდებოდა პირდაპირ სიცილით.

მეც გამეღიმა, ახლა ხომ სულ გადაფიჩინდნენ ბავშვები...

— წამობრძანდით ერთი ქვევით...

— წარბშეკვრით მითხრა დირექტორმა, კართან მივიდა, გამოაღო და მიცდის.

— ეხლავე აგიხსნით ყველაფერს...

— წამოვდექი ცოტა არ იყოს ნირწამხდარი.

— წამობრძანდით, წამობრძანდით... აქ ცარიკი კი არ გახლავთ, მეგობარო...

ბავშვებმა ნელ-ნელა მოსხიპეს სიცილი...

გვივის სიტყვები გამახსენდა; ერთი სული აქვთ, სანამ გაგაგდებენო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ წამოვალ! — დაუშვა უცებ და სკამზე დავჯექი...

ატყდა ისევ გნიასი და ღრიანცელი.

ჰო, ჰო, ჰო, რას მბურღავს თვალებით.

— ჯამბაზი! — ამოსცრა ცოტა ხნის ფიქრილის შემდეგ ზიზღით, კარი მიეჯახუნა... — კვლავ შემობრუნდა, თითქოს რადაც დაავიწყდაო, ხელი გაიქნია (ვითომ — აწი თავისუფალი ბრძანდებიო) და გაბრუნდა.

— ბავშვებო! — ხმამაღლა წარმოთქვი ისევ, როცა სიცილი მიწყანარდა. — ჩემო საყვარელო ბავშვებო! დღეს ვსხენ უკანასკნელ გაკვეთილს... დაგვრჩა რამოდენიმე წუთი... მისმინეს ყველამ:

— ის, რაც ახლა მსურს გითხრათ, არ არის ქრისტიანული მოძღვრება, რომელიც მოყვასისადმი საყვარულს მოგვიწოდებს ისე, რომ არ გვასწავლის როგორ შეიყვარონ...

ეს არც მზოლოდ ბუნების სიმშვენიერით ტკბობის უნარით დაჯილდოებული მახინჯი კაცის სიტყვაა, რომელიც ბოროტ სიხარულს განიცდის, როცა ვრძნობს, რომ თავისი მაგიური ძალის მქონე სიტყვის გავლენით დამმორჩილა გულუბრყვილო მსმენელი...

ეს არ გახლავთ აღსარება „აღზევებული სიმახინჯისა“...

მე უბრალოდ გთხოვთ ერთ რამეს:

— გთხოვთ თქვენ — წმინდანებს, ვის ყურსაც ჯერ თაფლის წვეთად არ ჩაღვრია ოქროს წკრიალი.

ვისი თვალებიც ჯერ არ აუმღვრევია შურს...

ვისაც ჯერ არ განგიცდიათ უზომო სიხარული ან უზომო მწუხარება, რომლის შედეგადაც ადამიანი სამუდამოდ იფიტება!

აი, ვდგევარ თქვენს წინაშე, გონჯი, პატარა ადამიანი... კოპებამდე ჩამოვარდნილი ტანსაცმლით...

დღეს, 1949 **წლის** 13 ოქტომბერს, ორიოდე წუთის წინ დავკარგე სამუშაო... არც კი ვიცი, ვიშოვი თუ არა ამიერიდან მას...

ახლახან მომაყენეს შეურაცხყოფა, რადგან ვუპასუხე იმავე ტონში, როგორრითაც მომმართეს...

მე მცემენ ქუჩაში უქმად მოყიალე ლაზანდარები...

საკუთარი და, რომელიც მარტომ აღვზარდე მშობლების ბარდაცვალების შემდეგ — ოცნებობს თავგამეტყველი მომთხოვნიან შინ...

ბავშვებო! დღემდის ბევრჯერ დგებოდნენ მახინჯი, მაგრამ კეთილშობილი ადამიანები ბრბის წინაშე, როგორც მსაჯულნი ავაზაკთა ხროვის წინ, მაგრამ ბოლოს, მაინც გათელავდნენ და იავარჰყოფდნენ ხოლმე მათ!

ან როგორ შეუძლიათ ყასბებს და პატარა ვაჭრუკანებს, რომელთაც ყურები სისხლიანი ბამბითა აქვთ ამოტენილი, გაიგონონ ხმა სიმართლისა!

მე მოგმართავთ თქვენ — წმინდანებს!

მართალია, მიზეზი, რის გამოც მითხოვენ — სასაცილოა!

სასაცილოა ჩემი გამომეტყველებაც! ეერიც... ყველაფერი!

და მაინც... მე მივდივარ მოზეიმე და საკუთარ თავში დარწმუნებული!

ჩემი თხოვნაც ეს არის — ნუ დასცინებთ მოზეიმე მახინჯებს... და... (ხმა ჩამიწყდა მღელვარებისაგან) — როცა აქედან გავალ... იწამეთ ღმერთი... ნუ გაიცინებთ რამდენიმე წუთს... წარმოიდგინეთ, რომ მიცვალებულს მიაცილებთ სამარისაკენ.

კლასიდან გამოვედი თუ არა, ზარიც დაირეკა.

თითქოს რაღაც სიმბოლიური იყო ეს ზარი.

მთავრდებოდა ჩემი მასწავლებლობა და... რა იწყებოდა ნეტავ?

მერაბ აბაშიძე
აჟეთ მაშხალეგი, კბაზიმოდო

ისევ რაღაც უცნაური გრძნობით გაჟღენთილ ვალ.

დერეფნებში ყივილ-ხივილით გამოცვივდნენ ბავშვები.

ყველანი ჩემკენ იყურებოდნენ. სწრაფად ჩავირბინე კიბეები და ქუჩაში გავარდი.

სად წავსულიყავი?

„გივისთან წავალ“ — გავიფიქრე.

ფეხით გავყევი გზას.

სახლში არ დამიხვდა...

კარის წინ დაგებული პატარა ხალიჩა ავწიე...

(გასაღებს აქ ინახავდა ხოლმე).

კარი გავაღე და შევედი...

თავი მიბრუოდა...

პირში უცნაურ სიმლაშეს ვგრძნობდი...

არაქათგამოცლილი მივწექი ტახტზე...

ფერდში ჩხვლეტა ვიგრძენი...

ვხედავ — ჯვარი!

— რაო? — ვეკითხები ნაღვლიანად, — რა გნებავს?

— არაფერიო! — შემომციინის ყვითლად. — დიდი რეგვენი ვინმე ბრძანდებიო...

— აუ! რა ახალი რამე თქვი. — ვეუბნები ლოყების ბერვითა და თავის ქანქარით.

— შენ იმასაც ვერ ხვდები, რატომ ხარ რეგვენი...

— აბა, მითხარი ერთი, მითხარი...

— „დავინტერესდი“.

— რა საჭიროა, — ამბობს იგი, — შენ მაინც არ დამეთანხმები... მე კი ტყუილუბრალოდ ყბედობა არ მჩვევია...

— უჰ! რასა ბრძანებთ... — „შეეცადე“ — აქამდე კი მეგონა, რომ ყველაზე ენაწაგდებული ცრუპენტელა თქვენ ბრძანდებოდით ამ ქვეყნად...

— ჰე... ჰე... — ჩაიბზინა ისევ, — შენ თუ გგონია, დავლუპულვარ აბა და ეგაა... მაგრამ... — ჩაფიქრებით წარმოთქვა უცებ, — მაშინ რატომ გაგაინტერესებს ჩემი აზრი?

— რა ჰაზრი?

— აი, ცოტა ხნის წინ „ვითომ ხუმრობის“ ინტონაციებით აღსავსე კილოთი მკითხე — რატომ არ მესმის რაში ვარ რეგვენიო... მერე კი მეუბნები, რომ ენაწაგდებული ვარ... თუმცა არა... არ ღირს ახლა ამაზე კამათი... ჩვენამდეც ბევრს ულაპარაკია ამ თემაზე... დაკადაკამდეც მისულან, მაინც ვერ გაურკვევიათ ჭეშმარიტება, თუმცალა ამბობენ ჭეშმარიტება პაეკრობის ყამს იბადებაო.

— მდაა... — წარმოვთქვი „ჩაფიქრებით“ — ე. ი. ჭეშმარიტება ჰარ ჰიბადება და ჰამიტომ არ ვიკამათოთ? (ისე კი, ნამდვილად არ მქონდა იმასთან ლაქლაქის თავი).

— რა თქმა უნდა... აი, წარმოიდგინე ორი სხვადასხვა პოლუსის მქონე მაგნიტი... მიუახლოვე ერთმანეთს... ხომ შეიქმნება ველი? შეიქმნება! მაგრამ ამ ველს განა ჩათვლი ჭეშმარიტებად? ეს ჭეშმარიტება ხომ მაინც ერთმანეთის საწინააღმდეგოდ უბიძგებს ამ ორ მაგნიტის ნატეხს.

— იცი რა, — გავაწყვეტინე უცებ ბრაზიანად, — მეც ავიღებ, იმ შენს მაგნიტის ნატეხს შემოვაბრუნებ და... ტაკაც! ზედ უკანალზე მივაწებებ ჩემსას... მორჩაა... ეგეც შენი ჭეშმარიტება...

— ...

— ტუტ! ხმა აღარ ამოიღო... — გავუწყერი, — აკი არ ღირს კამათიო!

თავი ბალიშზე მივდე და...

●

წითელი ყინულის საფარველით დაფარული ტბა...

ზედ ჯაგლაგი ცხენი დგას...

ფეხი უცურავს, მუხლები ეკეცება, ეცემა, ისევ დგება...

თეთრი წყალმკენარეების თავები ბალახივით ამოწვერილან ყინულზე...

ცხენი იხრება... უნდა მოძოვოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ კვლავ უსხლტება ფეხი და კბილები ემსხვრევა...

იმ ადგილებში, სადაც ყინულის სისხლის წვეთები ეცემიან, შავი ყვავილები ამოდიან..

ციდან ვეშვები..

მინდა მოვწყვიტო...

მაგრამ ღერო აბრეშუმის ძაფივით მიჭრის თითებს...

მთელი ხელი იარებით იფარება...

აი, როგორც იქნა ამოვგლიჯე. მაგრამ ყინული იბზარება და ცხენი ნაპრალში ვარდება...

მინდა ვეშველო..

ფაფარში ვაკერ ხელს...

ის კი იძირება და მეც მითრევს...

●

ტბის ფსკერზე ვარ...

წყალი ცისფერია და გამჭვირვალე...

ცხენი ულამაზეს, შიშველ ქალწულად იქცა...

ოქროსფერი თვალები აქვს..

მისი მკერდი — ორი ცხელი, ლბილი მარმარილოს ბირთვი...

ათრთოლებული ვუჭერ თითებს სისხლივით წითელ ძუძუს კერტებზე...

ქალიშვილი იკრუნჩხება და ნეტარებს..

მთელი სხეული მიბჟუის...

ვიხლაკნებით თეთრ ლიანებში...

წელზე ვეხვევი..

ის კი ხელიდან მისხლტება...

ზევით მიცურავს...

მინდა გავყვე, მაგრამ ვქვავდები და თავაწეული ვუყურებ მაღლა...

ჩამოდის და ჰატარა, თბილი, შიშველი ფეხისგულებით სახეზე მადგება...

ფეხის გულებზე ვკოცნი..

ვიყინებით ასე...

როგორც ქვის ფუძეზე შემოდგმული მარმარილოს ქანდაკება...

●

თვალი გავახილე...

გივი დგას და პლედს მაფარებს...

წამოვჯექი...

თავი ისევ მიბრუნს...

გუნებაწამხდარი კაცის იერით გამიღიმა...

წამოვდექი, ფანჯარასთან მივედი, შევაღე...

გრილმა ნიავმა დაუბერა...

●

— აწი რას აპირებ? — მეკითხება გივი.

— ... — (მხრებს ვიჩეჩავ).

— დღეს ყველამ ვთხოვეთ, მაგრამ...

— ...

— წამო, გავიაროთ... — ცვლის უცებ საუბრის თემას.

— კი... დაბნელდეს ჯერ ცოტა. — ვპასუხობ ანგარიშმიუცემლად.

სამზარეულოში გადის.

— შენი და არ გიყდება, ორი დღე შინ რომ არ მისულხარ? — მესმის დაგუდული ხმა.

კითხვას უპასუხოდ ვტოვებ.

სამზარეულოდან ტაფის შიშხინი ისმის. მერე გულისგამაწვრილებელი წრიპინი... (ეტყობა დანის წვერზე წამოცმული კარაქის ნაჭერს უსვამს ტაფის კრიალა ზედაპირს).

მაჟრუოლებს. ყურებში თითებს ვიცობ.

მალე ისევ შემოდის.

— მოდი, — მეუბნება და ერბოკვერცხიან, ოხშივარავარდნილ ტაფას მაგიდის შუაგულში დგამს.

ვჭამთ.

— სიგარეტი არა გაქვს? — ვეკითხები და ტუჩებს ხელსახოცით ვიწმენდ.

მაწვდის.

— მართლა.. დირექტორმა... (ყოყმანობს).

— რა...

— საბუთები ხვალვე წაიღოს, თორემ ცუდ დახასიათებს მივცემო.

— ...

— გულს ნუ გაიტეხ, რა არ ხდება

მერაბ აბაშიძე

აქეთ მაშახლები, კაკაზიმოდო!

— ...

— გავიდეთ?

— არა, — ამოვიოხრე, — ჯობია წავალ...

— ჰო, მეც გამოვალ...

— არა, მარტო წავალ.

●

ქუჩაში წვიმს.

სველი, ლუჯად მოციმციმე სიმები გაბმულან ცასა და დედამიწას შორის...

... და მე, მახინჯი მუსიკოსი, ხელებგაშლილი, თავაწეული მივარღვევ მათ...

ვწუკუტავ ამ სიმებს, მაგრამ ისინი მაინც მოლიანდებიან და უჩვეულოდ წკრიალებენ.

გამქვირვალე ზაიმფში იხვევა ქალაქი...

ბინდში იძირება თბილისი — პატარა, ჰომხიბვლელი მონაზონი ქალი...

— ძინ! — მეცემიან სახეზე ფონაზონის ცრემლები...

ტრის თბილისი.

. . .

— რას გავხარ! — მეუბნება გაოცებული ნინკა.

უხმოდ მივდივარ საბაზანოსკენ, სველ პერანგს ვიხდი, აბაზანაში ვწუერავ და უკან ებრუნდები...

— სად იყავი?

— ...

— მართლა, — მეუბნება უცებ შეცვლილი, ცივი ხმით, — თოდა ბიძია ვნახე...

— საბოლოოდ ააფრინე?

— ...

— რა გინდოდა იმ ბუნჩულა კაცისგან?

უცებ ვგრძნობ, რომ სიტყვა „ბუნჩულ“ ჩემს ნერვებზე ისეკე მოქმედებს, როგორც დანის წრიპინი ტაფაზე, — გვიასთან რომ მოვისმინე...

— ანდროც ვნახე...

— ...

— გაცოფებულია... მითხრა შენი ხათრით ხელს არ მოვკიდებ, მაგრამ ის ჯვარი თუ მართლა სადმე გადაგიგდია სხვანაირად მოველაპარაკებიო...

— ...

— რა უყავი ჯვარი?

— ...

— გეკითხებიან!

— გადავაგდე! — ვპასუხობ გაღიზიანებული.

— როგორ თუ გადაადგე? — ახლა კი მართლა გამწარდა. — შენს გამო მეზობლებში ვერ უნდა გავიდე?

— მეზობლებში! — ღრეჯვით წარმოთქვი მე.

— რას იღრიჯები! — დაიწივლა უცებ და ეხედავ — (საცაა ატირდება) — რა უყავი ჯვარი!

— გვისთანაა, ჰო... დაწყნარდი!

— მოვიტან! — და იცვამს.

— მოიცა, ჯერ გადაიღოს... სად მიიხარ ამ თავსხმაში...

წარბშეკრული ხსნის ლაბადას საკიდლიდან...

— მე თვითონ მოვიტან ხვალ...

— ახლავე მოიტანე! — მიცსადებს კაპასი ხმით...

— ახლა არ შემიძლია, — ვპასუხობ და ისევ რაღაც უჩვეულო გრძნობა მეუფლება...

მიდის...

სარკესთან ვდგები.

— ჩემო საწყალო! — ვეჩურჩულები საკუთარ გამოსახულებას... — რა უნდათ შენგან?

უცებ ვგრძნობ, რომ ორეულს არ მოწონს ასეთი სენტიმენტალური ტონი...

ვეთხოვები და საწოლში ვწვები...

ჩავთვლიმე...

●

ბროლის ხე...

ფუღუროში პატარა, თეთრი ციყვი ზის და ტუჩებს აცმაცუნებს...

მივედი...

ოქროს კაკალი გავუწოდე...

გამომართვა, „მადლობთო“, — თავი დამიქნია და მიირთმევს...

უცებ... ცუდად ხდება...

შემზარავად წივის...

მინდა ვუშველო... ხელში ვიყვან... აქეთ-იქეთ ვაწყდები...

ის კი უკვე მომაკვდავივით ფართხალებს...

●

გამეღვიძა...

ყურებში ისევ ის წივილი მიდგას...

ოთახში ნინკა შემოდის...

ხელში ჯვარი უჭირავს და იცინის...

— შენი ძმაკაცი ცოტას აფრენსო — მეუბნება.

— რატომ?

— საბლამდე მომაცილა... ქოლგით ხელში...

— ...

— ვეხვეწე, შემოდი-მეთქი, — არ ქნა...

— რატომ აფრენს მაინც?

ხმამაღლა კისკისებს...

— ერთი გენახა, რა სიფათით მომყვებოდა... ვეუბნები, მომეცი, მე დავიჭერ ქოლგას-მეთქი, ის კიდე... გაბღენძილი — არა, იძახის და მომდევს.

— ...

— ჩაი აგიდუღო?

... (მხრებს ვიჩეჩავ).

სველ ტანსაცმელს იხდის, ხალათს იცვამს.

— მგონი სიცხე მაქვს, — ამბობს და მიახლოვდება... — დამადე ხელი!

შუბლი საშინლად ცხელი აქვს...

— ჩაწექი!

— ეხლავე, ბარემ ჩაისაც ავადუღებ...

— ჩაწექი, მე მოვამზადებ...

წვება.

— წამლების ყუთი მომიტანე, — სახე წითლად ულაპლაპებს.

მიმაქვს.

მერე სამზარეულოში გავდივარ, ჩაიდანში წყალს ვასხამ, გაზქურაზე ვდგამ და ვირინდება...

— 37 და 8. — ისმის მეორე ოთახიდან.

— ელენე დეიდას დავუძახებ!

შევდივარ, სახე ოფლის წვეთებით დაცვარვია...

(ელენე ჩვენს მეზობლად ცხოვრობს, ექიმია).

— არა! — მპასუხობს. — არა მაქვს ახლა იმისი ჰორების სმენის თავი...

სამზარეულოდან შიშინის ხმა მესმის. ეტყობა წყალი გადმოვიდა.

— ხომ გითხარი, ამ თავსხმაში ნურსად ნუ მიდიხარ-მეთქი, — ეუბნები და ისევ სამზარეულოში გავდივარ.

— არა, უკვე მანამდეც მქონდა პატარა სიცხე.

გავმწარდი. შემოვბრუნდი.

— ვერ მითხარი, მერე?

ხმას არ მცემს.

ჩაის ჭიქაში ვასხამ და მიმაქვს...

— არ შემიძლია... დავიძინებ ჯობია...

●

დილით ნინკას სიცხემ ორმოცამდე აუწია.

ერთი-ორჯერ წამოაბოდა კიდეც...

აბრეშუმის ოქროსფერ, ლურჯყვავილებიან საბანში ჩაფლული პატარა სახე ანგელოზისას მიუგავს.

ნოდელიანი თვალებით მიყურებს.

— დაუძახე ელენეს. — ამბობს საცოდავი ხმით.

გავდივარ.

მომყავს.

ელენე სინჯავს, მერე მაგიდასთან ჯდება, რეცეპტს წერს...

ვაცილებ...

— შეიძლება საავადმყოფოში გადაყვანა დაგვჭირდეს. — მეუბნება ჩურჩულით.

— სერიოზულია რამე?

— პა... არა... ისეთი არაფერი... ფილტვების ანთება აქვს ეტყობა... მაგრამ ძალიან სუსტი გოგოა... ყოველდღიურ დაკვირვებას საჭიროებს... აქ

მერაბ აბაშიძე

აქეთ მაშველები, კვაზიმოდო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვუვლიდი. ბაგრამ ხომ იცი, ლილით სამსახურში ვარ...

— ...

— ჩემთან დავაწვენ, — ამბობს ჩაფიქრებული სახით, — ჰო, მართლა, წამალზე ახლავე წადი...

— და როდის დავაწვინოთ?

— დღეს და ხვალ ვერ მოხერხდება ალბათ... საღამოს შეგატყობინებ. მიდის.

— სულ სველი ვარ, — ამბობს ნინკა და პატარა, გამხდარ ხელს ისვამს ოფლიან შუბლსა და ყელზე...

შეწუხებული სახით ვუყურებ...

(როგორ მინდა ახლა მოვეფერო).

—მალე მოვალ! — ვეუბნები ჩუმად. რეცეპტს ვიღებ და კარისკენ მივდივარ.

●

ისევ წვიმს...

ატალახებული, ქვიანი გზა ნაცრისფერი ლოკოკინებით მოფენილ ველს გავს, რომელთაც საკუთარი სხეულიდან გამოსული წებოვანი წვენი გადაღვრიათ...

ფეხი მისხლტება...

ძლივს ვიმაგრებ თავს, რომ სრიალსრიალით არ წავიდე დაბლა.

დიდმართი ჩავთავე.

ესეც შენი აფთიაქი — შეჭირხლული, ცისფრად მოელვარე მინებითა და მორყეული მოაჯირით.

სწრაფად ავრბივარ ქვის კიბეზე.

თეთრხალათიანი, მსუქანი ქალი გაკვირვებით მიყურებს...

უსიტყვოდ ვუწვდი პრიალა ქაღალდს.

გამომართვა. დახედა. ამომხედა. დამიბრუნა.

— ...

— სამწუხაროდ, ამ რეცეპტში შემავალი ნივთიერებების ნაწილი არა გვაქვს.

— ...

— თუმცა... — აუღელვებლად გამომართვა რეცეპტი. — მოითმინეთ... ლია! — გასძახა უკანა ოთახში წამლების თაროსთან **მდგარ დაბალი** ტანადი, ბებერი ქალბატონ ... ბებერ ... ...

ზვავად გადმოხეთქოს და წალეკოს ყველა და ყველფერი...

დასწყვეტლოს ეშმაკმა!

ახლა მართლა ძალიან მიჭირს...

ნიკაპი მიკანკალებს...

მაცივებს...

თვალები მებლიტება...

მთელი სხეული მტკივა...

უაზროდ მივშტერებივარ კედელზე ჩამოკიდებულ ვეებერთელა საათს.

— წიკ.. წიკ... — აკაკუნებს ჯამი ერთმანეთზე ორ პატარა, მარად უცვეთ კენჭს...

უცებ, თვალწინ ისევ წარმომიდგა ოქროს სილაში ჩაპნეული ყვავილები...

საიდანღაც ქარმა წამოუბერა...

სილა ჰაერში აიფანტა, გამქვირვალე, ბრჭყვიალა მანდილად იქცა და ამ უნაზესი, ოქროსფერი ზაიმფიდან ნინკას ლურჯმა თვალებმა შემომანათეს... „—ცუდადა ვარ“ — მეუბნება უხმოდ და ტირის... — „ძალიან ცუდად“.

— ახლავე ჩემო კარგო, — ვჩურჩულებ და ვგრძნობ, რომ საცაა მეც ცრემლები წამსკდება... — ახლავე...

წიკ... წიკ... ირღვევა მყუდროება...

რა ნელა გადის დრო...

ფანჯრიდან ვიხედები...

ცისკენ ხელაპყრობილი, სამოსშემოძარცული ხეები რაღაცას ეეფდრებიან უფალს...

რას შესთხოვენ ნეტა? ფრთებს ხომ არა, რათა დატოვონ ეს ჭუჭყიანი, ახმაურებული ქუჩები და გადაინაცვლონ შორს... ზუმფუჩტისფერ სამოთხეში, საიდანაც ბედმა დაუნდობლად ამოგლიჯა ისინი და მტკრიანი ჰაერის გასაწმენდი ვენტილატორებივით ჩაარჭო აქ?!

არავინ უწყის!

●

როგორც იქნა... წამალიც მზადაა... კარებისკენ მივდივარ..

— ფული! — მესმის დაცინვანარეხმა. — ფულის გადახდა დავიწყდათ, მეგობარო...

ვბრუნდები... ვაწვდი დაჭმუჭნილ მანეთიანს...

. . .

ნელა ავუყევი ალმართს...

მზე ჩადის...

ცივა...

პალტოს საყელო ავიწიე... (ვერც ამან მიშველა).

თავბრუ მესხმის...

ხელები მიკახკახებს...

არ იქნა და ის უცნაური გრძნობა ვერ მოვიცილე...

ვგრძნობ, რომ საცაა გადმოსცდება ამდენ ხანს დაქუხული და დაგროვილი...

ყელი მიშრება..

უცებ...

ეს რა არის?

მეხდაცემულივით გავშეშდი!

გზაზე მთვრალების ხორხოცი ისმის...

ფრთხილად მივიპარები და არემარეს ვზვერავ...

გული უცნაურად მომეწურა და შემიფართქალდა!

ანდრო და მისი ამხანაგები!

წელმოწყვეტილი მივბრუნდი უკან და ხეს ამოვეფარე...

ველოდები, სანამ ჩაივლიან...

ისინი კი, ეტყობა, ჯერჯერობით არსად არ აპირებენ წასვლას..

რა ვქნა? გავიქცე, გავარღვიო ეს ბრბო და... პირდაპირ სახლისაკენ... თუ?

თუ რა?

რომ ჩამავლონ?

მომსაკვდილებენ!

ჯანდაბას! მიმასიკვდილონ... წამლიანი ბოთლი რომ გატყდეს?

ვერც კი ვიგრძენი... ისე ჩავცურდი ხეს მიყრდნობილი და პირდაპირ ტალახში ჩავჯექი. წამლის ბოთლი წინ დავიდგი და გაყინული თვალებით ვუყურებ..

— „ცუდადა ვარ“ — ჩამესმა უცებ — „ძალიან ცუდად“.

მერაბ აბაშიძე

აძძეთ მაშხალები, კვაზიმოდო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერცხლის ეჟვანივით გაიწკრიალა ამ ხმამ...

— „ცუდადა ვარ“ — აფარფატდნენ ჰაერში მომაკვდავი ბგერები — „ძალიან ცუდად“.

თავი გადავწიე და ცას მივაშტერდი...

სპილენძისფერ ცას ვარდის ბუჩქებივით შელეკოდნენ ჩამავალი მზის შუქში გახვეული ღრუბლები.

გალაკტიონის ლექსი გამახსენდა:

შენი ცხოვრება არის ეს ბუჩქი,
ჩამოფლეთილი ყოფნის კარამდის,
სადაც სიკვდილი და სადაც ჭუჭყი
განუყოფელად მიდის მარადის...
შენი ცხოვრება — ვით შემოდგომა
არასდროს აღარ დაიზამთრება...
აცივდა და შენს გარშემო დგომა
ეხლა არავის არ ენატრება...
შენი ცხოვრება ღონემიხდილი
არის ტალახი, ბოსელი, ქართა,
რისთვის გაშინებს, მითხარ,
სიკვდილი,
თუ არვინ მოვა სიკვდილის გარდა?
ვიცი, თუ როგორ გადიხარხარებს,
როცა გიგებს სიკვდილის ხველას,
შენი ცხოვრება არვის ახარებს...
შენი სიკვდილი ახარებს ყველას.

ღაპალუპით გადმომცვივდა ცრემლები... წამალი ავიღე და გულზე მივიხუტე. ჯერ ჩუმად ვტიროდი... მერე უცებ ხმამაღლა, გულამოსკვნით ავქვითინდი.

წამოვდექი...

ჩემთვის ახლა ყველაფერი სულ ერთი იყო...

ბარბაცით ავუყევი აღმართს...

აი, გამოჩნდნენ მთვრალი, დამცინავი ღიმილით დაბრეცილი სახეები...

ერთბაშად ყველამ შეწყვიტა ხორხოცი და მე მომაშტერდა...

მაღლა ავდგართე წამლიანი ბოთლი!

— ნინკა! — ვამბობ ჩახლეჩილი, გაბზარული ხმით და ვქვითინებ. — გამატარეთ ბიჭებო... გატყდება ბოთლი... ნინკა ცუდად არის! ძალიან ცუდად... გამატარეთ... ძალიან გთხოვთ!..

●

აღარ შეგაწყენთ თავს ფუჭი ყბედობით...

გამოვტოვებ რამოდენიმე ფურცელს ჩემი ისტორიიდან...

ისე, თუ გაინტერესებთ, მოკლედ მოგახსენებთ, როგორ განვითარდა მოვლენები... თუმცა ჭკვიანი მკითხველი ისედაც მიხვდება, როგორ შეტრიალდებოდა საქმის ვითარება.

ანდრო, რა თქმა უნდა, „ჩახვდა“ რაღაც-რაღაცეებს, „გჰვია მპოულბა“, ჩემმა იმდღეანდელმა მოქმედებამ აღძრა მის არსებაში „კეთილშობილური ჰიმ... ჰუჰ... ლსე.... ბი დაჰ... დავ... ძმა... კაც... დჰით!

(მკითხველი ალბათ ფიქრობს, რომ ვაჭარბებ, როცა ასეთი აგდებული ტონით ვყვები. მაგრამ ეს ნერვიულობის ბრალია, ასე რომ რამე არ შეგეშალოთ და მაღალ განდიდებულ რეგისტრში აყვანილი, დამბალი და მთრთოლვარე „ჰ“ ერთი კაცის პირდაბჩენილ „ა“-დ არ მი... ჰიჩ... ნი... ოთ! (ძვირფა... აკეხი... სუნებო!).

ახლა შევიხედოთ ოთახში, სადაც მე და ანდრო ვზიარართ. (უჰ! ბოლიში, პატივცემულო კონსტანტინე, — ვსხედვართ).

ღმერთო კი მომკალი... ეს რა არის... ჰა?

რამდენი ვუტრიალე იმ ოხერ ოთახს და ვერსად ჭუჭრუტანა ვერ ვუპოვე...

კარი კიდევ ისე მაგრადაა ჩაგმანული რომ... ფვიუეეე... კაი ქურდიც ვერ გაალებს...

ჯანდაბას, ისევ მოგიყვებით:

●

ჩვენი დამეგობრება იმით დაიწყო, რომ მეორე დილას ანდრო თვითონ გვეახლა, ავადმყოფი მოინახულა, მერე გვერდითა ოთახში გამიყვანა და მითხრა — თუ რამე დაგჭირდეთ, ჰა ჩემი კისერი და თქვენი ხმალიო...

ამის შემდეგ ჩვენი ხშირი სტუმარი გახდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველისთვის ალბათ საინტერესოა, მოვახსენო ამ ურთიერთობის შესახებ...

ე. ი. დამეგობრდნენ მტარვალი და მსხვერპლი...

რაგინდ სათნო და კეთილშობილი არ უნდა გახდეს მტარვალი მსხვერპლის მიმართ, როგორაც არ უნდა ეცადოს ძველი შეცდომების გამოსწორებას, მაინც დიდ ტკივილებს აყენებს ტანჯულს, რადგან ამ უკანასკნელის ავადმყოფურ თავმოყვარეობას მისდამი ეს თბილი, მამაშვილური დამოკიდებულება წარსულ წამებაზე ნაკლებ როდი აღიზიანებს.

თანაც, მაყურებლის თანდასწრებით ხომ სულ უფრო ეწეწება და ეძაბება ნერვები.

(მაყურებელი — ნინკა გახლდათ).

ბატონებო! რომ გეყურებინათ ჩემი საცოდაობისათვის...

მკითხავდა რამეს ის ვირიშვილი ალერსიანად და... ჰაჰ! ხელად დაფეთებით ვუყურებდი თვალებში, ვეგრიხებოდი, ვეპრანჭებოდი, ფინიასავით ვწკაკვწკავებდი, მკერდზე ვახტებოდი თათებით... (თან მეშინოდა მისი ახალთახალი კოსტუმი არ დამესვარა), ხანდახან ვებუტებოდი...

მაშინ ის ძალს მომიგდებდა, თავზე ხელს გადამისვამდე, ქეჩოს მომფახანდა და მეც ვმშვიდდებოდი და ისევ მორჩილად შევყურებდი თვალებში.

ჰო... ერთი სასაცილო ამბავი გითხრათ: გივი ეკვირობდა...

და რაზე?

ეგონა, რომ ანდრო ნინკას სანახავად მოდიოდა ხოლმე. (ისაა... ნინკას და ანდროს ამბავი მაინცდამაინც არც მე მომწონდა. ნამეტანი ხშირად იჯდნენ ხოლმე ცალკე და რაღაცას ტკბილად ჩუკჩუკებდნენ).

თუმცა, რა მეგვიებოდა და მენინკეებოდა, ისე ვიყავი ჩემი ახალი მეგობრით გატაცებული. მთელი ჩემი ფიქრები მისკენ იყო მიმართული.

იმდენს საყვარელ ქალზე არ იფიქრებს ალბათ კაცი, რამდენსაც მე იმაზე ვფიქრობდი.

საწყალი გივი!

მოვიდოდა, ჩამოჯდებოდა სკამზე და გვიყურებდა.

სეანსები იყო! ჰო და ჰო!

თეატრებში რომ ასეთი სპექტაკლები იდგმებოდეს, ზღვასავით მიაწყდებოდა ხალხი.

ოდა... ჩემო პელაგიე, ქეც მიხაროდა შინ ყოფნა და ქეც ვგიჟდებოდი...

ანდროს, ეტყობა მაინცდამაინც არ სიამოვნებდა მისი იქ ყოფნა და „იაზვებს“ უშვებდა, მაგრამ... აპრუწუწუნ! გივი მაინც ერთი წუთით არ გვცილდებოდა განუყოფელ სამეულს.

ერთი სიტყვით, ანდროს გარდა ყველანი ადუღებული კუპრივით სავსე ქვაბში ვიჯექით...

ვიწოდით, მარა... ვიცინოდით და კაცს, რომელიც ფიჩხს უმატებდა კოცონს, ხელებს ეულოკავდით.

თქვენ ალბათ მკითხავთ, — ნინკა რაღაზე იხრაკებოდაო?

რაზე და იმაზე, რომ ანდროს სიტყვაზე თუ შემოხედვაზე ისიც ჩვენსავით წითლდებოდა და ფერადდებოდა...

●

ბოლოს... გივიმ გადაწყვიტა ხმა აემაღლებინა არსებული წესწყობილების წინააღმდეგ...

იმქამად შინ არ ვიყავი...

როცა სახლში მივედი, ნინკა ტახტზე ჩამხობილიყო და ქვითინებდა.

ირგვლივ ყველაფერი ყირაზე იდგა...

—რა მოხდა?

არაფერი მიპასუხა...

უხმოდ გავედი სამზარეულოში, ჩამოვხსენი კედელზე ჩამოკიდებული, პატარა, ხორცის საკეპი ნაჯახი და კართან მივედი.

ნინკა წამოდგა და —

— ვთხოვდებიო, — მითხრა.

მერაბ ბაბუიძე
აკაკი მაშალეიანი, კვაზიმოდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავშეშდი...

— ვიზე? — ამოილუღლუღა „ვიღაცამ“.

— ანდროზე!

აღგზნებული იყო. თვალები უცნაურად უბრწყინავდა.

გაოგნებული მივედი და გვერდით მივუჯექი.

— ეს რაა? — მივუთითე დამსხვრეულ ავეჯზე და დაბდღვნილ საბნებსა და ბალიშისპირებზე.

ისევ ტირილი წასკდა.

— ჩუ, ბებერ! — ამოღნავლა.

— მერე?

გულზე მომეყრდნო. ერთიანად ცახცახებდა.

— მერე?

— საწყალი ვივი!..

ეს იყო და ეს.

ორ კვირაში იქორწინეს კიდეც.

ძალიან მინდოდა ხელის მოწერას დავსწრებოდი, მაგრამ ანდროს და ნინკას შევატყვე, რომ მაინცდამაინც არ ესიამოვნებოდათ ჩემი იქ ყოფნა. ასე რომ... ავდექი და იმ დღეს საერთოდ არ გამოვჩენილვარ.

(ჰო, მართლა... — არ დაგვავიწყდეთ: მთელი ეს ხანი თითქოს სიზმარში ვიყავი. ვერ წარმომედგინა, — ნინკა და ანდრო — ცოლ-ქმარი. ნინკა — ანდროს მიერ შეცდენილი და მიგდებული — კიდევ ჰო, მაგრამ — ნინკა მისი მეუღლე? ეს ნამდვილად გადასარევი რამ გახლდათ... მაგრამ მე მაინც არ გადავრეულვარ და ხელისმოწერის დღეს გივისთან ავედი.

ერთი გენახათ — რას გავდა.

ეტყობა, ამ ორი კვირის განმავლობაში, რაც ჩვენი სახლიდან შინ ნაყეფი მიბრუნდა, ტანსაცმელი არ გამოეცვალა. თვალები ამოლურჯებული ქონდა, თავი შეხვეული, გახეთქილ ლაწვზე იოდი წასვსა.

— როგორა ხარ?

არაფერი მიპასუხა, წავიდა და პატარა ტაბურეტზე ჩამოჯდა.

— ჰა, რა ცხვირი ჩამოუშვი, — ვცადე გამემხნევებინა.

დუმდა. მერე ნაცემი ძაღლივით ამომხედა, ნაძალადევად, მომაკვდავი კაცის ღიმილით გამიღიმა, საჩვენებელი თითი სახეზე დაიდო და...

— ხედავ, რა მიქნაო, — ამოიხრიალა.

— რა მოხდა, შე კაცო — დავამშვიდე, — ისე, რატომ მოგივიდათ ჩხუბი?

გაბრაზებულმა შემომხედა, ხელი ჩაიქნია, რაღაც ჩაიბურდღუნა.

— ჰა... ამოლერღე... (ვითომ არ ვიცოდი).

— დიდი უთავმოყვარეო კაცი ხარ!

— დაილრინა უცებ.

ჩავიცინე.

— რა გაცინებს, შე...

— ჰეჰ... დაამთავრე!..

წამოდგა, ზიზღით ამათვალიერა, ... დაჰ! ისევ ტაბურეტზე დასკუბდა.

— მართლა... — (არ ვეტყოდი, მაგრამ ამ შემოხედვამ საშინლად იმოქმედა) — ქორწილში ხომ არ წავსულიყავით?

... წარბშეკრულმა შემომხედა.

მაგიდასთან მივედი, სიგარეტის კოლოფი ავიღე, ერთი ცალი გამოვაძრე, პირში გავირჭე, მოვუკიდე, გავაბოლე... ფჰიუ-მეთქი!

— ჰა... (რაღაც სადისტური გრძნობა დამეუფლა. თუმცა, რა გასაკვირია, სადიზმი დაგემართოს კაცს ჩემს მდგომარეობაში) — რას იტყვი, ხომ არ წავსულიყავით?

— ვის ქორწილზე? — ხრინწიანი ხმით იკითხა.

— ჩემი დაიკოსი და ანდროსი...

გაოცებით შემყურებდა.

— რა იყო? — ვკითხე და მის წინ ჩავიცუცქე.

— ...

— რაო, რას მომაშტერდი? რა გეგონა ახა, მეძავი იყო ნინკა, თუ როგორ? უყვარდათ ერთმანეთი, მაშ! უყვარდათ!

— ...

— რა მოგივიდა? — ვკითხე შეშინებულმა, როცა დავინახე, როგორ ჩა-

ეტეტვა უეცრად სახე და მიცვალებულს დაემსგავსა.

— რა დაგემართა? — ვუმეორებ!

— რა დაგემართა! — ვყვირი!

ის კი ზოს...

თავით ფეხამდე ცახცახებს..

უცებ წამოვარდა, საყელოში ჩამავლო ხელი და მაგრად შემაჯანჯღარა... მინდა თავი გავინთავისუფლო, მაგრამ ისე ჩამბღაუჭებია, რომ განძრევის საშუალება არა მაქვს... კბილები საზარად დაუკრეჭია და ახრჭიალებს, ხროტინებს... იხრჩობა...

— რა მოგვივიდა? — ვჩურჩულებ ათრთოლებული. ხელს მიშვებს.

— წადი! — მეუბნება.

უხმოდ მივდივარ.

. . .

ორი დღის შემდეგ გავიგე, რომ გვივიმ თავი მოიკლა.

ორლულიანი თოფიდან გამოვარდნილი ჟაკანი წერტილივით დაერჭო მისი ხანმოკლე სიცოცხლის ბოლოში.

და მართლაც... თვითმკვლელების სიცოცხლე რაღაცით მაგონებს ლექსის სტრიქონებს.

ახლა ერთი სასაცილო ამბავი გითხრათ:

ჩემს მეგობარს სიკვდილის წინ ბარათი დაეწერა, რომელიც აღელვებულ იმავე ლოგინზე დაეგდო, სადაც შემდეგ წამოწოლილიყო და თავი მოეკლა. სასამართლო ექსპერტიზამ ახლოდან ერთი სიტყვის წაკითხვა შეძლო — „ძვირფასო“... დანარჩენი სისხლში მოთხვრილიყო.

როცა ეს ამბავი გავიგე, ჩემმა ავადმყოფურმა გონებამ იმ წუთშივე წარმოიდგინა, როგორ მოუმეტვნიდნენ საქმისთვის გამოუსადეგარ ქალაღდს სასამართლოს მოხელეები და ფანჯარაში მოისროდნენ.

იმ დღეს ალბათ ქარი იქნებოდა..

აფარფატდებოდა ქარში უკანასკნელი განწირული გოდება, აილუფხებოდნენ სისხლში მოთხვრილი ბგერები და ჰაერში მორიალე ყვითელი ფოთლები ერთმანეთში...

გაბრწყინდებოდნენ უჩვეულოდ...

წამოვიდოდა ციცინათელების წვიმა და ლაჟვარდოვან შარავანდედად დაედგმებოდა მათგან წამოსული სინათლის სხივებისგან დაწნული ვეიოგვინი ჩემი მეგობრის გამხმარ სხეულს, რომელიც — მოკრუნჩხული და გაშეშებული, — ყინულის ქანდაკებასავით იწვა დიდი ქალაქის რომელიღაც ჭუჭყიან, შავ პროზექტურაში.

. . .

გამოხდა ხანი (ძველი მემატიანის თქმისა არ იყოს).

ანდრო ჩვენთან დაბინავდა.

სახლში მამამისს სამი რძალი ეჯდა... ასე რომ, ჩვენი სენაკი არჩია.

თუმცა... რატომ სენაკი? სამოთახიანი ბინა არ არის პატარა. თანაც მე იმათ ხელს არ ვუშლიდი. სამზარეულოში მიმიჩინეს კუთხე. ალბათ იქიდანაც გამომაგდებდნენ, მარა — ჰიუმანიურობა, პატენი, ადამიანიურობა!

ბოლო დროს სიძუკელამ ისევ გაიხსენა ძველებური ჰოფფეები და... ღამით მთვრალი რომ მობრუნდებოდა, მეც მომინახულებდა ხოლმე სამზარეულოში, მაგრამ მე მის ასეთ გულისხმიერებას ფილოსოფიურ ახსნა-განმარტებას ვაძლევდი. იგი — რელიგიის შვილი გახლდათ—იეზუიტი... წმინდანი! მე კი — ალქაჯი. ასე რომ, ის ჩემთვის ზრუნავდა და ცდილობდა უწმიდური სული ამოებერტყა ეშმაკის გვამიდან.

მაგრამ ჩემი სული არ გახლდათ ასე ადვილად გასაძევებელი თავისი სამფლობელოდან. მე კი არ მგავდა — სამზარეულოში რომ გავფრინდი და თუ მეტყოდნენ სახურაგზეც ავიდოდი.

იგი ჯიუტად ებღაუჭებოდა ხორცს და გლუვი კუნთებისგან აშენებულ, წითელი და ლუჯრი ძარღვებით მოფარდაბტულ კედლებიან სანგარში ჩამჯდა-

მერაბ აბაშიძე
აქმეთ მაშალაღი, კვაზიმოდო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ერთ ნაბიჯს არ დგამდა — არც წინ, არც უკან.

ჰო... მართლა! ნინკა ფეხმძიმედ იყო — მეშვიდე თვეში.

ხანდახან, როცა ესმოდა, როგორ მირბუნებდნენ სამზარეულოში, შემოვიდოდა და დაჩოქებული ემუდარებოდა ჩემს ჯალათს — თავი დაანებე, ძმა არის ჩემიო.

მაშინ ანდრო კიბეებს გააკრაწუნებდა (ტ-არა, წ!) და ერთს იმასაც წაუთაქებდა ხოლმე.

ერთხელ ისე უთაქა, რომ ნინკას მუცელი მოწყდა და საავადმყოფოში წასაყვანი გაგვიხდა.

ჰოჰ... როგორ დაგვიტკბა ხელად ანდრო-ბატონი...

მაგრამ... ჩემი მოწამეობრივი სიშვიდე, სანამ საავადმყოფოში ნინკას თავზე ვადექი, თანდათან სიშ-ლე-გე-ში გადადიოდა და... ერთ დილას, როცა სანოვაგით ხელში საავადმყოფოში მივედი... ხოლო ექთანმა შეწუხებული სახით გამიყვანა გვერდით და გაზზარული ხმით მითხრა, — წუხელ ისევ სისხლის დენა აუტყდა და გარდაიცვალაო, — ექთანის წინ უკვე ვიჯი იდგა, რომელსაც სანოვაგით სავსე კალათა გულზე მიეკრა და შეშზარავად ხარხარებდა.

●

დავმარხე თუ არა ერთი მიცვალებული, იმ დღიდანვე შევუდექი მეორეზე ფიქრს... რადგან ჩემს წარმოსახვაში ანდრო უკვე მოარული გვამი იყო და სხვა არაფერი.

ახლა საჭირო იყო ყველას დაენახა, რომ მიცვალებული მხოლოდ მიწაში უნდა იწვეს!

იარაღში, რომელსაც ყველასათვის კიდევ ერთხელ უნდა ეუწყებინა ეს უძველესი ჭეშმარიტება, — ცხრა ლი ახალთ-ახალი, შავად მოელვარე ტყვია იდო!

სამ ცალზე — ნ ი ნ კ ა ეწერა!

სამზე — გივი!

დანარჩენთ ჯვრები დავუსვი!

●

მაგრამ... ანდრო გარეთ არ გამოდიოდა...

ამიტომ გადავწყვიტე თვითონ მომენახულებინა...

●

ბატონებო! სადღაც ყური მოვიკრავს — სამართლიანი შურისძიება ბედნიერს ხდის ადამიანსო. არ ვიცი, რამდენად სწორად მოგაწოდეთ ეს სადღაც გაგონილი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მე ახლაც ბედნიერად ვგრძნობ თავს, როცა იარაღ-მომარჯვებული ვდგავარ ჩემი მტრის სახლის კარის წინ. ერთიანად ვცახცახებ და დაკაკუნება ვერ გამიბედავს; ვაითუ მამამისმა ან სხვა ვინმემ გააღოს კარი, ყვირილი ასტეხოს და დამნაშავემ ფანჯრიდან გადახტომით უშველოს თავს.

მაგრამ არა! ეს არ შეიძლება რომ მოხდეს!

დამერწმუნეთ, ძვირფასო სკეპტიკოსებო, რომ კარს მხოლოდ ანდრო გაიღებს, და სხვა არავინ!

და როგორც კი გააღებს, — გადაწყვეტილი მაქვს პირველი ტყვია მუცელში ვესროქო! როცა იგი დაეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ასათიანი

გზის დასალოცად

მოთხრობა „გზის დასალოცად“ გამომგზავნეს „ცისკრიდან“. „ეს ყმაწვილი მერამ აბაშიძე გახლავთ“... — მწერდა ეფერნალის რედაქტორი.

თვითონ ავტორი, რომელმაც ეს ბარათი და მოთხრობის ხელნაწერი გაგზომაცა, აპირველი აბაშიძე გამოდგა — 24 წლის შავგვრემანი ჭაბუკი, სპორტსმენის გარეგნობით.

— „ალბათ ვიტრპოლისტებზე წერს, ან ვეშაპებზე მონადირეთა ცხოვრებიდან“. — კი არ გავიფიქრე, უბრალოდ ასეთი აზრი გამიჩნდა.

სამ დღეს არ მეცალა მოთხრობის წასაკითხად, მეოთხე დღეს გავშალე.. და გითენებისას მივხვდი, რომ რაღაც (ალბად ერთხელ) შეიცვალა ჩემს წარმოდგენაში იმის შესახებ, რასაც დღევანდელი ლიტერატურული ახალგაზრდობა ჰქვია.

ასეთ ცვლილებებს სხვაფერი არ მოაქვთ ყოველთვის; განსაკუთრებით მაშინ, როცა ასაკი უკვე მყარი შეხედულებებისკენ გიბიძგებს და კალამიც გამოცდილებას (ყოველთვის ნაადრეს) შეჯამებას ტანჯავს.

ახალი, ნამდვილად საინტერესო პიროვნების შემოსვლა ლიტერატურაში მძაფრად აღიქმება დამბეჯდურთა მიერ.

დაახლოებით ისეთი გრძნობაა, როცა კარგად მილაგებული, მყუდრო ოთახის კარები გაიღება და ვიღაც წვიმაში გაწუწული შემოაბიჯებს ტალახიანი ფეხებით, რომელნიღაც ძვირფას ნივთს გამოიდებს, ყველაფერს აყრიალებს იოგელივ და უეცრმონოდ, სულ სხვა კილოთი ჩაუბმეს ოთახში მყოფთა საუბარში.

ასეთი „დისკომფორტი“ შემოიტანა ქართულ პროზაში თსუთმეტიოდე წლის წინ კუთან რჩეულიშვილმა...

როგორც ზედავთ, შორიდან დავიწყე. ალბათ იმიტომ, რომ მიეჩინა.

ახალი ნივთიერებაა ჩემს ხელში. კითხვის დროს რამდენმეჯერ მომეჩვენა, რომ უკვე დაკედგინე მისი ფორმულა (აფეკა-სელინეფენ); ჰამსუნი — იდუმალების სკანდინავური განცდა და სხვ.), მაგრამ...

ახლა ავტორს უნდა დავუტეკო, „დავიბარო“ (ასე შეეპარდი ჩემს კოლეგებს) და სერიოზულად ვესაუბრო. ალბათ ზოგიერთ რამეზე ხელს ავაღებინებ (ესეც ჩემი მოვალეობაა), ვერჩევ, გამოკითხავ, დავაზუსტებ, ხოლო რაც შეეხება „გზის დალოცვას“, ამ ორ სიტყვაში ახლა მხოლოდ ჩასაფრებულ ირონიას ვხედავ.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ლიტერატურული წრეებში განსაკუთრებით ხშირ ხმარებაში იყო ერთი სიტყვა, რომელიც უკანასკნელ დროს თითქმის დავიწყებას მიეცა: „ეპატერება“.

კეთილგონიერ მოქალაქეს („მეშჩანინს“) ცხვირწინ უქმევენ მისსავე გაბინძურებულ საცვალს და პირში უცინიან.

მოქალაქე თვალებს აცეცებს და არ იცის: დაიმალოს, ის სულის სიღრმემდე „ეპატერებულია“.

„ეპატაჟის“ ავტორი ჩვეულებრივ მალე მშვიდდება. თვითონაც ეჩვევა უმტკივნეულო დათმობათა შედეგად მოპოვებულ სულიერი წონასწორობის ტკბილ ვიმოს. ფრანგებმა დაადგინეს, რომ სანიმუშო რანტიეები (ობივატელნი ყველაზე მშვიდობიანნი მოდგმა) სწორედ ყოფილი „ამრეკვებისაგან“ გამოდიან.

გაცილებით უფრო იშვიათია შემთხვევები, როცა პიროვნება, რომელმაც ამბოხით დაიწყო, ბოლომდე ინარჩუნებს სიძულვილს „სამარცხვინო კეთილგონიერების“ მიმართ—როცა დაუთმობლობა მთელი მისი შემდგომი ცხოვრების პრინციპად იქცევა.

ასეთ შემთხვევაში ლიტერატურისმცოდნენი (უკანა რიცხვით) ადგენენ, რომ მის ადრინდელ მოქმედებას საფუძველად ედო არა საკუთარი პერსონისადმი ხელოვნური აურზაურით ყურადღების მიპყრობის სურვილი, არამედ ნამდვილი მწერლის ყველაზე ძლიერი ენება — სიმართლის მაძიებლობის უკომპრომისო, დაუცხრომელი წყურვილი.

ამის შემდეგ მას ბევრი რამ ეპატიება — გამოხატვის სიტლანქეც, უხეში გემოვნებაც, მსჯელობათა მკრეხელური შინაარსიც.

აღიარება დროს მოითხოვს.

დრო არა მხოლოდ საუკეთესო მკურნალია, არამედ ერთადერთი უცთომელი დაგნოსტიკოსიც ასეთ საქმეებში.

ნამდვილი მწერალი იწუკის სწორედ იქიდან, სადაც მომავალი რანტიე წერტილს სვამს, რათა ფილისტერთა რიგში ჩადგეს.

არის მერამ აბაშიძის მოთხრობებში ისეთი რამ — შინაგანი სიმართლის, სიხალასის ისეთი უტყუარი ნიშანი, ამ ნიღბას რომ იმასხურებს.

ჩემს ფუნქციებში „ჟეფის დარიგებაც“ შედის. ვეცდები ეს უფლება მოროტად არ გამოვიყენო. მხოლოდ ერთ რამეს გავახსენებ ამ მოთხრობის ავტორს.

ალბათობის ყველაზე შეღავათიანი თეორიის მიხედვითაც კი, უსასრულობამდე მცირე იყო ის შესაძლებლობა, რის წყალობითაც თვითეულ ჩვენთაგანს ჭეშთასოფლის სტუმრობის შანსი გაუჩნდა.

უსასრულოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ვიყავით.

უსასრულოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე აღარ ვიქნებით.

ამის გამო ყველაფერი, რაც „ყოფნაა“, ფაბრიკეს ყოველისა მადლად და სასწაულად უნდა მივიღოთ. ვინაიდან ეს ყოფნა — „ერთი წამიკი სიცოცხლის“ (სულერთია რა მახინჯი, არასრულფასოვანი, ან აუტანელი ფორმაც არ უნდა ჰქონდეს მას) არყოფნასთან შედარებით შინაგ სინათლის სხივია, თუნდაც ის პატარა სხივი, თუთის გამჭვირვალე ნაყოფთან ერთად რომ ჩამოვარდა ხიდან.

მე შერიგებისკენ არ მოვეწოწდებ ახალგაზრდა მწერალს, მაგრამ აუდიტორია, რომელსაც ის ერთვენ სავანგებო ირონიით მიმართავს (ევროპულ ლიტერატურაზე გაზრდილი მკითხველი) ქართველი მწერლისაგან სხვაგვარ სულიერ ელექსირს მოელის.

ნე დავკვეიწყდება, რომ ჩვენ მზიური გენების მატარებელი ხალხის შვილები ვართ.

სამყაროს „გახლეჩილი ცნობიერე?ით“ ვერ გავაკვირვებთ, ვერც თვითგვემით, ან თავის თავზე ტირილით.

ქართული ხასიათის თვითმყოფი გენია და სულის ძახილი სხვაა — მზის ამოსვლის მაუწყებლობა, „სურვილთა დიადობანი“, რაინდულ დიდსულოვნებასთან წილნაყარი სტოიციზმი და „ჭირსა შიგან გამაგრება“.

ქრისტიანობა (მერაბ აბაშიძის გმირის მიერ დისკრედიტირებული იმის გამო, რომ მოკვასის სიყვარულის მცნება არ ითვალისწინებს, სანდალდობრ როგორ უნდა შეიყვარო იგი.) ჩვენ სხვანაირად მივიღეთ.

სხვისთვის თავდადება, მარტვილობა — მოწამებრივი ხვედრი სიხარულად ვიქციეთ ...ლოდ და არტისტიზმი შეგიტანეთ ამ მძიმე ... გაუხარეულ საქმეში.

ეჰ, ჩვენი მეთერთმეტე მცნება:

„მე იგი ვარ, ვინ სიცოცხლეს
არ ამოკრეფს კიტრად ბერად,
ვის სიკვდილი მოყვრისათვის
თამაშად და ოჭანს მღერად.“

ცხოვრება არ ღირს ბოლმად, გოდებად, უურისძიებად...

ალეკსანდრე ბლოკს თავისი „ფურისეებისათვის“ წამძღვარებული აქვს იბსენის სტაფე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიგნით მიმართული ენერგია ღრღნის და აუქმებს ადამიანზე გაცილებით უფრო დიდ სხეულებსაც. სულ ახლახან კოსმოლოგებმა დამტკიცეს გზით დაადგინეს „ჯოჯოხეთის“ კოსმიურ საქკვიდრებულთა არსებობა — სამყაროში მიმონაწილები „შავი ნახვრეტები“, რომლებიც სწორედ ასეთი (ცენტრისკენული) პროცესის შედეგად აღმოაცენდნენ.

შიგნით მიმართული ენერგია სიცარიელეს აქცევს მატერიის კოლოსალურ მასას. ვარსკვლავის, თანავარსკვლავედის, ციცერ სხეულთა მეტაშენაერთის ნაცვლად რჩება შემზარავი არარა...

ყველაზე საოცარი ის, რომ სამყაროს ამ „შავ ნახვრეტებს“ შენარჩუნებული აქვთ მიმზიდველობის ძველი უნარი. მაგრამ ისინი ამიერიდან მხოლოდ არარსებობის უფსკრულში ითრევენ ყოველივეს, რაც მათი ზემოქმედების არეში ხვდება.

უნდა გამოვტყდე, რომ ამ მე მერაბ აბაშიძეს უკვე მისი სხვა მოთხრობის გამო ვეკამათები: „ეროზიის ხანარის ქალაშვილი“ — ასე ეწოდება ამ მოთხრობას, რომელიც მან ჩვენი მეორე შეხვედრისას მომიტანა (სანამ ამ წერილს ვწერდი, ეს შეხვედრაც შედგა).

ადგებურნენდით პირველ მოთხრობას: „აქეთ ჩარაღდნები, კვაზიმოდო!“

მე მეკონ, ეი მოწოდება უპასუხოდ დარჩება. კვაზიმოდო — მერაბ აბაშიძის ამბობებით ჯუკას ყველაზე ცნობილი წინამორბედი — იქ არ მიიტანს თავის მაშხალებს, სადაც მას ეპატიჟებიან. ბოროტი ხსოვნის იმპულსი ეცხოა მისი ბენეფიციათვის.

თუ მან პიროტეკნიკოსის ხელობა ისწავლა, ჯალათთა ხორცის შიშინით კი არ დატკბება, აუტოდაფეთსთვის კი არ დახარჯავს თავის ოსტატობას — ყველაზე შშვენერ, თვალწარმტაც ფეიერვერკს მოაწყობს ამ ობოლი ბობა გოგონას სასახელოდ, მისი მთვლემარე სული რომ გამოაღვიძა. რა გაეწყობა, თუ თვითონ ის ამ დღესასწაულზე არ მიიწვიეს! სადმე ზორიახლოს ჩამოჯდება საკუთარი ხელით მოწყობილი სანახაობის — თავისი აღმდარი ოცნების სამზეოზედ.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ბოროტების ერთადერთი ეამალი ისაა ძალიეესიანად ამოთხრაა. მაგრამ ამ წმინდა საქმის აღმსრულებელს უადრესი სიფრთხილეა მოთხოვება, რათა ეგოიზმის შხამიან ფესვებთან შეხებისას თვითონ ეუნებელი გადაჩრეს. ბოროტებაზე გაპორტებით პასუხი იმას ნიშნავს, რომ ერთი ამ ფესვთაგანი შენ თვითონ ჩაგრჩა სულში და ადრე თუ გვიან ახალ ულორტებს ამოიყრის.

ჯალათად ქცეული მსჯეველი არსებითად მისი უერთგულესი თანამებრძოლია, მისი ეგოისტური ოწმენის აღმსარებელი.

კვაზიმოდო იმით განსხვავდება თავისი ბედკრული, იქვით, ცოდვისწადილითა და ინანულით სულკამოღრღნილი ბატონისაგან, რომ მან არ იცის, რაა ეგოიზმის ნულ ცეცხლზე წვა.

მისი მამძრავებელი სტიქია სიყვარულია და ამ სიყვარულით გასაკეცებული წყუდიელი სიკეთის ქმედებისა.

ის არც საკუთარ სულის გადარჩენაზე ფიქრობს დღენიადაგ. მეფეზე არ იფოს, di prof:ndis-ის მგალობელთა გუნდში კი არ ჩაეწერებოდა, ყველაზე ცეცხლოვან რომანსეროს შეასრულებდა თავისი სათაყვანებელი არსების სმენის საამებლად.

კვაზიმოდოს კუნი იმით არის მომზიბლავი, რომ ის ლოდად არ აწევს მის სულს, არა თუ არ ტუნავს მას — გოლოს და ბოლოს ფრთებად იქცევა.

იმ ფრთებად, რომელთაც მას უკანასკნელი, უმშვენიერესი გფრენის საშუალება მისცეს.

მ. აბაშიძის ვმირი მაშინ იწვევს ნამდვილ თანაგრძნობას, როდესაც ის თავის თავში სარეოოდ ადამიანს, უგულოობით გათელილ ადამიანურ საწყისს — „დამცირებულთა და შეურაცხყოფილთა“ მოდგმას ტირის. ხოლო, როცა მისი ცრემლი და ბალკანი საკუთრივ მისივე კერძო უბედურების გამო იღვრება, მკითხველის თანაგრძნობა თანდათან ქრება, ან ზიზღნარევ სიბრაზულეში გადადის.

იგივე ითქმის მისი პროტესტის შინაარსზეც. ის ხან ოლმომრეობის მიმართ მთელი კაცობრიობაც სახელით წარდგენილ საზღაურის შეგნებამდე მაღლდება, ხან კი წვრილმანი სამაგიერის (პირადი „სატისფაქციის“) მოთხოვნითაა ზოვარდებული.

არის მომენტები, როცა მკითხველს გულგრილობა ეპყრობს ამ ბედკრული კაცესაც მიმართ. არა იქ, სადაც მისი მოქმედება „განათვლებული საზოგადოებისათვის“ მისაღებ ყოფა-ქცევის გარეგნულ ნორმებს არღვევს, არამედ იქ, სადაც ეს მოქმედება მოკლებულია უკვე შინაგან ადამიანურ ღირსებასაც და ამდენად ესთეტიკურ ღირებულებას — ე. ი. იმას, რაც ხელოვნებაში ტკბობასხარის სასაცილო ჟესტს ტრაგიკულ იერს ანიჭებს.

ასეთი მომენტები ცოტაა მოთხრობაში. მაგრამ ისინი, სამწუხაროდ, მაინც აკეთებენ თავიანთ საქმეს...

თანამედროვე კინოხელოვნებაში სიურეალისტური მიმდინარეობის აღიარებულ მამამთავარს ბერგმანს დადგმული აქვს ერთი შედევრი ნაკლებგაჩამუერებული (სავსებით რეალისტური) სერთი, რომელის შინაარსს განსაკუთრებული აღფრთოვანებით ყვებოდა ქართველი კინორეჟისორი თამაზ მელიავა.

მთვრალი მწყემსი ბიჭები ნამუსს ხდიან

ბერაკ ასათიანი
ბზის დასალოცად

ღვთისმოსწავლენე ლეგხის მეცრეწლოვან ქალიშვილს (ამ ოჯახმა ისინი ღამისეასათვედ შეიფარა). ბლეხი სასიკვდილო განაჩრნს გამოუტანს მეინარე მწყემსებს. დასჯის ეეგმა დეტალურადაა გადანაშაულებული და ასევე სრულად, ზედმიწევნით სახიერდება ეკრანზე. მაგრამ ამას წინ უძღვის ერთი რამ:

ქალიშვილის მამა შურისგების წინ განმანვის სიმბოლურ რიტუალს ასრულებს, — ტანს იბანს, რათა ღვთიური განნრინება ამქვეყნიური ცოდვა-ბრალისაგან, ბიწიერებისაგან განწმენდილმა მოიყვანოს სისრულეში.

მ. ალაშვილის მოთხრობის ფინალში არის ასეთი „განმანვის“ ფსიქოლოგიური ელემენტები.

ჯუჯა თითქოს მაღლდება თავის თავზე, დროებით ივიწყებს საკუთარ კოშტს და ნაწიხლარებს და განიხლეზეული დებაშვილისაგან სამართლის მრისხანე რაინდად გარდაიქმნება (ამას მისი „გაადამიანურება“ უძღვის წინ, როცა ის მთელი ღამე აფთიაქიდან აფთიაქში დარბის ავადმყოფი დისთვის წამლის საშოვნელად).

გამოსავალი თითქმის ნაპოვნია, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, როგორ გაივლის ამ გზაზე სასოწარკვეთილ ხერხეულმგადამსხვრეული ქონდრის კაცი.

გამორიცხული არ არის, რომ ეს მისი გეგმაც ეგზალტრებული წარმოსახვით აღძრულ ზმანებათა რიგს შეეთრთდება.

ფინალური ეპიზოდის შინაარსი ნაცნობ ანალოგიას იწვევს.

პატარა ადამიანი (თანამედროვე სპრინდონ ბერიშვილი) ხელს აღმართავს თავგასულ „ზეკაცზე“ (მოთხრობაში მას ანდრო ჰქვია). პირველი ულტრა-თანამედროვე ფსიქოლოგიის მატარებელია. მეორე (ტარიელ მკლავაძის ნაშთარი) არსებითად ძველი ტრადიციული ნიღბით ვვეცნობა.

ისინი თითქოს სხვადასხვა დროში, სხვადასხვა სიბრტყეზე ცხოვრობენ და, წესით, არასოდეს არ უნდა შეეჯახონ ერთმანეთს.

შესაძლოა, აეტორი ამას განგებ უსვამს ხაზს. მაგრამ მკითხველს მაინც უკვირს: თუკი პირველის ხასიათმა ასეთი ღრმა ევოლუცია განიკადა, ნუთუ მეორეს ერთი ნაკვთი მაინც არ უნდა შეცვლოდა სახეზე?

ერთი სიტყვით, ანდროს ხასიათი ზედმეტად ნაცნობია და თავიდანვე გაშიფრული.

ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს მოთხრობაში, სადაც ყოველი ეპიზოდი, ხასიათის მოძრაობა, კოლიზია — თითქმის ყველაფერი მოგლდნელობებით დაძაგრულ თოკზე ჰკიდია.

ორიოდე სიტყვა მ. ალაშვილის სტილზე.

მხატვრული თვალსაზრისით ეს მოთხრობა (ისევე, როგორც „პოეზიის ხანძრის ქალიშვილი“) ჩემში გაორებულ გრძნობას ბაგენს.

ერთის მხრივ ნიჭი, ენება, ძრაელისმეწვდომი ხელვები, ადამიანური ცნობიერებისა და ქვეცნობიერების აღსაბეჭდები...

მეორეს მხრივ, არასრულყოფილი სურათები, ჩამოუქნელი ნაკვთები, უზომობისა და უკმარობის განცდა.

ეს გაორება განსაკუთრებით მკვეთრად მეორე მოთხრობის კითხვისას ვიგრძენი. იქ კიდევ ოერო ნათლად ჩანს იმ მოთხოვნილების დაოცების ცდა, რომელიც ახლა ყველაზე მწვავედ დგას ჩვენი ლიტერატურის წინაშე — ჩვეულებრივობის მშვიდი მეინარებიდან თავის დაღწევისა და შმაგ, იშვიათ ენებათა მორევში შეკრის სურვილი. მაგრამ „პოეზიის ხანძრის ქალიშვილის“ აეტორს ჯერ კიდევ არ ყოფნის სუნთქვა მიზანში ამოღებულ მწვეარვალთა დაიაპყრობად. ის ერთი ფეხის დაკვრით ლამობს იქ აჭრას, იმ სიმაღლის მოპოვებას, რომელზეც მხოლოდ უკიდურესი დაძაბვის, ხანგრძლივი, თავაუღებელი ღწვისა და უნაკლო ოსტატობის შედეგად შეიძლება ასვლა.

ამატომაა, რომ მას ხშირად უსხლტება ფეხი ციცაბოებზე.

თავვაწყრივა, ზეშთაგონება, ეკსტაზი ჯერ კიდევ მოკლებულია ოსტატისთვის აუცილებელ საყრდენს.

მ. ალაშიძის ყველაზე სრულყოფილი იარაღი ირონიაა. (და არა პოეზიის ექსტატიური ენა, რომელიც, ჩემი აზრით, საერთოდ, ან ჯერჯერობით მაინც უტყნ, დაქმორჩილებელი სტქიაა ბისთვის). ოღონდ ამას ოსენჯობის ჩვეულებრივ ნიჭად ნუ მივიღებთ. ეს ის ფორმაა ირონიისა, რომელიც გერმანელმა რომანტიკოსებმა შეძინეანეს მწერლობაში — რომანტიკული ირონია.

პირველ მოთხრობაში ირონიის „სიუჟეტი“ როულია და ზოგჯერ ისეთ შემზარავ ფეერიულ მხიარულებაში გადადის, ისე ეერეს ერთმანეთში ფანტაზიას და ყოფას, სასოწარკვეთას და მახეილგონიერებას, ისე ეერეულოდ წარმოსახავს ნაცნობ საგნებს, რომ გრძნობ, შენს წინ შთაგონებაც ახალი ნაზავია.

მაგრამ მთავარი არც ესაა...

სიტყვებს აქვთ პირველადი მნიშვნელობა, რომელთა დავიწყება არ ღირს. ძნელია გზა დაულოცო კაცს, რომელიც თავისი ნებით დაადგა მსიმე აღმართს. და თუ მაინც დუმელს ვერ გაუძელი, თუ მაინც და მაინც ისე ხარ გაზრდილი, რომ ამგვარ მომენტებში რიტორიკის ცდუნება მოგრეოდა, მშვიდად თუ დაადევნებ უკვე ეზაზე შემდეგარს:

— მსუბუქი იყოს შენთვის ეს ბაზი, მეგობარო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაუნიკი

ზურაბ ჭუბაბრია

კონცერტი

ქალმა ერთხელ კიდევ ჩაიხედა სარკეში, ერთხელ კიდევ გადაისვა ჭაღარაშეპარული თმაზე ხელი, პალტო გადაიცვა და ფაცხაფუცხით გაიკეტა კარი.

ლიფტს აღარ დაუცადა და ოთხი სართული ფეხით ჩაირბინა.

ბედად ტაქსი გამოჩნდა.

— კონსერვატორიასთან მიმიყვანეთ... თუ შეიძლება სწრაფად

„ოჰო, რა სიმპატიური მძღოლია... საფეთქლებში თეთრი გამორევია, უსდება... ნიკოსა გავს... ეჰ, ნიკა, ნიკა.. თუმცა, რა, სამოცდაათს არაფერი უკლია... მაინც ადრე იყო, ძალიან ადრე... მოიღრუბლა, წვიმა წამოვა ალბათ... რამდენი ხალხია, ფეხბურთი... „მეს“ მენაწილე ცოტა არ იყოს, ხმამაღლა გამომდის... გავასწორო? რამდენჯერ შეიძლება... უკანასკნელადაც ვცდი, რაც იყოს, იყოს!..“

მანქანა გაჩერდა.

— აქა? — მძღოლი დაღლილი, გახუნებული თვალებით მიაჩერდა ქალს.

„ესა ჰგავს ნიკოს?“

— დიახ, დიახ. ინებეთ მანეთი.. გმადლობთ!

მძღოლს არც კი გამოუხედავს, ისე დაძრა მანქანა.

●

მცირე დარბაზში ოციოდე კაცი იჯდა.

მიყრილ-მოყრილი სკამები, ეტყობოდა, ეხლახან დაეწყოთ რიგებად.

მტვერი გულმოდგინედ მიეგავათ კუთხეში.

ამაღლებულ ესტრადაზე გაკრიალებული როიალი იდგა.

კედლებზე რაღაც წარწერები მოჩანდა და ალაგ-ალაგ ბათქაშიც ჩამოცვენილიყო.

ქალი სცენაზე გამოვიდა, ვარდები როიალზე დადო და შავი სიბრტყე წითლად გამოაცოცხლა: შემდეგ მოწყვეტით დაუკრა თავი ხალხს და სკამზე დაჯდა.

მევიოლინე — ვრუზა, მაღალი კაცი საბოლოოდ ამოწმებდა ინსტრუმენტს.

ქალმა უკმაყოფილოდ გადააქნია თავი: „...ისევ დარჩენიათ მტვერი... ხომ იციან, ვერ ვიტანს... არა უშავს, ცხვირსახოცით გადავწმინდავ“. თვალი მოავლო თითქმის ცარიელ დარბაზს „...კაცოშვილი არ არის... ჰო, მართლა, დღეს ხომ ქსენიას იუბილეა, რაღა მაინცდამაინც ამ დროს დამინიშნეს კონცერტი“... პირველ რიგში ნაპატიები, გაპრიალებულსახიანი ქალი და მისი ახალგაზრდა ორეული ისხდნენ „...ყველა კონცერტს ესწრება... დღეს დედაც წამოუყვანია... რა მსუქანი და მოუ-

ქნელი თითები აქვს ამ გოგოს... ალბათ ჭგონია, ერთი კონცერტიც რომ გაიცდინოს, ვეღარ დაუკრავს... ვღელავ?.. არაფერია, გაივლის... ვერ დაუკრავს და ნუ დაუკრავს, იმედი მაინც იქონიოს, ეგეც კარგია... ქეთო და ლაურაც ჩემთან მოსულან... გმადლობთ, გოგოებო, გამარჯობათ... დიდი რამეა იმედი, თუმცა... რაც მოსახდენია, მაინც მოხდება... ეს ალჭაჯებიც მოსულან, ჩემი სტუდენტები... საშიში ხალხია, არაფერს მაპატიებენ... სულ იცინიან, ენახოთ, ენახოთ..."

მეგიოლინე თვალებით ეკითხებოდა, დავიწყო თუ არაო.

ქალმა ოდნავ შესამჩნევად დაუკრა თავი, გაიღიმა, სკამი კიდევ ერთხელ გაისწორა და პირველი აკორდი აიღო.

„...ახლა მთავარია ტემპი არ დავაგდოთ... ასე სჯობს, იმასაც არ გაუჭირდება, მე მგონი... თუმცა, აბა რა ვიცი... იმის მაგივრად, რომ იმუშაოს დღედაღამ აქაა და პირველკურსელ გოგონებს მიბნედილი სახით მუსიკაზე და, საერთოდ, მაღალ მატერიებზე ელაპარაკება... უსდგება... ნეტავ, რა უნდა გაეკეთებინა, მუსიკის გარდა? მე მგონი არაფერი... ხომ არ ეეჭვიანობ?... კი დროსია!.. კარგი თითები კი აქვს, ნამდვილად! რად გინდა... ჩემს თითებზე ყოველთვის მეცინებოდა... ახლაც მეცინება... შეხედეთ ერთი, როგორ დარბიან აქეთ-იქით ეს პატარა, გამხდარი, მოძრავი არსებები... თან, მე რომ არაფერს მეკითხებიან... დაქრიან და მორჩა... მგონი უჭირს, ტემპში ვერ მომყვება... რა ეშველება ამ კაცს, არ ვიცი... არ მუშაობს, არ უნდა, მორჩა და გათავდა... რა ყავისფერი სახე ქონია... ახლა შევამჩნიე... გამოგადინე ოფლი? მოგიხდება... ეგრე გინდა... მოიცა, ტემპს მოვუმატო... ასე... ახლა რაღას აპირებ... ხომ დაგცხა... კარგია, კარგია, კარგია, ყოჩაღ, აი ასე... ახლა დაამთავრე... კარგია, ბოლო და... აი, ასე... ყოჩაღ!.. ეს რაღაა, ტანზე? პირველი ნაწილის მერე? ჰო, რა თქმა უნდა. ჩასუქებულმა დედიკომ გამოიჩინა ინიციატივა... სტუდენტები სიცილით კვდებიან... სასაცილოა, აბა რა... თვალს ჩავუკრავ... მიხვდნენ... ცერიც ამიწიეს, კარგიაო... მართლა?.. საწყალი, ჩასუქებული გოგო, შეარცხვინა ჩასუქებულმა დედიკომ, საცოდავი, როგორ გაწითლდა და მოიბუზა... არა უშავს, ეგეთები მომხდარა!.. დავიწყოთ?.. ძალიან კარგი... ასე... კარგია... ეს პასაჟი ადრე მიჭირდა საქმეს... როდის?.. ადრე, ძალიან ადრე...

კვადრატული, მოცისფრო ყინულები... თეთრი და ცისფერი... რაფინადი... აი, აისბერგი... ქვეშ, სიღრმეში წყალი მუქდება და ცივდება... ცისფერიც მუქდება... აისბერგის ზედაპირს დაკრავს ცისფერი... თანდათან მუქდება... ლურჯი, ღრმა... კიდევ უფრო ღრმა... სიბნელე, ლურჯი, გაუვალი სიბნელე... განთავისუფლება... შადრევნები... თეთრი და ცისფერი... კარნავალი... წითელი, ყვითელი, მწვანე ნიღბები... ჭრელი ალეკინები... კომონო, ლამაზი, წითელი ვულკანი... წითლად გავარვარებული ლღვეები, ფიფქებივით ცვივიან... კიდევ, კიდევ, კიდევ... ყოჩაღ... მიდი, ასე... ფეიერვერკი... წითელი, ყვითელი, მწვანე... ოქრო ბრწყინავს... ბრილიანტები... ფერები ერთმანეთში იღვრებიან და ლეკლეკებენ... დიდებული ზეიმი... ფერები... ფუი, აქ პედალი არ უნდოდა!.. ადრე უნდა შემემჩნია... აქედან ფეხით წავალ... ხალხია ქუჩაში, უამრავი ხალხი... დღეს ფეხბურთია... საწყალი, სულ წვიმის შიშში არიან. ქარი... მივაბიჯებ წითელი ვარდებით ხელში და თმები მეწეწება... ძალიან ბევრი ხალხია... მამაკაცები დაღრემილნი მოდიან... ნაცრისფერი, ჭუჭყიანი ღრუბლები... მოდიან მამაკაცები ჩემს შესახვედრად... ყველა სიგარეტს ეწევა... რამდენი მოცისფრო ბოლი დაგროვდებოდა, ქარი რომ არ ფანტავდეს... ვიღიმები და სახლისაკენ მივდივარ... ერთი მოზვერივით კაცი მეჯახება... კიდევ კარგი, მოვასწარი და გვერდი ავუქციე... იმასაც გავუღიმე... რა ქნას, ვერ შემამჩნია ალბათ... მზეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმზირა... ჩენჩოების მოზაიკა ასფალტზე... ხალხით გატენილი ავტობუსები... მე მივდივარ და ვცდილობ არავინ დამეჯახოს... როგორ მიიჩქარიან... ქარი გაზეთების ნაფლეთებს აფრიალებს... ძლიერს მივიწევ წინ. ქარია... ძალიან გავხდი... თმა თვალებში მებლანდება... აი ჩემი სახლიც... ოდნავ უფრო სწრაფად... აი, ასე... ძალიან მაღლა ვცცოცრობ... ლიფტი არ მუშაობს... სადარბაზოში ქარი არ არის და ესეც კარგია... დავიღალე... ერთი სართულიც დარჩა... ეგრე... თუ კაცმა მოინდომა... ყოჩაღ, ეს ნაწილი ხომ არასდროს გამოგდიოდა... ყოჩაღ, ოღონდ არ აყრიანინო შენებურად ბოლოში... ფრთხილად... აი, ასე... ცოტა უკეთესი ვიოლინო რომ გქონდეს და მეტს მუშაობდე... ვინ იცის... ასე, ასე, ყოჩაღ, კარგია!... სიჩუმე... სახლში თბილა... სახლში თითქმის ყოველთვის თბილა... მშვიდი, ყვავილი სინათლე... წამოვწევები, დამეჭიმუჭნოს, არაფერია... კედლიდან ნიკო მიღიმის... როგორ ციოდა გარეთ... რა კარგია, თბილა... შესანიშნავია... აბა, მოვემზადოთ... დაიწყე!..“

კაფის კნუტი

დიდი საიუბილეო კონცერტის რეპეტიცია მთავრდებოდა.

დაღლილი, ოფლიანი მოცეკვაეები ფეხებგაჩაჩხულნი ისხდნენ ტყავის განიერ სავარძლებში. როცა დგებოდნენ, სავარძლის სახელურებზე რჩებოდა მათი იდაყვების ოფლიანი კვალი და ნელ-ნელა ქრებოდა.

კიბის მოაჯირთან ბალერინები ერთი და იგივე მოძრაობებს იმეორებდნენ.

დიდ დარბაზში აქა-იქ ენთო მბჟუტავი სინათლე.

მხოლოდ უზარმაზარი ცარიელი სცენა იყო განათებული.

კონცერტის რეჟისორი პატარა ნაუთრით განათებულ სარეჟისორო ჰულტთან იჯდა, სხვადასხვა ღილაკს ხელს აჭერდა და წამდაუწუმ განკარგულებებს იძლეოდა ჩახლეჩილი, გაციებული ხმით. ხნიერი კაცი იყო, თხელი თეთრი თმა შუბლზე ჩამოშლოდა და აჭარხლებულ სახეზე ოფლის წინწკლები ეყარა. რქის დიდი სათვალე მოზრდილ, ბოლოში მოკაუჭებულ ცხვირზე ჩამოსრიალებოდა და ზედ ცხვირის წვერზე გაჩერებულიყო. სათვალის ზემოდან დმინოს ჭროღა თვალები იცქირებოდნენ მოუსვენრად. მოხუცი ცდილობდა მარჯვნივ არ გაეხედა: „იქ გამხდარი, ფართოშარვლიანი ბომღერალი ქალი იჯდა, სქლად შეღებილ წამწამებს აფახულებდა, ხმამაღლა იცინოდა და სიგარეტს აბოლებდა. რეჟისორი, მას რომ თვალს მოჭკრავდა, ბრაზიანად ჩაახველებდა ხოლმე. ქალი კი ამ დროს უფრო გამომწვევად იქცეოდა და ნაძალადევად ხმამაღლა ელაპარაკებოდა მსახიობს, რომელიც ჩურჩულით პასუხობდა ქალს, გატრუნულიყო და თვალს არ აცილებდა რეჟისორს. მომღერალი ქალი მინისტრის მოადგილის ცოლი იყო და რეჟისორს ვერ გაებედა მისი დარბაზიდან გაგდება. თვითონ მინისტრის მოადგილე, ამ კონცერტის საერთო ხელმძღვანელობა რომ ევალებოდა, რეჟისორს გვერდით სკამზე იჯდა და ყვინთავდა. იგი დაბალი, მელოტი კაცი იყო, არაფერში არ ერეოდა და თანხმობის ნიშნად თავს იქნევდა ხოლმე დროდადრო.

მსახიობები ერიდებოდნენ რეჟისორს — ფეხის წვერებზე დადიოდნენ, გვერდს უქცევდნენ და ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. მომღერალ ქალთან ჩხუბის შემდეგ დაღლილი, გაღიზიანებული მოხუცი რეჟისორის ხელახლა აფეთქებას ბევრი არაფერი უკლდა და მსახიობებმა ეს კარგად იცოდნენ.

ზურაბ ბუბაბერია
მოთხრობები

— Нину ко мне! — დაიძახა რეჟისორმა.

საშუალო ტანის, საოცრად მოხდენილმა გოგონამ მკვირცხლად მოირბინა. მას ჭორფლიანი, მიმზიდველი სახე ჰქონდა. გახუნებული, ლურჯი სპორტული კოსტუმი ეცვა. გზა და გზა შალის წინდას ისწორებდა.

— Слушаю, Акакий Ермолаевич — ნინას შესამჩნევად უთრთოდა ხმა და ფართოდ გაღებული ცისფერი თვალებით ოდნავ შეშინებული შესცქეროდა რეჟისორს.

მოხუცი შეეცადა, მაგრამ ღიმილი ვერაფერ შეიკავა ამ ნათელი, გულუბრყვილო სახის დანახვაზე.

დაძაბულობა ერთბაშად გაქრა.

მსახიობები ალაპარაკდნენ.

მომღიერალმა ქალმა რეჟისორს გადახედა, ქმართან მივიდა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. მინისტრის მოადგილე, რომელიც აქამდე ტკბილად თვლემდა, შეერთა, მაგრამ უეცრად გამოერკვა, სათვალე მოიხსნა და დასვიებული ქუთუთოები მოისრისა. უკვე ერთი კვირა სრულდებოდა, რაც ამ დარბაზში ათენებდა.

— არ დაგავიწყდეს, რაც გითხარი! — ცოლი მაღალქუსლიანი ფეხსაცმლების ბაკუნით გასასვლელისაკენ გაემართა, თან ტანს ლამაზად არხევდა. მერე მობრუნდა და ხელით ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა ქმარს. რეჟისორი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ქალს, მინისტრის მოადგილეს უკვე თვალები დაეხუჭა. ქალმა ხელი ჩაიქნია და დარბაზიდან გავიდა. მსახიობებმა თვალი გააყოლეს.

რეჟისორი მშვიდად არიგებდა ნინას. ნინა ყურადღებით უსმენდა. მერე სცენისაკენ გაიქცა. წითური, უკან ცხენის კუდივით შეკრული თმა სირბილის დროს უთამაშებდა. რეჟისორი კმაყოფილებით შესცქეროდა ნინას ვარჯიშს. ამ გოგომ იცოდა თავისი საქმე.

მსახიობები მოუთმენლად ელოდნენ რეპეტიციის დამთავრებას.

მუსიკოსები ინსტრუმენტებს ალაგებდნენ.

რეჟისორმა მიკროფონი აიღო ხელში.

— მაშ ასე, ხვალ ზუსტად ხუთ საათზე!

მსახიობები ხმაურით წამოიშალნენ.

რეჟისორი სკამზე გადაწვა და თვალები დახუჭა.

— ბატონო აკაკი, ბატონო აკაკი! — დარბაზის სიღრმიდან მისკენ მოიჩქაროდა საკმაოდ მაღალი, ტანსრული ქალი. მას ათიოდე წლის გამხდარი გოგონასათვის ჩაეჭიდა ხელი. გოგონა ცდილობდა არ ჩამორჩენოდა ქალს. გრძელი, თეთრი საცეკვაო კაბა ფეხებში ებღანდებოდა.

რეჟისორმა თვალი გაახილა.

— ბატონო აკაკი, — ქალმა გულზე ხელი მიიდო, სული მოიბრუნა. — თქვენ ალბათ დაგავიწყდათ, კირვალიძემ რომ დაგირეკათ გუშინ, — ქალმა ბავშვი წინ დაიყენა — ჩემი გოგონაა, ეკა. ეკა, მიესალმე ბიძია აკაკის!

ბავშვმა რეჟისორს გაუღიმა, სასაცილოდ აპრეხილი მრგვალი ცხვირი ჰქონდა.

რეჟისორმა ვერ დაინახა გოგონას გამოწვდილი ხელი და ფართო ხელისგული ლოყაზე დაბნეულად მოუთათუნა ეკას. ვერაფრით ვერ გაიხსენა, ვინ იყო კირვალიძე და რატომ უნდა დაერეკა.

— აა, ეს გოგონაა? ძალიან კარგი...

— რომ იცოდეთ, როგორ ცეკვავს, ბატონო აკაკი, გაგგაოცებთ პირდაპირ!

— ცეკვავს?

— დიახ, დიახ!

— ვნახოთ, სად ცეკვავს?

— პიონერთა სასახლეში, ბატონო აკაკი, რეზო მისუტარაძესთან. ბატონო რევაზ! — ქალმა ხელი დაუქნია გამხდარ კაცს, კარებთან რომ ელაპარაკებოდა ვიღაცას.

— მაშ კარგად ცეკვავს ეს თქვენ გოგო?

— ჰო, არა უშავს, — რეზო მისუტარაძემ მზერა გააპარა ქალისაკენ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი სახე რომ დაინახა, მყისვე გამოასწორა — ძალიან კარგად ცეკვავს. თქვენ თვითონ შეამოწმეთ, თუ გნებავთ.

— ვნახოთ, ვნახოთ! რეზო, მოამზადე, შენი ჭირიმე, დამკვრელები.

რეზო მაისურაძემ ღრმად ამოისუნთქა და კულისებს მიაშურა. კულისებიდან იმწამსვე დამკვრელების უკმაყოფილო ბურტყუნი მოისმა, ინსტრუმენტები უკვე ჩაელაგებინათ და წასვლას აპირებდნენ.

ქალმა სასწრაფოდ გაუსწორა ეკას კაბა და სცენისაკენ გაემართა. რეზო მაისურაძე ქალს მოეთათბირა, დამკვრელებს მითითება მისცა და რეჟისორთან დაბრუნდა.

— რას ცეკვავს? — შეეკითხა რეჟისორი.

— კინტაურს.

— შენი ნაცნობია დედამისი?

— უფ, ნუღარ მკითხავთ! — რეზო მაისურაძემ უშბლზე ხელი გადაისვა.

რეჟისორმა თავი დაუქნია, — მესმისო.

ვეება სცენაზე ძლივს ჩანდა ერთი ციცქნა გოგო.

დასრიალებდნენ და ერთმანეთში ირეოდნენ მძლავრი პროჟექტორების ნაირფერი, ფართე სინათლეები.

მედოლეები უხალისოდ სცემდნენ დოლს.

დაძაბული ცეკვავდა პატარა გოგო— დუხვეწავად, თითქმის მოუქნელად. ბუნჩულა ხელებს დაზეპირებული მოძრაობით იქნევდა.

შემწყნარებლურად იღიმებოდნენ დარბაზში შემორჩენილი მსახიობები.

ეკას ზედვე ეტყობოდა, რა შრომად უღირდა მას და დედამისს ეს ცეკვა.

სცენასთან ახლოს იჯდა ხანშიშესული, მაღალი, წელგამართული ქალი — ხალხური ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი. იგი სერიოზულად, მკაცრად შეჰყურებდა პატარა გოგოს სასაცილო ცეკვას.

წინათ თვითონ ცეკვავდა ქალი ასეთ ცეკვებს. ცეკვავდა — ავიზასავით მოქნილი და ჯეირანივით ყელმოღერებული.

ცეკვავდა ისე, რომ ცეცხლი ეკიდებოდა სცენას.

და ნატიფი ხელის ერთი შერხევაც აჯადოებდა ხალხს.

ცეკვავდა ოცნებასავით სწრაფი და მოძახილავი.

ადგა ქალი და შეუძახევლად გავიდა.

ეკას დედა სუნთქვაშეკრული მისჩერებოდა რეჟისორს.

რეჟისორი ამ მზერას გრძნობდა და ხაზგასმულად გულგრილად შეჰყურებდა სცენას.

ქალი ვერ ამჩნევდა ამ გულგრილობას, ვერაფერს ვერ ამჩნევდა. იმედით უბრწყინავდა თვალები.

ეკამ დაამთავრა ცეკვა და სცენიდან ჩამოხტა.

დარბაზში სიჩუმე იდგა.

ერთი-ორჯერ ჩაუხეველს მხოლოდ.

გზადაგზა მსახიობები ლოყაზე ხელს უთათუნებდნენ გოგონას.

გახურებულმა, აწითლებულმა ეკამ დედასთან მიირბინა და მის კალთას მოეფარა.

რეჟისორი სიტყვებს ეძებდა. გვერდზე მოიხედა — რეზო მაისურაძე გამქრალიყო.

— რამდენი წლისაა ბავშვი? — შეეკითხა ქალს მინისტრის მოადგილე.

— ათის... — ქალმა ალმაცერად გადახედა მას. ეტყობოდა, რომ არ იცოდა, ვინ იყო: — ბატონო აკაკი, ხომ შეიტანთ ცეკვას ხვალინდელ კონცერტში... ძალიან...

— ჯერ პატარაა გოგო, — გააწყვეტინა რეჟისორმა და მინისტრის მოადგილეს გადახედა.

მინისტრის მოადგილემ ნიკაპი მოისრისა და გაიღიმა.

— იცით, რამდენს მუშაობს? კირვალიძემ მითხრა...

— კარგით, ვნახოთ.

ზურაბ მუმაბარია

მოთხრობები

— მაშ მოვიდეთ ხვალ?

— კონცერტი ისედაც შესამოკლებელია, ვნახოთ, თუ...

— თქვენი ჭირიმეთ, ბატონო აკაკი...

— ვნახოთ, ვნახოთ, — ჩაიბურდღუნა რეჟისორმა და გასასვლელისაკენ გაემართა. კარებთან რეზო მაისურაძე იდგა.

— რეზო, კირვალიძე ვინაა, თუ იცი? მაისურაძემ მხრები აიჩეჩა.

●

— ეგენი ხომ არ გაგიჟდნენ, როგორ ჩავატიო ამდენი ნომერი ორ საათში! — გაეცინლებული რეჟისორი წამდაუწუმ სათვალეს ისწორებდა. ხელში ფანქარი ეჭირა და მის წინ მაგიდაზე დაგდებულ შავად დაბეჭდილ კონცერტის პროგრამას თვალს არ აცილებდა.

— ნაფეტვარიძე ამოვაგდოთ, — შესთავაზა რეჟისორს ჩია, შავსათვალიანმა კაცმა.

— კარგი! ნაფეტვარიძეს ისედაც ამოვაგდებდით, — რეჟისორმა ფანქრით ხაზი გადაუსვა ნაფეტვარიძის გვარს.

— საწყალი ნაფეტვარიძე, კაცი დაბერდა და ერთხელ ვერ ეღირსა დიდ კონცერტზე გამოსვლას. — თქვა ერთმა მელოტმა, ახოვანმა კაცმა.

— რაო? — სათვალის ზემოდან გახედა მას რეჟისორმა.

— არაფერი, ბატონო, — მოიბუზა დეკანივით კაცი.

რეჟისორი ჩაფიქრდა, კონცერტის პროგრამას ხელში ატრიალებდა. უცებ თვალში მოხვდა:

„ცეკვა კინტაური, ასრულებს...“

— ეს რა ამბავია! — იყვირა რეჟისორმა და მაგიდას ხელი დაარტყა — ვინ შეიყვანა... კარლო! კარლო!

ჩია კაცი გაფითრდა და წინ გამოვდა.

— გისმენთ, აკაკი.

— კაცო, რას მიშვები, თუ იცი. გინახავს ის გოგო სცენაზე?

— აკაკი, მე...

— ხმა!.. უფ... — რეჟისორმა ბორჯომის წყალი დაისხა და მოსვა — კიდევ შემიძლია, მომკლავს მე ეს ხალხი.

— კირვალიძემ დარეკა დილით, აუცილებლად შეიტანეთ პროგრამაშიო, — სულმოუთქმელად ამოისროლა ჩია კაცმა ეს წინადადება, არ შემაწყვეტინონო. თითებში პაპიროსის ღერს ატრიალებდა.

— ვინ არის, კაცო, ეს კირვალიძე, არ გამიჭირეს საქმე?

— მე რა ვიცი, ვინ არის.

— ჰოდა, რას გეტყვი იცი?.. — ისევ აენთო რეჟისორი.

— კარგი ახლა, აკაკი, დაწყნარდი. ამოშალე პროგრამიდან და ის იქნება, — მინისტრის მოადგილემ მხარზე ხელი დაადო რეჟისორს, — იმ გოგონას კონცერტზე გამოყვანა, მგონი, მართლა არ შეიძლება, ჯერჯერობით მაინც...

— ჯერჯერობით კი არა, საერთოდ ვერასდროს ვერ ისწავლის ცეკვას.

— მე ისე ჩავწერე, რა ვიცოდი... — ჩია კაცი თავს იმართლებდა, — კირვალიძემ... ამ დროს რეჟისორმა ისე შეხედა, რომ ჩია კაცს სიტყვა ჰირში გაუწყდა.

— არა უშავს... აკაკი, გენაცვალე, ცოტა კიდევ უნდა შეკვეცოთ პროგრამა.

— მე ვფიქრობ...

●

კულისებში მსახიობები ირეოდნენ. აღელვებული და ანერვიულებული რეჟისორი აქეთ-იქით დარბოდა და უკანასკნელ განკარგულებებს ძალოდა.

დარბაზიდან ყრუდ ისმოდა ხალხის ხმაური.

— ბატონო აკაკი, შემოსასვლელში გთხოვენ! — წითელსამკლაურიანი კარისკაცი ძლივს დაეწია რეჟისორს.

— ვინ ეშმაკია? ხომ ხედავ, არ მცალია!

— კონცერტის მონაწილე ვარ და საშვებს არ მაძლევენო... ორი საათია უკვე იქა დგას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი, წამოგვალ, — მოუღლოდნელად დათანხმდა რეჟისორი და შესაფერელისაკენ გაექანა.

კართან საგულდაგულოდ ჩაცმულ-დავარცხნილი ეკა და დედამისი ელოდნენ.

— ბატონო აკაკი, კიდევ კარგი, მოხვედით! არ გვიშვებდნენ.

— აა, თქვენ... — რეჟისორი დაიბნა, — კონცერტის პროგრამა შეიკვეცა, რას იზამთ, ჩემი კარგო, ასეა... — ჩაიბუტბუტა მოხუცმა და სწრაფად შებრუნდა.

გამშრალი ქალი ხმას ვერ იღებდა. დილიდან დაურეკა ყველას, დღეს ეკა ცეკვავსო... ნაცნობები, მეზობლები, ნათესავები...

— ბატონო აკაკი, — ამოიკვნესა ქალმა, — თქვენი ჭირიმე...

რეჟისორი შეჩერდა, უკმაყოფილოდ დაიფრუტუნა, ჯიბიდან ორი მოსაწვევი ამოიღო და ქალს ხელში ჩასჩარა.

— პატარაა ჯერ გოგო, არა უშავს. არა, გოგონი?

ეკამ მხიარულად გაუღიმა და თავი დაუქნია. სულაც არ უნდოდა იმხელა სცენაზე გამოსვლა, ეშინოდა.

— ბატონო აკაკი, კი მაგრამ, თქვენ რომ დამპირდით? კირვალიძემ...

— ისევ კირვალიძე... გადამრევს ეს ხალხი... მე მგონი გასაგებად გითხარით... — წითელსამკლაურიანი კარისკაცი რეჟისორს შეჰყურებდა. რეჟისორი მას მიუტრიალდა და შეუბღვირა: — რა გამიჭირეთ საქმე... ვინაა ეს ოხერი კირვალიძე, რომ ვერ გავიგე?

გაოგნებულმა კარისკაცმა თვალები დაახამხამა მხოლოდ და რეჟისორს მზერა გააყოლა.

ქალი გარეთ გამოვიდა. ცრემლს ძლივს იკავებდა. ბრაზით გადახია მოსაწვევები და იქვე მდგარ ურნაში ჩაყარა.

ეკა უკან მოსდევდა.

ზედიზედ ჩერდებოდნენ შავი გაკრიალებული მანქანები. მანქანებიდან სუფთად გაპარსული სერიოზული მამაკაცები გადმოდიოდნენ და დინჯად მიმართებოდნენ შესასვლელისაკენ.

ეკამ ერთ-ერთ მათგანს ხელი დაუქნია.

კაცმა თვალი ჩაუკრა და გაუღიმა.

ეკა უკან-უკან იყურებოდა, სანამ ის კაცი თვალს არ მიეფარა...

მხოლოდ პატარა ბაღთან შეჩერდა ქალი, სკამზე ჩამოჯდა და ძველი, გახუნებული ჩანთიდან ცხვირსახოცი ამოიღო.

ეკა გვერდით მიუჯდა და მყისვე დედის მრგვალ, მსუქან მკლავს მიეკრო.

ქალი ნაღვლიანი თვალებით მისჩერებოდა ერთ შორეულ წერტილს.

ადრიანი შემოდგომის თბილი საღამო იდგა.

უცებ ეკამ კატის კნუტი დაინახა და სკამიდან წამოხტა.

კნუტს ჯერ შეეშინდა, მაგრამ მალე გაუშინაურდა პატარა გოგოს.

ეკამ ქაღალდი მოჭმუჭნა და კნუტს გადაუგდო.

კნუტმა პირველად უნდობლად დახედა ქაღალდს, მერე წინა თათი წაკრა. ქაღალდი გაგორდა. კნუტმა ახლა მეორე თათი მოიმარჯვა, მაგრამ ეკამ დაასწრო და ფეხი წაარტყა. კნუტმა თათი დააცილა ქაღალდს და გადაკოტრიალდა. ეკამ გულიანად გაიცინა. კნუტიც გახალისდა...

ქალმა შეხედა ეკასა და კნუტს და უნებურად გაიღიმა.

ეკა მივიდა და ხელი მოჰკიდა.

— წავიყვანოთ სახლში, კარგი?

ქალმა ნელა დაუქნია თავი, ღრმად ამოისუნთქა და ადგა. ჩამობნელდა. ეკამ ხელში აიყვანა კატის კნუტი.

ნაზად ეფერებოდა სიამოვნებისაგან გატრუნულ ცხოველს.

პატარა გოგონა ამაყად მიაბიჯებდა და თვალს არ აცილებდა კატის კნუტს.

ორივეს — გოგონასაც და კატის კნუტსაც მაღლა აპრეხილი, მრგვალი და სასაცილო ცხვირი ჰქონდათ.

ზურაბ ბუბაბერია

მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერად ტელევიზორთან

ვაპრიალებული მაგიდა.

ბროლის ეზარმაზარი საფერფლიდან გამჭვირვალე კვამლის წვრილი ზოლი ამოდის და იკლაკნება.

ფერადი ტელევიზორი წითელი, მწვანე და ლურჯი ფერებით ავსებს ჩაბნელებულ ოთახს.

ნატიფი, მოვლილი ხელი დროდადრო დასწვდება ხოლმე სიგარეტს და მდორედ ინასკება ცისფერი კვამლი.

უსახელო თითზე ქარვის ძველებური, მძიმე ბეჭედი.

კრიალა ვიტრინებში ერთმანეთს ეკოხტავებიან ფაიფურის ჭურჭელზე დახატული სალამურიანი მწყემსები და ნახევრად შიშველი ქალები, ნებიერად რომ წამოწოლილან მდინარის პირას. ოქროსფრად მოვარაყებულ საათზე წამოსკუპული მრგვალი, ბუნჩულა ამურები საუკუნის წინ დაწყებულ ფიქრს განაგრძობენ — ვის ვესროლოთო აუცდენელი ისრები.

თხელ, გამჭვირვალე ქსოვილში გახვეულ ბროლის ჭაღში ელავენ, ირეკიან და ერთმანეთში იღვრებიან ჯადოსნური, ბუნდოვანი ფერები.

დახოკილილი ლარნაკები და ყანჩასავით მაღალფეხებიანი ჭიქებიც იტაცებენ ფერად სინათლეს და ბრჭყვიალებენ ლურჯად, წითლად და მწვანედ.

მაგიდაზე კონიაკის სავსე ბოთლი ციმციმებს. ხიზილალა და ოქროსფრად დამდნარი ზეთი ეშხსა და მადლს მატებენ მის სალამაზეს.

ცისფერ ყინულზე მსუბუქად დასრიალებს წყვილი.

მოკლე ვარდისფერი კაბა ფრიალებს და მთლიანად იკვეთებიან ქალის გრძელი, მოქნილი ფეხები, თავისთავად რომ მიჰყვებიან მუსიკის რიტმს.

მაღლა ავარცხნილი თმა და ლამაზად მოხატული გრძელი, ძალიან გრძელი წამწამები.

ქალის დიდი, ცისფერი თვალები მთლიანად მისცემიან მუსიკას და ყინულზე ქროლვას.

•

შაჰფურზე წამოგებული მოზრდილი, მსუქანი შველი ერთიანად დაბრაწულიყო. შემწვარი ხორცი დაყავისფრო წვნენ იღვრებოდა.

დინჯად ატრიალებდა შამფურს დაძარღვული ქერა ვაჟკაცი.

ანაზდად ქონის წვეთი მოწყდებოდა ხოლმე ნანადირევს და წითელ, ზოგან ჩაშავებულ ნაკვერჩხლებს თეთრად აბრიალებდა.

კაცმა შამფურის ტრიალი შეწყვიტა და შველს მოზრდილი ნაჭერი მოაგლიჯა.

ქონი ნაკვერჩხლებზე აშიშინდა.

კაცმა ხორცი პირში ჩაიტენა; ძლიერი ყბებით ღეჭავდა მკვრივ ხორცს და ტუჩებს აწკლაპუნებდა. ქონი წურწურით ჩამოსდიოდა წვერიდან და გაბანჯგვლულ შიშველ მკერდზე ეწვეთებოდა.

კაცმა ტუჩები ხელის ზურგით მოიწმინდა და დაუსტვინა.

გამხდარმა ბიჭმა მოირბინა. ნანადირევი ასწია და ცეცხლიდან ჩამოიღეს.

შემწვარის სუნი ეცათ დანარჩენებს. ხელად მოირბინეს ხმაურით. ქერა კაცი ეცა და მთელი უკანა ბარკალი აახლიჩა შველს. სხვებიც ცდილობდნენ, რაც შეიძლება დიდი ნაჭერი დაეთრიათ; ძლიერებმა იმარჯვეს, მაგრამ სუსტებსაც ბლომად დარჩათ ხორცი.

მადიანად, ბარაქიანად ილუკმეებოდნენ, წყაროსთან მიდიოდნენ, ხარბად ეწაფებოდნენ გეძრიელ, ცივ წყალს, მერე ისევ დასტაცებდნენ ხელს ხორცს და ჭამას განაგრძობდნენ, თან ხვნეშოდნენ და აქეთ-იქეთ იცქირებოდნენ ჩასისხლიანებული თვალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქერა გაშმაგებული ხრავდა ვეება ბარკალს. თავით ფეხამდე ქონით იყო მოსვრილი. სიამოვნებისაგან ღრინავდა, შუბლი ოფლის მსხვილი წვეთებით დაფარვოდა. ტუჩებზე ქონის სქელი ფენა უბრიალებდა.

●

ვაჟს ხელში აეყვანა ქალი.

ჰაერზე მსუბუქი იყო იგი.

შავი, წელში გამოყვანილი კოსტუმი კიდევ უფრო ამაღლებდა ისედაც მაღალ ვაჟს. პროექტორის სხივი წვრილ, სწორ ზოლად ირეკლებოდა საგულდაგულოდ გადაგლესილ თმაზე.

შეერთებულიყვნენ, ერთ არსებად ქცეულიყვნენ.

და ამ არსებას არც სქესი ჰქონდა, არც წონა.

დახვეწილი სილამაზე იყო მხოლოდ — ყინულზე მოლივლივე.

●

დიდი წრე შეეკრათ ხელიხელგადახვეულებს.

რიტმულად ტოკავდნენ ერთ ადგილზე.

მძიმედ დაბობტებდნენ წვეროსანი მამაკაცები.

წრეში ჯერ არავინ შესულიყო.

თანდათან გახურდა ცეკვა.

უცებ ერთი შავთმიანი, მოსხლეტილი გოგო გამოხტა, წრის შუაგულში დადგა და ხელები თეძოებზე დაიწყო.

ისიც ატოკდა.

უთრთოდა მკლავები და ჯიშიანი მკერდი.

ოდნავ ირხეოდა აშოლტილ, ბრინჯაოსფერ ფეხებზე.

თავი უკან გადაადგა და ხელები მაღლა ასწია.

ნელ-ნელა წამოიმართა.

ცოცხალი წრე აღელდა.

გოგო კვლავ ერთ ადგილზე იდგა, მაგრამ თანდათან იძაბებოდა დაჭიმული მშვილდივით.

ხალხმა მოუხშირა ტოკვას.

გოგოს თვალები დაებინდა. უეცრად მიწას მოწყდა, ჰაერში საოცრად მოქნილი მოძრაობით გაიელვა და ქერა კაცის წინ დაემხო.

შავი თვალები უბრიალებდა დაუოკებელი სურვილით.

კაცმაც დაიჩოქა.

ნელ-ნელა დგებოდნენ, თან ერთმანეთს შეჰყურებდნენ გაკვარვარებული თვალებით.

ერთად აღიმართნენ, გასწორდნენ.

ხალხი გადაირია.

გიჟური რიტმი მოთოკეს გოგომ და კაცმა, მათ სხეულებში გამჯდარიყო ეს რიტმი.

სუნთქვა შეეკრათ.

ოდნავ ირხეოდნენ.

დაჭიმულ ფეხებზე კუნთები უთრთოდათ.

●

ნელა, სულ ნელა მისრიალებდნენ.

ვაჟმა წელზე მოხვია ქალს მარჯვენა ხელი, მარცხენა კი ზევით ასწია. ქალი ვაჟის მუხლზე გადაწვა და თავი უკან გადაადგდო.

ვაჟი წინ გადაიხარა.

ლამის ტუჩებით ეხებოდნენ, ერთი სუნთქვით სუნთქავდნენ, ეალერსებოდნენ ერთმანეთს...

უცებ ვაჟმა წონასწორობა დაკარგა, წაიფორხილა, თავი ვეღარ შეიმაგრა და ქალიც ქვეშ მოიყოლა. ერთხანს ასე გაოგნებულნი იწვნენ და ერთმანეთს შესცქეროდნენ. მერე სწრაფად წამოხტნენ.

ვაჟს თმა აეწეწა.

ქალს ვარდისფერ კაბაზე ყინული აეკრა.

წამოხტნენ და ცეკვა განაგრძეს.

ქალი გაღიმებას შეეცადა — თეთრმა კბილებმა გაიელვეს.

დაირღვა, დაიშალა და გაქრა.

ქალი და ვაჟი უაზროდ დასრიალებდნენ ყინულზე და ხელებს იქნევდნენ.

ზურაბ ბუზაგრია
ბიოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქერამ გოგოს ხელი სტაცა და წრე გაარღვია.

მირბოდნენ.

შრიალებდნენ შემოდგომის ფოთლები, ზოგჯერ გამხმარი ტოტი გაილაწუნებდა ხოლმე შიშველ ფეხქვეშ.

მირბოდნენ ხელიხელჩაკიდებულები.

ქარივით მიჰქროდნენ თავისუფალნი და ბედნიერნი.

შველი და ავაზა.

დაკუნთული, ძლიერი, მოქნილი ფეხები ქალის და კაცის.

მირბოდნენ მსუბუქად, თითქოს ფეხსაც კი არ აკარებდნენ მიწას.

უხაროდათ სირბილი და გზაში მზის სხივებს ეთამაშებოდნენ.

დიდ, დაკოჟრილ ხესთან ბლომად ეყარა ყვითელი ფოთლები.

კაცმა ზედ დაწვინა გოგო.

ღრმად სუნთქავდა ქალი, მკერდი უღელავდა და სველი ტუჩები უთამამებდა.

სიცილით, ღონივრად ეურჩებოდა კაცს.

კაცი გაბრაზდა, ხელი გადაუგრიხა გოგოს, მაგრამ გოგო გამოუსხლტა და მკლავზე უკბინა.

ნაკბენიდან სისხლმა გამოქონა.

კაცმა ხელები გაუკავა ქალს, დაბუბნა, მოტეხა და ქვეშ მოიგდო ისევ.

გაშმაგებულნი იბრძოდნენ, იცინოდნენ და კბენდნენ ერთმანეთს.

იბრძოდნენ და უხაროდათ.

დაიღალა ქალი, მაგრამ გასხლტომას ლამობდა ისევ.

თანდათან დაჯაბნა ერთმა ახალგაზრდა, შიშველმა, ბრინჯაოსფერმა სხეულმა მეორე და ქალი სიამოვნებით დაჰყვა ძარღვიანი ვაჟკაცის ნებას.

●

მუსიკა შეწყდა.

ცეკვა დამთავრდა.

ვაჟმა ლოყაზე აკოცა ქალს, მწვრთნელს ელაპარაკებოდა.

ახლა მსაჯთა შეფასებებს უნდა დალოდებოდნენ.

მწვრთნელი ღელავდა, მაგრამ ცდილობდა მშვიდად დაეჭირა თავი.

ბევრს ლაპარაკობდა და წამდაუწუმ მსაჯებისაკენ იხედებოდა.

ფერდაკარგული წყვილი ძლივსღა სუნთქავდა.

ქალმა ვიღაცას ხელი დაუქნია.

ვაჟმა ქალს რაღაც ჩასჩურჩულა.

ქალმა გულგრილად შეხედა და მხრები აიჩეჩა.

●

დაბურულ ხის ქვეშ იწვნენ გროვად დაყრილ ყვითელ ფოთლებზე.

თვალებდახუჭული კაცის ქერა, ბანჯგვლიან მკერდს მიხუტებოდა შავტუხა გოგო.

ხმელი ფოთოლი ჩამოვარდა ხიდან და კაცს მუცელზე დაეცა.

ქალმა ფრთხილად ააცალა ფოთოლი, მერე ნაკბენს დახედა მკლავზე. სისხლი შედედებულიყო, მუქ ლურჯად აჩნდა კაცს კბილების ნაკვალევი.

ქალმა თავი დაღუნა და ტუჩებით ნაზად შეეხო კაცის მკლავს.

●

მსაჯებმა დაბალი შეფასება მისცეს წყვილს.

ერთმანეთისათვის არც შეუხედავთ, ისე გაემართნენ გასასვლელისაკენ.

მწვრთნელმა ვაჟს მხარზე ხელი გადახვია და რაღაცის ახსნა დაუწყო.

ქალი შეყოვნდა.

ვაჟმა დაუდევრად აუქნია ხელი, წავედიო.

მოედანზე უკვე ახალი წყვილი დასრიალებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ თოფურიძე

ნუციკო ემხვარი

ნუციკო ემხვარი 18 წლის იყო, მწვანე თვალებს ბავშვური ნაპერწკლები ახლდა. ტანს და ხელებს — ქალურობა უცნაური. შავი თმა აწეული ჰქონდა კისერთან. მსუბუქად დადიოდა. საოცრად მსუბუქად, დაფრინავდა თითქოს.

მეექვსე სკოლა დაამთავრა ნუციკომ. უნივერსიტეტის სტუდენტი პოეზიით იყო გატაცებული, გვიან დამამდე კითხულობდა ლექსებს. მერე სიზმრებს ხედავდა. ზოგჯერ — არაფერს განსაკუთრებულს, მაგრამ რომ გაიღვიძებდა სიამოვნებდა რაღაც ძალიან.

ნუციკოს თეატრი უყვარდა, სცენის სუნიც — კი. ბილეთს ყოველთვის სცენის ახლოს იღებდა. სპექტაკლის დროს თვალს არ აშორებდა მსახიობებს. შესვენებისას ქალებს უცქეროდა, რომელთაც მდიდრული სამკაულები ეკეთათ, თეთრი მარაოებით ინიავებდნენ სახეს და ერთმანეთში დიდხანს საუბრობდნენ.

ნუცას ბებია ზრდიდა. მამა არ ახსოვდა. ძალიან ჰგავდა ნუციკო დედას. დედამისი ახალგაზრდა და ლამაზი იყო. ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე. 15 წლის იყო ნუცა, დედამისი უცებ რომ გარდაიცვალა გულით. გარდაცვალა ყველასთვის მოულოდნელად. არ გაწვალებულა. ბებია ზრდიდა მარტო დარჩენილს უზარმაზარ სახლში, სადაც ძველი წითელი ხის როიალი იდგა და ძველებური ავეჯი, მწვანე ხავერდგახეხილი სავარძლებით. ფანჯრებზე სქელი და მძიმე ფარდები ეკიდა.

ნუციკოსთან ამხანაგები მოდიოდნენ ზოგჯერ. პირველ კურსელები ცდილობდნენ დიდებივით ესაუბრათ მერე ნუცას თხოვდნენ, რამე დაგვიკარიო და ისიც თავისი გამხდარი თითებით რომელიღაც ძველს რუსულ ვალსს ასრულებდა.

როცა ნუციკო სახლში მარტო დარჩებოდა, დედამისის ოთახის კარს ფრთხილად შეაღებდა, კარადას მიუახლოვდებოდა, კაბებს გამოაწყობდა, რომელთაც დედის სუნამოს თუ ტანის არომატი შერჩენოდათ ოდნავ. ჩაიცვამდა რომელიმეს ნუციკო, სარკესთან ჩერდებოდა. მაღალყელიან ქალის სურათს უყურებდა, კედლიდან რომ უცინოდა. მოენატრებოდა დედა და იტირებდა ჩუმად.

ნუციკოს სილამაზეზე სტუდენტები ჯერ ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. მერე — აღარა, იმიტომ, რომ მათ მეგობარს შეუყვარდა.

ნუცასაც მოწონდა გურამი, ყოველ შემთხვევაში, სხვებისგან არჩევდა. გურამი მაღალი იყო, ბავშვური სახე და შავი, სევდიანი თვალები ჰქონდა. გამოცდებს აბარებდნენ, ერთ საღამოს უნივერსიტეტში მეცადინეობის შემდეგ ნუციკო გურამმა სახლამდე მიაცილა.

მთელი გზა რაღაცას უყვებოდა, წუხდა, რომ ღელავდა და არეულად ლაპარაკობდა; უცებ დიდ სადარბაზოსთან შეაჩერა, ლოყაზე აკოცა ტუჩებთან ახლოს.

ახლა სიზმრებში ნუციკო გურამთან იყო სულ და კოცნიდა კიდეც. კარგა ხნის მერე ცხადშიც კოცნიდა, რაღაც სირცხვილისა და სიამოვნებისაგან აწითლებული.

გურამთან სახლში დადიოდა. ერთი ოთახი იყო, თეთრად შეღებილი კედლებით. რკინის საწოლი კუთხეში იდგა. გვერდით პატარა მაგიდა, რაზედაც ხშირად ცარიელი ღვინის ბოთლები და სიგარეტის ნამწვავებით სავსე საფერფლე იდო. წიგნები იატაკზე ელაგა. გაფუჭებული კედლის საათი სულ თერმმეტს აჩვენებდა. ორი კედელი გურამის ნახატებით იყო სავსე. გამოირჩეოდა ვიღაცა ფრანგი მხატვრის ნატურმორტი ყვავილებით, რომელიც გურამის ბაბუისთვის ეჩუქებიათ ადრე საფრანგეთში.

ძალიან უყვარდა ნუციკოს ეს ნახატი, ხშირად მიდიოდა ახლოს კედელთან, ხელს წაიღებდა ფრთხილად ნახატისკენ, მერე ისევ ჩამოუშვებდა პატარა ბავშვივით, რაღაცაზე ხელის მოკიდებას რომ აუკრძალავენ.

ასე რატომ მიყვარსო, ჰკითხავდა თავის თავს. ის კი ახსოვდა, პირველად რომ აკოცა გურამს — იმ ყვავილებს უყურებდა.

ღამე არ ეძინა, დილას მივიდა გურამთან, ჩუმად მოუახლოვდა საწოლს და აკოცა საფთაქელთან. გურამის თვალებმა ნუციკო დაინახეს. წითელი კაბა ეცვა დიდი თეთრი საყელოთი. თვალები უბრწყინავდა. საწოლზე ჩამოჯდა. ყავა მინდოო, უთხრა და მე თვითონ გავაკეთებო — დააყოლა. წამოდგა, ქუთისკენ წავიდა, გურამმა თვალი გააყოლა გრძელ ფეხებს, ასე მსუბუქად რომ მიდიოდნენ.

ისევ დაბრუნდა საწოლთან, დიდხანს კოცნიდა. ხელები წითელი კაბის ღილებს ხსნიდნენ აჩქარებულად. ყავა გადმოგაო, ჩუმად თქვა ნუციკომ. დევ რაღაცის თქმა უნდოდა და ველარა თქვა, ერთი ხელი საწოლის ცივ რკინას გრძნობდა, რცხვენოდა. მერე იმ ნახატს შეხედა, ასე რომ უყვარდა. ნახატი დაკარგა თვალებმა, ისევ იპოვა, რამდენჯერ დაირწა კედელზე, შორს წავიდა, დაპატარავდა, გაქრა. ქუთაზე გადმოსული ყავის და სუნთქვის ხმა ისმოდა ოთახში.

ყველაზე კარგი ნუციკო ემხვარის ცხოვრებაში ერთი იანვრის საღამო იყო. თოვდა. მისი ფანჯრიდან ქუჩის სინათლეზე ჩანდა, როგორი დიდი ფიფქებით თოვდა. ისეთი სამშვიდე იყო, თოვის დროს რომ იცის მხოლოდ. ნუციკო როიალზე რაღაცას აწყობდა. იგრძნო, ვიღაც უყურებდა, მრგვალ სკამზე შეტრიალდა. გურამს შავი პერანგი ეცვა, ყავისფერ ქუთუკზე საყელო გადაწეული. თოვლით ჭქონდა გათეთრებული თმა. იმ წუთში იგრძნო ნუციკომ ყველაზე უფრო, რომ არ შეეძლო უმისოდ. კისერზე ჩამოეკიდა და აკოცა ლოყაზე. ესამოვნა, ზამთრის სიცივე რომ დაჰყოლოდა ლოყას.

მრგვალ მაგიდასთან ისხდნენ ორივენი, ნუციკოს უნდოდა დიდ ხანს გაგრძელებულიყო, სულ ეცქირა შავი თვალებისათვის, ორივენი ასეთი ახალგაზრდები ყოფილიყვნენ.

მერე ცოლი გახდინო ჩემიო, სთხოვა ისეთ დროს, სულ რომ არ ელოდა ნუციკო. გაეცინა, გურამიც აჰყვა. მერე ზაფხულშიო, გადაუყვიტეს.

ზაფხულში საშინელი სიცხე, მტვერი და ყვირილი იყო სადგურზე. ერთმანეთში ირეოდა ქალი, კაცი, ბავშვი, ფორმიანი და უფორმო. სატვირთო ვაგონები გავსებული იყო ჯარისკაცებით. ქალები ფარაჯებში გამოწყობილებს კოცნიდნენ და ტიროდნენ. რადიოში სასლეე ორკესტრის ხმა ვერ ფარავდა ხმაურს. ნუციკო ხის ბოძთან იდგა ამხანაგებთან ერთად. რამდენიმე ჯარისკაცი იყო მათ შორის. ერთი მის გვერდით იდგა. ყველა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე მაღალი იყო. თვალები შავი ჰქონდა და ნაღვლიანი. ნუცა ჩუმად იყო, ხელი იმის ხელისთვის დაედო. — По вагонам — ო, ვიღაცა ყვარობდა. ხო დამელოდებიო, ნუციკოს ეუბნებოდა, თვალებზე კოცნიდა, თავს მიხედეო. მატარებელს შეახტა, მერე ბიჭებს ხელი გააშვებინა და ისევ ბაქანზე აღმოჩნდა, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე ნაკაშიძე

პ უ რ ი

სემონოვკის დასახლებაში ნიავიც არ იძვროდა, ყველაზე პატარა ტოტიც კი გაქვავებულიყო. ზაფხულის დილა იდგა და ჯერ კიდევ არ ჩამოწოლილიყო სულისშმახუთავი სიცხე.

მაღალი ფიცრის ღობით შემოფარგლულ ეზოში, გადაჭრილ მორზე მოხუცი ბოგდანი ჩამომჯდარიყო და ჩუმად ეწეოდა. ბოლქვებად ადიოდა ბოლი ცისკენ. მოხუცს ძველი, ადგილ-ადგილ დაკერებული ტანსაცმელი ეცვა და დაღლილ, ერთი კვრის გაუპარსავ სახეზეც რაღაც სიძველის იერი გადაჰკრავდა.

ეზოს მეორე კუთხეში მისი ცოლი— ვარა — რაღაცას ბერტყავდა და თან ხმამაღლა იწყევლებოდა. დროდადრო ქმარს გადახედავდა. მის დასანახად ბრაზით გადააფურთხებდა და ისეთი გამეტებით ურტყამდა თოკზე ჩამოკიდებულ ძველმანებს ჯოხს, რომ მორზე ჩამომჯდარ ბოგდანს ქრუანტელი უვლიდა.

მთელი ეს კონცერტი იმ ერთი ჭიქის ბრალი იყო. ბოგდანს რომ გაუვარდა ხელიდან. ვარამაც სპბბი იპოვა და დილიდან ჩართო.

ყოველივე ამას ბოგდანი ასე თუ ისე შეჩვეული იყო და უხმოდ იტანდა. არადა, არ გინდა გაუძლო ქალს, რომელიც შენივე პენსიიდან, თანაც საკმაოდ სოლიდური პენსიიდან, მხოლოდ ათ-ათ კაპიკს გაძლევს, ისიც ორ დღეში ერთხელ.

ეს თანხა სიგარეტისთვისაა განკუთვნილი. ხოლო ის ფაქტი, რომ ათ კაპიკად მხოლოდ „ჯამირის“ ყიდვა შეიძლება, ვარას სულაც არ აღელვებს, რადგან, მისი აზრით, ბოლი ყველა სიგარეტს ერთნაირი აქვს და სულ არ არის საჭირო ფულის ტყუილად დაწვა.

ბოგდანი ამასაც შეეჩვია და ამ ათი კაპიკისთვისაც მადლობელი იყო...

... ვარა წყევლის ერთ ციკლს მორჩა და მეორე დაიწყო.

●

ეჰ, არ უნდა შეერთო ასე ახალგაზრდა ქალი, მაგრამ შეცდა ამ ოცდაათი წლის წინ და ახლა რაღა ქნას?

ოცდაათი წლის წინ კი საქმე სულ სხვაგვარად იყო.

თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, რა იყო ოცდაათი წლის წინ.

მთავარი ის არის, რომ ჩქარი მდინარესავით ჩაირბინა მეოთხედ საუკუნეზე მეტმა ხანმა და მაშინდელი, ორმოცი წლის ბოგდანი, ახლა სამოცდაათისაა, ხოლო ოცდაერთი წლის ვარა — ორმოცდათერთმეტის.

ჰოდა, შეაჯდა კისერზე ახალგაზრდა ცოლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით მწარედ მას შემდეგ იგრძნო ეს, რაც შვილები დაოჯახდნენ და ცალკე დასახლდნენ: ადრინდელივით ვეღარ ესარჩლებოდნენ მამას და ვეღარც სიგარეტისა და ლუდის ფულს უტოვებდნენ.

და დარჩა ბოგდანი ულუდოდ, ათკაპიკიანი „პამირის“ ამარა.

●

— როდემდე უნდა იჯდე ბატონივით, — მოესმა ბოგდანს, — წაეთრიე და პური მოიტანე!

ბოგდანი მორცხვილად წამოდგა.

— აჰა, მანეთი და ხურდას კაპიკ-კაპიკ მოიტან!

— ჰო, კარგი...

— კარგი საფლავი შენ! ერთ იმ დღეს მოვესწრებოდე, რომ... — ისევ წამოიწყო წყევლა ვარამ, მაგრამ ბოგდანმა უკვე ქუჩაში მოასწრო გასვლა.

●

... პურის მაღაზიის გვერდზე პატარა ჯიხური იდგა, სადაც ლუდი და სოსისი იყიდებოდა.

ბოგდანმა თვალი აარიდა ჯიხურს და მაღაზიაში შევიდა.

პური იყიდა.

ხურდა ერთ ბოთლ ლუდსაც ეყოფოდა და ერთ ულუფა სოსისსაც, მაგრამ ვარა?

ცოლის გახსენებაზე ჭიანჭველებმა გადაურბინეს მთელ ტანზე და ისევ თავჩაღუნულმა შეაქცია ზურგი ჯიხურს.

— ძია ბოგდანს გაუმარჯოს! — მის წინ ნაცნობი შოფერი, პავლე აღიმართა, — როგორ გიკითხო, ბოგდან-ჯან?

პავლეს არყის სუნი ასდიოდა.

— ერთი აქეთ მოდი! — და ბოგდანი ჯიხურისკენ მიაბრუნა.

— არა, პავლე, მეჩქარება, — გაიბნა ბოგდანი.

— არა უშამს, სახელმწიფო საქმეები დღეს უშენოდ გადაწყვიტონ, — გაიღრიჭა პავლე და გამყიდველს მიუბრუნდა, — აბა, ჩვენ რომ ვიცით, ჯიგარო!

იმანაც უსიტყვოდ დაწყო დახლზე ას-ასი არაყი, ორი ბოთლი ჩაციებული ლუდი და რვა ცალი მდოგვმოსხმული სოსისი.

— კარგათ ვიყოთ მტრის ჯინაზე, — პავლემ გადაჰკრა.

— გაგვიმარჯოს, — თქვა ბოგდანმა და ჭიქა პირთან მიიტანა.

ვარას გაცოფებული სახე წარმოუდგა თვალწინ.

ისევ გამართეს მის სხეულზე ჭიანჭველებმა კროსი.

ბოგდანმა ხელი ჩაიქნია და გადაჰკრა.

— თითოც! — ბრძანა პავლემ.

კიდევ გადაჰკრეს.

და იგრძნო, როგორ ჩაეღვარა სითბო ბებერ ძარღვებში.

კიდევ უფრო მეტი სიამოვნებით გაბოლა პავლეს მიწოდებული გრძელი სიგარეტი.

მერე პავლეს მადლობა გადაუხადა და ნელ-ნელა წავიდა სახლისკენ.

ახლა მისთვის სულ ერთი იყო, იყვირებდა ვარა, თუ ქოშებს წაიძრობდა ფეხებიდან.

●

ეზოში მაინც უკანა კარიდან შევიდა.

მიიხედ-მოიხედა.

ვარა არსად ჩანდა და არც მისი ხმა ისმოდა.

სახლს შემოუარა და გაკვირვებული შეჩერდა: კიბის საფეხურზე ვარა იჯდა, ცალი ხელით მკერდი ეჭირა, ზურგით მოაჯირს მიყრდნობოდა და თვალდახუჭული მძიმედ სუნთქავდა.

— ვარა! — ხმადაბლა დაუძახა ბოგდანმა.

ვარა არ განძრეულა, ისევ ისე მძიმედ სუნთქავდა და სახეც უფრო მეტად გაუფითრდა თითქოს.

კონსტანტინე ნაკაშიძე
პური

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვარა�ა!!! — მრგვალი პური მიწაზე გაგორდა, ცოტა ხანს იგორავა და იქვე, მტვერში მიგდებულ ცოცხიან გაჩერდა.

ბოგდანი მუხლებზე დაეშვა, მერე ისევ წამოდგა და რამდენადაც შეეძლო სწრაფად მოიტანა წყალი.

სახეზე და მკერდზე შეასხა.

ვარამ თვალი გაახილა.

— ვკვდები... — ჩუმად ამოიხრიალა მან და ისევ დახუჭა თვალები.

ბოგდანმა მისი წამოყენება სცადა და ვერ შესძლო.

მერე მეზობლის ქალებს დაუძახა და ვიშ-ვიშით მიიტანეს ვარა საწოლამდე.

ვიღაცა ექიმის მოსაყვანადაც გაიქცა...

●

... ოცი წუთის შეძღეგ ექიმი ოთახიდან გამოვიდა, ნუ გეშინია, ყველაფერი კარგადაა, მხარზე ხელი მოუთათუნა ბოგდანს და წავიდა.

მეზობლის ქალებიც წავიდ-წამოვიდნენ.

ბოგდანმა ახლალა შენიშნა ცოცხთან მიგდებული პური.

ხელში აიღო, შეუბერა, ზედ მიკრობილი პატარა კენჭები პერანგის სახელოთი მოაცილა და სახლში შეეიდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ნაჭყებია

ლაჭაღლები

მეზობლად ცხოვრობდნენ სოფელში. ღარიბ ოჯახისშვილებს, რამდენჯერ უჭამიათ ერთი ქოთნიდან ლობიო და ცივი მჭადი. ხანდახან ქალაქის ბაზარზეც დაჰყვადათ უფროსებს, როცა გასაყიდათ მიჰქონდათ ხოლმე რამე. სიმწიფის ატესტატიც ერთად აიღეს. შემდეგ მოხდა ისე, რომ ორივენი ქალაქში გათხოვდნენ. ბედმა გაუღიმათ კარგი და მდიდარი ქმრები შეხვდათ.

შეიცვალა მათი ცხოვრება და.. მასთან ერთად მათი დამოკიდებულებაც...

ნაირ ნაირ ტანსაცმელში გამოწყობილები ერთმანეთს „უკვე ველარ სცნობდნენ", თავს აღარ უტოლებდნენ. როცა სადმე შემოხვევით გადაეყრებოდნენ, ერთბაშად დაირწეოდნენ, უშველებელი თეძოების რხევით მიუახლოვდებოდნენ ერთმანეთს: „შეხედე, რაფერ გამოწყობილა ეს სოფელი ქალი" — გაიფიქრებდნენ თავთავიანთთვის და ირონიულად ათვალიერებდნენ ერთიმეორეს.

ყოფილი დაქალები ცხოვრებამ ერთ დღეს აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში შეახვედრა ერთმანეთს.

... და აი, სხეედნ ისინი და მოსკოვის რეისს ელოდებიან, რომელიც უამინდობის გამო აგვიანებს გაფრენას. ერთი ხელმარჯვნივ მდგომ სავარძელშია მოთავსებული, მეორე ხელმარცხნივ — შუაში გასავლელია. რა თქმა უნდა, ასე შორიდან საუბარი მოუხერხებელია, მაგრამ...

„ადგეს და გადმეეთრიოს აქეთ თუ უნდა, რავა, ცარიელი ადგილი არ არის თუ!.." „ესოა მაკლია ახლა თავი დევიმცირო და მე გადავჯდე მაგ ძინკლიანთან... თუ არ გადმოვა კისერიც უტეხია"... ფიქრობენ თავთავიანთთვის.

ორივენი ჩატანტალებულია — ლოყაწოთელი. აფუებული კისრის ნაკეცებიდან თითისიმსხო ოქროს ძეწკვები მოუჩანთ. გაფუნთულებული თითები, რომელთაც სიმსუქნე მომუჭვის საშუალებას არ აძლევს, ძვირფასი ბეჭდებით აქვთ დახუნძული. დასუქებულ ყურის ბიბილოებზე ჩამოშლილი თმებიდან, დროდადრო ქონში ჩამხრჩვალი, ბრილიანტის პაწაწინა თვლები გამოიჭყეტენ, სულს მოითქვამენ, გაიცინებენ და ისევ, თავის საფარში შეიმალებიან.

— ოჰ! აგერ დაბრძანდით, ბატონო ჟორა! აგერ დაბრძანდით, თქვენი ჭირიმეთ!

— ეთიკო ძვირფასო, ნანას ბიჭი ჰყავს — ჩაყლაპავ... მაგრამ ზღვაზე სულ წყალში ჩადიოდა და თავს ისევ ლებდა...

— ზარდილობა, ჩემო შალვა, და პატივისცემა, აბა მეტი რა ვართ ჩვენ, ქართველები...

— შენი ბიჭია? დედა, რას ამბობ, თინიკო, არ გამაგიჟო!

ისმოდა დარბაზში აქეთ-იქედან მგზავრობის პირველ წუთებში.

მოსკოვის რეისი მეორე დღისათვის გადაიტანეს. ცოტა ხნის შემდეგ დარ-

ბაზში სურათი შეიცვალა. უძილობამ და დაღლილობამ თავისი გაიტანა.

— ... ე. კაცო, დამფწე ეს პირი. რამ-ხელაზე ხვრინავხარ, შენ იხვრინე უკა-ნასკნელად... და გასწორდი, რომ გა-თხლაშულხარ, ხალხი გვაყურებს. მო-გვეჭრა თავი...

— ... წავიდნენ ერთი ხალხის... ჰმ, ხალხი... — პასუხობს ნამძინარევი ხმა, ნახევრადგაღებული, გადატრიალებუ-ლი თვალებით, მოლაფშული ტუჩებით, თითქოს მატყუარა საწოვარს ჭიჩავს ხვნეშით.

ერთმანეთის გვერდით მჯდომ ქა-ლებს ისევ წაეყვინთა, მოწყვეტით მიაა-რტყეს თავები და უეზროდ, ჯერ კიდევ თვალებდახუჭულებმა ისევ მექანიკუ-რად შესცინეს ერთიმეორეს.

ერთი პატარა, კისერდაძარღვული კაცი ძილში ყურს „ებრძოლება“ — ნე-კით „ბუტრღავს“. ეტყობა იგი სადღაც შიგნით, ღრმად ეფხანება და იტანჯვ-ბა... ბოლოს, როგორც ჩანს მიაგნო, ჩასწვდა. ნეკი ისე აამიგძიგა, თითქოს მეორე მხარეს უნდოდა გაყვანა. ახვნეშ-და, აკრუსუნდა სიამოვნებისაგან, ცალი ყბა ზევით აუვიდა... მერე მხარშეცვლა-ლმა ხელები ბარძაყებს შორის ჩაიწყო და ძილი განაგრძო. სახეზე სიამოვნების ღიმილი შერჩა...

— ბედნიერია ეს ხალხი, რა ტკბი-ლად სძინავთ, — ამოოიხრა მზიამ, — ეეჰ, მე კიდე მომკლა ამ უძილობამ და უმადობამ... ვისთან არ ვიყავით, მაგ-რამ არაფერმა არ მიშველა, გადაღლილი ხარო...

„მეტი შენი კუბო დავდგი“.

— ეჰ, მაგან არ გამანახევრა ქალი? — ხმამაღლა თქვა ნაზიმ, — ერთი თვე იქნება თითქმის, არ მიძინია... საჭმელის დანახვაც არ მინდა, დღეში ერთი ლუკ-მა თუ ჩავიდვევი, ისიც ყელში ამომდის... ბევრი კითხვის ბრალიაო, მითხრეს... გა-ვიეებულები არიან სახლში, წიგნებს მი-მალავენ...

„... რომ დახერეხო, ორი ურემი შეშა გამოვა და უძილობამ და უმადობამ გა-მანახევრაო!.. არა, მაინც რავა ყველა-ფერში მეჯიბრება ეს წუნკალი, ეს! სხვა-რომ ვერაფერი მომიხერხა, ნაკითხო-ბით უნდა ჩემი დაჩაგვრა. ვაი ჩემო-დღეო?! რაცხა მაჯობო, იგიც დეიკვე-ხე!“

და აქვთ ჩარგული თავები ყოფილ დაქალებს, ნაირ ნაირ ჟურნალ-გაზე-თებში და კითხულობენ და კითხულობ-ენ.

შუაღამე გადასულია უკვე. დარბაზ-ში მგზავრებს ძინავთ. გარეთ წვიმს.

— ოხ, როგორ ძლებს აქ ხალხი, ამ ტალახში, ამ ჰუჭყეში, ღმერთო... — შე-წუხებული სახით წარმოთქვა მზიამ. ხელი ლოყაზე მიიდო და მაჯაში რაც შეი-ძლება ნახად ჩატეხა.

— სად? — იკითხა ნაზიმ.

— სოფელში... აგერ ჟურნალში ხატ-ია, ცოლ-ქმარს ურემი ჩავარდნიათ ორმაში და ერთად ამოჰყავთ, მუხლა-მდე ტალახში დგანან და იცინიან...

— რა საზიზღრობაა, ღმერთო ჩემო, ორ დღეში ალბათ მოკვდები სოფელ-ში.

ნელ-ნელა მიიზლაზნება ღამე. შიმ-შილმა შეაწუხა ყოფილი მეგობრები. ყველაზე მეტი ტანჯვა მაინც ფეხი-ფეხ-ზე გადადებული ჯდომა, საუბარი და კითხვაა, გადანდალებული ბარძაყები ამის საშუალებას არ იძლევა.

მთელი ღამე ასე გაწამაწიაში გაა-ტარეს, ძალიან დაიღალნენ, მაგრამ ფარ-ხმალს მაინც არ ყრიდნენ: ისევ თვა-ლისდახამხამებაში „კითხულობდნენ“ რუსული გაზეთების მთელ გვერდს, ისევ ისე „ბუნებრივად“ ფეხიფეხზე გადადებულები საუბრობდნენ და ისევ „საერთოდ, არ ახსოვდათ საჭმელი“...

ინათა. დარბაზში ცხელი ხაჭაპურე-ბი ჩამოატარეს. გამყიდველი მათ წინ შეჩერდა. ზუსტად ამ მომენტში საი-დანღაც დარბაზში ძაღლი გაჩნდა — ბებერი ძაღლი ბეწვგაცვენილი და თვალწრიპლიანი. ზლაზვნით აუარა გვერდი რამდენიმე სავარძელს, ორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაქალის შუა, გასასვლელში დაყუნცდა და თავი დახარა, თითქოს ბოდიშს იხდიდა: ხაჭაპურის სუნის ცოტნებამ დამმცირებინა ასე თავიო.

მზიამ შეწუხებული სახით ამოიღო ფული და რამდენიმე ხაჭაპური იყიდა. სახეზე ზიზღი არ შორდებოდა: ვითომდა, რა სუნი აქვსო...

— მოდი ჩემთან, ჩემო კარგო... ნუ გრცხვენია... მე ხომ შენთვის ვიყიდე ეს ხაჭაპურები... აბა, მე ხომ არ შევეშამ ამათ გაკეთებულს, მოდი... ჭამე, ჭამე ეი ასე... ასეთ კარგ ძაღლს ვინ მოგაშავა...

„მე მეგონა თვითონ შეჭამდა და განგებ წოვუყრუე... შეხე, რა ქნა ამ თხამ!“

— უი, ძაღლი! — წამოიძახა ნაზიმ, — ისე ვიყავი კითხვით გართული, ვერც კი შევნიშნე... ძაღლებზე პირდაპირ ვგიჟდები... დედა, რა ლამაზია!

... არის მათ შუა ჩაცუცქული ძაღლი — ბებერი ძაღლი, ბეწვგაცვენილი და თვალწრპლიანი, ჭამს ამ ცხელ ხაჭაპურებს და გაკვირვებული ატრიალებს თავის ბეცე თვალებს: ამას რას მოვესწარი ამ სიბერის დროსო. ყოფილი დაქალები კი „ღიმილით“, ნაზად უდებენ პირში დიდ-დიდ ნაჭრებს. „ჩქარა დაღეჭე, შე დასამიწებელო, წამივიდა სული!“

— როგორ ჭამს ამათ ნატუტუნს: ეს საცოდავი... არ მოკვდეს... — იცინის ნაზი. „გადაყლაპე მალე ლუკმა, შენ გადაყლაპე უკანასკნელად, გამისკდა ყურე!“

— უი, უი, შორს: ჩემმა ძაღლმა რომ ამათი გაკეთებული შეჭამოს, ვერ გადაიტანს საცოდავი. — იღიმება მზია.

ალბათ, ცოტაც და რომელიმე მათგანს გული შეეწუხდებოდა, რომ ბედად თვითმფრინავში ჩასხდომა არ გამოეცხადებინათ. შვებით ამოისუნთქეს, როცა ადგილები სხვადასხვა სალონებში აღმოაჩნდათ. „ძლივს არ მეევშორე, მაგ სასიკვდილე?!. უი, რას გავს მაგ, ძროხა მაგი!“

... „ვითომ დიდი კულტურული იყოს: წავიდა, მოვიდა! ოხ, შენ არ ჩამოდი იქედან ცოცხალი, საცა მიეთრევი!“ მზიამ, ხელი ჯიბისკენ გაუპარა, ხაჭაპურის ნატეხი ამოიღო და სწრაფად ჩაიტენა პირში — „ხომ მომტეხე ენა ამ ვანათლებულობით, ახლა მაინც გეტყვი ჩემებურად: გარაგიშენდა პატრონი!“ — მზიამ ხაჭაპურის უშველებელი ნატეხი დაუღეჭავად გადასახლა.

... საღამო ხანია. სოფლის შარაგზაზე ორი გამზდარი ქალი მიალაჯებს. ხელში ცარიელი კალათები უჭირავთ. კარგად ივაჭრეს იმ დღეს ქალაქის ბაზარზე, კარგად გაიყიდა ყველი.

— გოო, ნაზიკია, შეეჭამოთ ახლა ეი „პონჩიკები“, ქალაქში რომ ვიყიდეთ, თვარა გარეგიქეცი ქალი! — ეუბნება ერთი.

— ოხ, კაი გაგახსენდა, მაგი გოო, შენ გეიხარე მზიაია! — პასუხობს მეორე.

დგას ორი ქალი სოფლის შარაგზაზე და ავტობუსის მოლოდინში მადიანად ილუკმეტენ. დაღლილი მზე ზანტად მიგორავს მოსასვენებლად. ვერც ერთი ამჩნევს მათ წინ ჩაცუცქებულ ძაღლს, ვერც — მეორე.

— წეეთრიე აქედან, შე ძუკნა, შენ! ვერ ვიტან ამ ძაღლებს, ამ ამოსაწყვეტებს! გადი იქეთ!

— უი, მაგათი სინსილა გაწყდა, გადაშენდი აქედან! — ძაღლი გარბის. ამასობაში ავტობუსიც მოდის. ძლივს-ძლიერობით ეტენებიან შიგ თავიანთი კალათებით. „ე, გოო ამოდი, ამოდი, ე მასე“... — ამხნევებენ ერთიმეორეს.

... აეროპორტის წინ ერთი ძაღლი დაბორიალეს — ბებერი ძაღლი, ბეწვგაცვენილი და თვალწრპლიანი. დადის და იმ მსუქან ქალებს ეძებს, ერთხელ ხაჭაპურები რომ აჭამეს. სიკვდილს წინ ერთხელ კიდევ შემახვედრაო, ნატრობს.

შეხვდება?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეზიის მერიდიანები

ჟუჟა რაბი

საზღაური

ჩემი კედლები თანდათან სქელდებიან,
ჩემი წლები კი თანდათან თხელდებიან.
ფანჯრებში დრონი ბერდებიან,
სარკეები მბენენ და ხელდებიან.

უკან დამრჩნენ წლები, გვალვიანი,
წინ დანახშირებული წლების კვამლი არი.

ვიცი ჩემი ფასი, შიშზე მძინებია,
ისე კი შიშით, არასდროს მშინებია.

მთავარია, ახლა არვინ შევიცოდო.
გაკვიგო, ჩემს სულს გაფრენა რაც უღირს.
ჩემი ამბოხების ჩახშობა შევიძლო და
თვითონვე გავცე ჩემს ცოდვებს პასუხი.

თარგმნა ჯანსულ ნარკვიანმა.

სიზმარ-ცხადი

ოდესღაც თეთრი, თეთრი, თეთრი ქალაქი მქონდა...
უეცრად ჩაქრა... უცებ გაქრა... აღარც კი მახსოვს —
როდის ან როგორ დამავიწყდა სახელი მისი...
არყოფნის ნისლში დანთქმულ ქალაქს
აღვიდგენ კვალად — ვიბრუნებ სიზმრით...

... სიზმრის ქალაქში — მთავარ ქუჩაზე —
ერთი მეფურნე ფუნთუშების არომატს ჰყიდის,
ხოლო ხანდახან (ათასში ერთხელ)
ფუნთუშეულის მოყვითალო სურნელის ნაცვლად
ნამდვილ ფუნთუშებს არიგებს უხვად...

სიზმრის ქალაქში ხასხასა მდელოც
(მდელო თუ ქუჩა?..) ბიბინებს, სადაც
მზის მსუბუქ ნისლში შევფრინდი პირველ —
მწკლარტე გვირილის უღონო ფრთებით...
ჩემი პირველი სიყვარული — ნელთბილი ქარი —
მიმაფრენს აღმა, ციმციმ და ლაღად...
იმ ქარის მკლავებს ნებიერად გარდავეცემი —
მას ჩემთვის კოცნა არასოდეს არ გაუბედავს!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე ეკლესიის ბაღის ძელსკამზე
პეპელასავით დასხვამს ქარი წყნარ სილურჯეში,
სად მოწყენილი, ჟამით-ჟამზე, ვმჯდარვარ მარტოკა —
ძველ სიყვარულის მოახლების იმედით სავსე...
სიზმარში სიზმრად სიზმარს ვხედავ და, ჰოი ღმერთო! —
ზღვაში ლივლივებს, წყალს მინარავს თეთრი კარაპა —
მთვარეზე ბზინავს მარილწყალი, ვითარცა ვერცხლი...
მე ის კარაპა მიმაცურებს ლამაზ კუნძულზე, —
იქ მწვანემთიან ფერიების ბაღ შრიალში
მკვდარ მეზღვაურებს ვეცეკვო უნდა...

ცხადეულ ქალაქს სიზმარში ვხედავ...

ო, ღმერთო ჩემო! ვეღარ ვიხსენებ,
ვეღარ ვიგონებ, ვერ მოვიმხარი —
ქვეყნიერების რომელ ნაწილში,
სად მდებარეობს ჩემი ქალაქი!..
ბილიკს კი, ბილიკს — მზის სხივივით დანთებულ ბილიკს, —
ვხედავ... ჭას ვხედავ... შვინდისა და ჭილის ბუჩქები
კვლავინდებურად, შეწევნითა ღვთისათა, ხარობს...

დიდედის სული, თექვსმეტი წლის დიდედის სული,
მომაფრთხიალდა საყდრის ჩიტივით
და ეკლესიის მუდრო ეზოში
ფრთათა ფათქუნით დაარწია მდოვრე ჰაერი...

დაბორიალობს სული ჩემი სიზმრის ქალაქში;
ერთი წლისა ვარ — სიარულს ვსწავლობ...
თექვსმეტი წლისა — ვსწავლობ სიყვარულს...
მერე... თვალებზე დავიფარებ აბაზიანებს.

... ბაზრის მოედანს ჩავუარე... ნაცნობ მათხოვარს
(ვითომ მარჩიელს) შევეფეთე... აღარ მომეშვა:
თევზის სამ ფარფლად მიწინსიტყვა ბედნიერება;
ცხრა ფარფლად: — მარილის თქმა მიყვარსო, ვერ დავმალავო:
დადგება დრო და — აქაობა უნდა დათმოო!..
თუ მოისურვებ დაუბრუნდე ისევ ამ ქალაქს —
სიცოცხლის ფასად შეგეძლება დაბრუნებაო!..

სიზმრის ქალაქში სიყვარული მეუფობს წმიდა:
ვერ ბღალავს შური, ვერცა ქიშპი და ვერცა ლიზღი.
აქ ეკლესიის ეზოსავით სუფთაა ქუჩა...
სასაფლაოზე იღიმვიან მიცვალებულნი...
სხედან და უხმოდ იხსენებენ ცოცხალთ სახვებს...
სხეულზე ნისლი სამოსივით აცვია ყველას,
ოღონდ ეგ არი: არ შრიალებს, არ იძვრის ნისლი, —
შემოტმასსნიათ უმოძრაოდ სამოსი ტანზე
და, სუნთქავენო, — ვერც იფიქრებს შორიდან კაცი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

... სასაფლაოზე იღიმვიან მიცვალებულნი, —
ერთი მათგანი ბეჯითად რწყავს საკუთარ საფლავს!..

... დადგება დრო და უკაცრიელ, ერთ-ერთ ბაქანზე,
შუაღამეში მარტოდმარტოს მომიწევს ჩასვლა...
მე არც იმ ბაქნის სახელი ვიცი
და არც ის ვიცი, როდის შთანთქავს წყვდიადი ნათელს...
უთანამგზავროდ, მარტოსული გავყვები ბილიკს,
ხელისფათურით მივაგნებ ჩემს სახლს, —
ჩემს უკარფანჯრო მარადსამყოფელს,
რომელსაც ქარი უფრიალებს ნისლისფერ ფარდებს...
შევალ იმ სახლში... წამოწვები გულარხეინად
და საკუთარ თავს მოვუყვები ჩემი სიცოცხლის,
სიცოცხლეშივე მოუყოლელ ცხოვრების ზღაპარს...
ვილაპარაკებ სიზმრეულად — ტყუილს და მართალს, —
ვილაპარაკებ... და ვიქნები ცოცხალი მარად!..

თარგმნა **გივი ძნელაძემ.**

კუნძული

თავზე მემხობა წვიმის ზარი.
მთელ ქვეყანას სდარაჯობს წვიმა.
მოტივტივე ჩემი ბოთლები
დიდიხანია კლდეებს შეასკდნენ.
ჩემს თეთრ თავსაფარს ჯოხს ვაცილებ.
მრცხვენია, რადგან შველას ითხოვდა.
შემოვიხვიე წელზე იგი.
ახლა თევზები მდუმარებას სწავლობენ ჩემგან.

ზლაზვნით მიმავალი კვირა დღეები

ქალაქის დადუმებულ გრდემლზე ზარის რეკა
ბრინჯაოს ურისავით დაეცა.
თითქოს დადგა ყველა საათი.
კვირაა. გარეთ შემოდგომაა. სამი საათია.

ნაგავზე ყრია დაღრღნილი ძვლები.
ზარების რეკვით ინელებენ ნოყიერ სადილს.
სამზარეულოს იატაკის მორეცხვის დროა
და კიდევ დროა სეირნობის.

დიასახლისები გაქონილ წინსაფრებს იხსნიან.
მამაკაცები ჯაგრისით მტვერს ამორგებენ პიჯაკს.
თავს მოიყრიან ქვისლთან,
სასაფლაოზე წავლენ თაიგულით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე ცხოვრობდნენ წინაპრებიც.
ოცდაათამდე სიტყვა ტრიალებს.
„ჩვენთან...“ „ბიჭი ხომ...“ „ასეა, ასე...“
სხვაგვარად იტყვი, თუ ჩინურად ილაპარაკებ.

მოედანზე ქუდებს ისდიან:
ქვის ყაჩაღს უნდა ქვის ხელკეტი დაარტყას თავში
ქვის სამოსიან ქვის ეპისკოპოსს,
ასოცი წელია ვერ მოუხერხებია.

ქუჩის ტალახიან ნაოჭებს
ფეხსაცმელებით ზელენ.
შიროკი პრუდიდან გოლგოთამდე
მიიზლაზნება კვირა დღის ლაფი.

ასე ფრატუნით ჩაიარეს საუკუნეებმა,
ესალმებოდნენ ერთმანეთს და ეთხოვებოდნენ,
ისე, რომ არ შეურხევიათ ქვეყანა
შიროკი პრუდიდან გოლგოთამდე.

აქ, ამ წარმაროულ სიცხადეში ცხოვრობდა მამაც.
და მე ავჯანყდი იმის ნაცვლად: ის მამშვიდებდა.
და როდესაც მეც მივატოვე, ის აქ ცხოვრობდა
არანიუსთან და პორაციუსთან.

თარგმნა **გიორგი გეგეჭკორმა.**

ნახევარმთვარე

გაჟღენთილია ჩემი კანი შენი მზის სხივით.
ჩემს ღამეს ნამგლით შუაზე აპობს შენი თურქული ნახევარმთვარე.
შენს სიმღერაში, როგორც ზღვაში, ისე შევდივარ.
კლდე, ამოკმული ქვამარილით — შენი მხრებია.
ქვამარილივით მლაშე კლდეები ჟამია ჩემი, რომელიც დნება.
სიხარულია, რომ მიჩაქჩაქებს მშვიდ დიდყურაზე ამხედრებული.
ამოშვერილა ხურჯინიდან თეთრი ყვავილი,
ხარბად რომ ყნოსავს ჰაერი ლურჯი.
სულ მალე შენი დღესასწაული მე მომაგონებს საზრუნავს ჩემსას.
მერე მე შენი სიმღერებიდან კვლავ ვუბრუნდები ღამეებს ჩემსას
და ბასრი, როგორც იატაგანი, მინათებს შენი ნახევარმთვარე.
შენი ხეების წვეროებსაც წვევია ჭირხლი,
მაგრამ მე უკვე მაძღარი მაქვს შენი მზით კანი.
ფარად ეიფარებ ქვამარილით დაკმული კბოდეებს
და ღამეებსაც ისევ მინათებს შენი თურქული ნახევარმთვარე.
შენს სიმღერაში შევდივარ და შენს ახალ დღეში,
და ჩემი თეთრი აისებიდან ისევ იზრდება თეთრი ყვავილი
და ხდები ჩემთვის ისე ჩემი, იმდენად ჩემი,
თითქო სულაც ზედმეტი იყო.

თარგმნა **ტარიელ ფანტურიამ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა მ ს ა ხ ე ო ბ ა

გუშინ —

ბევრი რამ არის იდუმალი ჩემს გარშემო.
სასაფლაოზე რომანტიული გადმოხრილია ჩემსკენ ტირიფი.
და ჩემს გაცვეთილ ყელსახვევს გრძელი გამოუყვია ენა ყუთიდან.
უმოძრაოა სახე ჩემი — მწუხარე ქვრივის.

ხვალ —

ჯერ კიდევ არის იდუმალი ჩემს გარშემო.
არის უსაზღვრო პატივისცემით გარემოსილი ჩემი მშობელი.
ვიცოცხლებ კიდევ — და ამის გარდა სხვას ჯერ ვერაფერს ვერ შეგპირდებით,
მე მგონი, ესეც საკმარისია და ამით ყველა კმაყოფილია.

დღეს —

ჩემს გარშემო მხოლოდ და მხოლოდ გულგრილობაა გამეფებული.
არის ყველასთვის აუტანელი ჩემი ქცევა და ჩემი სიტყვები —
მე ვარ ზედმეტი, როცა ვმეზავრობ და გაჭედილია ხალხით ტრამვაი.
მე ვდგავარ რიგში და ვდგავარ შენს წინ მე, რომლის გამოც
ყოველ ორშაბათს დილა ასეთი ნაცრისფერია —
და გამუდმებით მე თავს ვაბეზრებ ჩემი ცხოვრების თავგადასავლით —
ვდგები და ვწვები, ვჭამ და ვამთქნარებ და საიდუმლო არ გამაჩნია.
სრულებით არ ვარ მიზეზიანი და ხასიათი არა მაქვს რთული —
მჯერა, წინასწარ დასახული პროგრამით რობოტს
ამ ქვეყანაზე ჩემნაირი ადამიანის გაჩენა სულ არ გაუჭირდება —
და მაინც უნდა მოითმინო ჩემი აქ ყოფნა, რასან ვარსებობ —
და სიცოცხლე ნაბოძები მაქვს.

შ ე ლ ო ც ვ ა

ვბუტბუტებ, ვბუტბუტებ,
სანამ ყელიდან არ ამომივა ცეცხლი,
მე ჩემი ჯადოქარი ვარ,
ჩემი ექიმბაში,
მე ჩემი დედის დედა ვარ,
ჩემი შვილიშვილი,
ვბუტბუტებ, ვბუტბუტებ,
სანამ ყელიდან არ ამომივა ცეცხლი.
(ნუ გამიცუდდები, სიტყვავ ჯადოსნურო!
დამაწყვარს ნუ გაუმართლებ!)

ვბუტბუტებ, ვბუტბუტებ:
ნუ შეგახმება ხელები,
სახე ნუ დაგეჭმუჭნება,
ნუ ჩაგიქრება თვალები,
ფილტვი ნუ დაგიმტვრევდება!
უკან არ მოიხედო!
იცოცხლებ ას წელს!
წინ არ გაიხედო!
იცოცხლებ ათას წელს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვუტბუტუტებ, ვუტბუტუტებ:
აგიყვავდება მოქნილი ტოტი,
თეთრ ტანში ჩაგიდგება წვენი,
ასი წლის მერე, ათასის მერე
შენს ყლორტზე აფეთქდება კვირტი,
ფუღუროში ფოთოლი გაიშლება!
(ნუ გამიცუდდები, სიტყვავ ჯადოსნურო!
დამაწყევარს ნუ გაუმართლებ!)

ვუტბუტუტებ, ვუტბუტუტებ,
სანამ ყელიდან ნაპერწკალი არ ამომივა:
იცოცლებ ქვეყნის დასასრულამდე,
ვერ მოგერევა ცხელი შანთი,
თავზე ყვავები არ დაგჩხავიან,
არ დასრიალებს შენს ფესვებზე უხსენებელი,
ფეხქვეშ არ გიგია მარილი უნაყოფო!
(ნუ გამიცუდდები, სიტყვავ ჯადოსნურო!
დამაწყევარს ნუ გაუმართლებ!)

უკან არ მოიხედო!
იცოცლებ ას წელს!
წინ არ გაიხედო!
იცოცლებ ათას წელს!

ვუტბუტუტებ, ვუტბუტუტებ:
მე ჩემი ექიმბაში ვარ,
ჩემი ჯადოქარი,
მე ჩემი დედის დედა ვარ,
ჩემი მემკვიდრე,
ჩემი მოძღვარი ვარ
და ჩემი დღე ვარ.
ვუტბუტუტებ, ვუტბუტუტებ,
სანამ გამიშრება ყელი.

განა დაიფქვება შენი ძვლები,
განა გაგისკდება თავის ქალა,
განა შენი სული ივლის უპატრონოდ,
განა შენს კვალს წაშლის ქარიშხალი!
(ნუ გამიცუდდები, სიტყვავ ჯადოსნურო!
დამაწყევარს ნუ გაუმართლებ!)

შენ დამიფარე, დედა-მიწავ,
შენ გამინათე, დედა-ცაო,
გამითბე ძვლები, დედა-ცეცხლო,
შენ გამაგრილე, დედა-წყალო,
შენ დამიტირე, დედა-წვიმავ,
შენ დამივიწყე, სიყვარულო!

თარგმნა ბეჟან გეგეჭკორმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ კიკალიშვილი

პოლიტმუშაკების უკვლავი გმირობა

ახალშექმნილი წითელი არმიისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მოსამზადებლად აუცილებელი იყო სამხედრო სასწავლებლებისა და სამხედრო-პოლიტიკური სკოლების ჩამოყალიბება. ამ მიზნით, 1921 წლის ივნისში პირველი ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტგანყოფილებასთან შეიქმნა პოლიტხელების მოსამზადებელი მოკლევადიანი (3-4-თვიანი) ქართული სამხედრო-პოლიტიკური კურსები. 1921 წლის ივნისიდან 1923 წლის ნოემბრამდე კურსების უფროსებად მუშაობდნენ: პეტრე ქუთათელაძე, კალენიკე გიორგაძე და გიორგი ჯაჯანშვილი.

ახლად ჩამოყალიბებული სამხედრო ნაწილები, სამხედრო-პოლიტიკური და უმცროს მეთაურთა სკოლები ფორმირების პირველ დღეებშივე ჩაებნენ საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

შალვა დადიანის ამ მდიდარ სამუზეუმო ფონდში, გარდა უკვე გამოცემულ ხუთტომეულში შესული მასალებისა („ჩამოკრულები", „სიჭაბუკის კოინდარზე", „დიდ შარა გზაზე", „ბეორგი რუსი", „გვირგვილიანების ოჯახი", „გუშინდელნი", „კაკალ გულში", „თეთნულდი", „შავი ქვა", „არაფერიც არ იქნება", „უშა-უშა", „ცოცხი და ლოკოკინა", „მოგონებანი" და სხვა), მწერლის მდიდარ არქივში ალმოჩნდნა გამოუქვეყნებელი ლიტერატურული მასალები: მინიატურები, დღიურები, მოგონებები, წერილები, უბის წიგნაკში ჩანაწერები, სალაღობო ლექსები და მიმოწერა ცნობილ პირებთან.

ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ შალვა დადიანის უცნობი ჩანაწერის ნაწილს, რომელიც მწერალს უწარმოებია სხვადასხვა შემთხვევის გამო...

მაისი. 21 (8). 1943 წელი.

ღღეს შემისრულდა 69 წელიწადი.

ივნისის 30. რამდენჯერ მითქვამს მეგობრებში და მგონი სათავისოდ სადღაც აღმინიშნავს, რომ მშვენივრადა ვგრძნობ მომავალში ჩემ ღღეთა ხანმოკლეობას და... მაინც არაფერი არ დამილაგებია, რომ ცოტაოდნად მაინც დავტოვო ჩემი ნაწერები მოწესრიგებული.

ვიცი რომ ღღეები დათვლილი მაქს: ძაან, ძაან გავძლო — ერთი ორი წელიწადი კიდევ, რადგანაც ქართველებში შემჩნეულია, რომ ჩემი როგის ადამიანები 73-75 წლამდე ძლებენ, იშვიათია 80 წელი და თუნდ 80-ც მეწეროს „ჩემს ბეღში", ხომ მაინც 10 წლით შემოსაზღვრება ჩემი მომავალი ცხოვრების წრე. მაშ, რატომ არ გამოვიმუშავებ სათავისო გეგმას, რათ არ გავინაწილებ წლებს, რომ ამა და ამ ხანში ასე და ასე მოვახდინო, რასაკვირველია, რამდენადაც ეს პირადათ ჩემზე იქნება დამოკიდებული.

რასაკვირველია!

რა არის ის სიცოცხლის მადლი და ძალა, რომელიც ასე „უღარღილად" გამყოფებს, რომ შენს დასასრულზე სრულიადაც არა ფიქრობ ხოლმე.

მე კი ვფიქრობ. სიკვდილზე იმდენად არა, რადგან ამას არა ეშველება რა, გარდუვალია. მხოლოდ მინდა კი ვუღონო, სიკვდილსაც დამშვიდებული შეეხვედ, მივიღო იგი სრულის შეგნებით და შეუფიქრებლად...

მე ვფიქრობ **დროის სიმცირეზე.** ამ დროს უნდა გეგმაანი მოხმარება... თუნდა ჩემი შემოქმედების მხარე ავიღოთ. მე კი ისეე ისე არ ვჩქარობ. რამდენი რამა მაქს განზრახული და... მგონი, რომ უმეტესობა მათგანს საზოგადოებრივი მნიშვნელობა მუდამ ექნებათ, რადგან ვიცი, რომ ჩემსავით ბევრი ჩვენი მწერალი ვერ მიაწოდებს ჩვენს ქვეყნის ცხოვრებას ამბებს. შეიძლება ჩემზე ბევრად უკეთ დაწერონ, შეიძლება კი არ: ეს ასეც მოხდება, მხოლოდ ჩემსავით ვერ გააშუქებენ, ჩემოდენა ამბებიც არ ეცოდინებათ, ვინაიდან მე ბევრი რამ ვნახე და განვიცადე, ბევრი გავიგონე,

ჩარჩა ხსოვნას, ბევრ რამეს, მოვლენას, პიროვნებებს, ბუნებასაც, მე სულ სხვა გვარ ვედგებები, სხვა კუთხიდან, სხვაგვარ მხატვრულ თვალით;

მეცა მაქვს ჩემი სიტყვა, ჩემი სათქმელი და...

ეს ჯერ სრულიად ვერ გამომიბეჭდამს.

ეი, რითიც მიცნობენ და რამაც სახელი გამითქვა; მიყვარს სუფეველი, ისინი ჩემი სულიერი ნაკადიდან მომდინარეობენ, მაგრამ მე მთელი ჩემი შესაძლებლობა (არც დრამაში და მით უფრო ბელეტრისტიკაში) ჯერ კიდევ სრულიად არ გამომიფენია და ეს... რაღა თქმა უნდა, მენანება.

ეიცი ყოველივე ეს. დრო მცირეა, მაგრამ დრო მაინც მაქვს ჯერჯერობით (მე ხომ ჩქარა ეწერ თუ კი სათქმელის დედაზარი მოფეკრებული და მომწიფებული მაქვს) და შემიძლია, აი თუნდა ამ ზაფხულს ბევრი რამ მოვასწრო, მაგრამ...

ეზარმაცობ, ფეხს ეთრევ და ბევრი რამ არ გამაკეთებია.

ეს, რასაკვირველია, ფდისციპლინობის ბრალია. ეს მოვლენა ქართველებში ხშირია, განსაკუთრებით იმ წრეში, რომლიდანაც გამოველ და მეც ძალიან მახლავს „ეს ეთარი“. ამას კი დაძლევა უნდა. ჩვენშიაც გაჩნდნენ ესეთი ნაყოფიერი შუშები თავ-თავიანთ დარგში. მაგალითად, მეცნიერებაში განსაკვირვებელი ივანე ჯავახიშვილი, საოცარი ზრომის უნარის პატრონი, ბელეტრისტიკაში ამჟამად კონსტანტინე გამსახურდია დიდი ზრომის მოყვარე, გამწვე ბეჯითობის ადამიანია, ეს უფიფოდ უნდა ითქვას. ამ მხრივ, შესანიშნავი იყო მიხეილიც (მიხეილ ჯავახიშვილი) ეკონომიელ მწერლის სიზუსტე ჰქონდა, მოუწყინარობა.

არასოდეს არ დამავიწყეება ემილ ზოლას მანერა: დღეში ესათუოდ ოთხი საათი უნდა ეწერა თურმე, როგორ გუნებაზეც არ უნდა ყოფილიყო. ასეა, თუ გინდა სპეციალისტობა, სპეციალისტი უნდა იყო. ფილეტანტობა, გასტროლიორობა, მოსტომ-მოსტომა, ჟა-ია „წამლერება“, რასაკვირველია ფიდს ეერაფერს შეაქნინა. წინათ ასე „წამლერებით“ მწერლობდნენ ზოგიერთნი, როცა „ბუზა მოუვიდოდათ“. თვით ბუშკინიც კი, ამბობენ; მაგრამ ჯერ ერთი რომ, განსაკუთრებით ერთ შემოდგომაზე ბუშკინმაც დაამტკიცა, რომ იგი ზრომის მოყვარეა: „ბორის გოდუნოვთან“ ერთად რამდენი რამ არ დასწერა იმ შემოდგომაზე. და მერე ყველფერი არ უნდა აიხსნას, ჩემის ფიქრით, მაინც და მაინც რომელიმე კლასს რომ ეკუთვნის ადამიანი, ამიტომ დაუძლეველობა თავის კლასის ზოგიერთი ნეგეეებისა. ადამიანი, ადამიანია ყველა კლასში და მისთვის ხელ-მისაწვდომი უნდა იყოს ყოველივე ადამიანური. მაგალითად, თავად-აზნაურული სიზარმაცე ხელს არ უნდა უშლიდეს ამ ზრომიან გამოსულ მწერალს, რომ მან ბოლოხანს ეს ბერი მუდმივობა ზრომაში და... დისციპლინის დაცვა თავის შემოქმედებაში.

ადამიანი თუ მთისდომეს, დაუძლეველი არაფერია.

მხოლოდ მე პირადად ცოტა დაგვიანებული ვარ და ამჟამადაც ისეა ჩემი ცხოვრების გარემოება მოწყობილი, რომ ეპიერ, დამშვიდებულ შემოქმედებისათვის პირობები არ მიწყობს ხელს...

მაგრამ ხომ სწერდა ნინოშვილი საღღაც გომში, ფუქანში „ალნის ჭეკეტინზე“, ფანჯრის ფიცარზე თავის ოხზულებებს? მაშ რას უნდა ნიშნავდეს ეს „პირობები“.

ერთია. ერთხელ შეც დაეუმტკიცე ჩემს თავს, რომ შემიძლია „ზორბად“ ეიმეშია: ერთ ზაფხულს, ბაგებში, „ოთხზულიც“ დაეწერე და კიდევ სამი პიესაც. ეს კია. თითქმის მარტო ვიყავი და განრიდებული.

ამ ზაფხულსაც ისე უნდა მოვაწყო, რომ მოვლა, მოვლა, როგორც მაქვს დაალებული, მაგრამ შემდეგ ერთი თვით მაინც უნდა ჩავიდე სადმე, რომ... ბევრი გვაკეთო განზრახულთაგან (შედარებით მაინც).

საქმე კიდევ ის არის, რომ ძველ განზრახულებს, ახლანდელ ადეკენებიან ხოლმე...

ივლისის 6.

დღეს პირველად ჩემს სიცოცხლეში გავაყოდე ჩემი ბიბლიოთეკა. არა შესანიშნავი, არა მდიდარი უნიკუმებით, რაფგანაც...

რამდენი მკონდა წიგნები წინათაც. ჯერ მამისეული, შემდეგ ჩემი შენაძენი, იმის მიღმა ელოსთან (მეთელესთან) ერთად დაგროვილი... რამდენჯერ გამებნა, გამტაცეს, შემომძარცვეს მთელი ჩემი ცხოვრების განძილზე, მაგრამ ბოლოს მაინც დიასთან* ცხოვრების დროს, კიდევ დამიგროდა კარგა ძალი. თუმცა მე პირადად და დიაც ძალიან ცოტას ვყიდულობდით, მაგრამ საჩუქრებად იმდენი მომდიოდა ჩვენებიდან, რუსეთიდან, სომხეთ-უკრაინიდან, ბელორუსიიდანაც, რომ... მაინც კარგა ძალი იყო.

გავყიდე.

გავყიდე „ძმები“, გავყიდე „ბულის მესაღეშეენი“, ზოგიერთი მაინც ჩემი ბულის საყვარელნი: ზეკსპირი, ჰაინე და ზოგი ძველი, ამის ნაწერნი წიგნები. ერთი გამოჩენილი ინგოს ასტრონომია პიოგრაფია მაინც რაფ არ ღირდა? ბევრი სხვა ამისთანა სანახსოვრო.

იცოდეთ, მეგობრებო, გული აჩუყებული მაქვს, თვალზეც კი ცრემლები მიდგება... ერთხელ კიდევ მინდა თქვენთან ჩაყოფა, თქვენი გადადურეცლა, თქვენთან გახარება, თქვენთან

---

* შალვას მეუღლე, — ელო ანდრონიკაშვილის შემდეგ.

სევდის მორევი და... ბოლოს გაფილოსოფოსება. ცხოვრების გამოცდილის, ვითომ ბრძენულის თვალით რომ დავუწყებ ყურებას.

ამიტომაც გაგაოდეთ, ჩემი გულის ახლო არსებანნო. ვიცოდი, მე ვეღარ მოგიგლდით, როგორც ბეჯითი ბიბლიოფილი, ვერც როგორც არისტოკრატ-დილეტანტი. ისე კი რათ შეგაწუხოთ ჩემთან დებით? რათ შეგაწუხოთ?

თქვენ რაც შეგიძლოთ, ის უკვე მიწყალობეთ, ციტატები თუ დამეკრიდა თქვენი, ყოველთვის მოგიგნეთ სხვანაგაზე. მართალია, აქ გამახსენდებოდით თუ არა, ხელს წაგკრავდით, თქვენც შიშინვე გადამაშლიდით გულს, მაგრამ...

ეჰა, წუთისოფელს ამოიბეზ! გაგწირეთ და... მიხარია.

თითქოს რაღაც დიდი ტვირთი ჩამოვიშორე.. უოქვენოთ, გამოგიტყდებით, უფრო ახალგაზრდათა ვგრძნობ თავს და... საკვირველია, დამოუკიდებლადაც. თითქო თქვენ აქამდე „მაპეკუნობდით“ (აქ ეს სიტყვა „აპეკუნი“ მირჩევნია მზრუნველს) შეზღუდული ვიყავ თქვენგან. ეხლა ისე ვარ განკარგებული, როგორც კაწყარი ველად გაჭრილი.

საკვირველი გრძნობაა ხომ! მიყვარდა და შეველე. მიყვარდა, აღარ მიყვარს და თავს თავისუფლად ვგრძნობ.

მაშ არა მყვარებია, — იფიქრებს ვინმე და ღიღით შეეცდება.

უალრესი სიყვარული მიუყვება მათ. წარუშველი, წარუხოცელი. თავს კი თავისუფლად ვგრძნობ.

მოდი და მარგალიტი დაუყარე ჩემისთანა „უხერო მამალს“...

გამოცნობა კი უნდა ამ გრძნობას, ამ განცდას.

გამოცნობა, ყმაწვილებო!

. . . . .

ჩემი აკაკი! ვიქტორ ჰიუგო! ემილ ზოლა! რომ ყოველ ღილით ვეღარ გადაგვლებთ თვალს? რომ ვერ ვიგრძნობ თქვენის სიახლოვით ჩემი სულის სიამაყეს?

საერთოდ ყველანი, ვინც კი იყო ჩემთან ღამენათევი მრავალ წელთა მანძილზე თავის წიგნებთან, ნაიზრი, შემოსაქმედით, თუნდაც მხოლოდ ერთჯერ წაკითხულნი, როგორ მამსუყებდნენ თავიანთი ყოფნით ჩემთან. როგორ თითქო ბურჯად მედგნენ ჩემ სულიერ სიმტკიცეში! კარგი იყო!..

მაგრამ თუ „სულზე“ მიდგა საქმე, ეგ ხომ არ წამრთმევია და რაკი „რაც ერთხელ სულს დაარჩნდებაო“, თუ ის „საშვილიშვილოდ გარდაიცვმის“, მე რაღა დამემართა, რომ ჩემ თავს მაინც ვერ შემოუნახო მათგან შენაძენი?

ყოველდღე ვერ გადავხედავ და ვერ დავიჭერ ხელში? რასაკვირველია, ჩემშიაც ცხოვრობს ერთგვარი ანტიკვარი, მაგრამ არც თუ ეგრე გაპედანტებული...

ამიტომაც არის, სხეთაშორის, რომ ეხლა აუცილებელ სახელმძღვანელო წიგნებ ამარა დარჩენილი და ისიც უფრო განსაკუთრებით საქართველოს შესახებ ისტორიული გამოკვლევებით, თავს თავისუფლად ვგრძნობ, ერთგვარ მოვალეობიდან განთავისუფლებულს...

საკვირველია? — არა! უფრო საგულისხმოა ჩემს ცხოვრებაში. ჯერ ოჯახს ჩამოვშორდი, კარგად მოწყობილს უთუოდ, ეხლა სულიერ მეგობრებს, — ჩემს წიგნებს...

ვყიდი ეხლა ჩემს ადარკასაც — „შალვას ყურეს“ და ამგვარად თითქმის რომ ამ სოფლურ „ნივთთაგან“ განთავისუფლებულ ვიქნები.

ჰო! ასე უჯობს, ასე უჯობს ამკვამაღ ჩემს გულებას, ჩემ სულიერ განწყობილებას!

ივლისის 7.

ჩემს გამოცალიერებულ ოთახს რომ შევაქცევი, მახსენდება მოსკოვში ახალგაზრდობისას მარტო, სტუდენტური ცხოვრება, ან კიდევ ოღესაში, აქაც ოგივე ხელეგზრეობა, უფულობა, მაგრამ გული და გონება იმედით და რწმენით სავსე...

ეხლაც რა ცოტა მთხოვნელების კაცი ვარ, ცოტა მაკმაყოფილებს: ცოტა ფართობი, ცოტა საშოალება, — საზრდო და ჩაცმა-დახურვისათვის... იოცტლე, ბეკრსაც შევიფერებ და ფუფუნებით ცხოვრებასაც დავიშენებო, მე ასე მგონია, მაგრამ ამეებისათვის ახალგაზრდობაში არ გადამიდვია თავი და ეხლა რაზე დავიმტკრევ ცხვირ-პირს.

დამშვიდებული ცხოვრება. „ლუკმა პური და ერთი ქალიც“, — გორკი რომ ამბობს. ამაზე გამოდის ეხლა ჩემი ცხოვრება. ერთი რამ კი აკლია.

ზოგი საპირო წიგნი და წერა... წერა...

რვეულზე აქვე შალვა დადიანის ხელით მიწაწერია:

„19. V. 47. რეგისტრაციაში გავტარდით მეუღლეებად მე და ნინო წულუკიძე“.

ეს გაბლავთ შალვა დადიანის მეუღლე, რომელმაც უსასყიდლოდ გადმოსცა ლიტერატურულ მეზეუმს შალვა დადიანის მდიდარი უნიკალური ფონდი, რითაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია, როგორც მეუღლეს, ისე ქართული ლიტერატურისა და კულტურის კეთილშობილურ საქმეს.

მოვკვეს კიდევ ერთი უცნობი ჩანაწერი შალვა დადიანის დღიურიდან.

14. VI. 56. კაკობრიობის ისტორია.

(ჩემი მოსაზრებანი).

დავით ფულლიაშვილი

შალვა დადიანის უცნობი ჩანაწერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვირველია, მე ამ ნაწერით არ ვიჩემებ ჩემს დიდ განსწავლულობას და არც საკარო **გამოსაფენად მაქვს** ეგი განკუთვნილი. მე ხომ **არავითარი** სისტემატური სწავლა არც **მაქვს მიღებული.** მე ხომ სხვების დაუხმარებლად, ჩემითა მაქვს გზა გაკვლეული აზროვნებასა და მწერლობაში. და თუ მაინც ვანდოს ზოგიერთ ჩემ მოსაზრებას ამ მოკრძალებულ უბის წიგ**ნაკს,** ეს უფრო იმისათვის, რომ თავისთავს **დაკუდასტური** ჩემი ცოდნა და შეხედულება ისეთ მაღალ საგანზე, როგორთაც კაცობრიობის ისტორიაა. ამით მოვახდენ შეჯამებას ჩემ აზროვნებისას და **გულწრფელად,** შეიძლება გულუბრყვილოდაც, გამოვქვამ იმას, რაც ამ ბოლო ხანებში ფიქრთა მარაგად დამიგროვდა.

გასულ სექტემბრის (1955 წლის) 25-ს ... ლენინის რაიონის პარტკომიტეტზე და 2[illegible] დ. 30 სექტემბერს მწერალთა კავშირის პლენუმზე მომიხდა სიტყვით გამოსვლა.

პარტკომიტეტზე თბილისის ორ თეატრზე იყო ლაპარაკი: რუსთაველისა და გრიბოედოვზე. მაგრამ მომხსენებელმა თეატრის საკითხების გარდა ჩემი რომანის „გიორგი რუსის“ შესახებაც ილაპარაკა და მე იძულებული ვიყავ, რომ თეატრის საკითხების გარდა, ჩემს რომანზეც გამომეთქვა ჩემი მოსაზრებანი.

მწერალთა პლენუმზე ხომ მთელი პლენები მიძღვნილი ჰქონდა ქართული ლიტერატურის ვითარებას და აქ არ არის მთლად გასაკვირი, თუ საქართველოს გასაბჭოების გარიჟრაჟზე გამოსულ ხსენებულ ჩემ რომანსაც შეეხო მომხსენებელი.

მწერალთა პლენუმს ესწრებოდნენ პარტიისა და მთავრობის წარმომადგენლები და აგრეთვე მოსკოვიდან ჩამოსული რუსეთის მწერალთა კავშირისაგან წარმოგზავნილი დელეგატები. აქ რასაკვირველია, თითქმის მოვალე ვიყავ, რომ ჩემი სიტყვა მეთქვა.

აგერ მგონი მეოთხე წელიწადია, რაც ჩემი რომანის გარშემო მოგორავს სრულიად შეუმოწმებელი აზრი, რომ იქ არ არის სწორად აწერილი რუსეთისა და საქართველოს მეგობრობის ამბავი, რომ აქ გაიდეალებულია საქართველოს წარსული.

მე აქ ასეთ შეტეკვაზე ხმა არ ამომიღია, თუმცა მაშინვე, ჩემი რომანისადმი ასეთი ცალმხრივი მოპყრობა არა მართებულად მიმაჩნია, მხოლოთ ორსავ თათბირზე გაჩუმება **საჭიროდ** არ **მიგიჩნიე** და საბუთებით ხელში **დავამტკიცე ჩემ** მოწინააღმდეგეთა მოუმზადებლობა აღებულ საგნის გაშუქებაში.

არც ერთმა მომხსენებელმა თავის უკანასკნელ სიტყვაში **პასუხი არ გამცა.**

საინტერესოა შალვა დადიანის კიდევ ერთი ჩანაწერი, რომელიც გარდაცვალებამდე ერთ წლის წინ ჩაუწერია, აი ესეც:

ღია კარი

26. II. 57. შინ.

გულის,
გულის!

რამდენი ხანია ასეთი სათაური არ გამიკეთებია ჩემი ნაწარმოებისათვის.*

კარგა ხნის წინად ამ სათაურით იბეჭდებოდა ზოგიერთი ჩემი „ჩამოკრულთაგანი“ (მინიატურა) პრესაში.

ახლა კი ხელახლა დამჭირდა ასეთი სახელწოდება ნაწერისათვის, რადგან ამ მარილა სრულიად გაღებული ჩემი გული... პირადი აღსარებისათვის.

მე უკვე 83 წლისა ვარ.

წრეულს, სწორედ მაისის 21-ს, ძველებურად 8-ს, დღის 12 საათზე, იმერულად რომ ვთქვა, წყეულად შემოსრულდება დაბადებიდან (1874 წ.) 83 წელიწადი.

ახლა კარგადა ვარ. მართალია გუშინ გამოვედი სავადმყოფოდან, რადგან ეს ერთი თვეა ჩემმა ვაჟმა, რაღაც ცელქობა დაიწყო, მაშინ, როდესაც აქამდე გულს სრულიად ვერ ეგრძნობდი, მჭირდა თუ არა, ძვერდა თუ არა, მხოლოდ იანვრის მიწურულში ამოჯანყდა და ისეთი შეტეკვები დამიწყო სულთქმას მიხუთავდა, დიდათ მანერვიულებდა და მეც თებერვლის ექვსიდან ამავე თვის 28-მდე საავადმყოფოში მომათავსა.

ახლა კარგადა ვარ, ძველებურად.

მხოლოდ...

ამ ავადმყოფობის დროს თითქო უცნაური აზრები დამეზადა.

გადავხედე ჩემს განვლილ ცხოვრებას ჩემის თვალით, რასაკვირველია და დღევანდელს ჩემს არსებობას.

წარმოიდგინეთ, რომ შეჯამებამ არ მომცა ცუდი სურათი.

დღეს ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ერთ მიწნეულ კაცად ვითვლები და არ ეტრაბახობ — ჩემ სამშობლოს საზღვარ იქითაც კარგი სახელი მაქვს მოპოვებული და არამც თუ მარტო ჩვენს საბჭოთა კავშირში, არამედ ევროპასა და ამერიკაშიაც.

---

* ამ სათაურით „ღია კარი“ შ. დადიანს გამოქვეყნებული აქვს პატარა მინიატურა სულ სხვა შინაარსით. იხ. მისი თხზ. ხუთტომეულის 1 ტ., გვ. 86. დ. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალი თქმა (ენდა) დიდი ბრწყინვალე ვარსკვლავად არ ვანათებ, მაგრამ პატარა ლამპიონად მაინც შეგიმჩნევი.

ჩვენში პარტიისა და მთავრობისაგან მოალერსებული ვარ და ხალხს ხომ, — არც ამას ეტრაბახობ, — სადაც კი გამოვჩნდები შეკრებულებაში და სიტყვით გამოვდივარ, პირს ღიმილი დაერთის... დამსწრეებს.

ეს ჩემი ბედნიერებაა!

ეტყობა ვუყვარვართ.

სახლშიაც კეთილად ვცხოვრობ.

სასმელ-საჭმელი არ მაკლია. მაცვია და მახურავს მეც და ჩემიანებსაც.

არავითარი ქონება, რასაკვირველია, არა მაქვს, არც სახლკარი და ფულადი რამ დაგროვილი სახსარი. მაგრამ ჩემი მწერლობა (განსაკუთრებით) მაინც მაძლევს იმდენს, რომ აუცილებელი მაინცდამაინც არ მაკლდეს.

23. V. 58. მენჯი.

აზრი მომივიდა გადავთარგმნო ზოლას „შემოქმედება“, რომელსაც მე-4 თარგმანში რუსულად ჰქვიან „მხატვართა შორის“. მე ამას, სამწუხაროდ, თუ გადავთარგმნე რუსულიდან გადავთარგმნი, მაგრამ ვეცდები ავტორთანაც ახლოს ვიყო და ქართულადაც კარგი საკითხავი იყოს...*

---

* დღიურში შ. დადიანს თარგმნის ნიმუში აქვს გაკეთებული. დ. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილები

მურმან თავდიშვილი

ჰკიდია მზე თავის ადგილზე

ზოგჯერ ასეც ხდება. პოეტი თავის ფიქრებს, ლირიკულ მედიტაციებსა თუ ინტიმურ ლექსებს პრესაში ნაალბად აქვეყნებს. შემდეგ მოულოდნელად, დიდი შესაფლისა და მოგზაურობის გარეშე გვთავაზობს კრებულს, რომელშიც მთელი თავისი გზნება, ფიქრები, ოცნებები შეუკრავს, ერთი მიმართულება მიუცია და მკითხველის სამსჯავროზე წარმოუდგენია. ასეთი კრებულის განმხილველს, ბუნებრივია, მეტი სიფრთხილე მოეთხოვება, რადგან საშუალება არ ჰქონია ადრე წაეკითხა ყველა ეს ნაწარმოება, ან მოესმინა სხვათა აზრები მათზე და მათთან საკუთარის შერწყმა-შეჯერების გზით, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეფასების საშუალო არითმეტიკული გამოეყვანა. ამგვარი მოკრძალების წინაშე გვაყენებს **ელდარ კერძეკაძის** „სინათლის ფრთები“ („მერანი“, 1974).

ავტორის ეს მეორე წიგნი პირველნელთან შედარებით მართლაც სინათლის ფრთებიანია იმ გაგებით, რომ მისი თემატიკა უფრო ფართოა და მრავალფეროვანია. ცალკეულ ლექსთა განზოგადების დონე პირველნელ ლექსებზე მაღალი, გრძნობები დაწმენდილი და გასაგები. მართალია, ზოგჯერ პრიმიტიულობით დაღდასმულიც, მაგრამ ძირითადად ზომიერი და ფსიქოლოგიურად საგულისხმო მიგნებებით აღბეჭდილი. მრავალი მისი ლექსი ნინაალფდგომის სურეალს არ ალვავიძრავს, თუმცა, ზოგიერთი ამ მხრივ საკმაოდ ალერგიკოლეს კრებულის სიერთო იერს. საზოგადოდ, აღსანიშნავია, რომ ავტორის პატარა წინასწართქმა და პირველი ორი-სამი ლექსი სტანდარტული და გაცვეთილია („ჯფიცავთ, მამულო...“, „ქალაქამ ქალაქს“, „მონატრება“), სამაგიეროდ მომდევნო ლექსები აშკარად აღწევენ თავს ბანალურობის ჩიხს. ამის გამო, კრებულის დასაწყისი აკორდები, რამდენიმე სუტი და უფერული, შემდეგ თანდათანობით ძლიერდება და ბოლოს მრავალმხრივობასა და ფერადოვნებაში იძენს. ამიტომაც კრებული თითქოს ალმავალი ესთეტიკურ-პლასტიკური ხაზით ვითარდება.

რა არის ის დადებითი და პოზიტიური, რაც ე. კერძეკაძის, როგორც პოეტის ხელწერას, სტილს ახასიათებს?

ესაა ძირითადად მეტაფორული და გაცნობიერებული აზროვნება („ეისაკ ოდესმე უცბოვრია დედამიწაზე, — თავად ადამის და ევას ჩათვლით, — წამომდგარაყენენ ყველანი ერთად, ჩამოვარდნილ მზეს ჰკიდებდნენ ცაზე“). ერთი შეხედვით რამდენადმე ბუნდოვანი, მაგრამ სინამდვილეში აზრობრივად რთული, თუმცა გამოსახვის სტილისტიური ხერხებით ოდნავ დამძიმებული („ნუ დაიჩქარე ზარის დარეკვას, შენ დგიტოვებ, თუ რამ შეეძლო“), მაგრამ, მიუხედავად ამისა, ესთეტიკური განცდის ეფექტურობა ბოლოსდაა შენარჩუნებული („რა ქნათ, რა ვუყოთ, როგორ მოვრიგდეთ? — კლაბულობს სივრცე — ტყეი მაგრენის... დამიდასტურე, ჩემო ოლოგე, რომ მეც საკუთარ გზებს მივაგენი“).

ავტორის სასარგებლოდ ვიტყვით, რომ კრებელის ლექსების შემოქმედი ხასიათდება არა მარტო ხედვის პოეტურობით, არამედ აგრეთვე იმ ძირითადთაგან, რაც მთავარია — პოეტის ხედვითაც. კონკრეტულად, პოეტის მეტი ვერც ვერვინ დაინახავს და ვერც ვერვინ გაიაზრებს ამას: სასურველი პიროვნების ხმის მოსმენისას — „და როგორც ვარდი, ყურმილი ისე მიპირავს ხელში...“ ან კიდევ უკეთესი: „ვიდა უკრავს ბაბის ფუგებს და ოცნებით ცაია მიღმა სეირნობს... მოვიგონებ სიკბილეს და შელიას ლამაზ გოგოს — ზეინაბს. ვეცადე და მაინც ვერ დავეუფლე — რასაც სხვები ჩალის ფასად ჰყიდიან. ეტოვებ აწმყოს — უერთგულეს მეუღლეს და წარსულთან, სიყვარულთან მივდიარ...“ მაგრამ, ბუნებრივია, მარტო პოეტური ხედვა და პოეტის მიერ დანახული სამ-

ყარო როი შეადგენს პოეზიას. თუმცა, უმჯობესად იგი წარმოუდგენელია. ამავე დროს, საპიროა ცალკეულ სახეებს, მეტაფორებს, როგორც პოეზიის სასაღლის საშენ აგურებს, თან ახლეულ ის დუღაბი, რომელიც მათ ერთმანეთთან აკავშირებს და ალამაზებს. ასეთი დუღაბის როლს პოეზიაში ასრულებს ინტონაცია, ლაიმტონეი, ლექსის შინაგანი რიტმი, რაც მთლიან, ერთიან დინამიკას ჰქმნის და მკითხველისაკენ მიემართება როგორც დაუშლელი და მტკიცედ შეკავშირებული რამ. გავიხსენოთ მიქელანჯელო ბუონაროტის ძვირფასი მითითება ამ შესახებ, რომ ყოველი ქანდაკება ისე უნდა იყოს შეკრული, რომ მთის მშვენიერებიან ერთს დაგორებულ ერთი კიდეც არ მოატყდესო. ლექსში კი ეს მაშინ არის მიღწეული, როცა ყველა მისი კომპონენტი ერთ მიზანს ემსახურება, ერთი პოეტური სიუჟეტიანის ნება-სურვილს ემორჩილება. სწორედ ამ შემთხვევაში არაა თვითმიზანი მეტაფორა, ან სახე-სიმბოლო. და როცა ლექსის ეს შემადგენელი ნაწილები არ არიან ავტონომიური, მაშინ შეიძლება გვეძნეს წარმატების იმედი. ამ მხრივ ე. კერძეკაძის ლექსთა ერთი ნაწილი ქუბას იმსახურებს, მეორე ნაწილი — კრიტიკას.

ჯერ იმაზე შესახებ, რომლებიც ამ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს.

აი, სერიოზული ლექსი შოთა ჩანტლაძეზე, სადაც ოსტატურად არის დაბერილი ერთი მხატვრული დეტალი, რომელსაც ფსიქოლოგიური უზადობა შეიძლება მივაწეროთ:

შოთა ჩანტლაძე მესიზმრა წუხელ —
კი არ მესიზმრა, ნამდვილად ვნახე...
თავისი წიგნი მიეპრთვი, ვუქე,
სივრცეს გაეკიდა მწუხარე სახით.
ლაპარაკში ვერ ავიყოლეე,
მხარზე გამხდარი შემაჯო ხელი.
„ახლა თბილისში გამპარონია...“
თქვა და
თვალებზე შევნიშნე ცრემლი.

მაგრამ ეს ერთი დეტალი ვერ ანათებს მთლიან ლექსს, რადგან ბოლო სტროფში ხდება დაშვება და გვრჩება „რაღაა იგი სინანულის“ შთაბეჭდილება რამდენადმე ნაკლებ ესთეტიკურად, მაგრამ მხატვრული დამაჯერებლობით გამოიყურება „ნამდვილი ამბავი“, განსაკუთრებით ითქმის ეს „წვიმაზე“: „ვითარცა მილიონი ბეღური ქალაქში შემოფრინდეს უცვებ, — ავეასტმოს ხვატი ღრუბლის ჩიჩახვები აიესო და ბეფრინდა წვიმა...“ მაგრამ ეს სახე არ გვიქმნის სიახლის შთაბეჭდილებას, თითქოს სადღაც წაგვიკითხავსო მსგავსი რამ. შეიძლება არც არსად, მაგრამ პოეტური ხელოვნება სწორედ ის მეჩეჩიანი ფონია, სადაც გარკვეულ ნიშნულს ქვემოთ კაცს ყველაფერი ნაცნობი, ჩვეულებრივი და მიწასთან ახლომყოფად ეჩვენება. სხვა ლექსში, რომელ... საც „მემატება ვალზე ვალი“ ეწოდება, თვალ... ერთ მშვენიერ სტროფს ხედავს:

მემატება ვალზე ვალი,
ფიქრზე ფიქრი,
ბევრზე ბევრი...
ვხედავ, როგორ წყლიავს თვალებს
და ხარხარებს ბელზებელი.

სიტყვათა ჯგუფის ოდნავ ეფექტური შერეხვა და ესთეტიკური ბიბლი საჩინო ხდება, მაგრამ, როგორც ვთქვით, მხოლოდ ეს ერთი სტროფი, სიტყვათა აუცილებელი კავშირით განთებული, როდი ჰყოფნის მთელი ლექსის გაშუქებინებას.

ცალკეული სახეებისადმი გამოდენებამ შესაძლოა, დაგვაყენოს საფრთხის წინაშე: მთლად დაგვაკარგვინოს ლექსის პოეტურობა, სინაზე, სითბო, ალერსიანი დამოკიდებულება მოკლენებისადმი, ფაქიზი, სათუთი დამოკიდებულება საგნებთან, რადგან სახეთა თვითმიზნურობა უფრო მეტად სპობს ლექსის სითბოს, ვიდრე ლექსს სახე-მეტაფორათა უქონლობა. ამრიგად, თავისთავად სახე-მეტაფორა არაა პოეზიის უმთავრესი ნიშანი.

ღამი-ყამ ქალაქს გვეპარება
და ნაცნობ შუკებს ავდდენები,
გამინათდება შუქით თავლები
დასაკარფეფი მწიფე ტკბენების.

პოეზიაში მეტაფორულობამ სითბო უნდა გამოიღოს, სიხარულის კვირტები უნდა გაშალოს, განწყობილება აარის. აქ კი ნაკლებად ნათლება ჩვენი ესთეტიკური გრძნობება, არ ეღერს სულის მორთოლვარე სიმები. თუმცა სინამდვილე დანახულია მეტაფორულად, უფრო სახეობრივად, ვიდრე სინამდვილეშია. და ეს ხდება იმის გამო, რომ ლექსი შორიდან განიცდება, იგი ცივია. ამ სიცივის მიზეზი კი ისაა, რომ ჩვენ ბუნების აღიქვეტური სახე კი არ გვანტერესებს ქალალზე სიტყვის ფარადენთან გადმატანილი, ისეთ სახეს თვით ბუნება უფრო ზუსტად ასრულებს, ჩვენ გვანტერესებს თუნდაც ბუნების ხელოვნებაზე უფრო სუსტად შესრულებული ნახატი, სახე, მეტაფორა, მაგრამ ისეთი კი, რომელსაც ადამიანის სულის ხორხოშელა, მისი „ადამიანური მოღვაწეობის დაღი“ თან ახლავს. ამ „ადამიანური ნიშნის“ ინტენსივობა და აქ გამომეფლენენენული ინდივიდუალობის სიღრმე კი წარმატების უტყუანი საწინდარია.

ე. კერძეკაძის უფრო კარგი ლექსების — „არა, არასდროს...“ „სტუმრად კონსტანტინე გამსახურდიასთან“, „ბათუმის გამო“, „რისიც

მურვანა თავდიშვილი
ჰკიდია მზე თავის ადგილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვჯეროდა“, „ტრამვაი“ — შინაარსობრივი ღერძი მხატვრულად უფრო დამაჯერებელია, ცალკეული სტროფები ერთმანეთთან ბუნებრივადაა მიერთებული, ხოლო სახეობრივ-ემოციური ხატები ისე ზის ლექსთა საერთო დინამიკაში, რომ თვალსა და ყურს არ ეჩოთირება. ყოველ ამ ლექსში შეიძლება მოინახოს შესანიშნავი სახე-სიმბოლო ან სახე-მეტაფორა: „და ყოველდღიურ ენაებს მიწიერს საღამოს მთვარის ბოქლომით ვკეტავ“, „სიმებივით დაჭიმულ ლიანდაგზე, დასრიალებს ტრამვაი-ხემი“. ამ უკანასკნელში ემოციური ხაზი დაღმავალია, რადგან რიტმი შინაარსობრივ წოალსელს არ შეესაბამება.

სამაგიეროდ იტრი საკუთარ სტიქიაში გრძნობს თავს, როცა ცხოვრებისეული ტკივილების სილბოსა და სითბოს თავისებურ გადამუშავებას ახდენს. საერთოდ, როგორც პირველ წიგნში, ისე მეორეშიც ე. კერძეკაძე მილტვის ცხოვრებაში შეამჩნიოს ტკივილიანი თემები, სახეები. ეს ტენდენცია მეორე წიგნში უფრო ფართო პლანით გამოვლინდა. ვგულისხმობთ არა რაოდენობრივსა და ინტენსიურ მხარეს, არამედ ხარისხობრივსა და თვისებრივს. ზოგიერთი ასეთი ლექსი თემატიკურად წარსულს ეხმაურება, მაგრამ ამ შეხებას არ აქვს წარსულსა და აწმყოს შორის სადემარკაციო ხაზი, რადგან მათი შინაარსობრივი განფენილობა ისევე მიემართება წარსულს, როგორც აწმყოს, როგორც მომავალს („ნამდვილი ამბავი“), მაგრამ აქ საგულისხმოა სხვაც. ლექსების ფორმალური სიფაქიზე, გულის სიღრმისეულ გრძნობათა პლასტიკის არანერვრეა სტროფის რიტმის კომპონენტებთან. აი, მაგალითად „ერზა ტიბილოს სურათი „დონ-კიხოტი მადრიდში“. აქ არ არის დაძაღლებული სახეები, წოგნიერი მეტაფორები. მართალია, ლექსი მაინც გვიტოვებს ლიტერატურულის შთაბეჭდილებას, მაგრამ იგი არ გადის დასაშვები ნორმის ფარგლებს გარეთ. ლექსის ინტონაცია მინორულია, განწყობილება ნაზი, სათუთი და მოალერსე:

ამ ქალაქში მაინც ნუ გამოჩნდები
მაგ ჯადოგაგ ცხენით,
დაგაყრიან სიცილს...
შენი სათნო ოცნება —
ფულცინეგ —
ვიღაც ბრიყვთან მღერის.
მოასვენე დაღალული გული,
დაასვენე დაფეძილი ბარძაყები,
დაწყვეტილი მკლავები,
რა ხანია ამ გალვანს ვუვლით,
ვერ ეიპოვეთ გასაღები,
ათას შარში გავებიო...
გეხვეწები, დიეხსენი ფარას.
ცხერის ფარაა ოღენ
და სხვა არაფერი.

ვერ გასწვდები ამ ქვეყანას — ეროვნული ბიბლიოთეკა
ღიდი გულიც ჭკნრდეს...
მტრად არა ღირს მტერი,
ფონ-კიხოტ!
ეს რა ვალი დაიდე
რა გრჯის!..
სად მიდიხარ,
მოასვენე დაღალული გული,
დაფეძილი ბარძაყები,
დაწყვეტილი მკლავები —
რა ხანია ამ გალვანს ვუვლით,
ვერ ეიპოვეთ გასაღები,
ათას შარში გავებიო...

„მე მივდიოდი გოლგოთას მთაზე“. აქაც წარსულისა და აწმყოს დაკავშირების ცდაა, ვიდრე ბოტება ცნობილი ნახატისა, რაც ისე უხვად გვხვდება ნებისმიერ ეკლესიაში. მინაშნებიანი პლანი არავეგს პოეტის პოზიციას დედა-შვილობის უკედაეი გრძნობისადმი. ღვთისმშობლის სვეფანი სახე თითქოს ახალი დროის დედობრივ სიხარულსაც და ნაღველსაც ერთნაირად ეხმაურება, ერთიმეზა. ნახატის ამგვარი ორპლანიანი გაგება სასურველიეაა, რადგან არც ერთი დრო არ არსებობს, რაგინდ ბედნიერიც არ იყოს იგი, ნაღველისა, შეშფოთებისა, შეეეგებისა და სამფურაკის გარეშე. ეს ძველი თემა კი ძირითადად ნაზი მეღვეკრების პორიზონტებს გვიშლის. მაგრამ პოეტი ცნობილი ნახატის მოტივეზე ახალ აზრობრივ მიმართებებს აგებს:

მე მივდიოდი გოლგოთას მთაზე,
რომ მეთამაშა ძველი პიესა
და ღვთისმშობელი შემომხვდა გზაზე —
მკერდში ჩაეკრა ჩვილი იესო.
იდგა ამინები უმარტვეეესი —
როს ქარი არ ქროს,
მზე არ ირყევა...
მკერდში ჩაეკრა ჩვილი იესო
და ღვთისმშობელი მოაბიჯებდა.
იდგა სიმშვიდე, არც რის მთხოველი, —
დედამიწიდან ზეცის კარამდის...
და უმღეროდა ირგვლივ ყოველი
დედაშვილობის გრძნობას მარადისს.

თვალსაჩინო ძველი თემის თანამედროვე მოტივეზე ამღერება მხოლოდ პოეტის კომპეტენციაა.

„სადგური „ზომავალი“. ლექსს აქვს მინაწერი — ნათიასა და ირინეს. მაგრამ შინაარსი უამისოდაც ვვაგულისხმეზინეს ამ მინაწერს ისე, როგორც ამრეზესონანტური თეატრის დეკორიუმის ერთადერთი წარწერა „ტყე“ წარმოგვადგენინეს ხოლმე დაბურულ ეღრანს — ცადატყორცნილი წიფლეზითა და მუზეზით. ხრამ-ღრანტეეითა და კლდეეეზზე სანლეზად ჩამოღეეენილი ნაკადულეზით. „სადგური „ზომავალი“ — რამდენ ფიქრს იტეეს მისი გააზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება. მაგრამ იგი, ამავე დროს, გამახარებელია და ალმფრენის წყაროც. მასში სიმღერის სათავეც არის და ტირილის საწყისიც, სევდაც და ნუგეშიც. მაგრამ როგორ აღვიქვამთ ჭას ჩვენ?

> დღეები — ვითარცა ეგონენი,
> მე კი — ვითარცა ელმავალი,
> ჩემო პაწაწინა გოგონებო,
> ახლოა სადგური „მომავალი“.
> თქვენნი სიყვარულით დავიმუხტე,
> გავსხვაფერაცდი და გავგულადდი,
> და თუკი ბედმა არ მიმუხთლა —
> მიგიყვანო ნანატრ სადგურამდი.
> გაჩვენებთ ადგილებს, სად უმეცარ
> აზრებით ღრეობდა კაცთა მოდგმა,
> გაჩვენებთ მხიარულ სადგურებსაც,
> სადაც მამთქვენნი ჩერდებოდა.
> და ოდეს, ჩემო გოგონებო,
> მივალწევთ სადგურამდე — „მომავალი“
> თქვენ, როგორც მხიარული ეგონენი,
> მე — როგორც დაღლილი ელმავალი —
> გახსოვდეთ, რაც მე გიანდერძეთ:
> ო, არ დაივიწყოთ საქართველო —
> არ ეღალატების არასოდეს!

კრებულის საერთო დონეზე განიცდება კარგი ლექსები: „კეთრი დღე“, „ტანშოლტილი სასმისები“, ზოგიერთი სხვა წერილი ლექსიც. ექვე უნდა ითქვას, რომ ერთ-ორ მცირე ზომის ლექსს დაჭკრავს ნაძალადევობის სუნი („მსოფლიო რუკასთან“), ან აზრის სიღარიბე და უმწეობა („მიეყვები ქუჩას“). წიგნში შევნიშნეთ ორი-სამი სტროფი, სადაც აშკარა მურმან ლებანძისეული ხელწერა შეიგრძნეთ. „არავითარი გართობა, არავითარი დათმობა, სულში ყინულის დადნობა-ოდენ. ეს ბრძოლა და თავდადება, მზადებაა და მზადება, ის წუთი რომ მობრძანდება იმის იმედი გქონდეს...“ ეს ლექსი, სულ ერთია ვინც დაწერა, მაინც მურმან ლებანძისისაა, რადგან ლექსის შენ-ჩემობას მისი სტრუქტურულ-მორფოლოგიური თავისებურება განსაზღვრავს და არა აზრობრივი განსხვავება. შეიძლება თანამედროვე მოვლენაზე — კოსმოსში გაფრენაზე რუსთველური შაირით მშვენიერი ლექსი დავწეროთ, მაგრამ ეს ლექსი მაინც რუსთველისა იქნება.

ვრცელ ლექსში „სინათლის ფრთები“, რომელიც მხატვრულად ძლიერსა და ალაგ-ალაგ სუსტ ადგილებსაც ერთიანებს, ერთგან მ. ლებანძის სალექსო მოდელი ზედმიწევნით ზუსტადაა გამოყენებული („ეერიამული აქეს მარეგებს“).

ელდარ კერძეგაძის ამ კრებულს ატყვია მეტი მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა საკუთარი თავისადმი. ყველაზე ფასეული კი — ეპპირიულ ფაქტებს მიღმა არსებული პოეზიის საგნის დანახვის ტენდენცია... — ყველაფრიდან ჩანს, რომ ოსტატობის დახვეწის ამ ეტაპზე იგი გამუდმებით ცდილობს არ უღალატოს პოეზიის შეუბღალავ მზეს და მოათავსოს იგი საკირო ადგილზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან რჩეულიშვილი

ვახტანგ ბერიძე

ადამიანის სულიერი სიმწიფე ხანში შესვლის შემდეგ იწყება!

ასეთი თქმის ჭეშმარიტებაში ვახტანგ ბერიძის პიროვნებამ შემატანინა ეჭვი.

ახლა, როდესაც ჩვენმა საზოგადოებამ ხელოვნებისა და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, დოქტორის, პროფესორისა და აკადემიკოსის, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის — ვახტანგ ეუკოლის ძე ბერიძის — ცხოვრების 60 წელი აღნიშნა, უნებლიეთ იბადება სურვილი მის მიერ განვლილ გზას უკუგახედო. ამ რეტროსპექტიულ ხილვაში აშკარად ჩნდება არატიპიურობა განვლილი გზისა, არ ჩანს არც შინაგანი ტეხილება, არც სიმწიფისაკენ ევოლუციური სვლა.

ასეთი განცხადება დღეს შეიძლება ვინმეს პარადოქსადაც მოეჩვენოს, მაგრამ ეს ფაქტია.

სულიერი სიმწიფე არ ფრსებობს შინაგანი მოთხოვნილებისა და მაღალი იდეალებისაკენ სწრაფვის გარეშე.

45 წლის წინათ, როდესაც 15 წლის ჭაბუკი ვახტანგ ბერიძე გავიცანი, მასში ეს პიროვნული თვისებები უკვე ჩამოყალიბებული იყო. პროცესი შინაგანი სულიერი ზრდისა — დამთავრებული. სწრაფვა ცოდნის გაღრმავებისა და შრომისუნარიანობა მტკიცედ იჯდა მის პიროვნულ თვისებებში, რაც მთავარია, ცხოვრებისეული მოვლენების აღმეჭდვის ძალოვანი ინტერესები ლიტერატურისა და საბჭოს ფორმაში მისი შინაგან ბმას წარმოადგენდა და ყველი ეს კი ნათელ პერსპექტივში აჩვენებდა მის მომავალს.

ერთადერთი, რაც მისი თვისებებიდან მისივე მომავლისათვის საფფიზლის ამაზვალებდა, გახლდათ ერთგვარი „ეუნდერკინდული“ ეელვარება ნიჭისა და მისი მრავალმხრივი, მრავალპლანიანი გამოვლინება. ვახტანგისაგან გამოჩენილი მწვრალიც შეიძლება დამდგარიყო, ბრწყინვალე პიანისტიც და მხატვარიც, რადგან ყველა ამათში აღმფრვენთ, ერთნაირი სილაღით იბადებოდა და ჩქეფდა მისი არაჩვეულებრივი მონაცემები.

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფერო თითქოს უფრო მეტად პასუხობდა მის ინტერესებსა და შინაგან ბმას.

მაგრამ უმაღლესი განათლებისათვის იგი არქიტექტურულ სპეციალობაზე შერჩა — მხატვრული აზროვნების ყველაზე მკაცრ დისციპლინაზე, სადაც შემოქმედებითი ფანტაზია მყარ მატერიალურ გარსში იბადება და ემოციას ინტელექტი ამუხრუჭებს; სადაც ზუსტ მეცნიერებათა ცოდნისა და დაბმარების გარეშე ხალასი ნიჭი ოლიმპოს მთისაკენ გზას ვერ იკაფავს.

მართალია, ვახტანგ ბერიძეს, ინდუსტრიულ ინსტიტუტში მიღებული განათლება, ცხოვრებაში პრაქტიკულად არ გამოუყენებია — მას არც ერთი თავისი დაგეგმარებული შენობა არ აუშენებია, მაგრამ სწორედ არქიტექტურულმა დისციპლინების შესწავლამ განსაზღვრა მისი მომავალი მეცნიერული ინტერესები და შემდგომი მისი ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევის შემოქმედებითი პროფილის სპეციფიკა და ხასიათი.

ვახტანგ ბერიძეს ბედმა კარგი პედაგოგებიც არგუნა უპირველეს ყოვლისა საკუთარი ოჯახი. ოჯახში მას საკმაოდ ადრე უფლებებნენ ინტერესს ინტელექტუალური შრომისადმი, მომთხოვნელობის და შემსრულებლობის გრძნობას — რომლის გარეშე ხალასი ნიჭი ფუჭეა და მაღე ჭკნება. მართალია, ვახტანგი ერთადერთი შვილია და ოჯახში თავს დასტრიალებს ორი ალმზრდელი ქალი — დედა და მამიდა კატო, მაგრამ მაინცადამაინც არ ანებივრებენ. მზრუნველნა და მოსიყვარულე დედას, ჩზეიძის ასულს, ელისაბედს, რეალისტურად და გონებრივად ესმის მშობლის როლი. შვილს ზრდიან არა ოჯახის ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტად, არამედ ამზადებენ დიდი შრომითი ცხოვრებისათვის.

მამამ — ფილოლოგმა — პროფესორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ეფუოლ ბერიძემ, ღრმა მეცოდნემ ქართული ენისა და ლიტერატურისა, ახალი ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის ფუძემდებელმა, ვეფხისტყაოსნის პოეტიკის გამოცემით მკვლევარმა, დიდი როლი ითამაშა შვილის არათუ ენობრივ და ლიტერატურის კულტურის ჩანერგვაში, არამედ მეცნიერული შრომისადმი დამახასიათებელი ჩვევების გამომუშავებაში და, რაც მთავარია, ფართო ენციკლოპედიური ცოდნის ინტერესების გაღვიძებაში. ალბათ გენეტიკური ხაზით მანვე გადასცა შვილს უნარი და ინტერესიც საზოგადოებრივი მოღვაწეობისადმი — რასაც ვახტანგ ბერიძის მომავალ ცხოვრებაში დიდი ადგილი ეთმობა.

მეორე, რამაც ღრმა კვალი დატოვა ვახტანგის სულში და დიდი როლი ითამაშა მის სწრაფ ზრდაში, გახდადან თბილისის პირველი საშუალო სკოლა. მისი მოწაფეობის დროს ამ სკოლაში მიხეილ ზანდუკელის თაოსნობით შეკრებილი იყო ქართველ პედაგოგთა უბრწყინვალესი პლეადა. მიხეილ ზანდუკელი, სიკო ვაჩნაძე, ვასო აბდუშელიშვილი, დავით დონდუა, ნიკოლაე ზედგინიძე, თამარ გიორგობაინი, ივანე ნიკოლაძე, ტარიელი ვეფხვაძე! — აი ვეშმარიტად დიდი პედაგოგი-აღმზრდელები, აღმზრდელები ახალი ქართული ინტელიგენციისა. ისინი თავის მოწაფეებში ნერგავდნენ არა მარტო ღრმა ცოდნას, არამედ საკუთარი ზნეობრივი თვისებების მაგალითით ხვეწნენ მათ პიროვნებასაც.

სასკოლო ასაკში ვახტანგი ეუფლება უცხო ენებსა და მუსიკასაც. აქაც მას ბევი წყალობს თუ შშობლთა პედაგოგიური ალღო შვილს, — კალაკ შესანიშნავი პედაგოგები ასწავლიან: მუსიკას — ეკგენი ჩერნიავსკაია, რომელთანაც არა ერთი გამოჩენილი პიანისტი და კომპოზიტორი აღიზარდა, ხოლო ფრანგულ ენაში ხეეწავს მის სტილსა და ლექსიკას ელისაბედ ორბელიანი, ვეფხისტყაოსნის ფრანგულად მთარგმნელი პოეტი ქალი.

ვ. ბერიძე ენციკლოპედიურ ინსტიტუტში სწავლის პერიოდში, 1930-36 წლებში, არ იფარგლება მხოლოდ არქეოლოგიური სპეციალობისათვის დადგენილი ფიზიკიური კურსებისა და პრაქტიკის გავლით. იგი გაღრმავებით სწავლობს ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორიის კურსებს. ინსტიტუტის ახალგაზრდა პედაგოგთა ჯგუფთან ერთად მუშაობს არქიტექტურული ტერმინოლოგიის შედგენაზე. და რაც მთავარია, კვლავ და უკმე დღეებში იმავე ჯგუფთან ერთად მოგზაურობს საქართველოს მთა და ბარში — ეძინა ქართული არქიტექტურის მემკვიდრეობას, მის ცოცხალ დოკუმენტებს — ქართული ხალხური და პროფესიული არქიტექტურის ძეგლებს. იგი გატაცებით ხატავს, ზომავს, იწერს ნანახს. ძეგლებთან ასეთ უშუალო ურთიერთობაში იგი უახლოდება საკუთარ სულიერ ცენტრსაც. პროფესიული ხელოვნებიდან ძეგლებში ჩაბეჭდილი ქართული ემოციურობა, დაბეგენილი არტისტიზმი, ნატიფი დეკორატიზმი, ფორმათა კონტრასტებენტული სულები თუ შიდა სივრცის ძალოვნება, ღრმად იბეჭდება მის ხალისიანსა და ამთვისებელ ალქმაში და მისი ინტელექტიც საბოლოოდ პოულობს მუდმივ სავანეს — ხელოვნების მეცნიერებას — მეცნიერებას განჭვრეტილ და შეცნობილ, არქიტექტურიდან!

უკვე სადიპლომო პროექტზე მუშაობისას ვახტანგ ბერიძე პარალელურად მეცნიერული კვლევისათვისაც იწყებს მომზადებას. 1936 წელს, ემალღესი განათლების დამთავრებასთან ერთად, ასპირანტურის ხაზით ეშზადება ხელოვნებათმცოდნეობაში და 26 წლის ასაკში საჯარო პაექრობაზე ბრწყინვალედ იცავს ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხს.

ხელოვნებათმცოდნეობაში მან თავის მასწავლებლად აირჩია გიორგი ჩუბინაშვილი, რომელთანაც მეჩიერო ურთიერთობაში განეკონ ანელი და რთული გზა ქართული ხელოვნებათმცოდნეობის სკოლის ჩამოყალიბებისა, დამკვიდრებისა და აღიარებისა.

1941 წლიდან ვახტანგ ბერიძე გ. ჩუბინაშვილის მოწვეული მუშაობას იწყებს სამ. მეცნიერებათა აკადემიასთან ახლად დაარსებული ხელოვნების სექტორის სწავლულ მდივნად და ამავეროვან იგი მხარში ამოუდგება თავის დიდ მასწავლებელს, ჯერ როგორც თანამშრომელი, შემდეგში თანაშემწე და თანამებრძოლი და, საბოლოოდ, მისი დაწყებული საქმის ღირსეული გამგრძელებელი და მეთაური.

ვახტანგ ბერიძეს საძღვისოდ გამოქვეყნებული აქვს 180-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და ნაბეჭდი ნიგნი. მან თავისი შრომებით სახელი მოუხვეჭა ქართულ ხელოვნებას და ქართული ხელოვნების შემსწავლელ სკოლას საერთაშორისო აღიარება მოუტანა.

მაგრამ ვახტანგ ბერიძის ღვაწლს ქართული კულტურის განვითარებაში თუ მხოლოდ მისი მეცნიერული წვლილის შეფასებით მივედგებით, ამით მხოლოდ გავდარიბებთ სინამდვილეს.

ვახტანგის პიროვნება არასოდეს არ იყენებოდა მხოლოდ მეცნიერის ჩარჩოში. იგი ცხოვრობდა, მოღვაწეობდა ყოველთვის და მოღვაწეობს დღესაც თანამედროვეობასთან მჭიდრო კონტაქტში. ყოველთვის დიუზარელად, ხალისიანად, ენერგიულად და მკვირცხლად პასუხობდა ცხოვრების მაჯისცემას. ქართული ხელოვნების

ლევან რჩეულიშვილი
ვახტანგ ბერიძე

წარსულ იკვლევდა და საფუძველს უყრიდა მის მომავალსაც.

იმის შემდეგ, რაც აგერ 40 წელზე მეტია გამოვიდა ასპარეზზე, არც ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში არ ჩატარებული მისი უშუალო მხარდაჭერის, მონაწილეობისა თუ ხელმძღვანელობის გარეშე. ეს არაა საიუბილეო გადაჭარბება, ეს ფაქტი და ამაშია სწორედ მისი პიროვნების გასეზიერებლობა.

მრავალფეროვან და მრავალმხრივ მის მოღვაწეობაში დიდი ადგილი აქვს დამობილი პედაგოგიური მუშაობისაც. იგი ქართული ხელოვნების შემოქმედი კადრების აღზრდის უშუალო მონაწილეა.

უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგიურ მოღვაწეობას ვახტანგ ბერიძე ჯერ კიდევ ინსტიტუტის დამთავრებამდე იწყებს და დღესაც, 40 წლის შემდეგ, კვლავ გატაცებით და ენთუზიაზმით განაგრძობს ამ საპატიო და სპასუხისმგებელო საბიჭლზე მოღვაწეობას.

ვახტანგ ბერიძეში ჰარმონიულად არის შერწყმული მკვლევარი-მეცნიერი და ორატორი. მისი ლექციები ხასიათდება შინაარსის სიღრმით და ფორმის ბრწყინვალებით. იგი ოუდიტორიას აწყდის მასალას ემოციურად, ყოველთვის შინაგანი მღელვარებით, ყოველთვის ახერხებს რთული და სპეციფიური პრობლემების მატანას ფართო მსმენელის გულამდე. მრავალი საჯარო ლექციიდან, თუ ტელევადაცემებიდან, ვახტანგ ბერიძის ლექტორული ტალანტის ელფერებს კარგად იცნობს ფართო საზოგადოება — იგი მათს წინაშე ყოველთვის დაუზარელად და ხალისით გამოდის. მაგრამ მისმა მოწაფეებმა იციან, თუ რამდენად სამართლიანია იგი ცოდნის შეფასებაში. აქ მას, ეობპრომისები არ სწამს და, ამდენად, მომთხოვნიც არის. მას სამართლიანად მიაჩნია, რომ უეცოდინარობის წყალობა არა თუ ეღირსი პედაგოგიური საქმეისა, არამედ დამღუღეველი ბორკეტებაა მომავლისათვის. ვახტანგ ბერიძის პედაგოგიური მომთხოვნელობა და სიმკაცრე არაა მისი პიროვნული ხასიათის, თანდაყოლილი თვისება, არამედ მაღალი ზნეობრივი მოვალეობის გრძნობიდან აღძრული ასპექტი. ვახტანგ ბერიძის ლექციებზე აღიზარდა ჩვენი რესპუბლიკის ხელოვანთა არა ერთი თაობა. იგი მსოფლიო ხელოვნების ისტორიისა და მშობლიური სახვითი ხელოვნების, და არქიტექტურის კურსებს უკითხავდა თეატრალური ინსტიტუტის და კონსერვატორიის მოსწავლე ახალგაზრდობას. მაგრამ მისი მუშაობა სასწავლებელში არ ამოიწურებოდა მხოლოდ თეფიციალური, ნაკისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით. იგი უშუალო კონტაქტში შედიოდა თეატრალური ინსტიტუტისა თუ კონსერვატორიის წამყვან პედაგოგ-სპეციალისტებთან და მხურვალედ ეხმაბრებოდა მათს სამეცნიერო-ბასა და სასწავლო პროცესის შემოქმედებითს პრობლემებს. ამით, ეს უფრო მეტად შინაგანად მდიდრებოდა, სულიერი სამყაროს დიაპზონიც ფართოვდებოდა და უფრო მეტად იჩეკნებოდა ადამიანთა კონტაქტების დამყარების მისი საშუალებები.

პროფესორი ვახტანგ ბერიძე პედაგოგიური მუშაობის ხანგრძლივობით უფრო მეტად არის დაკავშირებული თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასთან. მის აქ ადრე ხელოვნებათმცოდნეობის განხრით ასპირანტურაც აქვს დამთავრებული. იგი ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორიას ასწავლის მხატვრებს, არკიტექტორებს და ხელოვნებათმცოდნეებს. მისი ოუდიტორია ყოველთვის ხალმრავალია და მისი ლექციების მოსასმენად მოისწრაფის არა მხოლოდ ადგილობრივი სტუდენტობა, არამედ სხვა უმაღლესი სასწავლებლების ახალგაზრდობაც. იგი ლექციებს კითხულობს რუსეთსა და უცხოეთშიც.

ბოლო წლებში პროფესორი ბერიძე აქტიურ მონაწილეობას იღებს ხელოვნებათმცოდნეთა კადრების აღზრდაშიც, რომელთაც თბილისის სამხატვრო აკადემია ამზადებს. მისი უშუალო მონაწილეობით ხდება, როგორც მომავალი ხელოვნებათმცოდნეობის კონტიგენტის შერჩევა, ისე მათი პროფესიული დოსტატება. მისი ენერგია, ცოდნა და მდიდარი გამოცდილება მობილიზებულია ამისათვის, რათა აღიზარდოს ხელოვნებათმცოდნეთა ისეთი თაობა, რომელიც უფრო მეტად განამტკიცებს და მაღალ დონეზე აიყვანს ქართული ხელოვნებათმცოდნეობისა და კულტურის მომავლის მშენებლობას.

ვახტანგ ბერიძის პედაგოგიური აღმზრდელობითი მუშაობა მარტო ამით არ ამოიწურება; იგი ხელმძღვანელობს ასპირანტურის ჯგუფი ახალგაზრდა კადრების მომზადებას. მისი ხელმძღვანელობით ამზადებენ სამეცნიერო ხარისხს დამწყები მეცნიერი მუშაკები. მასთან გადიან დოსტატებას და იღებენ კონსულტაციებს; უცხოეთიდან მოვლენილი ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები და ხანგაზმულნიც.

მაგრამ ასეთი დატვირთვის მიუხედავად, განცვიფრებას იწვევს მისი შრომისნაყოფიერება და ნაბეჭდი ლიტერატურის პროდუქტიულობა. უფრო მეტ განცვიფრებას კი ამ ნაშრომებში გამომქალვნებული სიფართოე ზედგინა, დასმული პრობლემათა მრავალფეროვნება და ჩაწვდომის დიაპაზონი იწვევს.

აკადემიკოს ბერიძის კვლევის სფერო ქართული სახვითი ხელოვნება და არქიტექტურა ეპრონოლოგიური საზღვრები კი მის მიერ განხილეს სფეროში მოქცეული საკითხებისა სწვდება ქართველი ხალხის მხატვრული შემოქმედებით ცხოვრების მთელ გაწელილ გზას — როგორც საწყის ეტაპზე, ისე დღევანდელზე. თანამედროვეობაზე. გამოკვლევები ეძღვნება საქართველოს ფეოდალური პერიოდის არქიტეკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერასა და სახვითს ხელოვნებას; XIX საუკუნის ქართველ არქიტექტურას, რომელზედაც ტანტური შრომაა დახარჯული საარქეოო დოკუმენტების გამოკვლევისა და შესწავლის მხრივ; ქართულ სამშენო სახვითს ხელოვნებას და არქიტექტურას, ქართული ხელოვნების შესახებ გამოცემულ სამეცნიერო და უცხოური სპეციალური ლიტერატურის კრიტიკულ მიმოხილვას, ქართული სახვითი ხელოვნების და არქიტექტურთა შემოქმედებითის ბიოგრაფიებსა და სხვა.

ვახტანგ ბერიძე ამ ნაშრომებში გვეკლინება თავისი მდიდარი შემოქმედებითი დიამპაზონის მრავალფეროვნებით. მათში ბრწყინვალედ ელვარებს მკვლევარი-მეცნიერის, ენციკლოპედისტის, ჟამთააღმწერლისა და ბიოგრაფის პოლემისტისა და კრიტიკოსის კაშკაშა ნიჭი.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ ვახტანგ ბერიძისათვის — ხელოვნების ისტორიკოსისათვის — ყველი ისტორიის მკვდარი სიბუნი არ გახლავთ. იგი მას აღიქვამს, როგორც ცხოველ შემოქმედებით ნაყოფს, რომელშიც აღბეჭდილია ადამიანის ზნეობრივი და სულიერი პოტენციალის უმაღლესი გამოვლინება, რომელშიც ჯერ კიდევ მკაფიოდ ისმის ეპოქის მაჯისცემა, რომელშიც ხალხის სული, ფსიქოლოგია, სიხარულიც და ჭირვარამიც არის აღბეჭდილი. ადამიანის გონების, ნებელობის ამ ანაბეჭდებთან უშუალო კონტაქტში მკვლევარი ბერიძე უახლოდება შემოქმედს. მართალია, საკვლევ ობიექტსა (ძეგლსა) და მეცნიერს შორის ისტორიზმის ასპეკტი რჩება, მაგრამ შემოქმედ მხატვარს ოუ არქიტექტორის ნაწარმოებსა და ადამიან ბერიძეს შორის დისტანცია ქრება. ისევე, როგორც დღეს ვახტანგ ბერიძე ცოცხალ ურთიერთობაშია შესული თანამედროვე შემოქმედებითის ინტელიგენციასთან და მათთან სიახლოვეში იზიარებს, მათს ნამოღვაწარს, ასევე წინაპართა ხელქმნილ ნაწარმოებებთან ცოცხალ ურთიერთობაში ცხოვრების დიუწერელი წიგნის ფურცელსაც შლის. მის მიერ ძველი ხელნაწერებიდან თუ ლაპიდარული ტექსტებიდან სათუთად ამოკრეფილი ძველ ქართველ ოსტატთა (ალგრაფთა, მხატვართა, ოქრომქნდაკებელთა, ხეროთმოძღვართა, კალატოზთა) დაკარგული სახელები თუ მათი ბიოგრაფიული ფრაგმენტები — არა მხოლოდ ჩვენი კულტურის „განძად დაშთენის", არამედ ეს ნაშრომი, „ძველი ქართველი ოსტატების" სახელწოდებით დასტამბელი, ვახტანგ ბერიძის, ქართველი მოქალაქის და განუმეორებელი მოჰხიბვლელობის ადამიანის ანაბეჭდადაც დარჩება. ამაშია სწორედ სხვისაგან განსხვავებული საკუთარი აღლო პიროვნებისა, მეცნიერ-მოქალაქეობრივი გრძნობა და ამიტომაც არის, რომ მისი მეცნიერება დამუტტტელია დღევანდელი დღის სიხარულითა და სიყვარულით.

დღეს აკადემიკოსი ბერიძე ხელოვნების ისტორიის დარგში გამოჩენილი და საყოველთაოდ აღიარებული სპეციალისტია. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა ფართოდ არის ცნობილი ოროარც საბჭოთა მეცნიერთა შორის, ისე უცხოელ სპეციალისტთა წრეშიც. მისი გამოკვლევები, როგორც ძველი, ისე ახალი და საბჭოთა პერიოდის ხელოვნების შესახებ, ახლებურად აუტ-ქვეს მთელ რიგ პრობლემებს ქართული და უცხოური ხელოვნების ურთიერთობის სფეროში. ფაქტიური მასალის ფართო და ზედმწევნიერი ცოდნა, ღრმა ერუდიცია, აქტუალობა დასმული პრობლემებისა და მაღალი კულტურა ალტონის მტკიცე საფუძველს უქმნის ქართულ ხელოვნებათმცოდნეობის მომავალს.

ის 45 წელი, რომლის განმავლობაში მე ბედნიერება მქონდა მასთან საქმიანსა და მეგობრულ ურთიერთობაში გამეტარებინა, მაძლევს უფლებას განვაცხადო, რომ განვლილმა წლებმა ვახტანგ ბერიძის პიროვნული და ზნეობრივი თვისებები ისევივე სისავით და ისევივე დღნეზე წარმოაჩინა, როგორც მისი სამეცნიერო მოღვაწეობა გახლავთ, და, რომ განვლილი წლების მანძილზე მან შეძლო თავისი ნიჭისა და შემოქმედებითი ენერგიის რეალიზება მშობლიური კულტურის გამდიდრებისა და სიკეთისათვის.

ალექსანდრე სიგუა

პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე

„დიდის დანახვა ადვილია, საქმე ის არის, იმ ჩუმთა გუშაგთა უჩინარი ღვაწლი დაინახოს კაცმა, რომელთა ნაღვაწსაც აცხოვრებს ქვეყანასა და დედაბოძად უდგა თვით საზოგადოებას“. — ასე წერდა ილია ჭავჭავაძე 1887 წელს გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე ისე ანდრონიკაშვილის შესახებ.

ილიას ეს წერილი ერთგვარი გაფრთხილებაც იყო და შენიშვნაც ქართული ლიტერატურის ისტორიის იმ მკვლევართა მიმართ, რომლებიც მართლაც ყველასთვის ცნობილ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს ხედავდნენ, მაგრამ „ჩუმთა გუშაგთა უჩინარი ღვაწლის“ დანახვას კი ვერ ახერხებდნენ.

რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ დღემდე ქართული ლიტერატურის ისტორიას, მკვლევართა კალამს მხედველობიდან გამორჩა ისეთი შესანიშნავი პუბლიცისტი, რეგოლუციონერი და საზოგადო მოღვაწე, როგორც გრიგოლ გველესიანი იყო, რომელმაც ილია ჭავჭავაძის ყურადღება დაიმსახურა და ჯერ კიდევ 18 წლის ჭაბუკი გაზეთ „ივერიის“ თანამშრომელი გახდა.

გრ. გველესიანმა პირველდაწყებითი განათლება მიიღო ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ალექსი ჭიჭინაძის ოჯახში, შემდეგ კი — ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. გიმნაზიის დამთავრებისთანავე რუსეთს გაემგზავრა და შეიდა მოსკოვის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. სტუდენტობის დროს აქტიური მონაწილეობა მიიღო მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა გამოსვლებში ანის გამო მეფის ხელისუფლებამ, სხვა სტუდენტებთან ერთად, გველესიანიც დააბრალეს და „ბუტირკაში“ ჩასვა.

გრიგოლ გველესიანი სალიტერატურო ასპარეზზე გასული სუკუნის 90-იან წლებში გამოვიდა. ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფე იყო, როდესაც გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა მისი ლექსები და თარგმნები. 1890 წელს 18 წლის ჭაბუკი სტუდენტი ილია ჭავჭავაძეს „ივერიაში“ მოსკოვიდან დასაბეჭდად უგზავნის ერცელ წერილს უნივერსიტეტის დაარსების შესახებ, სათაურით: „უნივერსიტეტის დაარსების გამო ჩვენში“. წერილი ილიამ „ივერიაში“ იმავე წელს დაბეჭდა (№ 217) პირველ გვერდზე მოწინაველ.

„ჩვენი აზრით, — წერს გრ. გველესიანი, — საჭიროა საუნივერსიტეტო ფონდი გავიჩინოთ, და რაც უფრო ჩქარა მოხდება ეს, მით უფრო აღრე მივალწევთ ჩვენს სურვილს. ამას თუ ინმასაც დავუმტკიცთ, რომ საღამოება და წარმოდგენები ვმართოთ, ამ საუნივერსიტეტო ფონდის სასარგებლოდ, — ეს კიდევ სხვა წყარო იქნება შემოსავლისა. ყველფერი ეს, — ერთადერთ საშუალებად მიგვაჩნია უნივერსიტეტის დაარსების საქმეში“.

როგორც ამ წერილიდან ჩანს, ახალგაზრდა ავტორს ჰიპოთეზად კი არ მიაჩნია „ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმე, არამედ რეალურ შესაძლებლობად და ამიტომ კონკრეტულად აყენებს საკითხს, რათა შეიქმნას ფონდი უნივერსიტეტის დასაარსებლად.

1895 წელს გრ. გველესიანმა პირველი ნარისხის დიპლომით დამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მის სადიპლომო შრომას „მკაცრ სასჯელთა გაველენა“ პროფესორებმა მაღალი შეფასება მისცეს, შემდეგ ეს სადიპლომო შრომა „ივერიაში“ დაიბეჭდა.

მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გრ. გველესიანი საკართველოში ბრუნდება და დიდი გატაცებით ეწევა პუბლიცისტურ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას ქუთაისში. წერს წერილებს ერის საჭირბოროტო საკითხებზე, თანამშრომლობს მთელ რიგ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, როგორიცაა: „ცნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას ფურცელი", „ივერია", „კვალი", „მოამბე", „მეურნე", „ფარი", „სახალხო ფურცელი", „ალიხანოვი", „სახალხო საქმე", „ერი" და სხვ. სადაც ათავსებს ეროვნულ წერილებს ლიტერატურისა და ეკონომიურ-სამეურნეო საკითხებზე.

გრ. გველესიანის პუბლიცისტური წერილები თავისი მეგრძოლური ხასიათით და. აქტიურობით მეკობველში მეოთ ფეველ ფიდ ინტერესს. პუბლიცისტური წერილების მთელი სერია, რომელიც მან დაბეჭდა ქართულ და რუსულ პრესაში, ასახავდა მაშინდელი საქართველოს დასაულ და ჩამორჩენილ ძმეზე ეკონომიურ მდგომარეობას და ავტორი ვარაუდით აღნიშნავდა ჩამორჩენის მიზეზებს. მათ შორისაა ცოცხალი და კარგი ქართულით დაწერილი წერილები. „სამეურნეო საცდელი საგზურები" („ვეკალი", 1893 წ.), „რა არის საჭირო ჩვენი მონაგრეწველობის წარმატებისათვის" (ტურ. „მეურნე", 1895 წ.), „სამეურნეო ინახათა საწყობის დაარსებისათვის" (ტურ. „მეურნე", 1895 წ.), „ახალი საქმის დასაწყისი ჩვენში" (ტურ. „მეურნე", 1895 წ.) და სხვ.

როგორც აქ დასახელებული წერილების სათაურებიდან ჩანს, ავტორი ფიდად დაინტერესებული იყო სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის მიზეზებით. მოაგრობა, — წერდა იგი, — გლეხობის შეეფრეზებასა და დამონებაზე უფრო მეტ ფიქრობს, ვიდრე მისი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

ყურადღების ღირსია გრ. გველესიანის კრიტიკული წერილები აკაკი წერეთელზე, იაკობ გოგებაშვილზე, ალექსანდრე ყაზბეგზე, ალ. ფრონელზე (ალ. ყიფშიძე), გ. ზდანოვიჩზე, არჩილ ჯორჯაძესა და სხვებზე. რომლებიც ბეჭდებოდა გაზეთ „ივერიაში", „სახალხო ფურცელში", „ჩვენ მეგობარში", „ალიხანოვში" და სხვ. ყველა ამ წერილში ჩანს პუბლიცისტისა და კრიტიკოსის ლიტერატურული გემოვნება და ალღო.

1915 წელს „სახალხო ფურცელში" (№ 205) აკაკი წერეთელი შესახებ მოსწრებულად წერდა პუბლიცისტზე: „ჩვენში, ხალხში, სიტყვა აკაკი, მგოსნის სინონიმია. ხალხს წარმოდგენილი, აკაკი და მგოსანი თანაპარი მცნებაა. მგოსნობა, — ეს მხოლოდ აკაკის ბუნებაა და მგოსანიც მარტო აკაკია, — ასე ფიქრობს იგი".

აკაკი წერეთელი ქუთაისში გრიგოლ გველესიანის ოჯახის ხშირი სტუმარი იყო და მის ბინაში გამართულ ლიტერატურულ პაექრობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. აკაკიმ გრ. გველესიანის უფროს ქალიშვილს თინა გველესიანს ექსპრომტად ლექსიც კი მიუძღვნა:

თუ ხალხში არ შევიდა
სწავლა და განათლება,
მისი ბედნიერება
სხვაფრივ არ შეიძლება

და შენც იმას, ქალწულო,
მიუყარი თვალ-ყური
და ამით გიფიწე,
სამშობლოს სამსახური.[1]

ძველმა ფოტოარქივმა ჩვენ შემოგვინახა ქუთაისში გრ. გველესიანების ოჯახის წევრებთან გადაღებული პოეტის სურათი.

აღსანიშნავია აგრეთვე ერთი მეტად საინტერესო ფაქტი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი ჩადის ქალაქ ქუთაისში და გრიგოლ გველესიანის სახლში მართავს თათბირს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების თაობაზე, რომელსაც ესწრებიან დიდი უბნავე, ვეკალ ბერიძე და აკაკი ფალავა. ივანე ჯავახიშვილს გარკვეული მოსაზრება ჰქონდა, როდესაც ის ქუთაისში ატარებდა პირველ სარგანიზაციო თათბირს უნივერსიტეტის დასაარსებლად. ჯერ ერთი, ქუთაისს ძლიერი ინტელიგენცია ჰყავდა და მეორეც, ქუთაისი იყო რევოლუციონერთა კერა, რომელიც მტკიცედ დაუჭერდა მხარს ამ მეტად ძვირფასსა და ეროვნულ-პატრიოტულ წამოწყებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისში გრ. გველესიანის სახლი რევოლუციონერებისა და საზოგადო მოღვაწეების თავშესაყრელ ადგილს წარმოადგენდა. რევოლუციონერ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში გრიგოლ გველესიანს გვერდში ედგა მისი მეუღლე მელანია გველესიანი, რომელსაც ქუთაისის მოწონაკეი ინტელიგენცია კარგად იცნობდა, როგორც ქალბოქმედს, რომელიც სალამოებს მართავდა ლარის სტუდენტთა და მუშა-ხელოსანთა დასახმარებლად.

აი, რას წერს თავის მოგონებაში მელანია გველესიანი: „1900 წლიდან 1904 წლამდე ვმუშაობდი ქუთაისში ეგრეთ წოდებულ „მეერიანურ" თეატრში. რას წარმოადგენდა ეს თეატრი და ვინ იყო მისი ხელმძღვანელი? თეატრს სათავეში ედგა და ხელმძღვანელობდა ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის და კატო. ის იყო ფართოდ განათლებული ადამიანი, უყარესად დაკილდოებული საზოგადოებრივი ალღოთი და ჰქონდა დაუშრეტელი ენერგია. მიუხედავად იმისა, რომ თავისი შრომით ცხოვრობდა, ყოველ თავისუფალ დროს ანდომებდა საზოგადო საქმეს. მის სახლში ვიკრებებოდით ამა თუ იმ საზოგადო საქმის გამო.

[1] აკაკი წერეთელი, ტომი III, გვ. 403, 1954 წლის გამოცემა.

სხვათაშორის, მახსოვს, 1900 წელს, როდესაც ქუთაისი მოფენილი იყო მარკსისტული წრეებით მიხა ცხაკაიას ხელმძღვანელობით, კატო ნიკოლაძემ შეგვკრიბა ახალგაზრდა ქალები, მოიწვია ცნობილი რევოლუციონერი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ზდანოვიჩი და შეეფდექით მარქსის „კაპიტალის“ პირველი თავის შესწავლას. მთელი ზამთარი ემეცადინეობდით. უნდა გენახათ, როგორი გატაცებით, როგორი აღფრთოვანებით მიმდინარეობდა მეცადინეობა. შემდეგ დაიბადა აზრი მუშახელოსნებისათვის იაფფასიანი გასართობის მოწყობისა. ამისათვის შევეკრიბეთ კატოსთან, დავგეგმეთ საკითხი და შეეფდექით საქმეს. მოვიწვიეთ ნაცნობთა შორის სცენისმოყვარეები, რომლებთაც პიესები უნდა შეეტრიალა. შემდეგ ვიქირავეთ თეატრი და მუსიკა. ბილეთის გასაღება კი ჩვენ უზრუნველვყავით, იმიტომ რომ წვრილ ნოქრებს და ხელოსნებს არ ჰქონდათ ჩვეცა ბილეთების შეძენისა და თეატრში სარეფოსა. დანიშნულ დღეს გაიმართა წარმოდგენა, თეატრი გაჭედილი იყო ხალხით, რომელთა აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა.

ნელ-ნელა ხალხი მიეჩვია თეატრში სიარულს და შემდეგ უჩვენოდაც ყიდულობდნენ თეატრის ბილეთებს. ასე იყო 1900-1904 წლამდე. ხოლო ამის შემდეგ თვით ოფიციალურმა თეატრმა დაიკლო ფასები ადგილებს და მარა-თვდა იაფფასიან წარმოდგენებს. ეს მოხდა, რასაკვირველია, ჩვენი მუშაობის გავლენით. ამ საქმეში მონაწილეობას იღებდნენ გარდა მსახიობებისა, აკრეფვე ანიჩქა პეტრიაშვილი, მაშო ანჯაფარიძე, ლიდა ანჯაფარიძე, ილიკო ჩიქოვანი, ანა ჭაკვარაძე და სხვები; ხოლო ამ საქმის სულისჩამდგმელები და ორგანიზატორები იყვნენ: კატო ნიკოლაძე (თავმჯდომარე), სამსონ ფირცხალავა (მდივანი), ელენე ხელთუფლიშვილი და მელანია გველესიანი. გამგეობის წევრები ჩამოვიელიდით ხოლმე სახელოსნებს, ბიუმბს ვიწუვედით წარმოდგენაზეიენები“ არამეგობრულად გეხვდებოდნენ, მაგრამ ვერ გვიბედავდნენ პირდაპირ პრტესტს და ჩვენს საქმეს განეგაჩერებინეთ“.

ეი ბოლ წერს პროფესორი რუსუდან ნიკოლაძე მელანია გველესიანის საზოგადო მოღვაწეობის შესახებ: „ქუთაისში მამიდა კატო არც ერთ საზოგადო საქმეს არ აკლდებოდა. თითქმის ყველგან იგი ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი იყო და წამოწყების სული და გული.

ქართული თეატრი, თარგმანები და გამომცემლობა, მუშებისათვის იაფფასიანი წარმოდგენათა მოწყობა, სახალხო უნივერსიტეტის დაარსება და ხელმძღვანელობა, სტუპენდიები, „სპიმედო“ ახალგაზრდობისა და ღვინილების დახმარება, — სად არ შეხვდებოდით მას ქუთაისში 40-50 წლის მანძილზე, 70-იან წლებიდან 1920 წლამდე. ყველა ეს ქუთაისის ქალწყრნის საქმე იყო, რომლის სულისჩამდგმელი მამიდა კატო შეადგენდა რამდენიმე თავის მეგობრებთან ერთად, რომელთა შორის 90-იან წლებში ყველაზე უკეთ მახსოვს მელ. გველესიანი, ელ. ხელთუფლიშვილი და ნუცა წერეთელი. მახსოვს, — განაგრძობს ეკატრინა, — ამ წლის ის პერიოდი, როდესაც მუშებისათვის დაიწყეს იაფფასიანი წარმოდგენების მოწყობა: მამიდა კატომ, მელანია გველესიანმა, ელენე ხელთუფლიშვილმა და სხვებმა“.[2]

გარდა ამისა, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და კრიტიკოსი იაკობ ფანცხავა წერს, რომ მელანია გველესიანმა სოფელ გეგუთში გახსნა საფეიქრო სკოლა გლეხ ქალებისათვის.

როგორც აქ მოყვანილი მოგონებებიდან ირკვევა, გრ. გველესიანის ოჯახი ქუთაისში ერთ-ერთი მოწინავე და პროგრესული იყო. ამის გამო დიდი დევნა და შევიწროება განიცადა მეფის უმაღლესი მოხელეებისგან.

მელანია გველესიანი ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობასაც, მან 1902 წელს თარგმნა გ. ზუდერმანის ხეთმოქმედებანი დრამა „სოდომის დაღუპვა“.“ რომელიც, როგორც „ეერია“ ატყობინებენა, იმავე წელს თბილისში იქნა წარმოდგენილი.

1905 წლის რევოლუციაში გრ. გველესიანი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს და უშუალოდ ხელმძღვანელობს რევოლუციურ მოძრაობას. ყველა პოლიტიკურ პარტიათა დავალებით მას ეკისრება პოლიციის განაირაღება და ძალაუფლების რევოლუციონერთა ხელში გადაცემა.

გრ. გველესიანის რევოლუციონერი საქმიანობა და მოღვაწეობა მხედველობიდან არ გამორჩენია მაშინდელი ხელისუფლების მეთაურებს და მას სიკვდილითა და დაპატიმრებით ემუქრებიან, მაგრამ ის მოელი ოჯახით მიდის ემიგრაციაში, საფრანგეთში, სადაც ეცნობა ფრანგ რევოლუციონერს ჟან ჟორესსა და სხვებს. საფრანგეთში გრ. გველესიანი თანამშრომლობს ფრანგულ ჟურნალ-გაზეთებში და ებრძვის რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ.

ქუთაისში გრიგორ გველესიანს მეფის მთავრობის ცნობილი ჯალათის ალიხანოვის რაზმმა სახლ-კარი გადაუწვა, მათ შორის უნიკალური ბიბლიოთეკაც.

1908 წელს, როდესაც გრ. გველესიანი პარიზში ემიგრაციაში იმყოფებოდა, ქუთაისში კოლაძისა და ხელაძის სტამბაში დაიბეჭდა მისი წიგნი „ეროვნული საკითხი და სოციალ-დემოკრატია“, სადაც წერდა: „სხვა რომ არ იყოს, თვით ეროვნული იდეის გამაჯვებისა-

---

2 იხ. პროფ. რუსუდან ნიკოლაძის მოგონება, „რიონის პირას“, „ლიტერატურის მატიანე“, წიგნი 3-4, გვ. 107-114, 1942 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის ხომ არის საჭირო, რომ მთელმა რუსეთმა ძველი, დახავსებული წესწყობილებიდან გაითავისუფლოს თავი? დიდი ჭკუა და გაბერვიახოცა ამას არ სჭირია... (გვ. 79).

„საერთო პოლიტიკურ მონობაში ეროვნული ბრძოლა არ მოიგება, ეინაიდან თავისუფლება და მონობა ერთ ჩარჩოში, ერთ სახელმწიფო სხეულში ძნელი მოსათავსებელია... მაშასადამე, ჩვენი ეროვნული ბრძოლა საერთო ბრძოლაა, ყოველ ექვის გარეშეა, რომ მტერი უფრო მალე მაშინ დაგვნებდება, თუ მასზე ოერშეს მიიტან ანა ერთის, არამედ ყოველი ეთნიდან, არაერთგვარის, არამედ სხვადასხვაგვარი იარაღით. ასეა თვითმპყრობელობის სიმაგრის საქმეც. სიმაგრე, იგი უფრო ადვილად მაშინ დაეცემა, როდესაც მის წინააღმდეგ გაილაშქრებენ სხვადასხვა ეროვნული მასები, სხვადასხვა მხრივ და სხვადასხვა საშუალებით მომქმედნი (გვ. 80). ასეთი ერთდროული და ყოველმხრივი მიწოლა მტერს გონებას დაუბნევს: ეს უკანასკნელი აქეთ ეცემა, იქით ეცემა გაფთრებული, ბოლოს — ღონემიხდილი, დაუძლურებული, იმედდაკარგული დანებდება იმას, ვინც ასე მარჯვედ და მოხერხებით, შეუტია“ (გვ. 81).

მაშ, მხოლოდ ბრძოლას ეროვნული დროშის ქვეშ. საერთო ბრძოლასთან ერთად წარმოებულს, ბრძოლას, სამშობლო ქვეყნის დამოუკიდებლობისა�მიმართულს, ბრძოლას მედგარს, ხანგრძლივს, იქიდანვე დაწყებულს— შეუძლია მიანეოს დაჩაგრულ ერებს რუსეთში თავისუფალი შინაური ცხოვრება“ (გვ. 82).

ავტორი ამ წიგნის გამო, როგორც თბილისის სასამართლოს პალატის პროკურორის სკულსკის საბრალდებელო საქმეშია აღნიშნული (საქმე № 172), პასუხისგებაში იქნა მიცემული. თბილისის სასამართლოს პალატის პროკურორის საბრალდებელო აქტში გრ. გველესიანის ზემოთსახელებული წიგნიდან სწორედ ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი ადგილებს ვეთხულობთ და ამიტომ ჩვენ აქ მოვიყვანთ საბრალდებელო აქტის შემოკლებულ თარგმანს:

ქ. ქუთაისი 1909 წ.

საბრალდებო აქტი

ქ. ქუთაისის მცხოვრებ მოქალაქე გრიგოლ ივანეს-ძე გველესიანის შესახებ.

1909 წლის № 1721 30 სექტემბრის მიმართვით თბილისის კომიტეტმა აცნობა თბილისის სასამართლო პალატის პროკურორს, რომ განსახილველად წარმოდგენილია ქ. ქუთაისში კილაძისა და ხელაძის სტამბაში ქართულ ენაზე დაბეჭდილი გრ. გველესიანის ბროშურა „ეროვნული საკითხი და სოციალ-დემოკრატია“.

გრიგოლ გველესიანის ნაშრომი დაბეჭდილია 1200 ეგზემპლიარის რაოდენობით. ბროშურაში ავტორი წინასწარ თეორიული მსჯელობის შემდეგ ეხება ეროვნულ საკითხს, სადაც, მისი აზრით, შესაძლებელია დაინგრეს არსებული სახელმწიფო წესწყობილება და ავტორი თოფოდებს ხალხს, რომელიც შედის რუსეთის იმპერიაში ბრძოლისათვის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რათა მოიპოვონ თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობა.

ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის მონაცემებით, გამოირკვა, რომ ამ ბროშურის ავტორი გრიგოლ ივანეს-ძე გველესიანი აფეამად ქუთაისის ქალაქის პოლიციის მონაცემებით სახლეარგარეთ გაიქცა და ცხოვრობს საფრანგეთში.

კილაძისა და ხელაძის სტამბაში დაბეჭდილი ბროშურის გავრცელება აიკრძალა. ეს განკარგულება თავის დროზე სისრულეში მოიყვანა ქუთაისის ქალაქის პოლიციამ. ამის შემდეგ ქუთაისის სასამართლო პალატამ დაადგინა: «Брошюру Г. И. Гвелесиани «Национальный вопрос и социал-демократия» истребить»[3].

1917 წელს გველესიანმა ქუთაისში რუსულ ენაზე გამოსცა მეორე წიგნი — „მუნიციპალური სოციალიზმი“.[4]

ავტორი ზემოდასახელებულ წიგნში წერს, რომ მუშათა კლასს მხოლოდ ბრძოლით შეუძლია დაამხოს კაპიტალიზმი და გათავისუფლდეს მონური უღლისაგან.

წიგნის დასასრულს ვეითხულობთ: „მაშ ასეკომეთნა და კომეთნის მეშვეობით — ბრძოლა სოციალიზმისათვის, — ასეთი იყო მუშათა ინტერნაციონალისა და მისი ეროვნული სექციების ერთ-ერთი ძირითადი დევიზი კაპიტალიზმის უღლის დამსობისათვის დაუცხრომელ, ორგანიზებულ მუშაობაში, რომელიც რაზმავდა ყველა ქვეყნის რევოლუციურ მებრძოლ ხალხს!..“

ასეთი მებრძოლი და შეურიგებელი ტონითაა დაწერილი გრ. გველესიანის ყველა პუბლიცისტური წერილი, სადაც ნათლად ჩანს მეშუთა კლასის, მშრომელი ხალხის სიყვარული.

კიდევ ერთი გარემოებაცაა აღსანიშნავი გრ. გველესიანის პუბლიცისტურ მოღვაწეობაში: იგი ერთნაირად კარგად იცნობს როგორც — ქალაქის პროლეტარიატის სულიერ სამყაროს, ისე გლეხობის ფსიქოლოგიას და ამიტომ მისი წერილები ამ მხრივაც მეტად საინტერესო და დამაჯერებელია.

---

3 წიგნის ერთადერთი ცალი ინახება მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში.

4 ამ წიგნის ერთი თავი დაიბეჭდა 1910 წელს „სახალხო გაზეთში“ (№ 28).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1916 წელს გრ. გველესიანმა გაზეთ „შეგობარში“ (№ 86) მოათავსა ერცელი წერილი „მწარე ბედის მოლოდინში“, რომელიც გაზეთმა მეთაურ წერილად დაბეჭდა. აეტორი თავის წერილში ებრძვის მეფის ხელისუფლებას, იმის გამო, რომ ის უძლურია გააუმჯობესოს ხალხის მატერიალურ-ეკონომიური მდგომარეობა. იმმა, რომელიც არც ისე დიდი ხანია დამთავრდა, ხალხს მოუტანა სიღატაკე და შიმშილი. სოფელი და ქალაქი სავსეა ფრონტიდან დაბრუნებული დაჭრილ-დასახიჩრებულ მებრძოლებით, რომლებიც გამოუსადეგარია, როგორც ქალაქის მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობისათვის და ამიტომ მოსალოდნელია ქართველი ხალხი აღმოჩნდეს მძიმე ეკონომიური მდგომარეობის წინაშე და დიწყოს შიმშილი და ჩვენი ერის გაღატაკება.

„ კარგად ვიცით, — წერს აეტორი, — რომ სიღარიბის წამალი ერთობაა, ხოლო ერთობა ჩვენს ხელშია, ერთობას სურვილი, მხნეობა და საკმისადმი სიყვარული ჰქმნის“.

რაზედ უნდა წერდეს აეტორი — ეკონომიურ საკითხებზე, სავაჭრო ამხანაგობაზე, თუ საკრედიტო საკითხებზე, მას ყველგან ხაზგასმით აქვს აღნიშნული, რომ სიღარიბისა და ეკონომიური გაჭირვებისაგან თავის დაღწევა შეიძლება მხოლოდ მრავალრიცხა წრნაამდეგ თანშემდეგრეული ბრძოლით, ერთობითა და შეკავშირებით.

აი, ასეთი მოწონაუე და პროგრესულ ფეხზე აეტარებს გრ. გველესიანი ყველა თავის პუბლიცისტურ წერილში. და რადესაც ვკითხულობთ ამ წერილებს ძველ ეურნალ-გაზეთებში დაბეჭდილს, თუ ცალკე წიგნად გამოსულს. მაგონდება აკაკის ლექსი:

შორით ვხედავ იმ ნეტარ დროს,
ამ ცუდ დროში დანაბადი
და ანდერძად მხოლოდ რჩება
ჩემი ეუდა და ნაბადი.

გრიგოლ გველესიანმა გაიარა ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ სკოლა, რომელიც ყველას უნერგავდა საშშობლოს უზომო სიყვარულს და მისდამი სამსახურს.

გრიგოლ გველესიანის პუბლიცისტურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ვერც ერთი მკვლევარი ვერ ერეკ აუვლის, ვინაიდან ის არის XIX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის პირველი წლების ეროვნულ-გამთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე.

მწერალმა, პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ გრიგოლ გველესიანმა სათანადო ადგილი უნდა დაიჭიროს ქართველ მოღვაწეთა შორის.

უანგარო დამსახურებისათვის ქართველმა ხალხმა გრ. გველესიანი 1926 წელს დაასაფლავა დიდუბის ქართველ მოღვაწეთა ანთეონში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაქარო მეგრელიშვილი

რატომ გაიხსენეს დოროთი პარკერი?

ლიტერატურის განვითარებაში დგება ხოლმე ისეთი ჟამი, როცა აუცილებელი ხდება წარსულისადმი, განსაკუთრებით კი უახლოესი ტრადიციებისადმი ხელახალი მიბრუნება, მათდამი ახალი მიმართების დამყარება, ეაცნობიერება: იმისა, თუ რა შეუძლია და რა აღარ შეუძლია მოვგცეს კლასიკურ მემკვიდრეობას. ასეთ პერიოდში იმყოფება ამ ბოლო ხანს აპრიალული ლიტერატურა მას შემდეგ, რაც ფოკნერისა და ჰემინგუეის, ფროსტისა და კარლ სენდბერგის თაობის მწერალთა წასვლის შემდეგ განსაკუთრებით ცხადი გახდა, რომ დამთავრდა ერთი დიდი ხანა ეროვნული მხატვრული კულტურისა. ცხადი გახდა, რომ ახალი ეზაბის ძიება, ანდ-ნ თქმა შეუძლებელია იმის ცნობიერი გათვალისწინების გარეშე, რაც უკვე გაკეთდა და თქვა უახლოესი წარსულის მწერალთა მიერ. ამ აუცილებლობამ ახალი ძალით აღორძინა ინტერესი იმ მწერლებისადმი, ვინაც შექმნეს ჩვენი საუკუნის პირველი ნახევრის ამერიკული ლიტერატურა. საჭირო გახდა განსხვავება იმისა, რაც აღმაჭდილი იყო ჰეშმარტი სულით, რაც პერსპექტიული იქნებოდა ახალი ეპოქისთვისაც და იმისა, რაც თავის დროზე მხლოდ ძიების, ექსპერიმენტის გამოვლინება იყო და რამაც ვერ გაუძლო დროის გამოცდას.

ასე განახლდა ინტერესი უახლესი კლასიკისადმი. ზოგი თითქოს ის-ის იყო მივიწყებული მწერლის შემოქმედება ახალი ეტერადღობით მოეკლინა ლიტერატურულ სამყაროს. კერძოდ, ასეთი ბედი ხვდა დოროთი პარკერს. 1967 წლის 7 ივნისს იგი მკვდარი იპოვეს ნიუიორკის ერთ-ერთ პატარა სასტუმროში, სადაც ბოლო ხანს ცხოვრობდა ისევე მარტოხელა და თითქმის ყველასგან მივიწყებული, როგორც გმირები გახმაურებული პიესისა „ქალბატონები იმავე დერეფნიდან", რომელიც მან დრამატურგ დ'იუსოსთან ერთად დაწერა. ეს წელი ერთ დროს უაღრესად პოპულარული მწერლისა და პიროვნების — პარკერის თითქმის სრული დავიწყების კულმინაციისა და მისდამი ახალი ინტერესის გაღვიძების ბანაკი აღმოჩნდა. მალე აშკარა გახდა, რომ საჭიროა მისი წიგნების ხელახალი გამოცემა, მისი ნოველებისა, ლექსებისა და ესეების ახალი თვალსაზრისით შეფასება. დღეს პარკერს კითხულობენ და იკვლევენ, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ავტორს იმ მწერალთა შორის, ვინც 20-იანი წლებიდან დაწყებული თვისობრივად განაახლა ამერიკული ლიტერატურა, შესძინა მას ახალი პრობლემები, ახალი განცდები, ახალი სტილი.

პარკერის ნოველებისა და ლექსების კლასიკურად სადა სტილი საგულისხმო აღმოჩნდა დღეგანდელი ამერიკული ლიტერატურისათვის.

ახალი შინაარსის შესატყვისი სტილის იშვიათი სისადავეც იყო მიზეზი, რომ 1929 წელს პარკერმა ოჰენრის პრემია დამსახურა მოთხრობისათვის „დიდი ქერა ქალი". ასევე სისადავისა და უშუალობის წყალობით მისი ლექსები 20-30-იან წლებში პოპულარები იყო, რაც იშვიათი მოვლენაა ამერიკულ პოეზიაში.

ხშირად ადარებენ ჰემინგუეისა და პარკერის სტილს, რომელიც აგრძელებს მარტ ტვენის „ჰუკლბერი ფინის" ტრადიციას: ობიექტური თხრობისა და მძაფრი ირონიის, ავტორისეული პოზიციის იშვიათი შენიღბვისა და საბოლოოდ ჰემინგუეის პოზიციის გამოვლენის იშვიათ ნიმუშს ამერიკულ ლიტერატურაში. ჰემინგუეის მსგავსად, პარკერი ირასოდეს გვეელინება ასახულ მოვლენათა კომენტატორის როლში. იგი თითქოს გულგრილი დამკვირვებლის თვალით უცქერის მოვლენებს. შემთხვევითი არაა, რომ ერთ-ერთ თავის საყვარელ მწერალს — დრაიზერს იგი უწოდებდა „სწრა-

ფეას ფილოსოფიური მსჯელობებისადმი". პარკერის, როგორც მწერლის პოზიცია მის მოთხრობებში ძალუნგნ შენიღებელია. მაგრამ თუ ჰემინგუეის პროზაში „ობიექტივიზმი", ავტორისეული პოზიციის მაღვა ლირიკული პროზის ენაზეულ ემოცანებს ემსახურება, პარკერის პროზაში ავტორისეული „ნეიტრალიზმი" ამერიკეული სინამდვილის სატირულ ასახვას ისახავს მიზნად. სატირა აგრეთვე არის მისი ლირიკის ვანუფრეული თვისება. ერთადერთი შემთხვევა, როცა პარკერმა უარი თქვა სატირაზე, არის, ალბათ, მოთხრობა „რესპუბლიკის ჯარისკაცები", რომელიც მან ალყაშემორტყმულ მადრიდში დაწერა და რომელიც ფაშიზმთან მებრძოლ ანტიფაშისტებს მიუძღვნა. ამ ქალაქში განაცხადა პარკერმა: „ნეტავ არასოდეს დამეწერა არც ერთი იუმორისტული სტრიქონი".

ამჟამდ საყვედურობდა ამას თავის თავს დოროთი პარკერი. მართალია, იშვიათი გონებამახვილობის გამო მას პირად ცხოვრებაშიც მუდამ თან სდევდა არაოფიციალური ტიტული — „ამერიკის ყველაზე გონებამახვილი ქალი"; მართლაც, ყოველ ენამოსწრებულ ეპიგრამებს, ეპიგრამებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზმი და კომიზმი და ის პრობლემები, რომ-
ლებიც აქტუალურია ამერიკული სინამდვილი-
სათვის: აი, პარკერის ერთ-ერთი ლექსი „სა-
ბეფო ვარდი“ — ლირიზმისა და ირონიის იშ-
ვიათი ნაზავი: „შეხვედრის შემდეგ მან მიბოძა
ყვავილი ერთი. რა სიფაქიზით აირჩია მან
ჩვენს შორის შუამავალი — საღი, ცოცხალი,
ფერნელოვანი ცვარით სველი — სამეფო ვარ-
დი. მე ამოვხსენი, რას ეამცნობდა ყვავილი
ეგ: ჩემს ნაზ ფოთლებში, — მაფწყვებდა, —
ეელია მისი. სიყვარულის ავგაროზად აერჩია
სამეფო ვარდი. რად არ მიბოძებს არავინ
ორასდროს სამეფო ლიმეზინს, ნეტავ ვიცოდე!
მაგრამ რას იზამ, ჩემი ბედია, წოლად მერგოს
სამეფო ვარდი“. ჰუმანიზმი, სითბო და სული-
ერი დისციპლინირებულება მოჩანს პარკერის
ლირიკაში, რომელიც თითქოს „მსუბუქ“, ინ-
ტიმურ ენარს განეკუთვნება. ყური მივუდოთ
მის ლექსს „ყალბ მეგობრებს“: „თავზე ხელს
მისვამდნენ და მამშვიდებდნენ: დრო წაშლის
ეუხილს და ირეს კვლავ გაამთელებს. რა
ყურადღებით, რა თანაგრძნობით ჩამჩურჩუ-
ლებდნენ: გული, რომელიც გაიბზარა აპრილ-
ში, ბალღო, მისაში ისევ საღი იქნება. ბევრი
ენახათ გული ასე განკურნებული, რადგანაც
იყვნენ გამოცდილნი და მეტად ბრძენნი. მაგრამ
ამაო იყო მათი რჩევა, თითქოს კეთილი, და
მისით დიამდება. განვლო მისმა, იენისმაც
თითქმის და მე კი ისევ მტკიოდა გული“. ასეთ
ლექსებში მომზიდავია ჰუმანიზმის რაფინირე-
ბული გამოვლენა და „იშვიათი სინათლე, რო-
მელთა კითხვისას არ გეჩრდება ტვინის დაძაბ-
ვა და არ გიჩნდება კითხვა: ღმერთო ჩემო, ნე-
ტავ ვიცოდე, რისი თქმა უნდა?“ (სომერსეტ
მოემი). ერთგან პარკერი ასე ახასიათებდა
ქეტრინ მენსფილდის პროზას: „იგი მისწრა-
ფოდა კრისტალური სინათლისაკენ, მკვეთრი,
ელვარე სიწმინდისაკენ, რომლისგანაც გამოს-
ჭვივის საოცარი ჭეშმარიტება“. ეს სიტყვები
თვით პარკერის სტილის დასახასიათებლადაც
გამოდგებოდა. ამ კრისტალურ ნათელ სტილს
კვლავ შეაქვს თავისი წვლილი იმ ჭეშმარიტე-
ბათა, იმ ამოცანათა გამოსახატავად, რაც დღეს
ამერიკული ლიტერატურის წინაშე დგას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაია ბიბილეიშვილი

გერონტი ქიქოძე ფრანგული კრიტიკის შესახებ

„ყოველი მნიშვნელოვანი პიროვნება, თავის ევოლუციაში განიცდის მწვავე და სახიფათო კრიზისის პერიოდს, როცა კრიტიკული აზროვნება მის სულში სწვავს გარდასული თაობებიდან მიღებულ იდეებს და მას შესაძლებლობას აძლევს წინ წავიდეს დამოუკიდებელი გზით“.

გერონტი ქიქოძე

ჩვენი საუკუნის დამლევს, როცა დიდი საზოგადოებრივი ძვრების მოღვაწეობა არსებითად დამთავრდა და საქართველო ახალი ისტორიული და სოციალური სინამდვილის წინაშე აღმოჩნდა, ქართულ მხატვრულ და კრიტიკულ აზროვნებაში შეიქმნა თავისებური ვაკუუმი, რომლის დაძლევის ისტორიული ამოცანა ახალი თაობის წინაშე დადგა. ახალი ისტორიული ამოცანების შესატყვისი გადახალისების აუცილებლობამ ქართულ კულტურაში XIX-XX საუკუნის მიჯნაზე იჩინა თავი. XX საუკუნის 10-იანი წლებიდან ამ პროცესმა გლობალური ხასიათი მიიღო. ამ გადახალისების დაღით ერთბაშად აღიბეჭდა ქართული პოეზია და პროზა, დრამატურგია და მხატვრობა, მუსიკა და ქანდაკება, ლიტერატურული კრიტიკა და ფილოსოფიურ სოციოლოგიური მეცნიერება.

ისევე როგორც XIX საუკუნის პირველი ნახევრისათვის, XX საუკუნის დასაწყისის ასეთ სახეცვლილებათა მისიას ქართული კულტურის ევროპული რადიუსით“ (ტ. ტაბიძე) გამართვა შეადგენდა. „ევროპეიზმის“ პრობლემამ, რომელმაც ი. ჭავჭავაძის შენიშვნით, ყველაზე ხელშესახებად ნ. ბარათაშვილის პოეზიაში იჩინა თავი, XX საუკუნის დასაწყისისათვის ახალი მასშტაბები, ახალი ამოცანები და მოთხოვნები დააყენა ქართული კულტურის წინაშე. ამ მოთხოვნებმა თანაბარი ძალით შეარყია არა მხოლოდ ლიტერატურული ენერგია გასული საუკუნიდან ინერციით მოქმედარე სახეები, და ფორმები, არამედ სიფუძვლიანად გადახალისა მთელი ლიტერატურის მეცნიერულ-კრიტიკული კვალიფიკაციის პრინციპებიც.

დადგა ლიტერატურული კრიტიკისა და მისი მეთოდოლოგიის ჭყარ სიფუძვლეზე დაყენების აუცილებლობის საკითხი. ახალი თაობის დროის სულთან შესაბამისად ქართული კულტურის ახალი ესთეტიკური სახის ძიებანი და მისი ეროვნული თუ მხატვრული ამოცანების „ევროპული რადიუსით“ გამართვის ცდა ბრწყინვალედ გამოიხატა პოეტის სიტყვებით:

„ჰაფიზის ვარდი მე პრუდონის
ჩავდე ვაზაში.
ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის
ბოროტ ყვავილებს“...

და იმავე პოეტის სპორეარამ განცხადებაში: „მომავალ დიდ მხატვარში უნდა შეხვდეს რუსთაველი და მალარმე. რუსთაველი მე მესმის როგორც ქართული სტაყვის შემკრები ერთიული და მალარმე ამავე აზრით ევროპის პრეზენტიზმისა და ფუტურიზმის“.

იმ ქართველ მოღვაწეებს შორის, რომლებმაც თავის შემოქმედებით კვლავ დაუკავშირეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული მწერლობა ევროპელ კულტურას და ახალ ნიადაგზე აღმოცენებულ ესთეტიკურ აზროვნებასა მოუპოვეს თანამედროვეობის შესატყვისი სახე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი გენიერი ქიქოძეს უჭირავს. ისევე როგორც გალაკტიონ ტაბიძეს და „ცისფერყანწელებმა“ პოეზიით, კ. გამსახურდიამ, ნ. ლორთქიფანიძემ, ლ. ქიაჩელმა პროზით, კიტა ابაშიძემ, ირმილ ჯორჯაძეს, გ. ქიქოძეს თავიანთი კრიტიკული წერილებით გაამდიდრეს, გაიფართოვეს ქართული სალიტერატურო ენის საზღვრები და დაგვანახეს, რომ ქართული ენა „შეიცავს ჯერ კიდევ გამოუყენებელ მარაგს“, რომ ის „გამოდგება უღრმესი ფილოსოფიური და ეთიკური იდეების გადმოსაცემად“.

გ. ქიქოძე ათიან წლებში გამოეცა სამწერლო ასპარეზზე. მან თავის პირველსავე წერილებში „ლიტერატურა და ეროვნული ენერგია“, „ენა და ეროვნული ენერგია“, „ტრაგიკული გრძნობა ქართულ პოეზიაში“, და სხვ. დაადგინა საკითხი — დიდი კულტურული ტრადიციების მქონე, მაგრამ იმავადვე „გადაჭარბებული ლირიზმით გაბრძოლებული“ ქართული ხასიათის ახალ შემოქმედებით ენერგიად გარდაქმნის აუცილებლობისა და ჩამოყალიბა თავისი ესთეტიკური და ზნეობრივი იდეალი: „ჩვენ გვესაჭიროება ენერგიული ხელოვნება, რომელსაც რეკონსეკვირნის ტემპერამენტი აქვს და მსატვრული სიწმეხის ძალა შესწევს“, „ჩვენს დღევანდელ ლიტერატურას ძირითადი რეფორმა სჭირია: ის დახასიათებული ტექნიკურად და ღარიბი იდეურად. მას არ ძალუძს კონკურენცია გიუზოს უცხოელების მიერ შექმნილ მდიდარ მწერლობასთან“.

ქართული ესთეტიკური აზროვნების ორიენტირების საკითხი ევროპელი კულტურის მიმართ გ. ქიქოძეს საკუთარ შემოქმედებაში ვამოხატა როგორც მთარგმნელმა და მოაზროვნემ. მისი მიმართება ევროპელი, განსაკუთრებით კი ფრანგული კულტურის მიმართ, გამოსახება არა მხოლოდ იმით, რომ მან ბრწყინვალედ თარგმნა სტენდალის, ბალზაკის, მერიმეს, ანატოლ ფრანსისა და ალფონს დოდეს ნაწარმოებები, არამედ იმითაც, რომ მისი კრიტიკული მეთოდის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ევროპელი ლიტერატურულ-კრიტიკული აზრის გათვალისწინებამაც. 1914 წ. „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე გ. ქიქოძე წერდა: „მხოლოდ შოვინისტურ, გონებრივ სიეგოიზოეგს შეეძლია უარყოს ის დიდმნიშვნელოვანი როლი ლიტერატურასა და ხელოვნებაში, რომელსაც ინტერნაციონალური ურთიერთობა თამაშობს. თანამედროვე კულტურასთან ეაკუმრეოიობას აკავშირებს ერთნაირი გაცვლა-გამოცვლა იდეათა და შეხედულებათა არა ნაკლებს ნაყოფიერი და სასარგებლო, ვიდრე ეკონომიური ალებ-მიცემობაა. ეს გაცვლა-გამოცვლა განსაკუთრებით ჩვენსავით ჩამორჩენილი ერებისათვის არის სასიცოცხლოდ.“ მოწინავე ერების გენიოსობამ ზამოაყენა ღრმა პრობლემები, შეიმუშავა ამაღლებული აზრები ადამიანისა და მისი დანიშნულების შესახებ და გონებრივად მოწინფულად მხოლოდ ის ხალხი შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც თავისებურად პასუხს აძლევს ამ პრობლემებს, ანგარიშს უწევს ამ აზრებს. ყოველ შემთხვევაში, დღეს არც ერთ ხალხს არ ძალუძს ფუნი ავაოლოს კულტურის ამ ,,ერებულ ტკმს, თუ ,, სულიერად განმარტოებულია და მხოლოდ საკუთარ ძალღონეზეა დამოკიდებული“.

აღსანიშნავია, რომ ათიან წლებში, როცა მიმდინარეობდა ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული აზრის თვისობრივად განახლების ინტენსიური პროცესი, გერონტი ქიქოძემ დიდი ყურადღება დაუთმო ლიტერატურული კრიტიკის დანიშნულებისა და ამოცანების გარკვევას თანამედროვე ლიტერატურის და საზოგადოებრივი აზრის ძოძოთვნების შესაბამისად. ეს მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მისი წერილი „მეთოდები თანამედროვე კრიტიკისა“. წერილის მიზანია ქართული ლიტერატურული კრიტიკის ამოცანების გარკვევა, რისთვისაც გ. ქიქოძე შემოქმედებითად განიხილავს გასული საუკუნის ფრანგული კრიტიკის ძირითად მიმდინარეობებს: სოციოლოგიურს, ეკოლეტიურს, ფსიქოლოგიურს და იმპრესიონისტულს და ამ მიმდინარეობების მთავარი წარმომადგენლების იპოლიტ ტენის, ფერდინანდ ბრუნეტიერის, გეორგ ბრანდესისა და ემილ ლუმერის საკუთისმენი დახასიათებას იძლევა. ეიდრე უშუალოდ ამ წერილის განხილვას შეუდგებით, გვინდა რამდენიმე სიტყვით დაგახასიათოთ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საფრანგეთის ლიტერატურულ-კრიტიკული ატმოსფერო, რადგანაც გ. ქიქოძის წერილში განხილული კრიტიკის ამ ოთხივე მიმდინარეობას საფრანგეთში ჩაეყარა საფუძველი და მისი პრეტენზია, ძირითადად, კრიტიკული აზრის ამ ოთხი მეტრის სახელს უკავშირდება (ამ კრიტიკოსებიდან სამი ფრანგია, ხოლო ეგორგ ბრანდესი—დანიელი, თუმცა, ყველაზე მეტად ის სწორედ ფრანგული კრიტიკოსებან, განსაკუთრებით კი სენტ-ბევისა და ჰპოლიტ ტენისგან არის დაკალებული).

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისში ფრანგულ ლიტერატურაში არა ერთხელ გაისმა: «La critique se meurt, la critique est morte» (კრიტიკა კვდება, კრიტიკა მოკვდა). ამ სიტყვების სასახუხოდ დაიწერა ცნობილი ლიტერატორის პოლ ბურეკის

ᲛᲐᲘᲐ ᲑᲘᲜᲘᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲔᲠᲝᲜᲢᲘ ᲥᲘᲥᲝᲫᲔ ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ

ერთ-ერთი „ესთეტიკური შენიშვნა“. ამ წერილში ბერტე ცდილობს დაამტკიცოს, რომ კრიტიკა არ მომკვდარა, რომ მან სახე იცვალა მხოლოდ. მისი აზრით, თუ ადრე კრიტიკა მიზნად ისახავდა მხოლოდ ემსჯელა, ე. ი. ეკო ან გაეკიცხა ლიტერატურული ნაწარმოები, ახლა ის აღწერს ან ხსნის ფაქტებს და ეძებს ამ ფაქტების დამოკიდებულებას ამა თუ იმ მოვლენასავან. სენტ-ბეკისა და იპოლიტ ტენის კრიტიკულმა წერილებმა გაფაფოთვეს და გაალრმავეს კრიტიკის სფერო. მაგრამ, რადგანაც კრიტიკას საქმე აქვს არა მხოლოდ დამოკიდებულ ეპოქებთან, მიმდინარეობებთან, არამედ თანამედროვეობასთანაც, ახალ ადამიანებთან, სულ ახლახან ჩასახული მიმდინარეობებთან, ის მუდამ ბრძოლის შუაგულში დგას და ამიტომ არ შეიძლება მოეთხოოთო კრიტიკოსს მიმდინარე მოვლენები ისტორიიოსის ან სოციოლოგის თვალსაზრისით განიხილოს, სიმპათიებისა და ანტიპათიების გამოუმეღავნებელად.

ის ახალი კრიტიკა, რომლის შესახებ ლაპარაკობს პოლ ბერეე, და რომელიც პირად „სიმპათიებსა“ და „ანტიპათიებზე“ იყო დამყარებული, იმ დროის ფრანგულ ლიტერატურულ კრიტიკაში la critique personnelle (კერძო კრიტიკა) სახელწოდებითაა ცნობილი (ეს ცნობა შემდგომ ამერესინინსტული კრიტიკით შეიცვალა).

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ფრანგული კრიტიკული აზროვნების სფეროში სულ უფრო გაცხოველებული მოძრაობა შეიმჩნევა. შეცნიერული კრიტიკის დაფუძნების ცდასთან ერთად მიმდინარეობს პირადი გემოვნების აპოთეოზი, როგორც კრიტიკული მსჯელობის ერთ-ერთი ან მთავარი მასშტაბი. ლიტერატურული მოვლენების ისტორიულ შესწავლასთან ერთად გრძელდება ამ მოვლენების დოქტრინერული შეფასება, პოეტური გაუქმება. დოქტრინერად მეცნიერული კრიტიკის სფეროში კვლავინდებურად რჩება ბრუნეტიერი, პოეტად — პოლ ბერეე, კერძო კრიტიკის ყველაზე მკაფიო წარმომადგენელს ჟიულ ლემეტრს სენტბეკეის ცნობილი გამონათქვამი «nous sommes mobiles et pous jugeons des êtres mobiles» — ჩვენ მოძრაენი ვართ და ასეთსავე მოძრავ არსებებზე ვმსჯელობთ“ — ძირითად პრინციპად აქვს მიჩნეული და ცვალებადობა სისტემის ხარისხში აჰყავს. ერთ-ერთ წერილში, ის ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად ჰკიცხავს საკუთარ თავს იმის გამო, რომ თითქმის ერთი წლის განმავლობაში შეინარჩუნა ადრინდელი აზრი ემილ ზოლაზე.

პროფ. დე ლა ბარტტი წიგნში „იმპრესიონიზმი, სიმბოლიზმი და დეკადენტობა საფრანგეთში“ წერს: „შეცხრამეტე საუკუნეში ხელოვნების ობიექტად ვვეკლინება უკვე არა ჩვენი გონება, არამედ ჩვენი წარმოსახვა, ჩვენი გრძნობები, ზოგჯერ ჩვენი ნერვებიც კი. რამდენადაც მეთვრამეტე საუკუნის ლიტერატურა და სტილი რაციონალურია, იმდენადვე ... რამეტე საუკუნის იმპრესიონისტული“.

როგორც ვხედავთ, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ფრანგული კრიტიკა, ისევე როგორც იმ დროის ევროპული კრიტიკა საერთოდ, ესთეტიკური კრიტიკის პოზიციაზე დგას. ეს პოზიცია ახლებურად იქნა გაანრიგებული მეოცე საუკუნის თითქმ წლების რესსეტ და ქართული კრიტიკულ აზროვნებაშიც.

გ. ქიქოძის წერილი „მეთოდები თანამედროვე კრიტიკისა“ პირველად 1914 წ. დაიბეჭდა „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე. ამ წერილის მთავარი პათოსი კრიტიკის დანშნულებისა და მისი შემდგომი განვითარების გზების ძიებისკენ არის მიმართული.

მეცხრამეტე საუკუნის ფრანგულ ლიტერატურაში უდიდეს ავტორიტეტად იყო მიჩნეული სოციოლოგიური მიმართულების კრიტიკის ერთ-ერთი მამამთავრის იპოლიტ ტენის სახელი. მისი შრომების მრავალმხრივი და საფუძვლიანი შესწავლის გარეშე არ შეიძლება სათანადოდ იყოს გაანრიგებული მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ევროპული ლიტერატურის ისტორია. შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ კრიტიკოსს არ მოუხდენია ისეთი ბაეელენა მის თანამედროვე ლიტერატურულ ცხოვრებაზე, როგორც იპ. ტენმა: მოახდინა მეცხრამეტე საუკუნის ფრანგულ და საერთოდ ევროპულ კრიტიკულ აზროვნებაზე. „ჩვენი ეპოქის უპირველესი მწერალი, პირველი, შესაძლოა, ლოგიკის ძალით, ცეცხლოვანი სტილით, აზრის სიცხადით, — მე დაკასახელე ბატონი ტენი“, — წერდა პოლ ბერეე. იპ ტენის თეორიას ხელოვნების ეპოქის ფსიქოლოგიასთან დამოკიდებულების შესახებ, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ლიტერატურის და ხელოვნების ისტორიის გასაგებად, უნდა „შეისწავლოს იმ ცვლილებათა თეორია, რომელიც მოხდა მის მცხოვრების მდგომარეობაში ფრანგული ლიტერატურათამეცოდნეობის უდიდეს მონაპოვრად მიიჩნევდნენ პოეხანოვი და ლუნაჩარსკი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გ. ქიქოძე წერილში ტენის შემოქმედების სწორად ამ მხარეს უსვამს ხაზს. „ტენის დიდი მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ მან ნათლად გამოაშკარავა ნაციონალური საფუძველი ესთეტიკური შემოქმედებისა და კულტურისა. ის ამბობს, რომ „შესაძლებელია რომელიმე ერის შემოქმედმა სულმა დროებით ქედი მოიხაროს სხვისი გავლენის წინაშე, ყოველ შემთხვევაში, ის ბოლოს მაინც გასწორდება წელში, იმიტომ რომ უცხოელთა გავლენა დროებითია, ეროვნული სული კი უკვდავია“. საინტერესოა ისიც, რომ გ. ქიქოძის დამოკიდებულება იპ. ტენის მიმართ ერთგვარად კრიტიკულიც იყო. მას ქართული კრიტიკისათვის სასარგებლოდ მიაჩნია გარკვე-

ული ინტერესის გათვალისწინება მწერლისა და ნაწარმოებების ისტორიულ-სოციალური კონ-ექსტის მიმართ, მაგრამ იპ. ტენის მეთოდის უარყოფით მხარედ გ. ქიქოძე მიიჩნევს მწერ-ლისა და ნაწარმოების ინდივიდუალური თავისე-ბურებებისადმი ნაკლებ ყურადღებას: „...მხატ-ვრული ნაწარმოების სასეანი სოციალ-ფსიქი-კური თვალსაზრისით ახსნა ყოფილად შეუძლე-ბელია. სპეციალ ინდივიდუალური მომენტის კათვალისწინებაც, განსაზღვრული ეპოქის და განსაზღვრული საზოგადოების სულთან ერთად ხელოვანის ფსიქიკის და მისი ინდივიდუალური შემოქმედების განსაზღვრაც, იმიტომ, რომ ყოველი ნამდვილი შემოქმედი, ყოველი ეს-მარტი მხატვრული ნაწარმოები იმდენად განს-ხვავებული, განუმეორებელი. შეუდარებელი მოვლენაა, რომ მისი სავსებით გარეშე მდგო-მარეობისაგან გამოყვანა არ ძალუძს არავითარ მეცნიერულ განეგბამახელისას და შორსმხედ-ველობას. სოციალოგიური კანონით შეიძლება იმის ახსნა, რაც ზოგადი და არაპიროვნული საერთად შემოქმედ ადამიანში, და არა იმის, რაც პირველყოფილი, შინაგანი და თავისებუ-რია მასში“.

შემდგომ გერონტი ქიქოძე განიხილავს ეთო-ლუციურ კრიტიკას და ფერდინნდ ბრუნეტიერის კრიტიკულ მეთოდს. ბრუნეტიერის ეთო-ლუციურმა კრიტიკამ მთელი ეპოქა შექმნა ჭეყნიერებე საუკუნის კრიტიკულ ზროკვნება-ში. როგორც ცნობილია, ამ მიმართულებას იპოლიტ ტენმა ჩაუყარა საფუძველი. გ. ქიქოძე ზუტტად შენიშნავს ბრუნეტიერის ეთოლუციური კრიტიკის ძირითად ნაკლს, რაც ლიტერა-ტურულ პროცესებში ბიოლოგიური კანონების შესაბუვისობათა ძიებაში მდგომარეობს“... ბრუნეტიერი ამტკიცებს, რომ ლიტერატურის მსელელობა არსებითად იმავე თანდათანობის, ეთოლუციის კანონს ექვემდებარება, რომელ-საც ბიოლოგიურ სახეთა განვითარება, მისი შე-ხედულებით არსებობს ლიტერატურულ ეანრთა ბრძოლა, რომელიც ბიოლოგიურ გვართა ბრძოლას წააგავს, რომ ამ ბრძოლაშიც სა-ბოლოოდ ის იმარჯვებს, ვინც დროებისა და მდგომარეობის პირობებთან უფრო არის შე-გუებული. ბრუნეტიერის აზრით, ეს ცვლაება-დობა არსებითად ერთი და იგივეა სხვადასხვა ერთა ლიტერატურაში და ის ერთი ტიპიური სქემით შეიძლება გამოისახოს: კლასიციზმს ცელის რომანტიზმი, რომანტიზმს — რეალიზ-მი, რეალიზმს — ნატურალიზმი, ნატურალიზმს — სიმბოლიზმი და ა. შ. „არსებობს საერთო ევროპული ლიტერატურა, ეროვნული ლიტერა-ტურანი კი წარმოადგენენ არა დამოუკიდებელ ინდივიდუალობათ, არამედ ამ დიდი მცენარის შტოებს“.

გერონტი ქიქოძე არ ეთანხმება ბრუნეტიე-რის ამ შეხედულებას და დასძენს: „ეს შეხედუ-ლება, ჩემის აზრით, დიამეტრალურად ეწინააღ-მდეგება სინამდვილეს: რეალურად არსებობს, უწინარეს ყოვლისა, ნაციონალური ლიტერატურა, როგორც კონკრეტული ინდივიდუალობა, „ევროპული ლიტერატურა“ კი განყენებული ცნებაა, მეცნიერული აზროვნების მიერ შემუ-შავებული. ეგი არ არის, ამ ცნების სინამდვი-ლეში სხვადასხვა ლიტერატურათა ურთიერთო-ბა უძეგს, მაგრამ ეს ურთიერთობა იმდენად ძლიერი არ არის, რომ მან სავსებით ჩაჩრდი-ლოს ფაქტი ფრანგული, გერმანული ან სკან-დინავიური ხელოვნების არსებობის“.

ბრუნეტიერის მეთოდის ეერონტი ქიქოძი-სეული დახასიათება, შეიძლება იფქვას, არა-პირდაპირ კამათსაც წარმოადგენდა კიტა ბა-შაძესთან, რომელმაც ეთოლუციური კრიტიკის მიმდევრად გამოაცხადა თავი, თუმცა არც მისი დამოკიდებულება ყოფილა არაკრიტიკული ამ ფრანგი ლიტერატურისმეცოდნის მიმართ. რო-გორც ცნობილია, კიტა ბაშაძემ არ მიიღო ბრუნეტიერის რელიგიური „ქადაგებები“ და კათოლიცისმის „უცნაური“, „დახასებული“ და „უაზრო“ იდეები.

კრიტიკული აზროვნების მესამე მიმართუ-ლება, რომელსაც გ. ქიქოძე ეხება თავის წე-რილში, არის იმპრესიონისტული კრიტიკა. იმ-პრესიონისტი კრიტიკოსების წერილებს ანატო-ფრანსმა „შედევრებს შორის თავისი სულის მოგზაურობის თავგადასავალი უწოდა“. იმ-პრესიონისტული კრიტიკა ანალიზებს არა თვით ლიტერატურულ ნაწარმოებს, არამედ ამ ნაწარმოებით გამოწვეულ შთაბეჭდილებას. განსაკუთრებული მახვილი აქ გრძნობებზეა დასმული. ასეთი კრიტიკა მეითხეველთან განსა-კუთრებულ ინტიმურ გარემოს ქმნის. ყველაზე მკაფიო დამახასიათებელი ნიშანი — ლიტერა-ტურული ტერმინთა იგნორირება, საკუთარი განცდებისა და შთაბეჭდილებების წინა პლანზე წამოწევა. ოსკარ უალდი წერდა: „კრიტი-კის უმაღლესი ფორმა — ეს უალრესად პირა-დი აღქმაა. სულის მატიანე — აი, რა არის ჭეშმარიტი კრიტიკა“. ამრიგად, წინა პლანზე წამოვიდა არა მხატვრული ნაწარმოების ობი-ექტური თავისებურებანი, არამედ ლიტერატუ-რული ნაწარმოებით გამოწვეული ლიტერატუ-რული შთაბეჭდილებანი. ცნობილი ფრანგი იმ-პრესიონისტი კრიტიკოსი, ჟიულ ლემეტრი, რომლის შემოქმედებასაც იხილავს გ. ქიქოძე თავის წერილში, წერდა: „კრიტიკა, რამდენა-დაც არ უნდა ეცადოს, ვერ გასცილდება, და, შეიძლებელია გასცდეს, იმ შთაბეჭდილებათა კონსტატერებას, რომელიც გამოწვეულია გარ-კვეულ წუთში, გარკვეულ ადამიანში, ხელოვნე-ბის გარკვეული ნაწარმოებით... ყველას შეუ-ძლია ამაში დარწმუნება საკუთარი გამოცდი-

ᲛᲐᲘᲐ ᲒᲘᲠᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲔᲠᲝᲜᲢᲘ ᲥᲘᲥᲝᲫᲔ ᲤᲠᲐᲜᲒᲚᲘᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲗᲔᲡᲚᲔᲑᲘ

ლებით. მე ოდესღაც ვაღმერთებდი კორნელს და თითქმის ძძულდა რასინი; ახლა კი რასინს ვაღმერთებ და კორნელისადმი თითქმის გულგრილი გავხდი. მიუხეს ლეკნეს წინათ ადაგაცებაში მოეკვიდი, ახლა კი ქვალიც ალარ დამრჩა ამ ალტაკებისა. ვიქტორ ჰიუგო ჩემთვის ჯადოქრული ძალა იყო, ახლა კი უცხოა ჩემი სულისათვის... ჩვენ ვაქებთ იმას, რაც გვიყვარს — ესაა ეს ეს, და თუ ზოგს ერთი და იგივე რამ უყვარს მუდამ და, ამიტომაც, ყოველთვის ერთსა და იმავეს ამეს, სხვებს ეცვლებათ გემოვნება და მათ მიერ მოცემული შეფასებაც სხვაგვარი ხდება“.

გერონტი ქიქოძის წერილში იგრძნობა გარკვეული სიმპათია იმპრესიონისტული კრიტიკის მიმართ. „ცოცხლად გადმოცემული შთაბეჭდილება, ნახშირით დახატული სილუეტი, ოროიდე ძლიერი ხაზით გამოყვანილი პროფილი უფრო ძლიერად გვაგრძნობინებს პიროვნების და ნაწარმოების დამახასიათებელ, განმეორებელ თვისებებს. ამა თუ იმ ესთეტიკური მოგლენის შესაფერებად ხშირად პატარა კრიტიკული ესეიზი უფრო სასარგებლოა, ვიდრე მრავალტომიანი ფილოლოგიური გამოკვლევა“. მაგრამ, განსაზღვრადდა რა კრიტიკის ძირითად დანიშნულებას, გ. ქიქოძე უკიდურესი იმპრესიონიზმის წინააღმდეგ აცხადებდა, რომ „განსაკუთრებით კრიტიკა უნდა დაეყრდნოს ფართო მსოფლმხედველობას და ხელოვნებისაგან მოითხოვოს არა უკავშირო სინემატოგრაფიული შთაბეჭდილებანი, არამედ მთელინი სურათი, ღრმა ფიზმენ დახატული“.

და ბოლოს, ფსიქოლოგიური კრიტიკის შესახებ. ამ მიმართულების გამოჩენილი წარმომადგენელი, იპოლიტ ტენის მოწაფე და გასული საუკუნის ეკრძალის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კრიტიკოსი, გეორგ ბრანდესი, ტენის მსაგესად ამტკიცებდა, რომ ისტორია, შეიძლება ბოლოსდაბოლოს ფსიქოლოგიამდე დაიყვანონთ. მისი აზრით, თუ ისტორიული დოკუმენტი მდიდარია აზრით და თუ ადამიანებს შეუძლიათ მისი სწორი ახსნა, მაშინ ისინი ადვილად აღმოაჩენენ მასში ადამიანთა ცხოვრების აზრს, ზშირად კი მთელი საუკუნის აზრს, თვით ტომების ფსიქოლოგიასაც კი. ფაქტებს, რომელთაც სხვა ადამიანებისათვის მხოლოდ ერთგვარი ანეგდოტური ინტერესი ჰქონდათ, ბრანდესისათვის მამოძრავებელი ძარღვი, რომელთა მეშვეობითაც ის მწერლის ფსიქოლოგიის თვისებებს. ასე, მაგალითად, ჟორჟ სანდისა და ალფრედ მიუსეს სასიყვარულო ურთიერთობაში ბევრი ამ ორი მწერლის ცხოვრების პიკანტურ ეპიზოდს ხედავდა, ბრანდესსა სულ სხვა ინტერპრეტაციასთან გვაქვს საქმე. ის შემდეგნირად სვამს კითხვას: „რაში გამოიხატა ამ ორი შემოქმედის გაკვეცა ერთი მეორეზე? ორის თუ არა რაიმე განსხვავება იმაში, რაც თვითეულმა შექმნა ამ ურთიერთობამდე და ურთიერთობის შემდეგ, და შეიძლება თუ არა ამათ დამოკიდებულებაში ისეთი რამ[illegible] ნა, რაც შეეძლ მოპფენდა ქალს და [illegible] შემოქმედებითი ნიჭიერების მნიშვნელოვან საკითხს?“.

გ. ქიქოძე იზიარებს გეორგ ბრანდესის აზრს იმის შესახებ, რომ „ეროვნების ფსიქოლოგია, უწინარეს ყოვლისა, მის მწერლობასა და ხელოვნებაში იხატება, კრიტიკოსი რაც შეიძლება ღრმად უნდა ჩაწვდეს როგორც ნაწარმოების, ისე მწერლის სულს, აღმოაჩინოს მისი ფარული ადგილები და ფანდი კუნჭულები და შემდეგ თავისი შეხედულება რაც შეიძლება პლასტიკურად, რაც შეიძლება ხელშესახებად გამოხატოს... მან უნდა შესტოპოს ცხოვრების მორევში, მან უნდა აღმოაჩინოს, თუ როგორ იბადებიან გრძნობანი და ვნებათაღელვანი ადამიანის გულში“. აღსანიშნავია, რომ ერთადერთი მიმართულება გ. ქიქოძის მიერ განხილულ წერილში, რომელსაც ის ემპირიულად დაფმოსცემს და თავის დამოკიდებულებას არ ამეკვანებს, არ შეაქვს არავითარი კორექტივი, ეს არის ფსიქოლოგიური მიმართულების კრიტიკა.

ამგვარად, ევროპული ესთეტიკური კრიტიკის ძირითადი მიმდინარეობების დახასიათებასთან ერთად, გ. ქიქოძე აყალიბებს საკუთარ პოზიციას და წერილი „მეთოდები თანამედროვე კრიტიკისა“ ერთგვარ საპროგრამო ნაწარმოებადაც შეიძლება მივიჩნიოთ მისი კრიტიკული მემკვიდრეობისა და შემოქმედებითი მეთოდის შესწავლაში. როგორც ცნობილია, ათიან-ოციანი წლების ქართული კრიტიკა ძირითადად ესთეტიკური კრიტიკის პოზიციაზე იდგა. ამ მხრივ, გ. ქიქოძის შემოქმედება სრულიად ორგანულად იკითხება იმდროინდელი ქართული კრიტიკის ზოგადი ტენდენციების კონტექსტში. მის ორიგინალურ შემოქმედებაში ვარკვეულად მეღავნდება იმპრესიონისტულ-ფსიქოლოგიური კრიტიკის არსებითი ნიშანთვისებები, მაგრამ ვაუზრუნველია არა როგორც სისტემა, არამედ როგორც სახელმძღვანელო იდეები. ის წერს ამ მიმართულებისათვის დამახასიათებელი მანერით, უშუალოდ გადმოსცემს შთაბეჭდილებას. მისი წერილები თავისუფალია მოზღვავებული სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და სქოლიოებისაგან, როლეზშიც არ ივიწყებს თავის ძირითად დებულებას, რომ „კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნებამ უნდა შეიტანოს საზოგადოებაში ის გრძნობა მღელვარებისა, თვით მას რომ სტანჯავს. რომ ამისთვის არ არის საჭირო კრიტიკოსმა ყველაფერი თქვას, რისი თქმაც შეიძლება განსაზღვრული ლიტერატურული თუ მხატვრული მოვლენის შესახებ. პირიქით, ნახევრად გამოთქმული შეხედულება, უცად შეწყვეტილი და კითხვის ნიშნით დაბოლოებული აზრთა მსჯელობა, გადაკვრით ნანაშნები პრობლემა უფრო ამოძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავებს ადამიანის ფანტაზიას, ცნობისმოყვარეობასა და ნებისყოფას, ვიდრე მძიკეთით ძაუზე ასმული დეტალები".

ძხატვრული ნაწარმოების ასეთი ინტერპრეტაცია განსაზღვრავს გ. ქიქოძის სტილსაც. ალბათ, სწორედ ამის გამო მიიჩნევენ მას ეგოიპელი, უფრო სწორედ ფრანგული ყაიდის მუერლად. „იგი გალური პლასტიკურობის, ფრანგული „ესპრის", ფრანგული დახვეწილი ფორმის თავკანსაცემელი უფრო იყო, ვიდრე გერმანული „ჩაღრმავებულობის", გერმანული მისტიციზმის და გერმანული ამორფულობისა. წერის მანერაც თითქოს უფრო ფრანგული ჰქონდა". — წერს ნოდარ კაკაბაძე წიგნში „პორტრეტები და სილუეტები" გერონტი ქიქოძის შესახებ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გ. ქიქოძის კრიტიკულ წერილებში გარკვეულად იგრძნობა ნათესაობა ესთეტიკური კრიტიკის ფსიქოლოგიურ-იმპრესიონისტულ ნაკადთან. ამ აზრის სასლუსტრაციოდ გვინდა მოვიყვანოთ ნაწყვეტი წერილიდან „შოთა რუსთაველი":

„მართალია, პოეტის ბიოგრაფია არ შენახულა, მაგრამ თუ მისი პოემის მიხედვით განვსჯით, აგრეთვე ანგარიშს გავუწევთ ეპოქის სტილს და ტრადიციულად გადმოცემულ ცნობებს, ნუგეა ვიფიქროთ, რომ ის არ უნდა ყოფილიყო არც ვიწრო სენაკში მომწყვდეული სქოლასტი, არც უსახლკარო მენესტრელი ან აუფული, რომელიც ერთი შფარველის კარიდან მეორე შფარველის კარზე გადადის. უფრო საფიქრებელია, რომ ის იყო განათლებული დარდმანდი, დარბაისელი კარისკაცი და მამაცი მხედარი ერთსა და იმავე დროს, კარგად გამობრძმედილი სასახლის პოლიტიკასა თუ ზღვის ომში... „უთავლავ ფერიანი სამყაროს" თვისებაში, ახალგაზრდა ქალის თვალ-წარბის ან ყბილების სილამაზის, ან კიდევ ძეირფასი ქვების ელვარების და ძეირფასი ქსოვილების ალტაკებით ასახვაში, მას ეტყობა, რომ ეს არ უნდა ეკუთვნოდეს არისტოკრატიულად განაზებულ და დაღლილ თაობათა ჩამომავალთ; მას ყოველივე ეს კულუბრაკეულად ხიბლავს და ახარებს. ეს იგივე გიემაკერი სულია, რომელიც შემდეგ ტანლიში ბოკაჩიომ, საფრანგეთში რაბლემ გამოამეღავნა"...

ჩვენ, რა თქმა უნდა, მიზნად არ ვისახავთ გადავწყვეტოთ რამდენად ზუსტია ეს პორტრეტი, მაგრამ, მეთოდი, რომლითაც გ. ქიქოძე აღწერს პორტრეტის შექმნას, არის ფსიქოლოგიურ-იმპრესიონისტული დახასიათების პრინციპით განხორციელებული. მისი წერილებიდან ერთ-ერთ მიზანს სწორედ ეროვნული ფსიქოლოგიის გამოკვეთა და ამ ფსიქოლოგიის გამოულინება წარმოადგენს ქართულ სიტყვაკაბმულ მწერლობაში, ქართულ ორნამენტში თუ ქართულ ფრესკაში. გ. ქიქოძის მიერ დახატულ ყველა პორტრეტს აქვს თავისი მკვეთრი ინდივიდუალობა, საკუთარი სახე, ბიოგრაფია, ფსიქოლოგია. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია წერილი „ძველი იბერიელების ფსიქოლოგიიდან" რომელიც ქართული კრიტიკული პროზის იშვიათ ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ.

— „ჩვენ გვგონია, რომ არსად არ შეიძლება ძველი იბერიელების ფსიქოლოგიის გაცნობა ისე კარგად, როგორც მცხეთაში, სადაც ის პირველად ჩამოყალიბდა ბრძოლისა და შემოქმედების პროცესში, დახედეთ იბერიელი პიტიახშების პორტრეტებს, რომელნიც საუცხოო ვემშებზე არიან გამოჭრილნი, ყველა იმ ასპარეზეგ და არშიაში პიტიახშების სახეებს და დამეთანხმებითა, რომ მათში არის რაღაც უცნაურად კეთილშობილი და ონაერული ერთსა და იმავე დროს ეს ადვილი გასაგებია. ამ ეპოქის იბერიელები ახლახან იყვნენ გამოსული გვარიანეული წესწყობილებიდან; ხანგრძლივ სამოქალაქო კულტურას ისინი ჯერ კიდევ არ მოუთავინერებია. ისინი ჯერ კიდევ თავიანთ თავს უფრო დიდად სასსპარეზო მოედნებზე ან მთის მდინარეებში გრანნობდნენ, ვიდრე ოლიმპიურ ქვის პალატებში, ან რომაულ ტერმებში. იბერიელი მეფეები და ერისთავები თავიანთ ციხე-კოშკებში ალბათ ისე ისხდნენ, როგორც არწივები კლდის ბუდეებში და იქიდან ყოველმხრივ თვალიერებდნენ თავიანთ სამყოფელს, რათა მტრის მოძრაობა არ გამოპპარიდათ".

გერონტი ქიქოძის ნათელი სტილით, მაღალი კულტურით და ერუდიციით დაწერილ წერილებში იკითხება მისი აზროვნების, ესთეტიკური და ეთიკური მისწრაფებების მასშტაბურობა, რაც იწვევს ევროპელი კულტურის, როგორც ამ შემოხვევაში გარკვეული მაღალი დონის სინონიმის, უნებლიე განცდას, და მისი შემოქმედების სწორედ ამ თვისების გამო იყო ის, სიმონ ჩიტაიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ერა მარტო ქართული ლიტერატურული აზროვნების ერთ-ერთი მესაჭე, არამედ ქართული ეროვნული ხასიათის ერთი ბრწყინვალე გამოვლინება".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზია ზაქარიაძე

მუშათა კლასის მეგობრობის ისტორიიდან

საქართველოს ეროვნული სამრეწველო კადრების მომზადება მოძმე რესპუბლიკებში (1926 — 1932 წ. წ.)

„სოციალისტური მშენებლობის წლებში ჩვენს ქვეყანაში წარმოიშვა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. ერთობლივ შრომაში, სოციალიზმისათვის ბრძოლაში წარმოიშვა კლასებისა და სოციალური ჯგუფების, ერებისა და ეროვნებების ახალი ჰარმონიული ურთიერთობა, მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა“.

(ლ. ი. ბრეჟნევის სკკპ ცენტრალურ კომიტეტის საანგარიშო მოხსენება XXIV ყრილობისადმი).

კომუნისტურმა პარტიამ ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე ჩვენს ქვეყანაში სამუდამოდ დაამკვიდრა ხალხთა შორის მეგობრობა, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ტრადიცია. სწორედ ერთმანეთისადმი უანგარო დახმარებით საბჭოთა კავშირის ხალხებმა წარმატებით დაძლიეს მრავალი სიძნელე. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა მოძმე რესპუბლიკების დახმარება საბჭოთა საქართველოსათვის ეროვნული სამრეწველო კადრების მომზადებაში.

ეს რთული პრობლემა წარმატებით გადაწყდა უმოკლეს დროში. საბჭოთა საქართველოს მრეწველობის დარგში ამჟამად მოღვაწეობს ათასობით მაღალკვალიფიციური მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსი, რომლებმაც განთლება მიიღეს მომძე რესპუბლიკებში და შემდეგ თავად აღზარდეს ათეული ათასობით სპეციალისტი.

კადრების პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დისიცა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის დასაწყისიდან, როდესაც აუკილებელი გახდა კვალიფიციური მუშა-კადრების დაჩქარებით მომზადება. იმ დროს კი საქართველოს არ გააჩნდა არც სათანადო სახსრები და არც სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამიტომ კადრების პრობლემის პრაქტიკულად გადაწყვეტა შეუძლებელი იყო მოწინავე საბჭოთა რესპუბლიკების, პირველ რიგში, საბჭოთა რუსეთის ინტერნაციონალური დახმარების გარეშე.

ვ. ი. ლენინის თაოსნობით საბჭოთა რუსეთმა უდიდესი მატერიალური და ფინანსური დახმარება აღმოუჩინა საქართველოს. ეს უანგარო დახმარება შემდგომში კიდევ უფრო გაძლიერდა და გაფართოვდა, განსაკუთრებით, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის მშენებლობის პერიოდში. ასევე მეგობრული დახმარების ხელი გამოუწოდეს ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს სხვა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებმა. საქართველოს ისინი ამარაგებდნენ არა მარტო ტექნიკით, არამედ თავიანთ საწარმოებსა და სასწავლებლებში ამზადებდნენ საქართველოსათვის მაღალ კვალიფიციურ კადრებს. — მუშებს, ტექნიკოსებს, ინჟინრებს.

საბჭოთა რესპუბლიკების ასეთი დახმარება აღრმავებდა ხალხთა შორის ლენინურ მეგობრობას, საფუძველს უქმნიდა ერთა ურთიერთ თანამშრომლობის ფართოდ განვითარებას. მოძმე რესპუბლიკებში ქართული ეროვნული სამრეწველო კადრების მომზადების საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში მხოლოდ ფრაგმენტულად არის ასახული და თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი თითქმის შეუსწავლელია, მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოგრაფიულად მისი გამოკვლევა საგანგებოდ არავის უცდია. საკვლევი პრობლემის ამსახველი მასალა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა არქივსაცავებში ინახება. გარდა ამისა, ჩვენ გამოიყენეთ, აგრეთვე, სხვა რესპუბლიკებში აღზრდილ სპეციალისტთა მოგონებები. ყოველივე ამან საშუალება მოგვცა, მრავალი სარნტერესო და საგულისხმო ფაქტი დაგვედგინა და შეგვეხსოვნა.

ჩვენი კვლევის ქრონოლოგიურ ჩარჩოებად ავიღეთ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის დაწყებითი პერიოდი 1926-1932 წლები, რადგან სწორედ ეს პერიოდი განსაკუთრებით დამახასიათებელი მომძე რესპუბლიკებში ქარ-თული ეროვნული კადრების აღზრდის მხრივ.

პარტიის ეროვნული პოლიტიკის შედეგად პირველ რიგში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ჩამორჩენილი რესპუბლიკების მომე მრეწველობას, ფართოდ უნდა გაშალიყო ელექტრომშენებლობა უხვი ადგილობრივი ჰიდრორესურსების („თეთრი ნახშირის") გამოყენების ბაზაზე, მაწყანთამშენებლობა, ქიმიური მრეწველობა, გაზრდილიყო წიაღისეული ნედლეულის მოპოვება და ა. შ. პარტია ითვალისწინებდა საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეს და მიზნად დასახავ მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარება, სასოფლო სამეურნეო პროდუქტების ადგილზე გადამუშაკება. ნავარაუდევი იყო სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა ფართოდ დანერგვა, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია. სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი წამყვანი დარგების უზრუნველყოფა საჭირო კადრებით მნიშვნელოვნად აღემატებოდა რესპუბლიკის რეალურ შესაძლებლობას. თბილისის მსხვილ საწარმოებს კვალიფიციური კადრების მხოლოდ 55-60 პროცენტი გააჩნდათ. განსაკუთრებით მცირე იყო ინჟინერ-ტექნიკოსთა ხვედრითი წონა. როგორც აღინიშნა, მრეწველობა აქ წარმოდგენილი იყო, ძირითადად წარილი და კუსტარული საწარმოებით. რესპუბლიკა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ეკონომიურად, ფინანსურად და არ გააჩნდა საჭირო პედაგოგიური კადრების საკმაო რაოდენობა.

რევოლუციამდელი ჩამორჩენილი განაპირა მხარის როგორც მუშათა კლასი, ისე ტექნიკური ინტელიგენცია, ვერ პასუხობდნენ სოციალისტური მშენებლობის პირობებში მრეწველობის ზრდის ტემპებსა და სწრაფი განვითარების ამოცანებს, ამიტომ ჯერ კიდევ 1925 წელს საქართველოს კომპარტიის IV ყრილობამ მწვავედ დააყენა საკითხი ახალი სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო პერსონალის მომზადების შესახებ. კვალიფიციური მუშახელის მომზადება დამკვრელურ ამოცანად გამოცხადდა.

ი. ბ. სტალინი წერდა: „მძიმე მრეწველობის, მშენებლობის პრობლემა არ შეიძლება მთლიანად გადაჭრილად ჩაითვალოს იმ დრომდე, ვიდრე გადაჭრილი არ იქნება კადრების პრობლემა. აქედან გამომდინარეობს პარტიის ამოცანა — პირისპირ მიუდგეს კადრების პრობლემას და აუცილებლად დაიპყროს ეს ციხე-სიმაგრე".[1]

კადრების მომზადების პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვდა რესპუბლიკის მშრომელი მასების კულტურული დონის ამაღლებას, უპირველეს ყოვლისა, უწიგნურობის ლიკვიდაციას. „არ შეიძლება წარმოიდგენით მომავალი საზოგადოების იდეალი იმის გარეშე, თუ ახალი თაობის წარმოებით შრომა შეერთებული არ იქნება განათლებასთან",[2] — გვაცნობებდა ვ. ი. ლენინი.

ამან განაპირობა ის დიდი ყურადღება, რომელიც იმ დროს მუშათა ზოგადი და პროფესიული განათლების საკითხებს დაეთმო. მოეწყო საფაბრიკო-საქარხნო სკოლების ფართო ქსელი. ამ სკოლებში შრომა და სწავლა მჭიდროდ იყო შეთავსებული.

მრეწველობისა და წარმოების გარდაქმნა გადახალისება-განვითარებამ მოითხოვა, აგრეთვე, ქველი კადრების გადამზადება. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის სწრაფ აღმავლობასთან დაკავშირებით აუცილებელი გახდა მუშათა პროფ-ტექნიკური სწავლების კიდევ უფრო მაღალ დონეზე დაყენება. ინდუსტრიალიზაციის განვითარებასა და მრეწველობისათვის საჭირო კვალიფიციურ კადრების მომზადებას შორის შეუსაბამობა კიდევ უფრო გამწვავდა პირველი ხუთწლედის პერიოდში, როცა, ერთი მხრივ, მწყობრში დგებოდა წამოწყებული ინდუსტრიული გიგანტები, მეორე მხრივ, მუშათა კლასის შემადგენლობაში უდიდესი ცვლილება ხდებოდა მათი რიცხობრივი სწრაფი ზრდის შედეგად. მუშათა კლასის რიგების შევსება მიმდინარეობდა უმთავრესად გლეხებით, რომელთაც საბრწველო საწარმოში მუშაობის გამოცდილება სრულიად არ გააჩნდათ, ასეთი მუშები მუშათა კლასის საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტს შეადგენდა.

ამიტომ, საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა მუშათა მომზადების და კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობა. ამ მიზნისათვის უნდა გამოეყენებინათ უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლები, საფაბრიკო-საქარხნო სკოლები;

მზია ზაქარიაძე
მუშათა კლასის მეგობრობის
ისტორიიდან

პრაქტიკაში ინერგებოდა სსრ კავშირის სამრეწველო რაიონებში მუშათა სისტემატური მიელინება.

ამ დადგენილების საფუძველზე განხორციელდა კადრების მომზადების ფართო ღონისძიებანი: გაფართოდდა უმაღლესი და საშუალო ტექნიკური სასწავლებლების ქსელი, საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრებში ინჟენერ-ტექნიკოსებთან ერთად დაიწყო მუშათა კვალიფიციური კადრების მომზადება.3

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილების საფუძველზე საგრძნობლად გაიშალა მუშათა ეროვნული კადრების კვალიფიკაციის ამაღლების გზით. 1929-1930 წლებში მომზადდა 4453 კვალიფიციური მუშა, აქედან, 2116 სამრეწველო საწარმოებისათვის და 2337 — მშენებლობისათვის.4

1929-30 წლებში შემოშავდა ახალი გეგმა მუშათა პროფტექნიკუმების ქსელის გაფართოებისათვის. 1930 წელს, განსაკუთრებით კი მომდევნო წელს გაფართოდა საქართნო-საფაბრიკო კურსებისა და წრეების ქსელიც. ისინი იქმნებოდა, უმთავრესად, მსხვილ საწარმოებთან. მაგალითად, ლიოთნტრესტის ხაზით მელიორონეთა მოსამზადებლად დაარსდა ოთხი ექვსთვიანი პროფტექნიკური კურსი, რომლებიც ამზადებდნენ ხარატებს, ზეინკლებს, მქუდლებს, საამქროების ოსტატებს, სამთვიანი კურსები — უსაფრთხოების ტექნიკის პერსონალს. აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში ყოველ წელს ტარდებოდა მუშათა მოკლეკადიანი კურსები. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საფაბრიკო-საქარხნო სკოლებს, სადაც ახალგაზრდები ტექნიკურ სიახლესთან ერთად გადიოდნენ სპეციალურ საგნებსაც. 1931 წელს ამ სკოლებში მიიღეს 6404 კაცი.

მუშათა მოსამზადებელ მნიშვნელოვან კერად ითვლებოდა მუშათა ფაკულტეტები. საქართველოში არსებობდა ხუთი მუშფაკი. 1928-1929 სასწავლო წელს უმაღლეს სასწავლებლების დამთავრებულთა 18 პროცენტს ყოფილი მუშფაკელი შეადგენდა. მუშთა ფაკულტეტებზე 1516 კაცი ირიცხებოდა, უმაღლეს სასწავლებლებში — 1663, ტექნიკუმებში — 1858, პროფტექნიკურ კურსებზე კი 481; საქართველოში არსებობდა 58 საშუალო პროფესიული სასწავლებელი — 11169 მოსწავლით, 8 ხაფაბრიკო-საქარხნო სკოლა 7046 მოსწავლით, სხვადასხვა სპეციალობის 79 კურსი, რომლებზეც ირიცხებოდა 4343 მსმენელი.5

რესპუბლიკის წინაშე დასახულ ამოცანათა გადაწყვეტა შეუძლებელი იყო მხოლოდ ადგილობრივი კადრებით, ამიტომ საქართველოს სახალხო მეურნეობის კვალიფიციური კადრების მომზადება წარმოებდა მოძმე რესპუბლიკების მსხვილ სამრეწველო საწარმოებში და სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებში. კვალიფიციური კადრების მომზადებაში საქართველოს მეგობრულ დახმარებას უწევდნენ: მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის, პეტნის, ჩელიაბინსკის, ქერჩისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა ქალაქების საწარმოები, რომლებიც გამოიჩენდა და აღიზარდა საქართველოს ახალი სამრეწველო საწარმოების პირველი კვალიფიციური კადრები, მაგალითად, 1927-1929 წლებში საქართველოდან საფეიერო საქმის შესასწავლად საბჭოთა რუსეთის საფეიერო საწარმოებში ეგზავნება 225 კაცი.6

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და შემდეგ მსხვილ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები, მაგალითად, თბილისის ახალი მექანიკური ქარხნის, ჭეთანშვილის, საფეიერო მრეწველობის და სხვა საწარმოები,7 სისტემატურად იხილავდა კვალიფიციური კადრების მომზადების საკითხს.

კადრების ტექნიკური ცოდნით აღჭურვისა და დონის ამაღლების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა წარმოების უშუალო გაცნობა, მოწონაეთა გამოცდილების გაზიარება. ამიტომ ინდუსტრიალიზაციის განვითარების წლებში დიდი ყურადღება ექცეოდა საწარმოო ექსკურსიების ორგანიზაციას. ექსკურსიები ხელს უწყობდნენ მუშებთან უშუალო კონტაქტის დამყარებას, პროგრესული ტექნოლოგიის გაცნობას და დანერგვას. 1932 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის მოწინავე ინდუსტრიულ ქალაქებში საქართველოდან ექსკურსიების სახით მივლინებულ იქნა 322 კაცი, ხოლო ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებში — 2045 კაცი. თბილისს მოწინავე საწარმოებში მოწოდილი მიზნობრივ საწარმოო ექსკურსიებში მონაწილეობდა 12137 კაცი.8

საქართველოს მრეწველობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა შედარებით უფრო სწრაფ ტემპს, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკები. ძველი საწარმოების რეკონსტრუქციის კვალდაკვალ მიმდინარეობდა მრეწველობის ახალი დარგების შექმნა. სსრ კავშირის შემნის დღიდან 1928 წლამდე საქართველოში ამუშავდა 42 ახალი საწარმო. დაიწყო წვრილი საწარმოების გამსხვილება და ახალი ტექნიკის საფუძველზე გარდაქმნა.

1924 წელს ქუთაისში ამუშავდა მაუდ-კამეოლის ფაბრიკა, რომლის მთელი მოწყობილობა რესპუბლიკამ საჩუქრად მიიღო საბჭოთა რუსეთიდან. ამასთან დაკავშირებით გაზ. „კომუნისტი“ წერდა: „საქართველოს პროლეტარიატი ეფრთხილეს ვერ დიგიწყებს მას, ვისი თაობით და დახმარებითაც შეიქმნა ეს ფაბრიკა, რომელიც ხელს უწყობს ნამდვილი პროლეტარიატის წარმოშობა-განვითარებას, ქართველი მშრომელი მასა მუდამ მადლობის გრძნობით მოიგონებს თავის უფროს ძმას —

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა რუსეთს, რომელმაც სრულიად უსასყიდლოდ დაუთმო ფაბრიკისათვის საჭირო მანქანები".9 სხვათა შორის, ამ მანქანათა ნაწილები დღესაც ინახება ქუთაისის მუზეუმის ფონდებში, როგორც ძეირფასი ექსპონატები.

1929 წელს ამუშავდა თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა. 1927-30 წლებში მრეწველობის განვითარების შესახებ საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს (სმუს), 1930 წლის მიმოხილვაში აღნიშნულია, თუ როგორ მზადდებოდა თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის, თბილისის მაუდის ფაბრიკისთვის მუშა-ყაღრმები. თბილისის მაუდისა და აბრეშუმის ფაბრიკების მუშები მიავლინეს მოკავშირე რესპუბლიკების წარმოებებში და სპეციალურად გასწავლეს ადგილობრივ კურსებზე. 1930 წელს კვალიფიკაციის ასამაღლებლად მიავლინეს 154 კაცი მოსკოვს, ლენინგრადსა და ხარკოვში. გარდა ამისა, ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში გაგზავნეს 22 კაცი. კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები ამავე წელს 1351 კაცმა დაამთავრა.10

თბილისის აბრეშუმის გაერთიანების არქივში დაცული ბრძანების წიგნები საინტერესო სურათს გვიხატავს კვალიფიციური მუშაკდრების მომზადების საქმეში და ამ ღონისძიებათა განხორციელებაში საბჭოთა ხალხის როლის შესახებ. აქ კონკრეტულად ჩანს ხალხთა თანამეგობრობა და ძმური თანამშრომლობა ეროვნული კადრების მომზადების დარგში. ყოველივე ამას ნათლად ადასტურებს თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის დირექციის ბრძანებებიც. იქიავეა, რომ ფაბრიკის მუშებს კვალიფიკაციის ამაღლების კურსები გაუვლიათ მოსკოვში და შემდგომ თავიანთ ფაბრიკას დაბრუნებიან.

1930 წლის 9 აგვისტოს № 176 ბრძანებაში ვკითხულობთ:

„მოსკოვის რეკთვიან საფეიქრო კურსდამთავრებულები ამხ. ამხ. 1. კოკოეკი მალაქია; 2. არჩვაძე გიორგი; 3. გრიგორიანი დიმიტრი; 4. ფურტელაძე შალვა; 5. ეესეზონი სერგო ჩარიცხული იქნან 5 ამა აგვისტოდან და გამოყენებულნი სამუშაოდ მანქანების მონტაჟ-გამართვაში ამხ. ჩერნოვთან, თვიური ხელფასი დაენიშნოთ ასოცი მანეთი თითოს".11 იმავე წლის 14 აგვისტოს № 179 ბრძანებაში სწერია: „მოსკოვის რკთვიან საფეიქრო კურსებიდან დაბრუნებული გრიგორ კახაძე და ვიორგი კალინინი ჩარიცხული არიან მიმდინარე წლის 5 რიცხვიდან. პირველი კომსომოლის საამქროში და მეორე საერთო საამქროში თვიური ხელფასი ასოცი მანეთის დანიშნით".12

ანალოგიური კონკრეტული ფაქტების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ დამოწმებულიც ნათლად ვვიჩვენებს, რომ საქართველოსათვის კადრები მზადდებოდა მოსკოვში.

კვალიფიციური კადრების რესპუბლიკის გარეთ მოზზადების შესახებ მრავალნაირი ცნობები მოგვეპოვება, ხშირია კონკრეტული მონაცემები, მაგრამ, სამწუხაროდ, ოფიციალური წყაროებში არ გვხვდება ცნობები იმ მეგობრული დამოკიდებულების შესახებ, რომელსაც ამყოვანებდნენ რუსი და უკრაინელი მუშები და სპეციალისტები საქართველოდან სასწავლებლად გაგზავნილი ახალგაზრდებისადმი. ამიტომ ჩვენ შევეცადეთ ძველი მუშების მოგონებები შევეკვესნა. ასე, მაგალითად, ცნობილი მოწინავე მუშა ქალი ეთერ მაზანაშვილი თავის მოგონებაში აღნიშნავს, რომ მან 1929 წელს მუშაობა დაიწყო ფაბრიკის აბრეშუმის საქსოვ დარაზზე; მალე გახდა მოწინავე მუშა. 1931 წელს ქარხნის აღმინისტრაციის მიერ გაეგზავნა მოსკოვში ლენინდელის სახელობის საფეიქრო პროფ. მოძრაობის სკოლაში დამკვრელ ფეიქართა სამთვიან კურსებზე. იგი იგონებს: „პირველად ვფეხლადეთ, რადგან რუსული ენას კარგად არ ვფლობდი. მაფიქრებდა, შეეძლებდი თუ არა იქ სწავლას. მაგრამ ჩვენი თანაყოსელი რუსი გოგონები გულისყურით შეეცდოდნენ, მეხმარებოდნენ ლექციების დაწერასა და მომზადებაში. ზოგადსაგანმანათლებლო საგნებთან ერთად ესწავლობდით სპეციალურ საგნებსაც, კერძოდ, წარმოების რაციონალიზაციას და ორგანიზაციას, ტექნიკურ ნორმებსა, და ბოგკოვან მასალათა ტექნოლოგიას".13 ეთერ მაზანაშვილი აღმინისტრაციის სახელზე გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში აღნიშნავდა: „დიდი მადლიერი ვარ, რომ კურსებზე გამომგზავნეთ, ბევრი რამ არ ვიცოდი, შეიძლება არც ახლა ვიცი, მაგრამ ამ კურსებმა კი მეტად გამათვითცნობიერეს წარმოების ტექნიკურ საქმიანობაში. ბევრი რამ ახალი ვისწავლეთ. მადლიერი ვართ ჩვენი საბჭოთა ქვეყნისა მუშებისათვის მუდამ ზრუნვისა, მუშათა კადრების გამოზრდისათვის". ეთერ მაზანაშვილი გულთბილად იგონებს კურსების გამგეს ზუბოვას, დისახლისს — ნასტია გრომოვას და მოსკოველ ამხანაგ გოგონებს.

რუსეთსა და უკრაინაში სასწავლელად გაგზავნილმა მუშებმა, რუსი და უკრაინელი მუშებისა და სპეციალისტების დახმარებით, გაილრმავეს ცოდნა, შეიძინეს პროფესიული ჩვევა, გამოცდილება და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ წარმატებით განაგრძობდნენ საქმიანობას საწარმოებში. ბევრი მათგანი დაწინაურდა ხელმძღვანელ სამუშაოებზე. მაგალითად, ეთერ მაზანაშვილი, ახალგაზრდა ვლეხი გოგონა, გაგდა მრავალდაზგოსანი პირველი ნოვატორი ქალი, დები ეინოგრადოვების მეთოდის და-

ᲖᲔᲘᲜᲐᲑ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲫᲔ
ᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐᲒᲜᲘᲡ
ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐᲓᲐᲜ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნერგავი თბილისში. 1937 წლიდან იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი მოწვევის დეპუტატი. რვა წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის შრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

პირველი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა საქართველოში ელექტროქიმიური და მეტალურგიული წარმოების განვითარებას, ამასთან დაკავშირებით, სათანადო კადრების მომზადებას, ტექნოლოგიური პროცესების მეცნიერულად დამუშავებასა და დანერგვას. ამ მიზნით რესპუბლიკის განსახორციელებლად საქართველოში საშუალოდ მოიწვია ცნობილი აკადემიკოსი ლ. პისარევესკი, რომელიც ქართველ მეცნიერის პეტრე მელიქიშვილის ყოფილი მოწაფეა იყო. პეტრე მელიქიშვილი დიდი ავტორიტეტით და სიყვარულით სარგებლობდა სტუდენტებსა და ლექტორებს შორის, იგი მათ უზიარებდა თავის მდიდარ ცოდნასა და გამოცდილებას. ბუენბრიეი, ამ გარემოებამ გარკვეული როლი შეასრულა, რომ ლ. პისარევესკი დათანხმებულიყო სამშობლოდ ჩამოსულიყო საყვარელი მასწავლებლის სამშობლოში.

აკადემიკოსი ლ. პისარევესკი და მისი მეუღლე პროფ. მ. როზენბერგი (ქიმიკოსი) დნეპროპეტროვსკედან თბილისში ჩამოვიდნენ 1928 წელს და რამდენიმე წელიწადი დაყვეს საქართველოში. ისინი ეწეოდნენ დიდ მეცნიერულ და პედაგოგიურ მუშაობას, ადგილზე ამზადებდნენ ქართველ და სხვა ეროვნულ კადრებს. გარდა ამისა, ქართველი ქიმიკოსები, პისარევესკის ხელმძღვანელობით, მეცნიერულ-ექსპერიმენტულ მუშაობას ეწეოდნენ დნეპროპეტროვსკის ინსტიტუტში.

აკადემიკოსი პისარევესკი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც მეცნიერება დაუკავშირა წარმოებას და ამ მხრივ დიდი დამსახურება გაუწია საქართველოსაც. 1930 წელს მისი ინიციატივით პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლაბორატორიის ბაზაზე შეიქმნა პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. აქ ფართოდ გაიშალა მუშაობა ქიმიის ახალ პრობლემებზე და ინსტიტუტი გადაიქცა დიდი ქიმიის კერად საქართველოში. ინსტიტუტში აღიზარდნენ ეროვნული კადრები, რომლებიც წარმატებით მუშაობდნენ მრეწველობისა და მეცნიერების სფეროში. ინსტიტუტში მუშაობდნენ დნეპროპეტროვსკის ინსტიტუტიდან მოწვეული აკადემიკოსი ბერეზოვსკაია და სხვები, რომლებიც ერთდროულად ამზადებდნენ ადგილობრივ მეცნიერულ კადრებს, ეხმარებოდნენ ქიმიის მასწავლებლებს კვალიფიკაციის ამაღლებაში. პისარევესკის, როზენბერგმა და სხვებმა მრავალი მაღალკვალიფიციური მეცნიერი აღუზარდეს საქართველოს.

ჩვენს რესპუბლიკაში მძიმე ინდუსტრიის აღორძინების გარიჟრაჟზე, ოცდაათიანი წლების. დასაწყისში, ქ. ზესტაფონში საფუძველი ჩაეყარა ქართული ფეროშენადნობის წარმოებას. ქარხნის მშენებლობის პროცესში ფართოდ გამოვლინდა ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის საუღლისმო მაგალითები. უნდა შევნიშნოთ, რომ მომავალი ქარხნის ინეინრები და მუშა-მეტალურგები უმთავრესად მომზადდნენ რუსეთისა და უკრაინის მეტალურგიულ ქარხნებში. როგორც ერთ-ერთი პირველი მეტალურგი ქართველი ქალი, ინეინერი თამარ ახობაძე გადმოგვაცემს: რუსებმა და უკრაინელებმა ფასდადებული დახმარება აღმოუჩინეს ქართველებს კადრების აღზრდაში, მოწინავე ტექნიკის დაეუფლებაში. ქარხნის ამოშენებისას მონაწილეობას იღებდნენ ჩელიაბინსკედან დაბრუნებული ინეინრები თამარ ახობაძე, პეტრე ჯავახიძე და, მათთან ერთად, 15 მუშა მეტალურგი. ახალგაზრდა ქართველი სპეციალისტები და მუშები დიდად კმაყოფილი დაბრუნდნენ ჩელიაბინსკიდან. ჩელიაბინსკელმა მეტალურგებმა საქართველოს წარგზავნილები მეგობრულად და გულთბილად მიიღეს. გამოცდილი ოსტატები მამობრივ ზრუნვას არ აკლებდნენ მათ, ხელს უწყობდნენ და სწავლისათვის ყველა პირობას უქმნიდნენ. არ იშურებდნენ ენერგიას, ასწავლიდნენ და უხსნიდნენ ყველაფერს, რა ცოდნა და გამოცდილებაც გააჩნდათ. ერთი წელი დაჰყვეს ქართველმა მეტალურგებმა რუს სპეციალისტებთან. მათ გაიარეს სწავლის სრული კურსი, ელექტროლიმელებში კაზმის ჩატვირთვიდან დაწყებული ფეროშენადნობის გამოდნობამდე.

„არასოდეს დავავიწყდება ჩელიაბინსკში გატარებული თვეები, — წერენ თავიანთ მოგონებებში ვეტერანი მეტალურგები: თამარ ახობაძე, რომან მამალაძე და ვლადიმერ გვალია. — ჩვენ რომ გამოცდილ მეტალურგებად ვითვლებთ, უნდა ვემადლოდეთ ჩელიაბინსკის ქარხნის ცელის უფროსებს — ვლასოსა და ვოლკოვს. მათ შეგვასწავლეს მეტალურგის რთული პროფესია. შეგვასწავლეს კაზმის შედგენა, საკაზმე მასალების შერჩევა და სხვა რთული პროცესები“. ჩელიაბინსკის მეტალურგიულ ქარხანაში საწარმოო პრაქტიკაზე მყოფი ჯგუფის ხელმძღვანელი თამარ ახობაძე იგონებს: ჩელიაბინსკში ყოფნის დროს ძალიან დიდ დახმარებას გვიწევდნენ ქარხნის დირექტორი კრასნინი, მთავარი ინეინერი სერგეევი, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები, მუშები და ინეინერ-ტექნიკოსი. დახმარებას და კონსულტაციებს გვიწევდნენ პროფესორი ელიუტინი (ამჟამად საბჭოთა კავშირის უმაღლესი სკოლების მინისტრი), პროფესორი კრამროვი, სუხორუკოვი, შიპულინი და სხვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალში არც ჩვენ ვრჩებოდით. ქარხნის მრავალტრიალითა გაზეთის ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა წერილები ჩვენი მუშების ლორიას, გვალიას, მამალაძის, სვანძიეების და სხვათა თავდადებული შრომის შესახებ.[14]

როიელი საკითხების გადაჭრის დროს რუსი ამხანაგები რჩევა-დარიგებებს აძლევდნენ ქართველ მეგობრებს, ამხნევებდნენ მათ და ა. შ. ერთ დღეს, დილის ცვლაში, ქარხნის ადმინისტრაციის დავალებით ახობაძემ შეცვალა ცვლის უფროსი ეოლოკოები. მთელი დღე მორდომებით მუშაობდა იგი. ცვლამ კარგად ჩაიარა, მაგრამ დასასრულს, ღუმელის თაღს შეეხო ელექტრონის კარტტა და მოხდა მოკლე ჩართვა. მისი განკარგულებით ბელტზე მომუშავემ ელექტროდი ასწია მაღლა, მაგრამ მუდმივი დენი გამორთულიყო, რასაც არ შეუწყდა, ჩვენი თანამემამეკრე წეოთით შეკრთა, შემდეგ შიშს სძლია და ღუმელი გამორთთ. ავარიის ადგილზე ხელმძღვანელობა გაჩნდა, მთ საყვედურის მაგიერ მაღლობით გაამხნევეს ო. ახობაძე".

ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის აგებას, მის ექსპლოატაციაში გაშვებას წინ უსწრებდა დიდების ფერომანგანუმის საცდელი ქარხანა, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის აშენებაში. მის მშენებლობაში და გამოშვებაში დიდი როლი შესრულეს დიდების ქარხანაში მომზადებულმა და გამოწრთობილმა კადრებმა.

დიდების ფერომანგანუმის საცდელ ქარხანას ხელმძღვანელობდა გიორგი ნიკოლაძე. ქარხნის მშენებლობა დაიწყო 1928 წელს და დამთავრდა 1930 წლის ივნისში. განხორციელდა პირველი ცდები. გამოჩეკვება განაპირობა ნიკეერმა ინეინერმა გიორგი ნიკოლაძემ. მან, როგორც მეტალურგმა, პირველი საწარმოო ნათლობა მიიღო ამერიკელი ოუს და უკრაინელ მეტალურგებთან — კუროკოსთან და ბარდინთან ერთად.[15]

გიორგი ნიკოლაძემ ხუთ წელს დაჰყო უკრაინაში და შემდეგ იქ მიღებული მდიდარი გამოცდილება საქართველოში მეტალურგიის აღორძინებასა და განვითარებას მოახმარა.

სწორედ მისი რჩევით ჩასული და მუშაობა დაუწყია იეზოოკას და ლისიჩანსკის ქიმიურ ქარხანაში გამოჩენილ ქართველ მეტალურგს ირაკლი ლორთქიფანიძეს. იმ დროისათვის მასთან ერთად უმუშავნიათ ვანო ბერიძეს, ნიკო შარაშენიძეს და აკაკი ჩხეიძეს.

ეს იყო ქართველი მეტალურგების პირველი ჯგუფი უკრაინაში.

გიორგი ნიკოლაძის გარდაცვლებასთან დაკავშირებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საინტერესო მოგონება გამოუგზავნა აკადემიკოსმა ბარდინმა, სადაც კი მუშაობდა გ. ნიკოლაძე, თავის ირგვლივ ქმნიდა ისეთ ატმოსფეროს, რომელიც ცხოვრებას აკეთილშობილებდა, უფრო შინაარსიანს ხდიდა და მეტ ფასს აძლევდა მას. მისი სახით ჩვენ, მისმა ნაცნობმა. მეტალურგებმა, დავაკვალეთ მაღალი კულტურის, დიდგონებიანი ინეინერი, უანგარო, თავდადებული ყოველივეს იმისათვის, რაც ჩვენს სამშობლოს აძლიერებს. მისი ცხოვრების ეკალი დაანცდა მრავალ ახალგაზრდას, რომელთაც ის ბევრ დროს ანდომებდა".[16]

დიდების საცდელ ქარხანაში წრთობის პირველი სკოლა გაიარეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა ინეინრებმა: ელისაბედ ნაღიბაძემ, თამარ ახობაძემ, ივანე კაკელაძემ, შალვა ფხაკაძემ, პეტრე ჯაჯახიძემ, გრიგოლ შათირაშვილმა, ირაკლი ლორთქფანიძემ, ალექსანდრე ხეინიამ და სხვებმა.

აქ იზრდებოდა და იწრთობოდა არა მარტო ინეინერ-ტექნიკოსთა კადრები, არამედ ჩვენი სახელოვანი მუშებიც, რომლებიც ზესტაფონის ქარხნის გაშვების დროს ელექტროღუმელს მართავდნენ, ესენი იყვნენ: ვალოდია სალაძე, რომან მამალაძე, შალვა ლორია, ლ. ბრეგვაძე, ლევან ნებიერიძე, ვლადიმერ გვალია, ალექსანდრე სვანიძე, რაფიენ საღარეიშვილი, საბა კიკნაძე, მიხეილ ეთმაკიძე და სხვები. დიდების საცდელ ქარხანაში მუშაობდნენ, აგრეთვე, რუსი და უკრაინელი ინეინრები, რომლებიც ცდების პროცესში ეხმარებოდნენ მეტალურგი კადრების აღზრდას.

კადრების მომზადებასა და ქარხნის მშენებლობაში დანერგული მეგობრობა წლების განმავლობაში კიდევ უფრო მტკიცდებოდა. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ ჩელიაბინსკის, ზაპოროჟიეს მეტალურგიულ ქარხნებში სხვადასხვა დროს კვალიფიკაციას იმაღლებდნენ: ელიზბარ დოღონაძე, ონიფანტე თაბეკაშვილი, კუკური ცქიტაშვილი, აკაკი მიწაძე, ალექსანდრე ნებიერიძე და სხვები. ისინი ცოდნით აღჭურვილები დაუბრუნდნენ მშობლიურ ქარხანას, მაღე დამოუკიდებელი მუშაობა დაიწყეს და თვითონ გაზრდეს მრავალი სპეციალისტები.

რუსეთსა და უკრაინაში აღზრდილი ქართველი მეტალურგები შემდგომში პრაქტიკულად ხელს უწყობდნენ აღნიშნულ რესპუბლიკებში მეტალურგიის განვითარებას, კადრების მომზადებას.

იეზოკოკ, ენაკიევოს, მაკეევკის, ტაგანროგის, ზაპოროჟიეს, დონბასის ქარხნებში გამოიზარდნენ: კობახიძე, ყაზარაშვილი, კუხალეიშვილი, გიგიბერია, ფანტულია, მეტოველი, ზარიძე და ასობით სხვა საბჭოთა მეტა-

მზია ზაკარაიძე
მუშათა კლასის მეგობრობის
ისტორიიდან

ლურგის წარჩინებული მუშაკი, რომლითაც ახლა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობენ. 1936 წელს, გამოცდილების გაზიარების მიზნით, ზაპოროჟიეში მიელინებული იყო ზესტაფონის ქარხნის ტექნიკოსი ირტემ ჩიგვაიძე, იგი უკრაინელ მეგობრებთან გაეცნო საკაბმე მასალების მოამზადებასა და ღუმელზე მიწოდების ტექნოლოგიას. ზაპოროჟიელებმა მას თავიანთი გამოცდილებები გაუზიარეს, რჩევა-დარიგება და სპირო ინსტრუქციები მისცეს. 1938 წელს ინჟინერ ბ. ლომთათიძეს ხელმძღვანელობით ზაპოროჟიეში ჩავიდა ზესტაფონელ მუშა-მეტალურგთა ჯგუფი. ჯგუფში შედიოდნენ ბრიგადირები, ხარატები, ზეინკლები: მიხეილ სალარიძე, კლიმენტი დვალი, გრიგოლ კიკნაძე, იონე კუპატაძე და სხვ. ისინი რვა დღეს დარჩნენ და გაეცნენ ახალ მეთოდებს. 1939 წელს ზაპოროჟიეში იმყოფებოდნენ ზესტაფონის ფერროშენადნობია ქარხნის მთავარი ინჟინერი ვლადიერ შელაძე და ზრომის გაზეთფილების უფროსი ბიტტარ რუხაძე. ისინი გაეცნენ ტექნიკურ საახლებს და წარმოებაზე სამეურნეო ხელმძღვანელობის პრაქტიკას. მაკვე წელს ზაპოროჟიეში ზესტაფონიდან ჩავიდა ქარხნის მუშა-მეტალურგთა ჯგუფი ოორმეტი კაცის შემადგენლობით. ხელმოდა პროჟიოოაც, მაგალითად, სხვადასხვა დროს ზაპოროჟიედან ზესტაფონში ჩამოდიოდნენ ინჟინერ-მეტალურგები, მუშა-სპეციალისტები და ქართველი სპეციალისტების გამოცდილებას იზიარებდნენ. ზესტაფონის ქარხანაში იყენენ ზაპოროჟიეს ქარხნის მთავარი ინჟინერი სტრელკოვი, საკვლევო ჯგუფის უფროსი კირინენკო, საამქროს უფროსი ბობკოვი, დირექტორი სერგეენკო და სხვები. იყო შემოხვევები, როდესაც ქართველი მეტალურგები ჩადიოდნენ მოამე რესპუბლიკების ქარხნებში და იქაურ მუშებს თავიანთ გამოცდილებას უზიარებდნენ. ასე, მაგალითად, 1941 წელს ო. ახობაძე, ბ. ტატულაშვილი და ნიკოლაშვილი მიელინებული იყვნენ ქ. კიროვაკანში, რათა კარბიტის ღუმელები გადაეკეთებინათ ფერროსილიციუმის დნობაზე. 1949 წელს ზაპოროჟიეს ქარხანის ო. ახობაძე და იაკოლევსკი, ეფიმარჩოდენი სამეფოდ ნახშირბადიანი ფერროსილიციუმის დნობის დარგებში.

ხალხთა მეგობრობის შედეგი დღეს მძლავრი ფერროშენადნობი ქარხანა ზესტაფონში. იგი ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ობიექტად იქცა მთელ საბჭოთა კავშირში. მისი პროდუქციით მარადდება საბჭოთა კავშირის მრავალი ქარხანა, რომლებიც უშვებენ მაღალხარისხოვან ფოლადს. დღეს ფერროშენადნობის ქარხანას ჰყავს ნაცადი მაღალკვალიფიცირებული კადრი. აქ იმაცდება ახალი შენადნობი. აქ აღიზარდა კადრები, რომლებიც დღეს საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში ეწევიან ნაყოფიერ შრომას. ესენი არიან აკადემიკოსი ო. ალლაძე, პროფესორი ალ. ხეიჩიანი, მეცნიერების კანდიდატები: ზ. ჩხეიძე (ამჟამად კავშირგამბმულობის მინისტრი), ა. არსენაშვილი, ე. უნგიაძე, მ. კეკეა, მ. ცქიტაშვილი და სხვები. ხელმძღვანელი მუშაკები: ივ. კეკელიძე, ჯ. ცხელიშვილი, ს. შარაშენიძე, ვ. მელაძე, პროფ. ალ. კოტლავაშვილი, ლ. ქათამაძე, ზაპოროჟიეს ქარხნის დირექტორი ბოიკევი, აქტიურანსკის ქარხნის დირექტორი სარკოინი აქ დაიცვა სამეცნიერო ხარისხი ფ. ნიკაშუილ, ე. ქინიაშვილმა, შ. გოკირიძემ.

აქ აღიზარდნენ და დავაყენეთ ვ. არაბელი, ვ. კოკოშაშვილი, ნ. ჯაფარიძე, ა. ბოპორიშვილი, ფ. ბოგვერაძე, ს. ლეკვეიშვილი, ალ. მესხი, ი. ცქიტაშვილი, ე. მწარიანიშვილი და სხვები. მათ უპირავთ ქარხნის მართვის საქმე და ქარხანა გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიპყავთ.

ასეთმა ურთიერთობამ შემდგომში ორმხრივი დამხმარებისა და ურთიერთთანამშრომლობის ბასიათი მიიღო. მხარემხარ, შრომასა და სულიერ სიახლოვეში, ჩამოყალიბდა ჩვენი ხალხის ძმობა და მეგობრობა. ერთიანი ძმურ ოჯახში თავიანთი წვლილი შეიტანეს და შეაქვთ საქართველოს მუშებსა და სპეციალისტებს. რომელთა საწილი მომავ რესპუბლიკებში დიეეულნენ თანამედროვე ინდუსტრიულ დარგებს.

შენიშვნები:

1 ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ 8.

2 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 33.

3 საქართველოს ისტორია, ტ. 3, თბ., 1960 წელი. გვ. 88.

4 Партархив Грузинского филиала ИМП при ЦК КПСС, ф. 14, д. 3449, л. 17.

5 საბჭოთა საქართველოს 10 წელი, გვ. 54-55.

6 მელისფა, ფ. 14, აღწ. 1, ს 3447, ფურ. 10.

7 მელისფა, ფ. 20, აღწ. 1, ს 430, ფურ. 3.

8 ჟურნ. „პარტიული მშენებლობა", 1933 წ., № 10, გვ. 27.

9 გაზ. „კომუნისტი", 1942 წლის 12 ოქტომბერი.

10 История Индустриализации Груз. ССР Тб., 1968 г., стр. 195—196.

11 თაგ არქივი, ბრძანების წიგნი № 1, ფ. 7.

12 თაგ არქივი, ბრძანების წიგნი № 2, ფ. 9.

13 ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ფონდი № 333.

14 ო. ახობაძის მოგონება ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ფონდები № 95.

15 გაზ. „ლენინელი", 1967 წლის 28 ოქტომბერი, ქ. ზესტაფონი.

16 გაზ. „ლენინელი", 1967 წ. 28 ოქტომბერი, ქ. ზესტაფონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ შენგელია

გონიერებით და სიკეთით შემკობილი

მედეა და მის სახელთან დაკავშირებული სამყურნალწყლო საშუალებები და სამედიცინო მანიპულაციები, რომელიც cura Mediana-ს სახელით არის ცნობილი, ეძღვნესი კულტურ-იბერიული მედიცინის ერთ-ერთი ძირითადი პირველადი წყარო, თვით კოლხურ-იბერიული მედიცინა კი, თავის მხრივ, მსოფლიო მედიცინის ისტორიის ერთ-ერთი თავფურცელია.

მედიცინის ისტორიის ლონდონის XXIII მსოფლიო კონგრესსზე, ამას წინათ წარდგენილ მოხსენებაში დასაბუთებულია, რომ კოლხურ-იბერიული მედიცინა წარმოადგენს სამედიცინო-ბიოლოგიური აზროვნების თანმიმდევრული განვითარების ერთ-ერთ რგოლს კაცობრიობის ისტორიაში.

მედეაზე ცნობები შემონახულია ბერძნულ-რომაულ წყაროებში, თქმულებების, მხატვრული ნაწარმოებების (პიესები, ლრამები, ტრაგედიები და სხვ.) სახით. აგრეთვე ისტორიულ და გეოგრაფიულ ტრაქტატებში, როგორც ისტორიული სინამდვილე.

თქმულების „არგონავტებზე“ და მედეაზე თანდათან ეცლება მითიურობისა და ლეგენდურობის სბურველი და იგი უძველესი კოლხურ-იბერიული სამყაროს ისტორიულ მოკლენად ისახება, მაგრამ თვით მედეას ტრაგიკული ისტორია მეტისმეტად მრავალფეროვანი ურთერთსაწინააღმდეგო ვარიანტებად არის წარმოდგენილი. ზოგიერთ ავტორთა მიერ იგი ნაჩვენებია ბოროტ, ჯადოქარ, დაუნდობელ, ეტრაგ ადამიანად. ძმისა და შვილების მკვლელად, ზოგ ავტორთა მიხედვით კი იგი მშვენერი, კეთილშობილი, გონიერი, უადრესად ინტელექტუალური ქალია. ამ პრობლემის ცალკეულ საკითხებს სხვადასხვა დროს შეეხნენ გაბოჰენლი ქართველი მეცნიერები და მკვლევარები (პროფ. გრ. წერეთელი, აკად. სვ. ყაუბჩიშვილი, პროფ. აკ. ურუშაძე, პროფ. აკ. გაწერელია, პროფ. ლ. სანიკიძე), მაგრამ, ჩვენ, მ. ბერძენშვილის „მედეას“ შშვენიერი ქანდაკების შექმნასთან დაკავშირებით, საგანგებოდ გვინდა თავი მოვუყაროთ ყველა ხელმისაწვდომად არსებულ ისტორიულ წყაროებს და შევეხოთ მათ, ზოგიერთი ახალი ასპექტებითა და ინტერპრეტაციებით.

მედეას, როგორც ძმისა და შვილების მკვლელს, ევრიგი ქალის სახე, ძირითადად, ევრიპიდეს „მედეადან“ მოდის. ის არის მედეას ასეთი თვისებების პირველადი წყარო.

თუ ევრიპიდესა და იმ ავტორთა მიხედვით (რომელთაც ევრიპიდეს ტრაგედია გამოიყენეს შემდეგში პირველ წყაროდ), მედეამ უღალატა მამას და ეს ღალატი მედეას პიროვნულ თვისებად არის აღიარებული, ადრინდელ ავტორებში სურათი სულ სხვანაირად არის დახატული.

„ნავპაქტიის“ ავტორთან (VIII-VII ს. ძვ. წ.) „მედეა საკუთარი გადაწყვეტილებით კი არ გამოდის (სახლიდან), არამედ **ქერის ღვთაების მოწოდებით**[1] (გვ. 198). **პინდარეს** (532/515-442/433) ცნობითაც ისაონი, რომელსაც „შხაპუნა წვიმისაგან დასაცავად პანთერას ტყავის წამოსასხამი ეცვა“ და „ეოქაცთა შორის ულამაზესი“ იყო, ჩვეულებრივი სიყვარულით კი არ შეპყვარებია მედეას, თითქოს **ჯადოსნური ზემოქმედების ძალით მოხდა ეს სიყვარული**“. აქ, სადღაც, პინდარეს მხრივ მედეასადმი სიმპათიები ივრძნობა, რაც უფრო აშკარად პინდარეს სქოლიონებში ისახება, მისი სქოლიატის მიერ. იგი ამართლებს მედეას მოქმედებას „ჰიმნს ვუმღერ მედეას, — წერს იგი, — რო-

---

1 წყაროები მოგვყავს პროფ. აკ. ურუშაძის პუბლიკაციით, წიგნიდან „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“, თბილისი, 1964 წ.

მელიც თავისი მამის სურვილის წინააღმდეგ გათხოვდა: იგი ბრძენი იყო და მითხოვდა იასონს (ეუმელე), მას, ვინც „არგის მხსნელი და შემწე გახდა: აიეტს ხომ არგონავტების გაქცევა სურდა“ (იქვე, გვ. 216).

როცა მედეა კორინთში ცხოვრობდა იასონთან ერთად, მას დიდი კეთილშობილება გამოუჩენია კორინთელების მიმართ: „მან იხსნა შიშშილით შეიპყრობეული კორინთელები, შესწირა რა მსხვერპლი დემეტრეს და ლემნოსელ ნიმფებს“ (იქვე, გვ. 217).

მედეა, სქოლიატის მიხედვით, ძალზე ჭკვიანად და ტაქტიანად იქცევა. „აქ იგი შეიყვარა ზეუსმა, მაგრამ მედეა ჰერას რისხვას განერიდა და (ზეუსს) არ დაემორჩილა, ამის გამო ჰერა მას შეპირდა, რომ შვილებს უკვდავებს გაუხდიდა“ (იქვე).

ჰეროდოტს მიხედვით (484-425) მედეა ღალატით კი არ გაქცეულა კოლხეთიდან, არამედ მოიტაცეს. ჰეროდოტე წერს თავის „ისტორიაში“ (1 — წ. ᲑᲒ, 3) არგონავტები გრძელი ხომალდით მიადგნენ აიას — კოლხეთს და მდინარე ფაზისს, შეასრულეს ის საქმეები, რის გულისთვისაც მოვიდნენ და **აქედან მეფის ასული მოიტაცეს**, კოლხთა მეფემ ელადაში მოიკქცული გაგზავნა და **მოითხოვა პასუხი მოტაცებისათვის** და ქალაშვილის დაბრუნება (ელინებმა). კი უპასუხეს: როგორც თქვენ არ აგეი ჩვენთან პასუხი არგასცეთ იოს მოტაცებისათვის, ისე არც ჩვენ ვაგებთ (პასუხს) თქვენს წინაშეო (იქვე, გვ. 281).

აიეტი, აქ უბრალოდ თხოულობს თავისი მოტაცებული ქალაშვილის დაბრუნებას და არა შურისგებას მისაგები, როგორც მოღალატისაგან, როგორც ეს შემდეგ მხატვრული ნაწარმოებებია მოცემული.

„არგონავტების თქმულების ევრიპიდეზეული გადმოცემებში არსად არ არის ნათქვამი ის, რომ მედეამ სამშობლოს ღალატი“ (პროფ. აკ. ურუშაძე, იხ. დასახ. წიგნი, გვ. 38).

მედეა უადრესად კეთილი, მოწყალე, კაცთმოყვარე ადამიანია. დიოდორი სიცილიელის (I ს. ძვ. წ.) გადმოცემითაც: „იგი ხან ხვეწნით და ალერსით გამოსთხოვდა მამას სასიკეთილოდ განწირულთა შეწყალებას, ხან კი თვითონ უშვებდა მათ საპყრობილეთაგან და ზრუნავდა განსაცდელში ჩავარდნილთა უმშვოობაზე. საქმე ის იყო, რომ აიეტი, ნაწილობრივ საკუთარი შეუპრალებლობის გამო, ნაწილობრივ კი ცოლის, ჰეკატეს შეგონებით იცავდა უცხოელთა მოკვლის ადათს, ვინაიდან მედეა სულ უფრო და უფრო მეტად ეწინააღმდეგებოდა მშობლების ზრახვას, ამბობენ, აიეტმა ეჭვი მიიტანა ქალაშვილისაგან მოსალოდნელ შეთქმულებაზე და იგი თავისუფალი ზედამხედველობის ქვეშ დაყვანა, მაგრამ მედეა გიჟქცა და თავი შეაფარა ზღვის პირად მდებარე ჰელიოსის ტერ ᲬᲜᲔᲚᲘᲡ ადგილს“ (იქვე, გვ. 389), როგორც ჩანს, მედეა მამას სურინოზულ ზიცაცაში“ უდავს მამის, ანუ კოლხეთის ხალხთა ფოს სიმკაცრეს და იბრძვის უცხოელთა სიკეთილით დასჯის წინააღმდეგ, პატმრობა საპყრობილედან გათავისუფლებაზე, განსაცდელში ჩავარდნილთა დახსნისათვის და სხვა. რისთვისაც საკმაოდ მკაცრ რეპრესიებსაც განიცდის. იმდენად მკაცრს, რომ აუტანელი გამხდარა მისთვის სამეფო ქალაქში ყოფნა და თავისუფალი თავშესაფარი სხვაგან უძებნია. უკვე საბერძნეთში პელიასის სამფლობელოში მყოფი მედეა თვითონვე უყვება „არგონავტებს“ დიოდორ სიცილიელის თქმით, თავის შესახებ, რომ მას არასოდეს არ გამოუყენებია საწამლაგები და შხამები ადამიანთა დასაღუპავად: „მედეამ (თქვა) რომ თან მოაქვს მრავალი საოცარი ძალის წამალი აღმორჩენილი დედის ჰეკატეს და დის კირკეს შემწეობით, რომ **ᲬᲘᲜ ᲔᲡ ᲬᲐᲛᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲧᲣᲤᲔᲑᲘᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲦᲣᲞᲐᲓ**, ახლა კი მათ სანუშაულებით, აღვიდოდ მიეწევას სამაგიეროს შურისძიების ღირსთ“ და ა. შ. (იქვე, გვ. 399).

მედეამ და იასონმა 10 წელიწადი იცხოვრეს კორინთაში „ამ ხნის განმავლობაში მედეა ქმრისადმი ღიდი პატივისცემით სარგებლობდა არა მარტო იმის წყალობით, **რომ მშვენიერებით გამოირჩეოდა**, არამედ იმიტომაც, **რომ გონიერებით და სხვა მრავალი სიკეთით იყო შემკობილი**“ — წერს კვლავ დიოდორ სიცილელი.

დ. სიცილიელი ევრიპიდეს შემდგომი ავტორია, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი ევრიპიდეს ტრაგედიის გაფეკნით არ გადმოსცემს მედეას ამბავს, ის არ მიიჩნია მან სარწმუნოდ, სინამდვილედ და აღრინდელი ავტორების პირველად წყაროებს დაეყრდნო. ამიტომაც, თუ ევრიპიდეს მხატვრულ შემოქმედებაში მედეა ძმისა და შვილების მკვლელია, ცბიერი და ვერაგი ქალია. დ. სიცილელის ისტორიულ ტრაქტატებში (რაც ყოველთას უფრო სარწმუნოა) „იგი მშვენიერებით, გონიერებით და სიკეთით შემკობილი“ ქალია. ძმისა და შვილების მკვლელობასაც უარყოფენ მთელი რიგი ავტორები, პირველადი აღრინდელი წყაროები.

ფერეკიდე (V ს. ძვ. წ.) თავისი „თეოგონიის“ VII წიგნში (32/72) წერს, რომ აფსირტე (მეფეს ძმა — მ. შ.) **„მოკლულ იქნა... ზოგიერთთა მიხედვით მედეას მიერ, ზოგიერთთა მიხედვით კი არგონავტების მიერ.** რიტორი ლეონი (გადმოგვეცემს) რომ (აფსირტე) კი არ დაუალავთ, არამედ საწამლავით მოსპესო“ (იქვე, გვ. 255). ოვიდიუსის XII ეპისტოლეს მიხედვით, რომელიც მითის აღრინდელ გარიანტებს ემყარება, მედეამ აფსირტე თან წაიყვანა „არგონავტებთან“ ერთად, **არა მოსაკლავად, ღალატით, არამედ** ძმის განსაკუთრებული სიყვარულის გამო — ის ვერ შეელი მის კოლ-

ხეოში დატოვებას ე. ი. მედეა არც ძმის მკვლელია ადრინდელ წყაროებში. შვილების მოკვლის ბრალდება კი მხოლოდ და მხოლოდ ევრიპიდეს ტრაგედიის შემდეგ გავრცელდა ზოგიერთ ავტორთა შორის, ძირითადად კი ავტორთა უმრავლესობა კატეგორიულად უარყოფს მას.

დიდიმოსი — ძვ. წ. I საუკუნის ადრინდელი გრამატიკოსი და კომენტატორი, გადმოგვცემს ჰომეროსის (X ს. ძვ. წ.) თანამედროვის, პოეტის კრეოფილეს სამოსელის ნაწარმოების შინაარსს და წერს: რომ „კრეოფილეს შემდეგნაირად ჰქონია... კორინთაში მცხოვრებმა მედეამ ქალაქის მაშინდელი გამგებელი კრონტი საწმალავთ მოკლა, მაგრამ რაკი მისი მეგობრებისა და ნათესავების შეეშინდა, ათენში გაიქცა: ვაჟები კი ვინაიდან ბალღები იყვნენ და გაყოლა ვერ შეძლეს, ავრეკეს ჰერას (რომელიც ადრე შვილების უკადაგებს შეპპირდა მედეას — მ. შ.) **საკუთრიველთან გაგზავნა, იმ ვარაუდით, რომ მათი მამა მათ ხსნაზე იზრუნებდა,** მაგრამ **კრეონტის შინაურებმა ისინი დახოცეს და ხმა გაავრცელეს რომ მედეამ** არა მარტო კრეონტი, არამედ საკუთარი შვილებიც მოკლა“ (იქვე, გვ. 185). მეტად საინტერესოა ევრიპიდეს შემდგომი პერიოდის ძვ. წ. II ს. ალექსანდრიელი მწერლის არისტოფანე გრამატიკოსის ცნობა, **რომ „მითო“** მედეას მიერ შვილების **დახოცვის** არე ერთ სხვა მწერალთან (ე. ი. ევრიპიდეზე ადრინდელთან — მ. შ.) **არ** მოიპოვება. „მედეამ იაზონისადმი ზიზღის გამო, ვინაიდან მან შეირთო კრონტის ასული, მოკლა (პატარძალი), კრონტი და დახოცა **საკუთარი** შვილებიც, მერე მოშორდა იაზონს და იწყო **ეგეოსთან** ცხოვრება. **ეს მითი სხვა (მწერალთან) არ მოიპოვება“** (იქვე, გვ. 238). საოცარ ცნობას იძლევა, თვით ევრიპიდეს (480-406) თანამედროვე მწერალი **ჰელანიკე მიტილენელი** (480-395 ძვ. წ.) თავის „დეკალიონიაში“ (133/34) იგი წერს: „ფილოსოფოსებმა მეტად გავრცელებული ერთი ამბავი, **რომელსაც** პარმენისკეც გადმოგვცემს: ევრიპიდემ თითქოს კორინთელებისგან ხუთი ტალანტი აიღო და **ბავშვების დაკვლა მედეას გადააბრალა, მედეას ბავშვები კი მოკლეს კორინთელებმა,** რომლებიც აღშფოთებულები იყვნენ იმით, **რომ** (მედეას) მეფობა უნდოდა, ვინაიდან კორინთა მისი მამისეული ხვედრი იყო“ (იქვე, გვ. 277).

ძნელია იმის თქმა, ნამდვილად მიიღო, თუ **არა** ეს ქრთამი ევრიპიდემ მედეას ცილისწამებისათვის, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ევრიპიდეს თანამედროვეებში იმდენად დაუჯერებელი იყო მედეას მიერ შვილების მკვლელობის ამბავი და იმდენად აშკარა ყოფილა (უთუოდ არსებული პირველადი წყაროებით) კორინთელების მიერ მათი დახოცვა, რომ ევრიპიდე თვით გამზადარა მათ დაცინვისა **და გაგ**ლეკლის საკანა, სიცოცხლისათვის, ისტორიული სინამდვილის გაუკუღმართებისათვის.

აპოლოდორე (II ს. ძვ. წ.) თავისი „ბიბლიოთეკის“ პირველ წიგნში, ყველა რა იაზონის დალატისა და მედეას შურისძიების ამბავს კროვნესის და ვლაკვეს (იაზონის ახალი საცოლის) მიმართ, ორივე ვარიანტს გადმოსცემს „...გარდა ამისა (მედეამ) მოკლა შვილები — მერმეროსი და ფერეტი, რომლებიც იაზონისაგან ჰყავდა“, მაგრამ იქვე ამბობს: „ამბობენ იმასაც, რომ ლტოლვილმა მედეამ ჯერ კიდევ უსუფრო ბავშვები დატოვა, დასვა რა ისინი ავრეკილი ჰერას[2] საკურთხეველთან, ვითარცა მაცდურებელნი: **კორინთელებმა წამოიყარეს ისინი იქიდან და ერთიანად აკუწეს“.**

აპოლოდორე კრიტიკულად არ მიუდგა წყაროებს და ორივე მოსაზრება გადმოსცა ამ საკითხებზე, ერთი ევრიპიდეს ტრაგედიიდან და მეორე ადრინდელი წყაროებიდან მომდინარე.

დიდია მხატვრული შემოქმედების, დრამის, ტრაგედიის ზეგავლენის ძალა, მისი გავრცელების დიაპაზონი. ევრიპიდეს ტრაგედია ხომ გენიალური ქმნილებაა, რომელიც მსოფლიოს უაზრავ ენაზე ითარგმნა, მსოფლიოს უძმავ თეატრში დაიდგა. ტრაგედიის ძირითადი მოტივი, რომლითაც ის მართლაც ვენიალურ ტრაგედიად იქცა, მედეას შურისძიება და ბავშვების დახოცვის ამბავია. ამიტომაც, სრულიად ბუნებრივია, რომ საუკუნეების განმავლობაში მტკიცედ დამკვიდრებულიყო კაცობრიობის შემეცნებაში მედეა — როგორც მოღალატე, ვერაგი, ძმისა და შვილების ჰკვლელი. მაგრამ ჭეშმარიტება ყოველთვის თავს იჩენს, საუკუნეების შემდეგაც კი — ჰპვსანია (II ს. ახ. წ.) 6 საუკუნონ არის დაშორებული ევრიპიდეს ეპოქას, ე. ი. 6 საუკუნე ვრცელდებოდა ეს ცილისწამება მსოფლიოში, ევრიპიდედან — ჰპვსანამდე. მაგრამ, როგორც მისი „ელადის აღწერილობის“ II წიგნიდან ირკვევა, ჭეშმარიტება დავიწყებას მაინც არ მიუცია ქალთა მსვლელობას, თვით ევრიპიდეს სამშობლოშიც კი. იგი საინტერესო ცნობებს გვაწვდის: „მოედნიდან მეორე (გზით) სიკიონისაკენ მომავალთათვის ფასანიაზეა შემდეგი: გზის მარჯენივ არის ტაძარი და სპილენძის ქანდაკება აპოლონისა, ხოლო ოდნავ მოშორებით ე. წ. გლაკეას წყარო, როგორც ამბობენ, მასში ჩაყარეა გლაკეა. ნათელია რა ეს წყალი მედეას შხამისაგან განმკურნავ საშუალებად, ამ წყაროს ზემოთ აგებულია ე. წ. ოდეონი, მის გვე-

---

2 პელასგიდი ღმერთქალი, ზეკსის მეუღლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რდთ კი ძეგლია მედეას ბავშვებისა. მათი სახელებია: მერმეროსი და ფერეტი. ამბობენ, რომ ისინი კორინთელებმა ჩაეკვეხეს იმ სანუქართა გამო, რომლებიც გადმოცემის თანახმად მათ გლოვაკას მიუტანეს. რაკი სიკვდილი ძალდატანებით და უსამართლო იყო. **იმათი (მედეას ბავშვების) მიზეზით კორინთელებს შვილები ჩვილობაში ეხოცებოდათ,** სანამ (ჩაქოლილ) **ბავშვებს ღვთისმოსნობით ყოველწლიური მსხვერპლშეწირვა არ დაუწყეს. და „საშინელებმა“ ქანდაკება არ აღმართეს, ეს ქანდაკება ჩვენ დრამდეა შემონახული** და წარმოადგენს ქალს უსაშინელეს სახეს, როცა რომაელებმა კორინთი აიოხრეს და ძველი კორინთელები ამოწყდნენ, ახალმოშენებებმა (ჩაქოლილ ბავშვებს) ის მსხვერპლშეწირვები აღარ აღუდგინეს, მათი ბავშვები ომის ალარ იკრეფენ და არც შავ სამოსს ატარებენ“ (იქვე, გვ. 455).

მაშასადამე, კორინთელებს დიდ ცოდვად აწევთ მედეას ტრაგედია, საუკუნეების განმავლობაში ინანებდნენ ისინი უმანკო ბავშვების ცოდვას, ძეგლებიც კი აუგიათ „ძალდატანებით და უსამართლოდ“ ჩაქოლილი ბავშვების სახელზე.

ყოველწლიური მსხვერპლშეწირვა ჰქონიათ საუკუნეების განმავლობაში კორინთელებს, თავიანთი ცოდვების მოსანანებლად. რა უფლება გვაქვს არ დავუჯეროთ ავტორს, რომელიც თავის ისტორიას, საკუთარი თვალით დანახულ „აღწერილობას“, ტოპონიმიკით, მაშინ არსებული მატერიალური კულტურის ძეგლებით (ქანდაკებებთან), საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებულ მაგიურ-რელიგიური რიტუალების აღწერით განმტკიცებს. ყოველივე ეს კი იურიდიული ენით რომ ვთქვათ, სინამდვილის, ქუმშარიტების, დასაბუთებაა ნიფიერი მტკიცებათა ღონეზე.

დიოდორე სიცილიელს მოთხრობილი, რომელიც ზოგიერთ ავტორთა ცნობებს იმეორებს, თითქოს კრეონტის ძეს — ჰიპოტეს გამოუწვევია მედეა კვლავ კორინთში — გაუსამართლებია და **„ბრალდებითაგან“ გაუთავისუფლებია“** (გვ. 407). ეფიქრობთ, ამ მონათხრობშიც კორინთელთა გვიანდელი მონანიება გამოსჭვივის, მედეას მამაში ჩადენილი დანაშაულისა და ცილისწამების საბოლოოდ. საბოლოოდ, დიოდორ სიცილიელი კორინთელებთან ერთად **იაზონს** თვლის მედეასა და მისი შვილების უშედეგებაში დამნაშავედ. იგი წერს: „შვილებისა და ცოლის ეგზომ აღკვეცილი იაზონი **ყველამ სამართლიანად დასჯილად მიიჩნია,** ამიტომ ვერ იატანა უბედურება და საკუთარი ნებით გამოესალმა წუთისოფელს“ (იქვე, გვ. 406).

საინტერესო დაკვირვება აქვს **ი. ვ. ოტკუშნიკოვს.**[3] ის, განიხილავს რა ათენის ხელოვნურ პოლიტიკას ევრიპიდეს ტრაგედიის „მედეას“ შექმნის პერიოდში (438-431), ასკვნის, რომ „მედეას სიუჟეტური განვითარება, თვით მედეას პიროვნების მჩატეტრული ასახვა ტრაგედიაში გვისაზღვრა ათენისა და კორინთოს მახინჯოვან პოლიტიკურმა ურთიერთობებმა სამხერი და დიპლომატიურმა დაძაბულობამ ამ ორ ბერძნულ სახელმწიფოებს შორის.

431 წელს უნდა დაუკუბეულიყო ომი ათენსა და კორინთს შორის—ათენში სამხერო პარტია ისწრაფვოდა ომისაკენ, მაგრამ მას ოლიგარქიაში უდგას ზოგიერთი ათენელი და მათ შორის, როგორც ირკვევა, თვით ევრიპიდეც. ამ ხანებში იწერება და იდგმება კიდეც „მედეა“. ევრიპიდე ცდილობს შეანელოს დაძაბულობა ათენსა და კორინთს შორის, ამიტომაც თავის ტრაგედიაში მან „მოუხსნა“ კორინთელს საუკუნოვანი ბრალდება მედეას შვილების მკვლელობისა და თვით მედეას გადაბრალა იგი. ი. ვ. ოტკუშნიკოვი თვლის, რომ ზემოხსენებული ცნობა ჰელანიკ მატლელელისა, ევრიპიდეს ფულადი ქრთამით მოსყიდვის შესახებ, ის სამხერო რეაქციული ძალების მოგონილი ჭორია, რომელიც ევრიპიდეს თვლის მათთან ობოზიციაში მყოფ ფ. და მის ტრაგედიას კი „არაპატრიოტულ“ ნაწარმოებად. ი. ვ. ოტკუშნიკოვის დაკვირვებით ევრიპიდეს ტენდენციები კორინთელებისადმი და მისი შემარგებლობის პოლიტიკა ტრაგედიის სხვა პასაჟებშიც მეღვნება:

«Благожелательное отношение к Коринфу в то время когда военная партия в Афинах всячески стремилась разжечь в гражданах ненависть к этому городу, не могло в 431 г. означать ничего иного, кроме стремления к мирному урегулированию конфликта. Характерен также и тот факт, что образы Коринфян в «Медее» даны в довольно мягких тонах, хотя самое положение Креонта и его дочери в драматическом конфликте трагедии давало поэту полную возможность изобразить их в резко отрицательном свете» (стр. 44).

ევრიპი, ათენის მეფე, რომელიც ტრაგედიის მიხედვით კორინთში ჩამოვიდა — თემეს ტაძარში საღოცავად „რათა ჰპოვოს სახსარი უშვილობისა“ მედეასთან საუბარში თავს იკავებს კორინთელებისა და მათი მმართველის კრეონტის ძაებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ მას თანაგრძნობაც უნდა გაეწია მედეასთვის —

---

[3] იხ. ეკრნ. «Вестник древней истории» № 1 (63) М., 1958 г.— «Внешняя политика Афона 438—431 гг.», стр. 44—51.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრეოტინისა და მისი ქალაშვილის მისადმი მოდელატური მოქცევის გამო. ესეც ი. ოტკუშაიოვის აზრით, გამოწვეულია იმით, რომ ევრიპიდეს არ უნდა გამწესებდეს მდგომარეობა ათენსა და კორინთს შორის. გარდა ამისა, ევრიპიდემ ეგეოსს მეფეა წაადგინა ათენში არა იმიტომ, რომ შეეცოდა კორინთიდან გაძევებული და თავშესაფარი მიეცა, არამედ პირადი სარგებლობის მიზნით, რომ „უმკურნალოს მას უშვილობისა გამო“ (გ. 46).

ამგვარად, თუ ევრიპიდე, ერთის მხრივ, გვეკითხება პროგრესულ, ჰუმანურ მოაზროვნედ, ორი ბერძნული სახელმწიფოს — ათენისა და კორინთის დამოკიდებულების საკითხში, მეორეს მხრივ, შეებრალებელი, ცილისწამებლური დამოკიდებულება გამოიჩინა ისტორიული მოვლენებისა და თვით მეფის მიმართ — თიოქოს სწორედ ამ ორ ქალაქ — სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გაუჯობესების საარგებლოდ, მათი დაძაბული სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის შენელების მსხვერპლად. მეფეს ისტორიის ასეთი ინტერპრეტაციისთვის თავის ტრაგედიაში ევრიპიდეს, როგორც ირკვევა, ხელს უწყობდა აგრეთვე თავისი პირადი, შინაგანი ფსიქოლოგიური განწყობილებები, საერთოდ ქალების მიმართ და უფრო პიესის მხატვრული, დაძაბული სიუჟეტის, ტრაგიკული პასაჟების შექმნის სურვილი.

პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, უკეთეს რა შინაარსობრივ ანალიზს „მედეას“ და ახასიათებს ტრაგედიის ცალკეულ პერსონაჟებს, წერს: „თანამედროვე ქალს საჭიდაო კიდეც ევრიპიდე, რომელსაც უსაყვედურებდნენ, საზიზღარ ბორბოქმედებას ჩაადენინებს ხოლმე ქალსო. ასე, მაგალითად, არისტოფანეს „კომედიაში „თესმოფორიაძესებრ“ ერთი ქალი უჩივის ევრიპიდეს, იმან ისე გალანძღა და ლაფში ამოსვარა ქალები, რომ ქმრები, თეატრიდან დაბრუნების შემდეგ ეჭვით აღსავსენი მივარდებიან ხოლმე თავიანთ ცოლებს და ათასნაირ ბორბოქმედებაში სდებენ ბრალსო.

ჩვენ არ გვაინტერესებს, რომ ასეთი მსგავსი ევრიპიდეს შემოქმედებაზე მომდინარეობს არისტოფანესგან, მაგრამ, კომედიის მიერ ასეთი გალაშქრება მოწმობს იმას, თუ რა რეალისტურად ესმოდათ თანამედროვე ქალებს ევრიპიდეს მიერ ასახული ტიპები“ (ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, I ნ., ბაკოლი, 1950 წ., გვ. 343).

ევრიპიდეს მისი მეორე ტრაგედია „იპოლიტი“, რომელიც ოლიმპიადაზე ჰქონდა წარდგენილი, საზოგადოებამ დაუწუნა და დიდი ტრაგიკოსი დამარცხებულად იქნა ცნობილი, საზოგადოებას არ მოეწონა „უსირცხელო და უნამუსო დედოფლის ასახვა“. ევრიპიდე „იტალებული ბრალდებიდან ბიესი, ტრაგედიის მთავარი გმირი ქალი — ფედრა გამოეყვანა „უაღრესად ნამუსიან“ ქალად, „კეთილშობილი და მაღალი ზნეობის ადამიანად“, ამის შემდეგ კი — 428 წელს ოლიმპიადის მეოთხე წელს ევრიპიდემ პირველი ჯილდო მიიღო. აღსანიშნავია, რომ თვით „მედეაც“ წარდგენილი იყო ოლიმპიადის პირველ წელს, მაგრამ მხოლოდ მესამე, უკანასკნელი ადგილ დასაკუთრი (იქვე, გვ. 339).

ეფიკრობთ, ასეთი ძლიერი ტრაგედიის ეს „ბარტხი“ გამოწვეული უნდა იყოს იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც საერთოდ დაიწუნეს „იპოლიტი“ — უსაზღვრო ბორტტი და შურისმაძიებელი ქალების ასახვა. მაგრამ, აკ საზოგადოებამ თუ მაინც დათმო — მოლად მაინც არ დაიწუნა და მესამე ჯილდო გაიმეტა, უთუოდ იმიტომ, რომ მედეა არ არის ბერძენი. იგი „ბარბაროსთა“ ქვეყნის წარმომადგენელია, რაც ტრაგედიაში არაერთგზის ანაა მინიშნებული და არაბერძნის (მედეას) „მსხვერპლად“ გაწირვა ბორტტებისა და შურისძიების შემომქმედად, უფრო ადვილი იყო ვინმე, ფედრასი — ბერძნის ქალის — ისიც დედოფლის.

„უცხოური წარმომავლობის ადამიანს ბერძნები ქედმაღლურად უყურებდნენ, — წერს პროფ. აკ. ურუშაძე, — და თავიანთი მაღალი კულტურით უპირისპირდებოდნენ ყველა სხვა, ვითომდაც ბარბაროსულ ტომებს. მართალია, ევრიპიდესთან მედეა ძლიერი და მტაცეკ ხასიათის პიროვნებაა, მაგრამ, მისი ვნებები მის გონებაზე უძლიერესია, ამიტომ უსეამს ხშირად ხაზს ევრიპიდე მედეას ბარბაროსულ წარმოშობას, რაც ძლიერ პიროვნებისაც კი შეცდომებისა და ბორბოტმოქმედებისაკენ მიაქანებს“ (პროფ. აკ. ურუშაძე, დასახ. წიგნი, გვ. 39). პროფ. აკ. ურუშაძის თქმით, ევრიპიდემ მედეას შურისძიებას შემაძრწუნებელი ხასიათი მისცა, ძირითადად ტრაგიკული ელიზიის გამძაფრებისათვის. შვილების დახოცვა ბერძნულ თქმულებებში საკმაოდ გავრცელებული მოტივი ყოფილა (პროკნეს მიერ იტისის მოკვლა, ჰერაკლეს მიერ შვილების დახოცვა და სხვ.), რამაც უთუოდ გაიღვნა მოახლინა ევრიპიდეზედაც, გამოეყენებინა ეს მოტივი თავის ტრაგედიაში (იქვე, გვ. 38).

პროფ. ლ. სანიკიძე,[4] ეყრდნობა რა არსებულ წყაროებს, წერს: „ევრიპიდემ თავისი „მხატვრული კონცეფციის კრედოდ, ქალის ბუ-

4 იხ. ჟურნ. „საქართველოს ქალი“, № 12, 1968 წ., „ამბავი პირველი ქართველი ქალისა“.

ნების გახსნა აირჩია, ყველა მისი ტრაგედიის მთავარი გმირები ქარაშხლიანი ემოციების მქონე ქალები არიან. მთა არ იცის საზღვარი არც სიყვარულში და არც სიძულვილში. ეკრიპიდეს ქალთა ტიპები განსაკუთრებით მძვინვარე და აგრესიულნი არიან შურისმაძიების დროს. ეკრიპიდეს აოქმეენა ერთ თავის გმირ ქალს: „არაფერს ისე სრულყოფილად და დახვეწილად არ აკეთებენ ქალები, როგორც ბოროტებასო“. ან კიდევ — „ათას იდეალურ ქალს ერთი მახინჯი მამაკაცი სჯობიაო“ (იქვე). ამიტომაც სიცოცხლეშივე აუმხედრდნენ ეკრიპიდეს თურმე ქალები: „წყარიანი დაბეჯითებით გადმოგვცემენ დიდი ტრაგიკოსის სიკვდილის ორ ვარიანტს: „ეკრიპიდეს ერთ ღღეს ქალები დაესივნენენ და სულ ნაკუწუნად აქციესო“ და ქალებმა „ცოფიანნი ძაღლები მიუსივნეს და დაგლეჯინესო“. ერთი სიტყვით, ქალებმა სასტიკად გადაუხადეს მათი ძაგების დიდ მესაყვირეს“ (იქვე).

ამ წყაროებზე პირდაპირი დაყრდნობა და დაბეჯითებით თქმა: რომ მართლა აქციეს ქალებმა „ნაკუწუნად“ იგი, თუ „ძაღლებს დაგლეჯინეს“, ანელია, მაგრამ, აქედან ერთი რამ ცხადია, ეკრიპიდეს დიდი სიძულვილი გამოუწვევია თანამედროვეთა შორის, თავისი მიზნიგენური ტენდენციებისა და მედეასადმი ცილისწამების გამო.

ამგვარად, ეკრიპიდეს თავისი ქვეყნის პოლიტიკურ და პატრიოტულ ვითარებათა გარეა, თავის „ქალთმოძულეური“ მიზნიგენური განწყობილებებიც ამოძრავებდა, საერთოდ, ქალთა და, კერძოდ, მედეას მიმართ, ამიტომ ასე მხატვრულად, მძაფრ, დამაჯერებელ ფერებში გამოიყვანა მედეა, მან ძმისა და შვილების მკვლელად.

უფრესად საინტერესო დაკვირვება მოახდინა პროფ. აკ. გაწურელიამ გენიალური იტალიელი პოეტის დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ ცალკეულ ტერკინებზე („დანტე და პრეისტორიული საქართველო“ — გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ № 21, 22 მაისი, 1970 წ.).

მართალია, დანტეს პოემა XIII საუკუნის ქმნილებაა, და თვით მედეას ეპოქას და ანტიკურ სამყაროს დიდად არის დაშორებული, მაგრამ პროფ. აკ. გაწურელია აქ განიხილავს ანტიკური პერიოდის იმ წყაროებსაც (კლავდიუს ელიანუსი, პაუსანია, აპ. როდელელი, პარმენისკე, ჰომეროსი, ევრგილიუსი, ჰორაციუსი, პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი, სენეკა და სხვა), რომლითაც შეეძლო ესარგებლა გენიალურ იტალიელ პოეტს. მეორეს მხრივ, მეტად საინტერესოა თვით დანტეს პოზიცია მედეას ცხოვრების ტრაგედიის მიმართ. მან თავისი გენიალური ჭვრეტით და დიდი პოეტური ინტუიციით განსაჯა ყოველივე. იგი ამორალურად [illegible] დეას, ჩანს შეგრძნებულად ეკრიდნობოდა ეკრიპიდეზე ადრინდელ წყაროებს და მედეას არ მიიჩნევდა ძმისა და შვილების მკვლელად. ამიტომაც თავის „ღვთაებრივ კომედიაში“ დანტე მედეას სამოთხეში აყენებს, იაზონს კი — ჯოჯოხეთში: „დანტე ალიგიერის პოეტერ პასაჟებს ის მნიშვნელობა აქვთ, — წერს პროფ. აკ. გაწურელია, — რომ ისინი მედეას ამართლებენ, უბედურ ქალად მიიჩნევენ, ხოლო იაზონი ჯოჯოხეთში ისჯება კოლხელი ქალის წინაშე „შეცოდების გამო“. „კომედიაშიო“ უკეთგდებული ყოველგვარი ცილისწამება მედეაზე... დანტე იაზონისადმი... სასტიკი და ულმობელია. ერთი სიტყვით. კოლხეთის სიმდიდრის წარმტაცებელი ცბიერი, ვერაგი იაზონი ჯოჯოხეთში ტანჯებაა და იქედან თავის დახსნა არ უწერია: დიდი ფლორენციელის კალამმა სამართლისოდ მოათავსა იგი ინფერნოს ჯურღმულებში“.

თუ მედეას წარმოვიდგენთ არა ისტორიულ პიროვნებად, ევრიპიდეს ტრაგედიის მოგონილ პერსონაჟად და მედეაზე მიწერილ ბოროტებებს ბის მხატვრულ სახეს პიესაში განვიხილავთ წმინდა მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით, მეტად კომპეტენტურ ავტორებს, იგი არ მიიჩნიათ მაინც უარყოფით, ბოროტ პერსონაჟად, მოცელ მისი პიროვნული ღირსებებისა და შურისძიების მიზეზთა გათვალისწინებით და შეკრებით.

პროფ. ს. ყაუხჩიშვილი წერს: „ევრიპიდემ დიდის ოსტატობით დაგვიანტა **ღრმად-ბერძნობიარე და ძლიერი ნებისყოფის პიროვნება,** თითქოს ინსოვის ანიან გამოყვანილი თვითმოყვარე ეგოისტი იაზონი, უფერული კრეონტი და უნიათო კორინთელი ქალები, რომ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს **შვილების ნაზად მოყვარული** და მოღალატე ქმრის უსაზღვროდ მძაღელ, **მეფეას შეუფერებელი პიროვნება**“ (იქვე, გვ. 342) ან კიდევ „მიუხედავად ასეთი მსჯავრისა და მიუხედავად ისა, რომ ევრიპიდემ საზიზღარი ბოროტმოქმედება ჩაადენინა მედეას, **ეს უკანასკნელი მაინც ხიბლავს მაყურებელს თავისი ტანჯული პიროვნების მთლიანობით და ხასიათის სიმტკიცით**“ (იქვე, გვ. 343), მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ ისა, რომ მედეა ისტორიულ პიროვნებად არის მინნეული და წარმომადგენელია ამყმადიც არსებული ერის, ქართველი ერის, და მისი უძველესი კულტურის რეალური ისტორიის ბრწყინვალე „პერსონაჟია“ და არა მხოლოდ მხატვრული მითიური პიროვნება, მაშინ აშკარა გახდება ისის აუცილებლობა, **რომ** მედეაზე არსებულ უამრავ ისტორიულ და მხატვრულ წყაროში გაირკვეს, **რა** არის ისტორიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი და მითიური. თუ ევრიპიდეს გენიალურ ტრაგედიაში, იგი მიუზედავად ჩადენილი საშინელი ბოროტებისა, მაინც აისახა „ღრმად მგრძნობიარე და ძლიერი ნებისყოფის პიროვნებად", რომელიც თითქოს ხიბლავს მაყურებელსა და მკითხველს „თავისი ტანჯული პიროვნების მთლიანობით და ხასიათის სიმტკიცით", ვიმეორებთ, ეს მხოლოდ წმინდა მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით, თეატრალური თუ დრამატურგიული ხელოვნების თეორიული პოზიციებიდან — ისტორიაში კი — ყველა ქვეყნის და ერის ხალხთა უდიდესი ნაწილის შემეცნებაში, იგი მაინც უპირველესად მოღალატის, ძმისა და შვილების მკვლელის საშინელი ბრალდებით არის აღქმული.

1967 წელს მოხდა ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმის საზეიმო გახსნა. ამ მუზეუმის ექსპოზიციაში უპირველესი ადგილი უჭირავს cura Mediana-ზე შექმნილ ექსპონატებს — ლადო გუდიაშვილის მხატვრულ ტილოებს და აი, მუზეუმის ქართველმა დამთვალიერებელმაც თავისი „შვენიერებით და სიკეთით შემკული" წინაპარი, ევრიპიდეს „მედეას" გაველინთ კვლავ ძმისა და შვილების მკვლელად აღიქვა და მასზედ შექმნილ ექსპონატებს სიამაყისა და ამაყოფილების ნაცვლად, საეჭვო სიმპატიით უყურებდა.

ამიტომაც განუსაზღვრელია მერაბ ბერძენიშვილის უმშვენიერესი ქანდაკების მნიშვნელობა, სადაც მედეა უაღრესად მძლავრ დინამიურ ხაზებში, არა შვილების მკვლელად, არამედ, პირიქით, შვილების, უდანაშაულო, პატარა, გულუბრყვილო ბიუნების მხსნელად აფოფრილი მოღალატეებისა და მკვლელების წინააღმდეგ. იგი საუკუნეების განმავლობაში მთელ პლანეტაზე გავრცელებული საშინელი ცილისწამების რეაბილიტაციაა, ისეთივე მძლავრი ემოციური ზეგავლენის მომხდენი, როგორც თვით ევრიპიდეს „მედეა".

ძველ საბერძნეთში ისტორიას, ისტორიულ მეცნიერებას, ჰყავდა თავისი ღვთაება — კლიო — ზევსისა და მეხსიერების ქალღმერთის მნემოსინეს პირველი ქალწული. მერაბ ბერძენიშვილს, უთუოდ, ქალღმერთი კლიოს შთამაგონებელი და ჭეშმარიტების მღაღადებელი მუზა მოევლინა ამ მშვენიერი ქანდაკების შესაქმნელად.

ჩემი შთაგონების წყარო კი — რამაც ეს წერილი დამაწერინა — თვით მედეაა, ბიჭვინთის კონცხზე შვილების დასაცავად შემართული მედეას სახე და დედის კალთას ამოფარებული ის პატარა, უმანკო ბიუნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლესია თავაძე

ლევან ბაიახჩევის შემოქმედება

ლევან ბაიახჩევი მხატვარია, რომელსაც უკვე დიდი ხანია და თითქოს კარგადაც ვიცნობდით, მაგრამ მისმა პერსონალურმა გამოფენებმა, რომლებიც ამ რამდენიმე ხნის წინ გაიმართა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების დარბაზსა და ელენე ახვლედიანის •სახელსნოში, განსაკუთრებულად სრულად და მომგებიანად გამოკეთა მისი მთლიანი შემოქმედებითი სახე.

ახლა, როდესაც ლევან ბაიახჩევის შემოქმედებითი გზის რეტროსპექტივას ვუფიქრდებით, პირველ ყოვლისა, სწორედ ეს გამოფენები გვიდგას თვალწინ.

თუმცა ახალი არაა, რომ შეიძლება ყოველდღიურობის პოეტიზირება და რომ ყოველივე მშვენიერი სადაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მხატვრები შემოქმედებითი ძიებისას ძალზე ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე ხელოვნური ნაძალადევობის ლაბირინთებში. ამის საპირისპიროდ ლევან ბაიახჩევის ინტერესები ეროი შეხედვით მხოლოდ ყოველდღიურობითაა შემოფარგლული: ახლობლებისა და მეგობრების პორტრეტები, ნატურმორტები, პეიზაჟები.

როდესაც მხატვარი თავის ბუნების და შესატყვის განვითარების გზას განსაზღვრავს — ეს უკვე ნახევარი საქმეა. მხოლოდ ამის შემდეგ იწყება კონკრეტულის გაღრმავება და თუ ბევრნი კონვულსიური მანერულობით აღწევენ მხატვრულ სისადავეს, ლევან ბაიახჩევი მხატვრულ პირობითობას საპირისპირო ჭიშით აღწევს — თავისთავად სადას ართულებს. თვითეული მისი ნამუშევარი, იქნება ეს პორტრეტი, პეიზაჟი, თუ ნატურმორტი, პირველ ყოვლისა, უბრალო საგანია (სახე, ... თუ ბოილი) და მხოლოდ ამის შემდეგ — გაჯერებული მხატვრული ფასეულობა. ეტაბამ, მთლად სულერთიც არ არის, თუ რა გზით აღწევს მხატვარი მიზანს, რადგან ხელოვნებაშიც მიზანი ყოველთვის როდი ამართლებს საშუალებას. მისთვის დამახასიათებელი ინტროსპექტიული ხედვა ლევან ბაიახჩევმა სრულიად გაცნობიერებულად შეითვისა უკვე კლასიკოსებად ქცეული ისეთი მხატვრებისაგან, როგორიც იყვნენ მოდილიანი, სეზანი, უტრილო, პიკასო (რომ აღარაფერი ვთქვათ დიფერენსი და რემბრანტზე). ძნელია თქმა, დასაბანია, თუ პირიქით, მისასალმებელი, რომ ხატვარი დიდ წინაპრებს არა მხოლოდ ძირითად პრინციპს, არამედ ფორმასაც დაესესხა. თუ კი დასაბანია, ისიც მხოლოდ გონებისმიერად, რადგან ემოციურად მანერათა ეს მსგავსება ოდნავადაც არ გაღიზიანებთ. არ გაღიზიანებთ მიზეზთა და მიზეზთა გამო. პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ ბაძვს არა დაღეტანტი, არამედ ღრმა მხატვრული კულტურის მქონე ხელოვანი და ეს მიესგავსება მისთვის საყოველთაო მხატვრულ ღირებულებათა შემეცნებისა და შეთვისების გზად იქცა.

ლევან ბაიახჩევს ბაზგასმული ჟანრობრივი უპირატესობა პორტრეტისთვის აქვს. მინეტეპული. პორტრეტები მას ბევრი აქვს. მხატვარმა შეძლო შეეჩერებინა შთაგონების წამი და ნამუშევრის მორეფენებითი ფიზიკური დაუსრულებლობის მიღმა დაენახა ის სულიერი დახვეწა, რომელიც ასე ხშირად ქრება ხოლმე ზედმიწევნითი ტექნიკური სრულყოფით. ამ ნამუშევრის სრულიად საპირისპირო ნიმუშია მოი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძებნება — „ესპანელი“ ქალის პორტრეტი. აქ, ბაიახჩევისათვის არადამახასიათებელი ექსპრესიული და უკონტროლოდ ემოციური შესრულების გამო დაკარგულია ის სულიერი საწყისი, რომელიც ყველაზე ძვირფასია მხატვრის ნამუშევრებში. ამიტომაც პორტრეტი კარგად პერსონიფიცირების სიამის და ზერელედ უმისამართო ხდება. საინტერესოა ა. საყოთის ორი პორტრეტის შედარება (აქვე უნდა ითქვას, რომ ორივე ეს პორტრეტი საუკეთესოთაგანია ლევან ბაიახჩევის ნამუშევართა შორის): ერთი მათგანი ბრწყინვალედაა დაწერილი, მთელის დაძაბულობა ესაღეკვილება მხატვრის შინაგან დრამატიზმს; მეორეში კი შესრულების თავისუფალი მანერა და ირტილტიზმი — თვით ნატურის ნებიერ პოზას. ასევე სხვადასხვაგვარადაა შესრულებული ავტოპორტრეტები. პირველი, რამდენადმე მანერული, ბოთურ-მოდილიანური, ხაზების სიამის სიწმინდით; მეორე — მიმქრალ შუქში, ძველ ჰოლანდიელთა მსგავსად, და მესამე — ბანალური სიგარეტით, უსიამოვნოდ დანაწყვეტილი, ყველაზე წარუმატებელი. მხატვრის მეუღლის რამდენიმე პორტრეტს, ურთიერთგანსხვავებული შესრულების მიუხედავად, რაღაც სევდისა და დფიქრების ელფერი აერთიანებთ. მათთან შედარებით სრულიად უსახოდ მოჩანს ორი ნატურა — მიბაძვა ბაგეუქმელიქოვის ქალთა პორტრეტებისა.

რამდენიმე სიტყვა ლევან ბაიახჩევის ნატურმორტების შესახებ: ნატურმორტები სამი დაკიდებული თეზაფი გოლეში წმინდა კლასიკურ-ჰოლანდიური შესრულებით (ლარაფერი რომ არ ეთქვათ ნახატისა და კომპოზიციის ლაკონიზმზე). შესრულების კლასიკური მანერით ამ ნამუშევარს ეხმიანება ნატურმორტები თეთრი მოფარდაგებით, თუმცა სამივე უფრო „ძმიდეაა“ დაწერილი. ექსპრესიითაა აღსავსე ნატურმორტი კოლაერებული სიგარეტის კოლოფის სასიამოვნო წითელი ლაქით, იდუმალად გამოკრთის ათინათები მუქ, ბოთლებიან ნატურმორტზე...

ლევან ბაიახჩევის საერთო ფერწერული კოლორიტი ნატურმორტებში, ისევე როგორც მის ყველა დანარჩენ ნამუშევრებში, მხატვრის შინაგან, ერთგვარად სდევნიან ზედეს ემოციებს აქმნები ერთიანები, დროდადრო მონოტონური განწყობა, რაც, ეფექრობ, მხატვრის ემოციური მდგომარეობის სტაბილურობით თუ ახსნება. მით უფრო სასიამოვნოდ აღიქმება ვარდისფერი ნატურმორტი დანაწყვეტილი ბოთლითა და თეფშებით კოლაერებული შპალერის ფონზე. ეს შესანიშნავი ნატურმორტი ავტორის თითქმის ერთადერთი ცდაა, განუდგეს მისთვის ასერიგად დამახასიათებელ ნაცინმა კოლორიტს. სხვათაშორის, აქვე უნდა თქვას, რომ ჩემს ფიქრით, პრინციპიალურად განსხვავებული ფერთა თანაფარდობის უფრო გამოზნული ძიება გამდიდრებდა მხატვრის ამოცანას, უფრო უნივერსალურს ეახდიდა მას. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ბაიახჩევის ნამუშევრების სიმძაფრე და განწყობა სწორედ მონოქრომულობითაა მიღწეული.

რაც შეეხება ლევან ბაიახჩევის სულპტურულ-კონსტრუქტიულ კომპოზიციებს. ისინი თითქოს სასხვათაშორისოდაა გაკეთებული, იუმორით, მოულოდნელი, გონებამახვილური ასოციაციებით. სერიოზულად მათ ვერ აღიქვამთ, და არა იმიტომ, რომ ძიების ეს ეზა თავისთავად გამორიცხავს სერიოზულ მიგნებებს. აქ მიზეზი ავტორის შინაგან „მოდუნებაშია“. იგი თითქოს თვითონაც არ აცხადებს ღრმაზროვნების რაიმე პრეტენზიას. ეს კომპოზიციები კარგი გაზმეუნტაცია, როგორც მაყურებლისათვის, ისე თვით მხატვრისათვის. რამდენიმე ნამუშევარი, შესრულებული პოპარტის სტილში, შესანიშნავი ილუსტრაციაა ეზის თავშექცევადან — ხელოვნებამდე. ეზმარტად ფერწერულ ეფექტს ახდენს ლევან ბაიახჩევის სალვაგის ტუბებიან კომპოზიციაში, მაშინ, როდესაც, ეარიაცია ბოთლის სალობებით მხოლოდდა ლამაზი თამაში-შექცევაა. აქვე უნდა მოვიხსენიო დახეულნი ესთეტიზმით აღბეჭდული ნატურმორტი ჩადღაბებული თეზნის ხრტილით.

ლევან ბაიახჩევის ნამუშევრებში საკმაოდ უსიამოვნო დისონანსი შეაქვს ორ კომპოზიციას — „ფიროსმანი“ და „მენატეტრე ქალი“. პირველში („ფიროსმანი“) გაოცებთ რაღაც პროვინციული მანერიზმისა და ქარიფელი მხატვრული ტრადიციების ურთიერთგამამძიმეცხეი მეზობლობა; მეორეში კი სტილიზაციის ნაძალადევობის, გამომსახველობის მოუძებნელი პირობითობის მიზეზით ფერთა გამაკ კარგად თავის ფუნქციას ეა ალარ იქმნება ბაიახჩევისათვის ასერიგად დამახასიათებელი განწყობა. ძნელია ორად-ორი მაგალითით მსჯელობა, მაგრამ იქნებება შთაბეჭდილება, რომ სწორედ კომპოზიციაა ბაიახჩევ-მხატვრის აქილევსის ქუსლი.

ლევან ბაიახჩევის პეიზაჟების ძირითადი (თუ არა ერთადერთი) თემა — ძველი თბილისის ეზოები და შესახვევებია. ურბანიზმირებული ხეები კარგადაა ნაგრძნობი და მრავალგვარი განწყობითაა წარმოსახული: სადილფერი ზამთრიდან, უფეკრი წითელი ლაქით გამთბარ ბეიზაჟამდე. ლევან ბაიახჩევის პეიზაჟები უტრილოს პარიზულ ეზოებს გვაგონებენ, თუმცა, უფრო შეფერილნი არიან. ეს ნამუშევრები, ისევე როგორც სხვა დანარჩენი — აქტი-

ოლეგია თაგაკაძე
ლევან ბაიახჩევის შემოქმედება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ური პერიფრაზია. მაგრამ ეს წმიდათა-წმიდა სახელებთან მიტმასნების სურვილი როდია, რაღა თქმა უნდა, არც სხვისი დანატოვარის თავისად გასაღებაა. ჟანა ალტაცების გულწრფელი ხარკი, მე ვიტყოდი — მოწიწებული მუხლმოდრეკა ამის საუკეთესო დადასტურებაა ლევან ბაიახჩევის გრაფიკული ფურცლების ექსპონირების მანერა: პირდაპირი ადრესატებით-რეპროდუქციებით.

და ბოლოს, ორიოდე სიტყვა თვით გრაფიკის შესახებაც. ლევან ბაიახჩევის გრაფიკული ნამუშევრების უმეტესობაში (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ოსტატის დაუძაბველი ხელით შესრულებულ მშვენიერ ჩანახატებს) ემოციურობასა და ფსიქოლოგიზმს მანერულობის ელემენტი სძლევს. საუცხოოა კლასიკური მოტივისა და თანამედროვე მიდგომის შეთავსება მკერდშიშველი ქალიშვილის პორტრეტში. სათაევების, საწყისების ასეთი თვალსაჩინო დემონსტრაცია, ამგვარი ნებაყოფლობითი შერწყმა და წინაპრების მიერ გაჭრილი კალაპოტის ასე თვინიერად გაყოლა მხატვრისათვის ალიო გზა როდია. ამ კალაპოტიდან გადახრის მინიმალური ამპლიტუდითაც კი მხატვარმა უნდა დაადგინოს თავისი ინდივიდუალობა, თავისი განუმეორებელი „მე“. ლევან ბაიახჩევმა შეძლო გარკვეულიყო უმკარეს, მხოლოდდა მისთვის დამახასიათებელ ვიბრაციებში და თავისი „ძარღვისათვის“ მიეგნო. სწორედ მაშინ, როდესაც მაყურებელი ჩაწვდება ამ ძარღვს, იგი სათანადოდ დააფასებს მხატვრის ოვალსაც, ხელსაც, და, რაც მთავარია, სულსაც.

ამ შენიშვნებსა და შეფასებებს, ცხადია, ყოვლისმომცველობისა და შეუცთომლობის პრეტენზია ვერ ექნებათ. მაგრამ ერთში კი დარწმუნებული ვარ — ის სიხარული, რომელიც ლევან ბაიახჩევის ნამუშევრებს მაყურებლისათვის მოაქვს, ბევრი მხატვრის ოცნების ზღვარი იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ფანჯიკიძე

გამოსყიდვის (მონანიების) პრობლემა

(სოტერიოლოგიური[1] პრობლემებიდან)

> თითოეული ქრისტიანი ვალდებულია სწამდეს, რომ სამყაროს განმგებელმა ნებაყოფლობითი სიკვდილით გაანთავისუფლა ადამიანთა მოდგმა ცოდვის მონობისაგან. მიუხედავად ამისა, ადამიანები ისევ აგრძელებენ შეცოდებას, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს. აქედან გამომდინარე გამოსყიდვა კაცობრიობისათვის ფრიად სასარგებლო საიდუმლოებაა.
>
> **პოლ ჰოლბახი**

მაშ ასე, ჩადენილ იქნა უმძიმესი, შემზარავი თავისი შედეგებით ბიბლიური პირველქმნილი ცოდვა. გველის სხეულში დაბუდებულმა ეშმაკმა აცდუნა კაცობრიობის წინაპრები ადამი და ევა. სატანჯველად და სასიკვდილოდ განწირული პირველი ადამიანები გამოძევებული იქნენ ედემის ბაღიდან. ცხოვრება, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ასე უღიმოდა ბედშავებს; არ მოითხოვდა მათგან არავითარ ძალისხმევასა და ზრუნვას, ახლა ტანჯვად და წვალებად ექცეთ.

დგანან გოგანებული, დამწუხრებული პირველი ადამიანები სამოთხის გამოხურულ კართან, ჯერაც სათანადოდ ვერ აღუქვამთ, რა უბედურება დატრიალდა მათ თავზე. იცოდნენ კი მათ, რომ აქედან იწყებოდა წაწყმედილი, ცოდვილ კაცობრიობის ისტორია?

ასე აგვიწერს იუდაური და ქრისტიანული რელიგიები პირველქმნილი ცოდვის ამბავს.2

მერე, მერე რაღას გვთავაზობს ქრისტიანული რელიგია. რა გზებსა და საშუალებებს უჩენებს მორწმუნეებს ამ საშინელი ცოდვისაგან თავის დასაღწევად, რომელიც მთელს კაცობრობაზე გავრცელდა.

პირველქმნილი ცოდვისაგან თავის დაღწევა, ქრისტიან თეოლოგთა მიხედვით, შესაძლებელი შეიქმნა მხოლოდ გამოსყიდვის შედეგად, იესო ქრისტეს ტანჯვითი სიკვდილის შედეგად. ერთმა ნებაყოფლობითმა, უბიწო მსხვერპლმა გამოისყიდა მთელი კაცობრიობის ცოდვები.

დოგმატი, ჩვენი ცოდვების გამოსასყიდად იესო ქრისტეს ტანჯვითი სიკვდილის შესახებ, პირველქმნილი ცოდვის დოგმატთან ერთად — ერთ-ერთი ძირითადი ქრისტიანულ თეოლოგიაში. ეს დოგმატი იმდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქრისტიანულ თეოლოგიაში, რომ ზოგჯერ ამ რელიგიის გამოსყიდვის, მონანიების რელიგიასაც უწოდებენ ხოლმე. ტერმინი გამოსყიდვა-მონანიება, მომდინარეობს ბერძნული λύτρωσις ან μετάνοιαν-ისაგან, რომელიც ქართულ ენაზე ნიშნავს მონანიებისაგან თავის დახსნას გამოსყიდვის მეშოვნით. თეოლოგები გამოსყიდვის ცნებას ორი მნიშვნელობით ხმარობენ: ფართო და ვიწრო; ფართო გაგებით, გამოსყიდვის დოგმატში იგულისხმება ქრისტეს მოელი საქმიანობა: მისი ცხოვრება, მოძღვრების ქადაგება, ტანჯვა, სიკვდილი და ბოლოს, მკვდრეთით აღდგომა. ვიწრო გაგებით, მასში იგულისხმება ქრისტეს ჯვარცმა, ე. ი. მხოლოდ მოკლე მომენტი მაცხოვარის ცხოვრებიდან.

გამოსყიდვის ვიწრო გაგებისას გამოსყიდვის ანუ განწმენდას ემატება ღვთის დაკმაყოფილება და მასში იგულისხმება მსხვერპლის დადებითი გავლენა ადამიანებისათვის. ფართო გაგებით, გამოსყიდვა არის შედეგი დაკმაყოფილე-

ბისა და განწმენდისა. ამ შემთხვევაში იგი მიგვაგზავნიდა ბერძენებს, იმ განსხვავებით, რომ გამოსყიდვაში პირველ პლანზე იწევს ქრისტეს ჯვარცმის შედეგი ადამიანებისათვის, ხოლო შერიგების ტერმინში — ღმერთისათვის. ზოგჯერ გამოსყიდვა იხმარება სხვა გაგებითაც: რამდენადაც იგი ხორციელდება ცალკეულ ადამიანში, გამოსყიდვა იხმარება გამართლების სინონიმადაც.8

ჩვენ უნდა განვასხვავოთ გამოსყიდვის, მონანიების დოგმატის გაგება „ძველსა" და „ახალ აღთქმაში". ბიბლიის ძველ ნაწილში გამოსყიდვაში უმთავრესად იგულისხმება ებრაელი ხალხის პოლიტიკური განთავისუფლება დამპყრობლებისაგან. ასეთი გაგებით, ბიბლიური პიროსნადი მოსე, რომელმაც თითქოსაც განთავისუფლა ებრაელი ხალხი ეგვიპტელთა ტყვეობისაგან — გამომსყიდველად გვევლინება. ასეთივე როლს თამაშობს „საღმრთო წერილში" გედეონი, დავითი და ყველა სხვანი, ვინც იცავდნენ ებრაელ ხალხს მეზობელი დამპყრობლებისაგან და ამავე ღროს აოხრებდნენ მტრების მიწაწყალს. გამოსყიდვად გვევლინება ებრაელთა წინასწარმეტყველება იუდეველთა ბაბილონს ტყვეობისაგან განთავისუფლების შესახებ. ამავე დროს, „ძველ აღთქმაში" პოლიტიკური განთავისუფლება დამპყრობლებისაგან ხშირად უკავშირდება ხალხის განთავისუფლებას საერთო ცოდვისაგან. ბიბლიაში გატარებულია აზრი, რომ ებრაელების მიერ პოლიტიკური თავისუფლების დაკარგვა, მათი ტანჯვა, წამება და უბედურება ტყვეობაში — ყოველივე შედეგია მათი ცოდვილაობისა. ბიბლიიის მიხედვით, თუ გამოსყიდული იქნებოდა ხალხის ცოდვა, მაშინ პოლიტიკურ უბედურებასაც ბოლო მოეღებოდა. ებრაელ თეოლოგთა აზრით, ეს უნდა მოიხდარიყო ღმერთ იეოოვას სურვილით, რომელიც უნდა გამოცხადებოდა თავის ხალხს მესიის (მხსნელის) სახით.

ესაია წიგნში ჩვენ ხშირად ვხვდებით ასეთ წინასწარმეტყველებას: „ეგ შეგეწეო შენ, — ნათქვამია „ძველ აღთქმაში", — იტყვის ღმერთი მხსნელი შენი წმინდა ისრაელ"...4

მეორე ადგილას ესაია თავის წინასწარმეტყველებაში ჰპირდება ებრაელებს, რომ მხსნელი ღმერთი შერს ძიებს მათ მტრებზე: „ნუ მიმვენ იღისა გმირისაგან ნატყვევნავი, უკეთუ წარმოსტყვენოს ვინმე უსამართლოდ განერესა.

ესრეთ იტყვის უფალი უკეთუ ვინ წარტყუეწნოს გმირი, მიიღოს ნატყუეწნავი, ხოლო მიმდებელი ძლიერისაგან განერესა: ხოლო მე საჴმელი შენი ესაყო და ძენი შენნი ეიხსნნენ.

და ჴამდენ მაჴრჯებელნი შენნი ზორცთა მათთა, და სუმიდენ ვითარცა ღვინოსა ახალსა სისსხლსა მათსა, და ეიცთრვნენ, და მგრძნობელ იქმნეს ყოველი ზორცი ვითარმედ მე ვარ უფალი მხსნელი შენნი და შემწე ძალისა იაკობისი".5 ვარიაციებს ამ თემაზე ჩვენ ესაიას წინასწარმეტყველების სხვა ადგილებშიც ვხვდებით. ყველანაირი ნახსენებია, რომელიც მხსნელი და მესია.

და აი, „ახალ აღთქმაში" ჩვენ ვხვდებით ამ წინასწარმეტყველების ასრულების დაწყებას. დიაბადა ბაპტისტი, იოანე, რომელსაც უნდა მოემზადებინა გზა მესიისათვის — ქვეყნის მხსნელისათვის „და მამაი მისი ზაქარია, — ნათქვამია ლუკას სახარებაში, — აღიავსო სულითა წმიდითა. წინასწარმეტყველებდა და თქუა:

„კურთხეულ არს უფალი ღმერთი ისრაელისაი, რამეთუ მოჰბრდნა და ყო ხსნაი ერისა თჳისისაი".6 იოანეს კვლაფკვალ იბადება მესია, იესო ქრისტე, რომელსაც უნდა შეესრულებინა უდიდესი მისია — კაცობრობისათვის, აღიკვეთა პირველქმნილი ცოდვის საშინელი შედეგები ამქვეყნად.

თუ „ძველ აღთქმაში" ჯარბობს მიწიერი წარმოდგენა მესიის შესახებ, რომელმაც უნდა განთავისუფლოს ებრაელი ხალხი ჰაგრესაგან და დაუმონოს მათ აღრინდელი ბატონები, „ახალ აღთქმაში" გამოსყიდვის ეს თეოკრატული ხასიათი დაკავშირებული ებრაელი ხალხის ბედთან, თითქმის მთლიანად იცლება და იღებს საყოველთაო და ზნეობრივ ხასიათს. „ახალ აღთქმაში" იგი უკვე იხმარება როგორც კაცობრიობისათვის ცოდვების მიტევების, პირველქმნილი ცოდვის შედეგების დაძლევის დოგმატი.

აღრეე აღინიშნა, რომ თეოლოგთა ნარმოდგენით პირველქმნილმა ცოდვამ წაუყმაღა ადამიანის პირვანდელი ბუნება, იგი გახდა ყოველი უბედურების წყარო. მან თავს დაატეხა ადამიანს სჯული წყეული. ცოდვის გამო მოელი სამყარო დანაშაული ღმერთის წინაშე. ცოდვამ აქცია ეშმაკი ამ ქვეყნის თავადად და ადამიანი დაუმორჩილა მას. ადამიანი ცოდვის მონად იქცა. სწორედ ამის გამო იხოკებიან ადამიანები.

ყველა ეს საშინელება, რომელიც თავს დაატყდათ ადამიანებს პირველქმნილი ცოდვის შემდეგ, უნდა დაეძლია, აღმოეფხვრა იესო ქრისტეს, მას საკუთარი სისხლის, სიცოცხლის და სულის შეწირვით უნდა შეერიგებინა ადამიანები ღმერთთან. ეს იყო ღიდი გამოსასყიდი მსხვერპლი. ამ მსხვერპლის მეოხებით, თეოლოგების აზრით, ჩვენ გამოსყიდული ვართ ცოდვისაგან, დანაშაულისა და სიკვდილისაგან. თავისუფალი ვართ ეშმაკის ბატონობისაგან.

იესო ქრისტეს ჯვარცმის შედეგები ჭრცელდება ყველა ადამიანზე, ყველა დროში. მისი შედეგია ადამიანთა ჴეშმარტი თავისუფლება, რომლის მეოხებითაც ჩვენ დღეს შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ ღვთის წყრომა, კანონის წყრომა და გამეფდულად შეგვიძლია ვიწოდოთ ღვთის შვილებად.

მართალია, ადამიანები ამ გამოსასყიდის მეოხებით განთავისუფლდნენ სიკვდილის შიში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

- საგან, ცოდვის მონობისაგან და მოიპოვეს თავისუფლება, მაგრამ ეს შინაგანი თავისუფლება მოლიანად მაინც ვერ ხორციელდება ამქვეყნად, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ცოდვამ დაკარგა თავის ადრინდელი ძალა, იგი მაინც ცოცხლობს ჩვენს ირსებაში, „რამეთუ უწყი, — ნათქვამია პავლე მოციქულის ეპისტოლეში რომაელებისადმი, — ვითარმედ არარაი დამკვიდრებულ არს ჩემ თანა, ესე იგი არს, ხორცსა შინა ჩემსა, კეთილი, რამეთუ ნებაი იგი წინა მიც მე, ხოლო საქმეჰ კეთილისა მის არა ვპპოოვ“.[7] ადამიანის სხეულში დარჩენილი ცოდვა ცდილობს ისევ ჩაგდოს ხელში ადამიანზე ბატონობა. „აწ უკეთ ჩუენცა ესოდენნი მაქუს გარე-მოდგომელი ჩუენდა სიმრავლე წმიდათა მოწამეთაო, სიმძიმე ყოველი განეშოროთ და მსწრაფულ მომავალი იგი ცოდვაი და მოთმინებით კრბილოთ წინა განმხადებულსა მას ჩუენსა ღუაწლსა“.[8] — ამბობს მოციქული პავლე თავის ეპისტოლეში ებრაელთა მიმართ.

ჯერ კიდევ, — ამბობენ თეოლოგები, — არსებობს ხორციელი სიკვდილის შიში, ხოლო სატანა მარადიდ დაორგუნვილია, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ჩაგდებული უფსკრულში და ისევე როგორც მძვინვარე ლომი, იგი ეძებს ვინ ჩაგდოს ხელში და შთანთქას: „განიფრთხეთ, — ნათქვამია პეტრე მოციქულის ეპისტოლეში, — მფეძარე იყვენით, რამეთუ წინაშინაჴენი თქუენი ეშმაკი ვითარეცა ლომი მყვირალი მიმოვალს და ეძიებს, ვინმეცა შთაანთქნ“.[9]

მაშასადამე, ჯერ კიდევ მოლიანად არა ვართ ხსნილი. სრული განთავისუფლება, ბიბლიის მიხედვით, უნდა მოხდეს ქრისტეს მეორედ მოსვლისას. ამის შესახებ ნათლად აქვს ნათქვამი ლუკას თავის სახარებაში: „და ვითარცა იწყოს ამაჲ ყოველმან ყოფად, აღიხილენით თუალნი და აღიპყრენით თავნი თქუენნი, რამეთუ მოწევნულ არს გამოხსნაი თქუენნ.[10] იგივე აზრს იმეორებს პავლე მოციქული თავის ეპისტოლეში რომელთა მიმართ: „არა ხოლო თუ იგი, არამედ თვით ჩუენცა, რომელთა — ესე პირველი ნაყოფი სულისაი გუაქუს, თვით ჩუენცა თავთა შინა ჩუენთა ვკუნესენთ და შვილებასა მას მოველით, გამოხსნასა მას ზორცოთა ჩუენთასა“.[11] აქედან გამომდინარე, იესო ქრისტეს ტანჯვითი სიკვდილი არ გაზდა საკმარისი პირველქმნილი ცოდვის მთლიანად გამოსასყიდად. საჭიროა მისი მეორედ მოსვლა, რომელიც თეოლოგთა აზრით, ზნეობრივ გამოსყიდვას დაუმატებს ხორციელს. და საბოლოოდ მიანიშნებს ადამიანის ყოველგვარ თავისუფლებას.

დოგმატთან დაკავშირებით ისევის მრავალი კითხვა, რომელსაც აყენებდნენ ამ დოგმატის კრიტიკოსები და რომელზედაც მომდევნო ხანის თეოლოგებს მოუხდათ განმარტება და პასუხის გაცემა. პირველ რიგში, თუ რატომ იქნა მსხვერპლად არჩეული მანნცდამინც ძე ღვთისა იესო ქრისტე. „საღმრთო წერილი“ ამაზე პასუხობს, რომ მაცხოვარი იყო ერთადერთი ადამიანებიდან, რომელიც სრულიად მართალი იყო ღმერთის წინაშე. იგი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც თავიდან ბოლომდე ასრულებდა მამაღმერთის ყველა სურვილსა და მოთხოვნასა. მთელი მისი ცხოვრება უბიწო და უმწიკვლო იყო. იგი ეუმჯობესად ღირსი იყო ღმერთის სიყვარულსა. მხოლოდ იესო ქრისტეს ტანჯვითი სიკვდილიდან დაიწყო ღმერთის სიყვარულის გადმოცემა ცოდვილ ქვეყანაზე, რადგან, ისევე როგორც ერთის შეცოდებით დაიწყეს ეს სამყარო და ჩაკარდა ტანჯვაში, ისევე იგი უნდა გამოხსნილიყო ერთისავ გამოსასყიდით. ამის შესახებ გარკვეული მიუთითებს პავლე მოციქული თავის ეპისტოლეში რომაელებისადმი: „რამეთუ უკეთუ ერთისა მის შეცოდებითა სიკუდილი სუფევნდ ერთისა მისაგან, რავდენ უფროს, რომელნი — იგი უმეტესსა მას მადლისასა და ნიჭსა სიმართლისასა მიიღებენ ცხოვრებასა შინა, სუფევეენ ერთისა მისაგან იესო ქრისტესა.

ვითარცა — იგი ერთისა მის შეცოდებისაგან ყოველთა კაცთა ზედა დასასჯელად, ეგრეთცა ერთისა მის სიმართლისათვის ყოველთა კაცთა ზედა განსამართლებელად ცხოვრებისა.

რამეთუ ვითარცა — იგი ერთისა მის კაცისა ურჩებითა ცოდოელნი შემოხდეს მრავალნი, ეგრეცა ერთისა მის კაცისა მორჩილებითა მართალნი შემოვიდენ მრავალნი“.[12]

თეოლოგთა აზრით, ჩვენ მაცხოვართან ერთად გამართლებული ვართ ღმერთის წინაშე და უფალი ჩვენ მოწყალების გამო კი არ გვაფარებს თავის ხელს, არამედ იგი სთელს დადმიანს მართლმორწმუნედ და გამოსყიდულად ისევ ქრისტეს საქმეთა გამო. „თავს— დებითა ღმერთისაითა გამორჩინებად სიმართლისა მისისა ამაო ვყოთა, რაითა იყოს იგი მართალ და განმამართველ სარწმუნოებისაგან იესოისა“[13] — ნათქვამია პავლეს ეპისტოლეში რომაელებისადმი. ან კიდევ მეორე ადგილს მოციქული პავლე სხვა ეპისტოლეში — კორინთელებისადმი წერს: „რამეთუ ღმერთი იყო ქრისტესსა თანა, სოფელი დაჴარ თავსა თვისსა და არა შეურაცხნა მათ ცოდვანი მათნი, და დადვა ჩუენ თანა სიტყუაი იგი დაგებისაი“.[14]

მაშასადამე, იესო ქრისტემ მიიღო თავის თავზე კაცობრობის მთელი ცოდვა. ეს რომ გიყვეთებინა, მას ამისათვის დასჯიხდა გიყვლო მოქცევის მთელი ის ციკლი, რომელიც მის კვალდაკვალ უნდა გიყვლო კაცობრობას. თეოლოგები აღნიშნავენ, რომ ეს პროცესი ორი ნაწილისაგან შესდგება. პირველია — ცოდვაზე ხელის აღება და მეორეც — ცოდვილი საქმეე-

თეიმურაზ ფანჯიკიძე
გამოსაყოფლის (მონანიების) პროგლემა

ბის შეცვლა კეთილი საქმეებით. მეორე მომენტი, თეოლოგთა აზრით, განსაზღვრული და განპირობებული პირველით, რადგან სანამ ცოდეული არ იგრძნობს ზიზღს ცოდეისადმი, მას სრულიად არ უნნდება სურვილი შეცვალოს ის მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება. აქედან გამომდინარე, მას არც იმის სურვილი დაებადება, რომ შემოქმედიდეს ღმერთისაკენ, კვლავ დაუახლოვდეს უფალს. ეს ზიზღი ცოდეისადმი მას უნნდება მხოლოდ იმ მწვავე წინააღმდეგობისაგან, რომელიც ოშეება, ერთის მხრივ, ადამიანის მძაფრ სურვილს — დაუკავშირდეს ღმერთს, იყოს მასთან ახლო კავშირში და, მეორეს მხრივ, ცოდეას შორის, რომელიც ხელს უშლის ადამიანს ღმერთთან დაახლოებაში. რაც უფრო ძლიერია მისწრაფება ღმერთთან სიახლოვისა, მით უფრო მწვავედ გრძნობს ადამიანი გაორებას. მით უფრო უნნდება მას მძაფრი სურვილი გაწმიდეს ცოდეას. ამ გარემოებაში, თეოლოგთა აზრით, არის ადამიანის სასჯელი, რომელსაც იგი ცოდეის გამო იღებს. მხოლოდ ამის შეგრძნების შემდეგ იძულებს ადამიანი ცოდეას და ამ სიძულილში იწმიდება კიდეე. საბოლოო ჯამში ცოდეა კვდება და ადამიანი იწყებს ახალ ცხოვრებას.

მთელ ამ პროცესში, თეოლოგთა აზრით, აუცილებელია ქრისტეს მისია, საჭიროა გამოსყიდეა, რადგან ცოდეამ ღმერთისაგან ადამიანს გამოყოფილი ამ უკანასკნელს დაუკარგა ღმერთთან სიახლოვის ნეტარების წარმოდგენის სიცხოველე. მასთან ერთად დაუკარგა ცოდეის ტკივილს შეგრძნება. ადამიანი უკვე ალარა ნაღვლობს შემქმნელ ღმერთზე. ცოდეა მისთვის სტკივა გაზდა, ცოდეელს სხვაგვარი ცხოვრება ეეღარა კი წარმოდგენია. გაუცხოება ღმერთისაგან მას სრულიად ალარ ადარდებს. პირიქით, ცოდეელი ამაზე აკებს მთელ თავის სიხარულსა და ბედნიერებას.

მართალია, ცოდეელი ტანჯვა ცხოვრებაში, მაგრამ იგი ამ ტანჯვას სრულიადაც არ უკავშირებს იმ გაორებას, რომელიც არსებობს ღმერთისადმი მისწრაფებაში და, მეორეს მხრივ, ამ კავშირისაგან ცოდეის მიერ მის დაშორებაში. იგი თვლის, რომ ეს არის მხოლოდ გარეგნული შეუძლებლობა განახორციელოს თავისი გეგმები. და თუ კი ეს ასეა, ცოდეელ ადამიანს არ შეეძლო განეცადა ალორძინების პროცესი. ეს პროცესი შეეძლო განეცადა მხოლოდ მას, ვისაც არ ჩაუფლენია თავის სიცოცხლეში არც ერთი ცოდეა არც საქმით, არც სიტყვით და არც წარმოდგენით, ამავე დროს არც დაბადებით დაჰყოლია იგი. მას შენარჩუნებული აქვს ღმერთთან ერთიერთობის ძლიერი მისწრაფება, ხოლო ამის მეოხებით ინარჩუნებს ახსოლუტურ მგრძნობელობას ბოროტების მიმართ. მხოლოდ მას შეეძლო თავის თავზე მიეღო ყაცბრობის ცოდეა. ეს კი ადამიანების მხსნელი, მესია უნდა ყოფილიყო. ... ყოველად უცოდველსა და უმწიკვლოს შეეძლო თავის თავზე განეცადა ბასოლუტური ტანჯვა, რომელიც ცოდეას მოაქეს და მის გაელით მომკვდარიყო, ხოლო შემდეგ ალორძინებულიყო ახალი ცხოვრებისათვის. „ანე არა უწყითა, — ნათქვამია მოციქულ პაეელს ეპისტოლეში რომაელებისადმი, რამეთუ რომელთა — ესე ნათელ-ეიღეთ ქრისტე იესოს მიერ, სიკუდილისა მისისა მიმართ ნათელ-ეიღეთ?

და თანა — დაეეფლენთ მის ნათლის — ღებითა მით სიკუდილისა მისისასა, რაითა ეითარცა იგი ალდგა ქრისტე მკუდრეთით დიდებითა მამისაითა, ეგრეთცა ჩვენ განსაცხებითა ცხოვრებისაითა ვიდოდეთ.

რამეთუ უკეეთუ თანა — ნერგ ვექმნენთო ძსგესებასა მას სიკუდილისა მისისასა, ეგრეთცა ალდგომასა მას მისსა ვიყვნენთ.

ესე უწყითა, რამეთუ ძველი იგი კაცი ჩუენი მის თანა ჯუარს ეცუა, რაითა განეარღეს ზორცი იგი ცოდეისაი, რაითა არღარა ეშმონებდეთ ჩუენ ცოდეასა.

რამეთუ, რომელი — იგი მოკუდა, განმართლებულ არს ცოდეისაგან“.[15]

ეს ორი მომენტი — ცოდეის სიკდილი და ალორძინება ახალი ცხოვრებისათვის განფყოფელია ერმამნეთისაგან. უარყოფა თავის თავზე აღებული ყაცობრობის ცოდეისა ზდებოდა იესო ქრისტეს მთელი სიცოცხლის მანძილზე. მაცხოვრის მთელი ცხოვრება განეწყვეტელი ტანჯვა იყო, მაგრამ ამოგვის მან მანც ჯვარცმისას მიაღწია. როდესაც იესო ქრისტე შეეწირა ადამიანთა ცოდეებს, მაშინ აღსრულდა მისი უფიდესი მისია. მხოლოდ მას შეეძლო და შესძლო კიდეეაც მთლიანი დაძლეეა ცოდეისა და ადამიანების ალორძინება ახალი ცხოვრებისათვის. რაც შეეხება სხვა ადამიანებს, აგრძელებენ თეოლოგები მსჯელობას, მათ შეუძლიათ იმდენად ჩაერთვნენ ამ პროცესში, რამდენადაც დაკავშირებული იქნებიან იესო ქრისტეს ცხოვრებასთან. იესო ქრისტე ეერთანებენს მათ: „აღრღარა გეტყვე თქუენ მონაჲ, რამეთუ მონამან არა იცან, რასა იქმნ უფალი მისი. ხოლო თქუენ გარქუ მეგობრაჲ, რამეთუ ყოველი, როდეენ მესმა მამისა ჩემისაგან გაუწყე თქუენ“.[16]

ქრისტეს მეოხებით, ამტკიცებენ თეოლოგები, ხალხს გაუჩნდა რწმენა, რომ კაცად ვერაფერი ვერ დაუშრიტებს მათ შემქმნელ ღმერთთან, რომ ახლა მათ შეუძლიათ ღმერთის სიყვარულს სიყვარულითვე უპასუხონ.

გამოსყიდვის, მონანიების ლოგმატთან დაკავშირებით კიდეე ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა დგება, კერძოდ, ვის მიეცა გამოსასყიდი. ვისკენ იყო მიმართული ქრისტეს მსხვერპლად შეწირვა. ამ საკითხის ირგვლივ ქრისტიან თეოლოგებს შორის ღიდი კამათი მიმდინარეობს. ზოგის აზრით, გამოსასყიდი მიეცა ეშმაკს. ასეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხედულებას იზიარებდნენ ქრისტიანი მამები: ირინეი, ორიგენი, გრიგორ ნისელი, აგვუსტინე, ლევ დიდი და გრიგორ დიდი. სხვათა აზრით, გამოსასყიდი მიეცა თვით ღმერთს, რომელიც განრისხებული იყო მისი კანონების დარღვევით. ეს შეხედულება კარგად აქვს ჩამოყალიბებული ანსელმ კენტერბერიელს, რომელიც ასეთ თეორიას გვთავაზობდა: ღმერთის დიდება უზომოა, ადამიანებმა განარისხეს ღმერთი, მაშასადამე, მისი წყრომაც უზომოა. ეს რისხვა რომ თავიდან აეცილებინათ, საჭირო იყო ღმერთის დაკმაყოფილება გამოსასყიდი მსხვერპლით. მაგრამ შემოქმედს არ დაკმაყოფილებდა უბრალო ადამიანის მსხვერპლი. საჭირო იყო რაღაც განსაკუთრებული და ეს განსაკუთრებული თვით ძე — ღვთისა იესო ქრისტე იყო. ამ დიდი აქტის შემდეგ ადამიანებს დაუბრუნდათ ღმერთის კეთილგანწყობა, ღვთის მადლი, რომელიც ქრისტემ დაიმსახურა; ეანწშინდა ადამიანის ბუნება, გაანთავისუფლა იგი ცოდვის, სიკვდილისა და ეშმაკისაგან. მაგრამ ქრისტიანული რელიგიის ზოგიერთი მიმართულების მიხედვით, მარტო ეს როდი კმარა ადამიანის ხსნისათვის. მაგალითად, კათოლიკები თვლიან, რომ ქრისტეს დიდ მისიასთან ერთად, აუცილებელია ადამიანებმა კეთილი საქმეები მოიმოქმედონ; პროტესტანტების მიხედვით — გამოსყიდვასთან ერთად აუცილებელია მტკიცე რწმენა.

მართლმადიდებელი თეოლოგები აკრიტიკებენ საკუთხის ასეთ დაყენებას. ისინი ასეთ ვარაუდს გამოთქვამენ: თუ ქრისტემ მთლიანად (გადაჰპარებითაც კი) გადიხადა ადამიანთა ყველა ცოდვის საზღაური, მაშინ რაღა საჭიროა ადამიანთა კეთილი საქმეები ან თვით რწმენა. თუკი იესომ ჩვენს ნაცვლად შესარულა სჯული კანონები, მაშინ ჩვენ მისი შესრულება აღარ გვჭირდება. თუკი ჩვენს გამო დაისაჯა, მაშინ რაიმე დასჯაზე ლაპარაკი აღარ უნდა იყოს. თუკი კათოლიკე-პროტესტანტი თეოლოგები არ აკეთებენ ასეთ დასკვნებს და თვლიან, რომ ქრისტეს დამსახურება იხსნის ადამიანებს ცოდვისაგან მხოლოდ მონანიებისა და რწმენის შემთხვევაში, ხოლო ურწმუნოს არაფერი არ უშველს არც ქრისტემდე და არც მის შემდეგ, — აგრძელებენ მართლმადიდებელი თეოლოგები თავის აზრს, — „ამით მტკიცდება მხოლოდ ის, რომ ყოველგვარი ზნეობრივი ცნებებისა და მოთხოვნების მთლიანი უგულვებელყოფის თავდან ასაცილებლად მხოლოდ წარმოდგენა ხსნის შესახებ სრულიად არ არის საკმარისი".17

მართლმადიდებელი ეკლესიის გაგებით არსებობს პირდაპირი შინაგანი კავშირი გამოსყიდვასა და ადამიანის შინაგან ზნეობრივ ცხოვრებას შორის. გამოსყიდვის მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ შესაძლებლობა მიეცა თითოეული ადამიანისათვის დაეკმაყოფილებინა ღმერთის მოთხოვნები. ეს, პირველ რიგში, საჭიროა თვით ადამიანის ხსნისათვის. ამასთან დაკავშირებით, ეს მოთხოვნა გამოსყიდვის გამო კი არ იხსნება, არამედ უფრო ძლიერდება. ახლა იგი უნდა შეასრულოს თითოეულმა ჩვენთაგანმა.

მართლმადიდებელი თეოლოგები თვლიან, რომ ამ დოგმატის კათოლიკურ და პროტესტანტულ გაგებას ახასიათებს უხეში, ანტრომორფული დამოკიდებულება ღმერთისადმი. ამ წარმოდგენილი ღმერთი შურისმძიებელია, რომელიც შურს იძიებს ადამიანების მიერ. მისი შეურაცხყოფის გამო, თხოულობს გამოსასყიდს ცოდვისათვის. ეს კი ეწინააღმდეგება საერთო წარმოდგენას ღმერთზე, როგორც ყოვლად კეთილზე, ნეტარზე და უცვლელზე. მართლმადიდებელთა აზრით, პირველქმნილი ცოდვის შემდეგაც კი ღმერთი სიყვარულით ექცეოდა ადამიანებს, მაგრამ ცოდვის გამო ადამიანი ვერ აღიქვამდა ამ სიყვარულს. იესო ქრისტეს მსხვერპლი ამ სიყვარულის აღქმის დაბრუნებას ემსახურებოდა. აქედან გამომდინარე მართლმადიდებლები თვლიან, რომ კითხვა, ვის მისცა გამოსასყიდი იესო ქრისტემ, ან სრულიად არ უნდა დასმულა, ან თუ დასმულმა, უნდა ასეთი პასუხი გაეცეს თავის თავს, რამდენადაც თავის თავზე აიღო ადამიანთა ყველა ცოდვა.

* * *

მთელი ეს ამბავება ზოგჯერ რაფინირებულ, ეშმაკურ თეოლოგიურ მსჯელობებში გახვეული, დაკავშირებული ათასგვარ პირობითობასთან და სულიერი ხსნის წინამძღვრად აღიარებული, სოტაქნეების მანძილზე შეურყეველ ჭეშმარიტებად თვლებოდა. ისინი კი, ვინც ოდნავ მაინც შეიტანდა ეჭვს ამ ჭეშმარიტებაში, სასტიკად ისჯებოდნენ. ამ დოგმატმა თავისი დაღი დასვა საზოგადოების. ისტორიას, ასეთი წესების მიმდინარე მნიშვნელოვნად განსაზღვრა ათეულ მილიონობით ადამიანის ბედი.

მიუხედავად იმისა, რომ ეს შეხედულება მილიონჯერ არის გაკრიტიკებული, სასაცილოდ აგდებული, ნაჩვენებია მისი უსაზრობა. ეს დოგმატი დღეისათვის მაინც რჩება ქრისტიანობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ დოგმატად. თეოლოგები მას დღესაც თაყვანმცემენი იკვეთენ, ახლებურ ინტერპრეტაციას უკეთებენ, რადგან კარგად გრძნობენ, რომ ამ საყრდენი დოგმატის წაქცევის შემთხვევაში მთელი ქრისტიანული იდეოლოგიაც დაემხობა.

მაინც სიდან წარმოიქმნა გამოსყიდვის პრობლემა, იდეა ცოდვილი ხალხის ხსნისათვის იესო ქრისტეს მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ, სიიდან მიიღო მან ასეთი ყოვლისმომცვე-

თეიმურაზ ფანჯიკიძე
გამოსყიდვის (მონანიების) პრობლემა

ლი ფორმები და რატომ იქნა მიღებული ეს დოგმატი ხალხის მიერ.

როგორც მსოფლიო ისტორია გვიჩვენებს, ადამიანთა შეცოდებით განრისხებული ღმერთისათვის მსხვერპლის შეწირვის იდეა სრულიადაც არ არის ახალი კაცობრიობის ისტორიაში. ასეთი წარმოდგენა მრავალ ქრისტიანობამდელ რელიგიასაც ახასიათებდა. ამის შესახებ ჯერ კიდევ ფრიდრიხ ენგელსი მუშთითებდა: „ყველა ამ რელიგიის (იგულისხმება ქრისტიანობამდელი რელიგიები — თ. ფ.) ახასიათებდა წარმოდგენა მოსანანიებელი მსხვერპლის შესახებ, რომელსაც შეიქლო დაემშვიდებინა შეურაცყოფელი ღმერთი. ვანა ეს ხელსაყრელი ნიადაგი არ იყო იმისათვის, რომ შეეთვისებინათ იდეა შუამავლის შესახებ, რომელიც ნებაყოფლობით სწირავს თავს, რათა ერთხელ და სამუდამოდ გამოისყიდოს კაცობრიობის ყველა ცოდვა. ამგვარად, საერთოდ გავრცელებულ გრძნობას, რომ ადამიანები თვითონ არიან დამნაშავენი საყოველთაო წუხდინერობაში, ქრისტიანობამ ნათელი გამოსატყლება მისცა ყოველი ცალეული ადამიანის ცოდვიანობის შედეგბაში; ამავე დროს თავისი დამარსებლის სამსხვერპლო სკვდილის სახით მან შექმნა ყველასათვის ადვილად გასაგები ფორმა შინაგანი ხსნისა წუხდენილ სამყაროსადან, ნუგეშის პოვნისა შეგნებაში, რისკენაც ყველა ასე მგზნებარედ მიისწრაფვოდა“.18

სხვა ადგილას ფრიდრიხ ენგელსი ვარაუვით წერდა, რომ ეს იდეა ქრისტიანობამ უშუალოდ ფილონის სკოლისაგან ისესხა“.19

საერთოდ კი, მსხვერპლის შეწირვის წესი კაცობრიობის ისტორიის შორეული პერიოდიდან მოდის. მის პირველ ელემენტებს ჯერ კიდევ ძველი ქვის ხანაში ეხვედნიან. მსხვერპლის შეწირვის რიტუალის წარმოშობა დაკავშირებული იყო ანიმისტური შეხედულებების ეგზისტასთან. საწარმოო ძალების განუვითარებლობამ, შესაბამისად აზროვნების დაბალმა დონემ შიშმა ბუნების ძალების წინაშე წარმოქმნა პრიმიტიული შეხედულებები სულების შესახებ. ძველი ადამიანების აზრით, ეს სამყარო დასახლებული იყო ბორტი ილი კეთილი სულებით. მსხვერპლის შეწირვა, ლოცვა, შელოცვა, შეთქმა, თუ რაიმე სრული რელიგიური რიტუალი მიზნად ისახავდა ამა თუ იმ პიროვნებისადმი, ან ადამიანთა ჯგუფისათვის ბოროტი ძალების მოქმედების აცილებას და კეთილ ძალების თავის სასარგებლოდ მმოქმედებას.

საწარმოო იარაღების განვითარებისა და საზოგადოების წინსვლასთან ერთად იცვლება და რთულდება მსხვერპლშეწირვის სახეები, იცვლება შესაწირი მსხვერპლის ვადები, სავნები, მისი რაოდენობა. ზნრიად იგი (რაოდენობა) განისაზღვრებოდა იმით, თუ რამდენად კაკვლნიანი იყო ესა თუ ის პიროვნება, ან მნიშვნელოვანი მოვლენა რასაც მსხვერპლს სწირავდნენ. მსხვერპლშეწირვის უადრესი ფორმა ეგვიპტეში, ბერძენეთში, ინდოეთში, ირანის, ბერძენეთის, ეგვიპტე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისხებული ღმერთების შემოსარიგებლად მსხვერპლად ადამიანს სწირავდნენ.

ზოგიერთ ხალხში მსხვერპლად შესაწირი ადამიანები ყიდვა-გაყიდვის ობიექტი ყოფილა. ვაჭრები გულფასმით სისტემაზე მომავალ მსხვერპლს, ხომ არ ჰქონდა მას რაიმე ფიზიკური ნაკლი, წინააღმდეგ შემთხვევაში ღმერთი მას არ მიიღებდა.

ბალტიის ზღვის გარშემო მცხოვრები სლავები ყოველწლიურად მსხვერპლს სწირავდნენ ადამიანს, თავის მთავარ ღმერთს სვანტო

ბინა და ომში წარმატებისათვის მიეღწია. ამავე კონტინენტზე ზოგიერთ ადგილებში ავადმყოფი მეფის, ან ბელადის გამოჯანმრთელებისათვის და სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის კლავდნენ ბავშვს ან მოზრდილ მამაკაცს.

ადამიანებს მსხვერპლად სწირავდნენ ოკეანის კუნძულების მცხოვრებლებიც.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხებიდან წარსულში ადამიანის მსხვერპლად შეწირვა ახასიათებდა სლავებს. ისინი ყველაზე ხანგრძლივ დროს ჭელ დრაში 24 ივნისს მზის ღმერთის პატივსაცემად ახარობდნენ ქალაშვილს, უფრო გვიან ქალაშვილის ნაცვლად სიმშოლოურად ახარობდნენ თოკინას, ხოლო ხალხი ბანაობდა მდინარეში.

თავინი განვითარების გარკვეულ საფეხურზე ქართველ წარმართულ სარწმუნოებასაც ახასიათებდა ადამიანის მსხვერპლად შეწირვა. ავადმყოფ ივ. ჯავახიშვილს ქართველი ერის ისტორიის პირველ წიგნში მოჰყავს ცნობილი გეოგრაფიის სტრაბონის ცნობა ალბანელების მიერ მთვარის ტაძრისათვის მსხვერპლის შეწირვის რიტუალის შესახებ: „...ამას, ვინც მეტად ატაცებული ტყეებში მარტოკა დახეტიალობს, — წერს სტრაბონი, — ჭერეშები დაიჭერენ, კისერზე ჯაჭვს დაადებენ და ერთი წლის განმავლობაში ზეარაკად კარგა ასუქებენ ხოლმე; შერე მამა მირნცხებულს სხვა საკმრთოებთან ერთად ღმერთს მსხვერპლად შესწირავენ ხოლმე, მსხვერპლად შეწირვა ამნაირად იციან: ადამიანის მსხვერპლად შეწირვა ჩვეულებრივ ლახვრის საშუალებით იციან ხოლმე. ერთი კაცი, რომელსაც ამგვარი ლახვარი აბარია, ხალხიდან ვამოვა და ხერხიანად ლახვარს გვერდით შეგეულში ჰკრავს ხოლმე, როცა ლახვარ-ნაკრავი მსხვერპლი დაეცემა მიწაზე, ჭერეშები სხვადასხვა ნიშნებისადა მიხედვით მკითხაობენ და საჯაროდ ხმამღლა აცხადებენ ხოლმე. როცა ვვამს ერთს დანშესულს ადგილს მიიტანენ, ყველანი თავიანთ თავს განსაწმენდად ფეხს დაადგამენ ხოლმე.“20

ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ აღბანიის ერთი ნაწილი, სახელდობრ იბერიის მოსაზღვრე ადგილი, ქართველი მოდგმის ერთი იყო დასახლებული, ხოლო ის მთვარის ტაძარი, რომელიც გამოჩენილი გეოგრაფის სიტყვით იბერიის საზღვარზე მდებარეობდა, შეიძლება სწორედ კახეთში ყოფილიყო.21 მართალია, ადამიანის მსხვერპლად შეწირვა უფრო გვიან ხანაში შეიცვალა, მაგრამ მისი მსგავსი მსხვერპლშეწირვის იმიტაციამ თითქმის ჩვენ დრამდე მოაღწია, ამის გარდა ქართველ ტომებში ღმერთების სადიდებლად თე მიეცალებულის მოსახსენებლად შეწირული ცხოველებისა თუ სხვა საგნების რაოდენობა უზარმაზარი იყო.

მსხვერპლშეწირვის ეს რიტუალები, რომლებიც უხვად გვხვდება პრიმიტიულ რელიგიებში შემდგომში ამა თუ იმ სახით გადაეცემა ეროვნულ თარგებულ მონოთეისტურ რელიგიებში.

ამგვარად, ადამიანის მსხვერპლად შეწირვის მაგალითების მოყვანა თითქმის დაუსრულებლად შეიძლება გაგრძელდეს,22 მაგრამ მისი გაგრძელება ჩვენთვის თვითმიზანს არ შეადგენს.

* * *

როგორც ვხედავთ, მსხვერპლის შეწირვის მეოხებით ცოდვების მონანიების იდეა, ადამიანთა ხსნის იდეა, არც თუ ისე ახალია. მას უამრავ ადრინდელ რელიგიებში ვხვდებთ. მაგრამ, მათგან განსხვავებით, ქრისტიანობამ ეს იდეა თავისებურ პრიზმაში გადატეხა, სპეციფიურად გადამუშავა და ისე უქადაგა მორწმუნეებს.

ქრისტიანობის ეს დებულება მოსახლეობამაც მიიღო, იგი ეასაგები იყო მისთვის, რამდენადაც მათ ადრინდელ რელიგიებშიც იყო მსგავსი მომენტები. ეს იდეა მისაღები იყო მოსახლეობისათვის, რადგან იგი არ მოითხოვდა ვინმეს ფიზიკურ მსხვერპლს, როგორც ეს წარმართულ სარწმუნოებაში იყო; მაგრამ ყოველივე ამის სანაცვლად ქრისტიანობამ მორწმუნეთაგან მოითხოვა სხვადასხვა სახის მსხვერპლი, წარმართულ რელიგიებზე არანაკლებ მძიმე, სულიერი მსხვერპლი, კარგად წერდა ამის შესახებ ლუდვიგ ფოიერბახი:

„ქრისტიანული რელიგიის ჩვეულებრივ ქება დიდებას ახსამენ იმაზე, რომ თითქოს მან მოსპო ადამიანის მსხვერპლად შეწირვა, მაგრამ მან მხოლოდ შეიცვალა სისხლიანი ადამიანის მსხვერპლად შეწირვა სხვადასხვა სახის მსხვერპლით, — ადამიანის ხორციელ მსხვერპლშეწირვის ნაცვლად მის ადგილზე დაიყენა ფსიქიური, სულიერი, ის მსხვერპლადშეწირვა, რომელიც, თუმცა არა გრძნობადი აზრით, არამედ ფაქტიურად სინამდვილეში შეადგენს ისევ ადამიანის მსხვერპლად შეწირვას“.23 აქედან გამომდინარე, დიდი გერმანელი ფილოსოფოსი ასეთ დასკვნას აკეთებდა: „ამტკიცებ ადამიანებს, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ მორწმენებთან, სწამთ, რომ ქრისტიანულმა რელიგიამ მსოფლიოს მოუტანა რაღაც, არსებითად ახალი, ვიდრე. წარმართულმა სარწმუნოებამ, მაგრამ ეს მხოლოდ მორწმენებითმაა“.24

მაშასადამე, გამოსყიდვის, ხსნის ეს იდეა ნასესხები უნდა იყოს ადრინდელი რელიგიებისაგან. მაგრამ, მაინც დავესვათ კითხვა — იესო ქრისტეს მსხვერპლად შეწირვის დოგმატს, ხომ არ უდევს საფუძვლად რაიმე, ცხოვრებაში მოხდარი რეალური ფაქტი, ცხადია ყოველგვარი ზებუნებრივი ამბებისაგან განწმენდილი, როგორც ეს სახარებებშია გადმოცემული.

შესაძლებელია, რომ ამ პერიოდში მართლა მომხდარიყო რომელიმე მქადაგებლის სიკვდი-

ლით დასჯა და ეს ვამზადაიყო საბაბი ევანგელიტები მთხრობელისათვის ისტორიიულ გარსში ჯაგუნთა ზეპუნებრივი ამბები. მაგრამ ჩვენ უფრო სანტტრესოდ და სამართლიანად გვეჩვენება მეორე ვარსია, რომელიც თავის დროზე რეალიგიის ცნობილმა მკვლევარმა ფრეზერმა წამოაყენა, ხოლო შემდგომში განაკითარა ასევე ცნობილმა მკვლევარმა რობერტსონმა და რომელსაც ეთანხმება ზოგიერთი საბჭოთა ავტორიც.

ამ მოსაზრებით, სახარებისეული მოთხრობა იესო ქრისტეს ტანჯვის შესახებ მკითხველზე ერთგვარ ეუნაურ შთაბეჭდილას ტოვებს. თითქოს ეს მოთხრობა ლიტერატურული ნაწარმოები კი არ არის, არამედ რაღაც დრამატულ მოქმედებას ასახავს, რომელიც მხოლოდ გვიან იქნა გადმოტანილი ტექსტზე. თითქოს საქმე გვაქვს რომელიღაც წესჩვეულებრივ-რიტუალურ მოქმედების ინსცენირებასთან, ხოლო სახარებისეული მოთხრობა წარმოადგენს ამ მოქმედების ლიბრეტოს.

რელიგიის საბჭოთა მკვლევარი ს. ა. ტოკარევი ეთანხმება ამ მოსაზრებას და შენიშნავს, რომ ეს ეერსია ძალიან მიაგავს სიმართლეს, რადგან ასეთი სახის მისტერიები, ღმერთის ტანჯვა-წამება და შემდგომ მკვდრეთით აღდგომა ხშირად სრულდებოდა ძველ ეგვიპტეში და საბერძნეთშიც (ატისის კულტი) საკარაუდოა, რომ ასეთი მისტერიებს ქრისტიანებიც ასრულებდნენ, ხოლო ქრისტიანული ლიტერატურის შექმნის ეპოქაში ამ დრამის ლიბრეტო ჩაწერილი იქნა და მან შეადგინა ქარგა სახარების ტექსტისა.25

მაგრამ ერთი წუთით დავუშვათ დაუშვებელი, რომ ეს გამოსაყიდი მართალ მოხდა, ქვეყანასა მარილა მოეკლინა იესო ქრისტე, და მან მართლა იხსნა სამყარო პირველქმნილი ცოდოვისაგან. მაშინ ხომ სადმე უნდა ჩანდეს მისი მოვლენის კვალი და ხსნის შედეგები. ხომ უნდა შემეტრებულიყო ამქვეყნად ცოდვა, ხომ აღარ უნდა ხდებოდეს ამდენი უსამართლობა.

მოეუფიანოთ რას წერს ამის შესახებ ქან მელიე:

„ამასთანავე არ ჩანს არაევითარი შედეგი, არაევითარი რეალური გამოკვლა ადამიანების ამ ცრუ მონანებისა, არა ჩანს არაევითარი ნიშანი იმისა, რომ ცოდვები სულ ჩამოხსნილიყო მსოფლიოს, როგორც უნდა ყოფილიყო, ან თუნდაც შემცირებულიყოს მაინც. პირიქით, ცოდვა ამკარად უფრო გამრავლდა, ვიდრე შემცირდა. ამასთან იგი იზრდება ყოველდღე, რამეთუ ადამიანები დღითიდღე ბიწერნი და ბოროტები ხდებიან და ამ ქვეყნად თითქმის ნიაღვარივით მოედინება ცოდვა და უსამართლობა. არც ის ჩანს, რომ ჩვენს ქრისტეს თაყვანისმცემლებს შეუძლიათ თავი უფრო წმინდანად, უფრო ბრძენად და უფრო სათნოდ გასაღონ, ან უკეთესი მმართველობა ან უკეთესი ზნეობა დაიჩემონ, ვიდრე მსოფლიოს სხვა ხალხებს აქვთ და ბოლოს არ ჩანს არაევითარი ნიშანი იმისა, რომ ახლა იესოს ბევრი ეყოს განწმენდილი სულები ან უკიდურეს შემთხვევაში განსაკუთარ რიცხვი მაინც შემცირებულიყოს, ვიდრე ეს ამ ცრუ მონანებამდე იყო, რამეთუ სრულიადაც არ გაზრდილა იმათი რიცხვი, ვინც სამოთხისაკენ მიმავალ გზაზე მიდის, და არც იმათი რიცხვი შემცირებულა, ვინც ჯოჯოხეთისაკენ მიმავალ გზაზეა შემდგარი, ვინაიდან, თუ ჩვენს ქრისტეს თაყვანისმცემლებს დაეჯერებათ, ცოდვა ჯოჯოხეთისაკენ მიმავალ, ხოლო სიცეთე სამოთხისაკენ მიმავალი გზა ყოფილა. აქედან აშკარად ჩანს, რომ ზემოხსენებული ცრუ სოიერებანი არავითარ შემთხვევაში არ პასუხობენ იმ მთავარ მიზანს, რომელიც შეიძლებოდა ძველად და ბრძენნად მიჩნეული ყოველსშემძლე ღმერთს დაესახა თავისი თავისთვის. სრულიად დაეჯერებელია ისიც, რომ ასეთ ქეელად და ბრძენთაბრძენად მიჩნეულ ყოვლისშემძლე ღმერთს, რომელიც ადამიანების სახსნელად, განსაკუთრებულად და სამუდამოდ გასაბედნიერებლად ჩამოვიდა ამ ქვეყნად, თავის ასეთი ზერელნანებით შემოზღუდვა მოეწებებინა".26

თავისი მახვილგონიერული მსჯელობით ქან მელიე აშიშვლებს ამ დოგმატის მახინჯ სულს. ამახსრავს მის როლს და შედეგებს კაცობრობის ისტორიისათვის.

თვით გამოსყიდვის დოგმატი და მისგან გამომდინარე ადამიანთა საყოველთაო ხსნის იდეა ძალზე ინდივიდუალისტური და ეგოისტურია. ორთოდოქს ქრისტიანს, საკუთარი აღიარებთან, არ ინტერესებს სხვა რამე, გარდა საკუთარ თავის ხსნისა. „შენი პირველი და უკანასკნელი აზრი უნდა იყო შენ თვითონ, — წერდა ფედედო-ბერნარდი, — ხოლო შენი ერთადერთი ზრახვა უნდა იყოს — შენი სულის ხსნა". „თუ კი შენ ყურადღებით დაკვირდები საკუთარ თავს, — წერდა ბოეკი, — გაგიკვირდება როგორ შეგეძლო აღრე გეფიქრა სხვა რამეზე". ეს რელიგიური პრინციპი „თითოეული თავის თავისათვის, მხოლოდ ღმერთი ყველასათვის" ღრმად ანტისოციალურიცაა.

„ადამიანის თვით ყველაზე უფრო უაზრო და საშინელი უარყოფა, — წერდა ლ. ფოიერბახი, — რ ე ლ ი გ ი უ რ ი მ კ ვ ლ ე ლ ო ბ ა, მაშინაც კი, როდესაც ადამიანი იდენს ადამიანურ ანუ ეგოისტურ მკვლელობას არა სხვაზე, არამედ საკუთარ თავზე, როდესაც ის შორდება ყოველგვარ ადამიანურ სიკეთეს, უარყოფს ყოველგვარ ადამიანურ სიხარულს, — ეს უარყოფა არის საშუალება მისწვდე და იგივმო ციერი ანუ ღვთიური ნეტარებაა... ქრისტიანი მსხვერ-

თეიმურაზ ფანჯიკიძე
გამოსყიდვის (მონანიების) პრობლემა

ბლად ეწირება, უარყოფს თავის თავს მხოლოდ იმისათვის, რომ მოიპოვოს ნეტარება".[27]

ჩვენს პირობებში ასეთ ინდივიდუალისტურ, ეგოისტურ ფილოსოფიას უპირისპირდება ახალი ჰუმანური, მარქსისტული ფილოსოფია, რომელიც პრინციპს „ყველა თავისათვის, ხოლო ღმერთი ყველასათვის", უპირისპირებს ჰეშმარიტად კაცთმოყვარე, ჰუმანურ პრინციპს „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის".

გამოსყიდვის დოგმატი დღესაც რჩება ქრისტიანობის ერთ-ერთ საყრდენ დოგმატად. ქრისტიანი თეოლოგები დღესაც თავგამოდებით იცავენ მის სისწორეს, რადგან მისი დანგრევით მთლიანად დაინგრევა მთელი თეოლოგიური კონცეფცია.

გამოსყიდვის დოგმატის დეტალური გარჩევა ერთხელ კიდევ გვიჩვენებს რელიგიური იდეოლოგიის სიყალბეს, რეაქციულობას, არამეცნიერულობასა და ანტიჰუმანურობას.

შენიშვნები:

1 სოტეოროლოგია ეწოდება ღვთისმეტყველურ მოძღვრებას იესო ქრისტეზე, როგორც კაცობრიობის მხსნელსა და გამომსყიდველზე.

2 პირველქმნილი ცოდვის შესახებ. იხილეთ ჩვენი სტატია პირველქმნილი ცოდვის პრობლემა, ჟურნ. „ცისკარი" № 11, 1972 წ., ან ჩვენი წიგნი „რელიგია და თანამედროვეობა", გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1973 წ., გვ. 61-77.

3 См. Православная Богословская Энциклопедия, Петроград, 1904, т. V, стр. 1076.

4 წინასწარმეტყველება ესაიასი, თავი მა, იდ.

5 იქვე, თავი მთ, კდ-კვ.

6 ლუკა I, 67-68.

7 რომაელთა მიმართ 7, 18.

8 ებრაელთა მიმართ 12, 1.

9 I პეტრე 5, 8.

10 ლუკა 21, 28.

11 რომაელთა მიმართ 8, 23.

12 რომაელთა მიმართ 5, 17-19.

13 იქვე, 3, 26.

14 2 კორინთელთა მიმართ 5, 19.

15 რომაელთა მიმართ 6, 3-7.

16 იოანე 1, 15.

17 Православная Богославская энциклопедия т. V стр. 1083.

18 ფრედრიხ ენგელსი, ბრუნო ბაური და ადრინდელი ქრისტიანობა. თბილისი, 1939 წ., 17.

19 К. Маркс и Ф. Энгельс соч. т. 22. стр. 477.

20 Geographica, lib. XI, cap. III, 7. იხ. ივ. ჯავახიშვილს ქართული ერის ისტორიის ნაწილი პირველი, თბილისი 1951 წ., გვ. 50

21 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის წიგნი პირველი, გვ. 51.

22 ყველა ზემოთ დასახელებული მონაცემი ადამიანის მსჯე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ ერჩიდან

ბელგია

ერთსულოვანი აღიარება

ბელგიის კრიტიკა დიდი ერთსულოვნებით მივესალმა ლეონ პოლი პოიროს ახალი რომის „პიტერ დანსის“ გამოსვლას.

პოიროს რუსი მეკითხველებისთვის ცნობილია რამდენიმე ნაწარმოებით, მათ შორის „ერთიული ღამით“ და „ჰალუცინაციით“.

რომანი „პიტერ დანსი“ მოგვითხრობს ფლამანდიელი მუშათა კლასის პრობლემაზე თავისი უფლებებისათვის, სოციალისტური მოძრაობის რასხვაზე ბელგიის ერთ-ერთ სამრეწველო ცენტრში — ალსტაში.

„ტრაგიული შრომა. დაწერილი იმ დროს, როცა ფიქრობდნენ, პოიროს ამოწურაო თავისი ლიტერატურული შესაძლებლობანი, აღმოჩნდა, რომ იგი ისე ზედმიწევნით იცნობს მასალას, ვერც კი ამჩნევთ, რომ თქვენ ეელამდე ეკავსოთ მხოლოდ ფაქტებით“ — წერს კრიტიკოსი დრეკ მარტენი „ყოველწლიურ“ „სნუკე-78“-ში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

„ადამი და ევა“

ახე ეწოდება გერმანურ ენაზეშის ახალ სატელევიზიო ფილმს, რომელიც დადგა რეჟისორმა ხორსტ ე ბრანდტმა.

ფილმის ოთხივე ნაწილს ერთმანეთთან აკავშირებს საერთო თემა და საერთო გმირები. ამავე დროს თვითეული ცალცალეკე ინარჩუნებს დამოუკიდებლობას.

ესაა ისტორიაა სხვადასხვა პროფესიის, სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა ხასიათის ადამიანებზე. ფილმში აღძრულია საკითხები „ალშეკმნილ ოჯახზე, საყოველთაულზე, ბავშვობის აღზრდაზე, ოჯახურ და სამსახურებრივ შეთავსებაზე, ქალის როლზე საზოგადოებაში და მის თანასწორუფლებიანობაზე.

„70-იანი წლების ხალხთა ცხოვრების ამსახველი ეს ფილმი ძალიან აღფრთოვანებს მაყურებელს, — წერს ყოველკვირეული „ზონტაგის“ რეცენზენტი — ყველაფერი, რაზეც ფილმი მოგვითხრობს, ახლობელია ჩვენი დროის ადამიანებისათვის, ესაა მათი ცხოვრება — სიხარული და მწუხარება“.

„უეჭველია, სატელევიზიო ფილმი გამოიწვევს გაცხოველებულ კამათს“. — წერს გაზეთ „ბერლინერ �ტუნგის“ რეცენზენტი.

ესპანეთი

მოსაწყენი ანკეტა

ესპანელი პოეტი ანტონიო მაჩადო მწუხარებით აღნიშნავდა, რომ ესპანეთში ლიტერატურას არ კითხულობენო. მას შემდეგ გავიდა 40 წელი, მაგრამ მდგომარეობა ოდნავ თუ შეიცვალა. ამაზე მეტყველებს ის დაკვირვება, რომელიც ჩაატარა ხაზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა მუნიციპალურ ოლქებში. დაკითხვის შედეგად 89 პროცენტი მოკლებულია, მეტად თუ ნაკლებად კულტურულ მოთხოვნილებას. 49 პროცენტს ერთი წლის განმავლობაში არ წაუკითხავს არც ერთი წიგნი, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ბევრი წიგნი, რომელიც დიდი პოპულარობით უნდა სარგებლობდნენ და რომლის ტირაჟი სულ 3.000 ეკზემპლარს არ აღემატება, რამოდენიმე წლის განმავლობაში დეკუ წიგნის თარიღზე გაუყიდავად.

ტელევიზორი და ფეხბურთი იკავებს საშუალო განათლების მქონე ესპანელის თავისუფალ დროს. რაც შეეხება თეატრს, კინეტრტს, გამოფენებს, მათ პოპულარობაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა

„ვან ნგეს“ — 25 წლი

25 წელი შეუსრულდა ვიეტნამის ლიტერატურისა და ხელოვნების ასოციაციის მუშათა ყოველკვირეულ ბეჭდვით ორგანოს „ვან ნგეს“. („ლიტერატურა და ხელოვნება“).

ყოველკვირეული სხვა ბეჭდვით ორგანოებთან ერთად დიდი პოპულა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობით სარგებლობდა აქაური გამოცემებში. მას კითხულობს ყველა, ვისაც უყვარს და აინტერესებს ლიტერატურა და ხელოვნება. ყოველკვირეული აცნობს მკითხველებს, როგორც ვიეტნამის, ასევე საზღვარგარეთის კულტურულ ცხოვრებას. აქვეუნებს სტატიებს ხელოვნებისა და ლიტერატურის პრობლემებზე. იგი ხშირად აცხადებს კონკურსებს საუკეთესო ლექსებსა და მოთხრობებზე.

საიუბილეო დღეებში გამოშვებული იქნა ყოველკვირეულის მე-500 ნომერი.

ლიბანი

„ამას ძმისა ადამიანები"

პალესტინელი მწერლის ჰასან ალ-კანაფანის სახელი ფართოდაა ცნობილი, როგორც არაბეთის, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში. მისი ნაწარმოებები თარგმნილია რუსულ, უნგრულ, ინგლისურ, გერმანულ, შვედურ ენებზე.

კანაფანის რომანის „ადამიანი მზის ქვეშ" იქცა ერთ-ერთი კინო-ფილმის „გაცრუებულნის" სცენარის მასალად, რომელიც საერთაშორისო პრემიით აღინიშნა.

ნიეიერი მწერალი კანაფანი დაიბადა 1936 წლის 9 აპრილს. დაიღუპა 1972 წლის ივლისში, 36 წლისა, ბეირუთში, ყუმბარის აფეთქების შედეგად, რომელიც მის მანქანაში ჩადეს. იგი გახდა ტერორის მსხვერპლი, რომელიც დაიწყო ისრაელმა პალესტინელი მოწინააღმდეგ. ალ-კანაფანმა თავისი ხანმოკლე ცხოვრება უძღვნა თავის ხალხს და მის განთავისუფლებელ ბრძოლას. იგი, როგორც მწერალი და ჟურნალისტი იყო პალესტინის სახალხო განთავისუფლებელი ფრონტის წარმომადგენელი.

ალ-კანაფანის ხსოვნის აღსანიშნავად ახლახან გამოშვებული იქნა მწერლის თხზულებათა კრებული. პირველ ორ ტომში შესულია რომანები და მოთხრობები, ხოლო დანარჩენ ოთხსა — პიესები, ლიტერატურულ - პოლიტიკური სტატიები და სიტყვები.

უნგრეთი

ეკლესიას ჩილეს ხალხს...

მრავალი წელია უნგრეთში არსებობს თეატრი „ლიტერატურნაია სცენა". იგი ითვლება როგორც უნგრული, ასევე მსოფლიო ლიტერატურის აქტიური პროპაგანდისტად, უნგრული მოსახლეობის ფართო ფენებში.

პოეტური საღამოები, მიძღვნილი პროზისადმი, ცნობილი მწერლების ნაწარმოებებიდან ინსცენირებები, შეხვედრები საკუთრივ მსახიობებთან. ეი. არსარული რეპერტუარი, რომლითაც გამოდის ეს თეატრი, არა მარტო ბუდაპეშტში, არამედ ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში.

ახლა, ჩილელი ხალხის ძმიანე დღეებში, თეატრმა მოამზადა სპექტაკლი „ჩილე, განა როდემდე იქნება განუწმენდავი მიწა შენი?!" სპექტაკლში ელერის ჰაბლო ნერუდასა და სხვა პოეტების ლექსები, ნაწყვეტები პროზაული ნაწარმოებებიდან, ფრაგმენტები ფიდელ კასტროს გამოსვლებიდან.

ცნობილი უნგრელი მსახიობების გვერდით სპექტაკლში მონაწილეობენ ჩილელი სტუდენტები, რომლებიც უნგრეთში სწავლობენ.

გაზეთი „ნეპსაბადშაგის"-ცნობით სპექტაკლმა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ტექნიკური ხელმძღვანელი ს. ციციშვილი.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 4.

გადაეცა ასაწყობად 24/II-75 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/IV-75 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკური ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. საღრ.-საგ. თაბახი 14,5. შეკვეთა № 807. უე 01870 ტირაჟი 32.050

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

49/78

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236